


პრესა

№ 14

23-29/VII.2009 ფასი 1 ლარი



„მე და სოფნა ერთად აღარ ვართ...“

მოღვალი, რომელიც მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ რძლად აღიარა

გაღიზიანებული, გველთან ერთად



და ანგელა მერკელის საყვარელი პარტიველი გაღიზიანდა

აღაშიანი-აგუიბია



ანუ ზღვაში მოსიარულა გურჯის აგაპი

აღიზიანებული თუ მერიანი?



ვინ არის ქართული პოლიტიკის რუსი კარდინალი



მალხაზ მერიანი რომელიც მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ რძლად აღიარა



გოგონა, რომელიც მოგაკვდავ აღაშიანებს უწოდებენ

...როდის შეიძლება მისი ჯიბეების ამოგვრუნება?





დაიბრუნე ძველში ჩართვის საფასური!

ჩაერთეთ მაგთი ფიქსის ძველში და ერთი წლის განმავლობაში, ყოველთვის თქვენ მიერ მითითებულ მაგთის ან ბალის ნომერზე დაირიცხება 15 წუთი საჩუქრად.

რატომ მაგთი ფიქსი?

- ყველაზე დაბალი ტარიფი მთელ საქართველოში;
- არავითარი სააბონენტო;
- ინტერნეტი უფასო ჩართვით: **ულიმიტო, თვეში 15 ლარად** ან 1 წუთი 1 თეთრად;
- აქცია „ჩემი ოჯახი და მეგობრები“, უფასოდ ჩაერთვებით აქციაში, აირჩევთ მაგთისა და ბალის 5 ნომერს, მათ დაუკავშირდებით 5 თეთრად და **ისინიც 5 თეთრად დაგირეგისტრირდებიან**; ასევე შესაძლებელია მაგთის და ბალის ნებისმიერ აბონენტთან საუბარი მხოლოდ **5 თეთრად** (ნაცვლად სტანდარტული 15 თეთრისა), თუ წინასწარ შეიქმნეთ 200 წუთს 10 ლარად;
- მაგთი ფიქსიდან მაგთი ფიქსზე საუბარი – 2 თეთრი წუთში – საქართველოს ნებისმიერ წერტილში;
- ყველაზე იაფი საერთაშორისო ტარიფები: ღსთ – **წუთი 10 თეთრიდან**, ევროპა, აზია, ამერიკა – **15 თეთრიდან**;
- SMS – **3 თეთრი**;
- ანგარიშის შექმნა მარტივად – მონე-გარათით ან გადარიცხვით;

მოგსახურების პირობებში სიასლმა!

- გაგაჰალი ჯარი არ გაგაეთიშებათ პოლო გადახდიდან 1 წლის განმავლობაში, თანხის ამოწურვამდე! ასევე, 1 წლის განმავლობაში გარანტირებული გემდებათ შემომავალი ჯარი.



ძველში ჩართვის ღირებულებაა 60 ლარი, აქედან 10 ლარი დაგბერიცხებათ ანგარიშზე.

დაინტერესდით?

მოუბრკანდით მაგთიფიქსის მოგსახურების ნებისმიერ ოფისში ან

დაგვიკავშირდით 890 500 500-ზე

და მაგთი ფიქსის ტელეფონს ადგილზე მოგართმევთ!



მეორე მჯანბრი

სამხრეთ-დასავლეთის რეგიონის მჯანბრის კონკრეტული სახეობაა, რომელიც ამ წინასწარ იმედოვნებს, რომ მჯანბრი კონკრეტული სახეობაა, რომელიც ამ წინასწარ იმედოვნებს, რომ მჯანბრი კონკრეტული სახეობაა...




ლაუკაბიჯივალის ტუბერნი

მსგენილები



ჩემი მოგონებები
სასაოცარი მომენტები
— ხიყხიყებს, ჩაისოყებს,
ზურზურებს



ტუსალი

39

„ამ ოჯახისგან გეგრი რამ ვისწავლო“

„როდესაც ცოტენ დი-
ლი ხნით რუსეთში წავიდა,
მის ცხოვრებაში გაჩნდა ვი-
ლაც გოგო, რომელმაც მას
შეიღი გაუჩინა... თავიდან
ბალიან განვიცადე, თუმცა,
მერე დავეფიქრე და გავი-
აზრე, რომ ჩვენ გავიმბარდეთ,
შეგვეცვალა შეხედულებუ-
ბი და...“



19

გივი სისარულიძის „თბილისური საღამოები“



„ვინც არ გაჩუქოს, იმისი დედაც-
მეთქი, ერთ გოგოს ხელი დავტყე და
|| სართულიდან ვესროლე. მანძილი
4 მეტრამდე იყო. კიდევ კარგი, დაი-
ჭირა, მაგრამ დაჭურისთანავე წაიქცა
და ის გოგო შემოდან დაეცა.“

24

მინიატიურები

მორიგი „შუპაა“ ანუ პარკაშენი — ქუთაისში, პრაზიკანების ქანცაღარა — სხრაქვეთში... 5

მასეღია

მიმართვა პრაზიკანებს და ვიხე-პრაზიკანებს 6

საქონი

ზოგი მირი მარგაბაღიანი ქარხნეულიდან — რაჭაში... 7

სხაშუმი

სხაშუნა ნეიმა და სხალი შოთი სევე ბათუმში 8

მადლი

ქართული მოწყალის დები და გოგონა, რომელიც მომავალზე ახსიანებას უწვდის... 9

მოარული სევაბი

„რუსი ქარღინალი“ — მირი თუ სინამდვილე? „ნესით, სააკაშვილს მისი ქალიან უნდა ვეინოდან“... 11

ღაიჯუსტი

14

პოლიტიკა

პოლიტიკური პარტია — ვეყენის გარღრენისთვის თუ პირადი ქეთილდღოგისთვის?... 16

პირადი სსოვრება

მოღალი, რომელიც მანანა პრევაქა-გამსახურღიან რქლად აღიარა 19

მეორე სამოგლო

საქართველოზე შეყვარებული ქანცაღარის აგერიქალი სიქა 20

პროქაქი

ბალეტი პოღიუმზე გვეღით ანუ ანეღა მარქალის საყვარელი ქართული ბალღინა 22

არღაღვები

პარღი — შეყვარებულითვის, მემოგრისთვის ნასროლი გოგო და გივი სინარულიძის „თბიღისური საღამოები“ 25

მსანიღი

„ქაბარან ღირაქტორი“ ქუს ბბაზე ისევენს 27

მას სულ სხვა გეგებები ჰქო-
ნდა...
— გიგი... — სუნთქვაშეკრუ-
ღმა ძღიღეს გაითავისუღღა
თავი მამაკაცის გუჩებისგან.
— გიგი... შენ მე ჰქუიღან მშღი-
მეტი არ შემიღღია...
— არც მე, — ამოთქვა მა-
მაკაცმა და ქალი ღო-
გინზე წამოაქცია...
თითქოს მთელი დე-
ღამიწა აგრიღღა...
— კარგი ქენი, სახღში რომ არ ღაბრუნღი? —
ემეაკურღად გაუღღმა მამაკაცმა, როცა ოღნაღ მოი-
თქვეს სული.

მითღი ფანსახაღი



82

■ არაღიბი	
სარკი გაყოფილი თავი და დასჯის სახალისო მეთოდები	28
■ მეტამორფოზები	
ქართული „ოსკარონები“, მოსაქვეპე ვანო ჯაბახიძის და რამომ გუდავდა ნითელქუდა ქვან	32
■ ანტიდუპრესანები	30
■ პროფესია	
ილუზიონისტების „დოკინები“, „ქანებიანი“ ყბა და ქირაობა მამულებელი	30
■ მოზიკა	34
■ ჯანერთაღობა	
✓ მოგაველი დედა არ უნდა სვამდეს ყაყვანს	36
✓ ქმარი ბანდოვანს უწყობს ხელს	36
■ ჟურნალი ჟურნალი	
✓ ხსოვრება	39
✓ გზაგონილები	55
■ მოგზაურის დღიური	
რამოტაში „სამომოტოს წარსულიდან“	71
■ რომანი	
ერთი ვინეა ყაფლანიშვილი (გაბრძელება)	74
■ ბავშვ-ბავშვი	78
■ საკითხავი ქალაქისთვის	
✓ საფუძვლიანი თუ არა უნეი ეჭვი	80
✓ მაქიაჟის გაქათვების უნივერსალური ხერხები	81
■ სასიყვარულო რომანი	
ნითელი ფანსაქმელი (გაბრძელება)	82
■ გაბათება	
„მიდა, ლამაზის სრუბა გავიარო და ინგლისიდან საფრანგეთში გადავიღე“	86
■ ვარსკვლავები	88
■ უფროსების არქივიდან	
9 მარტის თაობა ანუ რას ინახავს არქივი?	90
■ თინეიჯერული პოეზია	
ვის უთქვამდა სისხლს უქომალქანსო, ეპოისტი, მებრძო ქალიდან ნიქიერი მოზარდი	92
■ ბაკარი	
ღაბადა უხილავად მოღადა განდებილ ბარბაზა, „დღის წინადას“ მოვლენა და წინასწარმეტყველება ათონის მთაზე	96
■ მემორიალი	
სტალინი ბათუმში ანუ როსა ინტორიანს აწვიმს...	98
■ ბაღალი	
სტალინი და ბროსკი – ბრძოლა პირველბრძისთვის	99
■ საქმე	
არწვიმის თვალი, საილოს ყურები, მგლის მხელი და სეზარის ყნოსვა ანუ როგორი უნდა იყოს ყველაზე ახალგაზრდა პენსიონერი	101
■ ავტო	103
■ სკანდორდი	104
■ ასტროლოგია	105
■ შეჩარბული ნაში	
თბილისის უკანასქნელი ყარაგონებლები	106

გარეკანზე: ირბა ლიბარტალიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-კოლტიკოპური უზრუნავი „გზა“
გამოღის კვირაში მრთხმლ, სუთუგაბათობით
გაგაქმე „კვირის პალიტრის“ ღამაქმება
ფურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მთავდელები: ლალი ფაცია, ლიკა ქავჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

**„გამონდაზა გსკლის
ყოველთვის მეშინოდა...“**



– სკოლაში ყველაზე მეტად რომელი საგანი გიყვარდა?
– სიმღერა და ფიზიკულ-ტურა. კიდეე ბუფეტში შესვლა მიყვარდა ძალიან, ხოლო გამოცდაზე გასვლის ყოველთვის მეშინოდა.

28

**ერთ ჭერქვეშ 11 მოფხობან
პრტად**

„მთელ აფრიკაში ათასამდე ვეფხვი ღარდა. მინდა, გაგამრავლო ისინი. ფისოები ჩემს სახლში თავს კომფორტულად გრძობენ, არაფერს ვუკრძალავ და ყოველთვის გემრიელი კერძებით ვუმასპინძლები“.



35

ილუზიონისტების „დოკინები“



„ჩვენ, პირველ რიგში, მეგობრები ვართ. მისარია, რომ ახალგაზრდებს ეს საქმიანობა აინტერესებთ. სხვათა შორის, ფოქუსები მშვენივრად გამოსდით“.

30

– რა უცნაური კაცი ხარ, იორამ! იქ რომ ალარც ღვინოს დააკარე პირი... ახლა?
– არ მიყვარს!
– რა არ გიყვარს, ღვინო?
– ღვინო მიყვარს... მაგრამ არ მიყვარს ღვინის ერთბაშად, დიდი ჭიქით ჩასასვლა... ვიდაცის მორთოშილ სალდეგრძელოზე...
– ჰო-ჰო, რა გააფინინე ფეხი ამ სტალინის სალდეგრძელოზე!



74



მოჩივი „შეყუა“ ანუ ჰარლამენცი - ქუთაისში, ჰრეზიდენცის ყანსველარია - ცხრუყვეთში...

შსსავლის ნაცვლად თითქოს ბობოქარ პოლიტიკურ მოვლენათა ეპიცენტრში ვართ, თითქოს ყოველდღე რაღაც საინტერესო ხდება, თითქოს დღე ისე არ ჩაივლის, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა მოჩივი „შეყუა“ არ ჩაატაროს... მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, უხერხულ მდგომარეობაშიც კი ვვარდები — მაინც ისე ჰგავს ყოველი კვირა ერთმანეთს, რომ ვინმელო მკითხველი გავანზილო. არადა, კვირა ისე არ გავა, რომ ან ობამა არ ჩავიდეს „იქ“, ან ბაიდენი — „აქ“, ან მიშა არ მივიდეს პარლამენტში, ან პარლამენტი არ მივიდეს მიშასთან... (რაღაც ამერია... ეს, მგონი, მთაზე და მუშაყმედზე იყო...)

მიშა მართლა მივიდა პარლამენტში და რაღაცები თქვა, მაგრამ მთელ იმ ხუთსაათიან „ბასტი-ბუბუმი“ ყველაზე მაგარი ის იყო, ტრიბუნასთან მდგომი გოკა გაბაშვილი რომ „ხუმრობდა“ და პალიკო (თუ პავლე, თუ პავლიკო... როგორც არის) კუბლაშვილი რომ სიცილით კვებოდა (წარმომიდგენია, ეგენი მარტო როცა არიან, რას ლადაობენ)!!!

ჰო, გასული კვირა ქართული ხელოვნებისა და სპორტისთვის ორი ფრიად წარმატებული მოვლენით დაგვამასოვრდება (ცხადია, ის არ მაქვს მხედველობაში, „ვიტ-ჯორჯის“ ევროდებიუტი ვილაქ ჩუბინმა ესტონელი მსაჯისთვის კოხტად გარტყმული წყლის ბოთლით რომ აღნიშნა) — პატარა ვირტუოზი ჯაზმენის, ბექა გოჩიაშვილის შვეიცარიის ფესტივალზე გამარჯვებასა და ქართველი მოკრივის ავთანდილ ხურციძის მიერ ინტერკონტინენტალის საჩემპიონო ქამრის დაცვას ვგულისხმობ (ისე, მართლა რა მაგარი ყოფილა, გახეთქა ცემით ის საცოდავი). ახლა, „პროვოკაციაში“ რა შუაშია ეს კარგი ამბავი — იკითხავთ. რა შუაშია და, შაბათს რომ იმ ბავშვმა მთელი ევროპა გადარია, ორშაბათს უკვე მინისტრების ლოჟაში დასვეს პარლამენტში და თვითონ გადარიეს (მოკრივე ხურციძე არ ჩანდა — ცუდად აქვს დაცდილი ჩვენს მიშკოს მოკრივეებთან დაძმავაცება (კანდელაკი გაიხსენეთ), მერე აქეთ ირტყებიან). რას ერჩით ბავშვს, ბატონებო? რა გინდათ — თქვენნაირი გამოვიდეს? მერე რა, რომ დიდებს აჯობა, მაინც ბავშვია, ჯერ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკით, რას ასმენინებთ და აყურებინებთ? ბავშვს კი არა, პავლიკო კუბლაშვილსაც კი, გაკვირვებისგან ლამის თმა დაუხუჭუჭდა (რას გადავეკიდე ამ კუბლაშვილს, დააჭერინებს ჩემს თავს), როდესაც მიშამ თქვა, — მართალია აკაკი, უკაცრავად — კაკოია ბობოხიძე, პარლამენტი ქუთაისში უნდა გადავიტანოთ! ანდა ნუგზარ წიკლაურმა



„დვა დვაცატიან კალბასსა“ და „ჩეტირესტა დვენაცატი მასკვიჩს“ რომ დაუთმო თავისი გამოსვლის ძირითადი ნაწილი — ვისაც ესენი ენატრება, მე იმასთან არაფერი მესაქმებო. ეტყობა, მთლად კარგად არ იცით, ბატონო ნუგზარ, რომ ქართველების 80%-ს გერმანიაში ჯართად გადადნობას გადარჩენილი „ოპელ-ასტრას“ ყიდვაც კი არ შეუძლია და „ზეიკიდის“ ორლარიანი ძხვით აჩუმებს აყმუვლებულ კუჭს. ალბათ, არც ის იცით, რატომ ღირს ორი ლარი ძხვი, თუ ყველაზე უხარისხო ხორციც კი ექვსი ლარი ღირს.

ისე, რავარია? პარლამენტი ქუთაისში!!! არაა, სიმონ, გლახა იდეა!!!

პრეზიდენტმა არგუმენტაციაც მოაყოლა — ქუთაისი ქვეყნის გეოგრაფიული ცენტრია და მაჟორიტართა უმრავლესობისთვის უფრო მოსახერხებელი იქნებაო. აბსოლუტურად ვეთანხმები, ოღონდ კარგ წამოწყებას განვითარება სჭირდება — არა მარტო პარლამენტი, ყველაფერი უნდა გავიტანოთ დედაქალაქიდან: პრეზიდენტის კანცელარია — ცხრუყვეთში; უზენაესი სასამართლო და პარლამენტის იურიდიული კომიტეტი — ტყიბულში, კუბლაშვილები სამსახურშიც ივლიან და ყანის გამარგვლასაც მოასწრებენ (არა, მართლა რამეს გამიჩაღჩებენ); შინაგან საქმეთა სამინისტრო — ვანოსთან, ახალციხეში; ჟურნალ „გზის“ რედაქცია — ჩემთან, დიდ დილომში.

გალაკტიონის არ იყოს — „ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ...“ ბაიდენი ჯერ არ ჩამოსულა საქართველოში, მაგრამ ხომ ვიცი, რომ ჩამოვა და ჩამოგვიტანს იმედებს, ღიმილს, ბარაქას და ბარაქას მოკითხვას... ამბობენ, კინტაურს აღარ უცეკვებენო — ეგეც საქმეა, თორემ ბუშის ჩამოსვლის შემდეგ ძველი თბილისის პროფესიონალი პიდარასტების ცეკვა მთელ მსოფლიოს ქართული ფოლკლორის მარგალიტი ეგონა.

მაგრამ ბაიდენიც წავა და დავრჩებით ჩვენი მთავრობის და ჩვენი ოპოზიციის ამარა, რომელშიც, სხვათა შორის, დიდი უთანხმოებების „სუნი“ ტრიალებს. ჰოდა, დავსხდეთ მერე და ვარკვიოთ: გუგავა მოერევა თუ კუკავა, ჯეიმს ბონდი უფრო მაგარი აგენტია თუ ჩვენი ჯონდი...

P.S. ერთი „ღირსშესანიშნავი თარიღი“ კინალამ გამოგვჩა, მაგრამ გოკა გაბაშვილმა შეგვახსენა — ისეთი იქედნური ღიმილით მიულოცა ზოგაერთს ასლან აბაშიძის დაბადების დღე, თითქოს შევარდნაძის პრეზიდენტობისას დედაქალაქს მერი მამამისი კი არა, მამაჩემი ყოფილიყო!
ჩვენც, სულითა და გულით გილოცავთ, ბატონო კოტე, მალე შევარდნაძის დაბადების დღე მოგველოცოს.

პროვოკატორი

მიმართვა პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს

ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც უარგა ხანია, შემფოთებული არიან ქვეყანაში მასმედიის, განსაკუთრებით, მისი ელექტრონული საშუალებების მდგომარეობით, სახალხო დამცველის ოფისში იმ მიზნით შეიკრიბნენ, რათა თბილისში ვიზიტით ჩამოსული, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, ჯოზეფ ბაიდენისთვის ამ პრობლემაზე ყურადღების გამახვილებისკენ მოეწოდებინათ. ქართული მასმედიის ფართო წარმომადგენლობამ – საინფორმაციო სააგენტოების, ტელე და რადიოკომპანიების, გაზეთებისა და ჟურნალების ხელმძღვანელებმა და თანამშრომლებმა მიიღეს საგანგებო მიმართვის ტექსტი, რომლის ადრესატებიც – საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენი გახლავან:

„საქართველოში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის, ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტთან დაკავშირებით, ქართული მედიის წარმომადგენლებმა გადავწყვიტეთ, კიდევ ერთხელ გავამახვილოთ თქვენი ყურადღება ქართული მედიის პრობლემებზე.

მივიჩნევთ, რომ აშშ-ს განსაკუთრებული ადგილი აქვს მსოფლიოში დემოკრატიის განვითარების, ასევე საქართველოს ახალგაზრდა დემოკრატიის დაცვის საქმეში, ამიტომ ქართველი ჟურნალისტები, რომლებიც გავერთიანდით ქართული მედიის დამოუკიდებლობის დასაცავად, მოგმართავთ:

1. ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, გაათავისუფლოს საქართველოს ნაციონალური სატელევიზიო არხები, როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთპარტიული სახელმწიფო წნეხისაგან. გამჭვირვალე გახადონ ტელეარხების დამფუძნებელთა ვინაობა და არ ჩაერიონ სატელევიზიო არხების ქონების გადაწესებასა და შიდა სარედაქციო პოლიტიკაში.

2. შევასხენებთ საქართველოს ხელისუფლებას ტელეკომპანია „იმედთან“ დაკავშირებულ საქმეს. ჩვენ ვფიქრობთ, „იმედი“, რომელიც სამართლებრივი მანიპულაციების შედეგად ჩამოერთვა პატარკაცივილის ოჯახს, უნდა დაუბრუნდეს მის ქვრივს.

3. ხელისუფლებამ უნდა შეწყვიტოს პრესის დისტრიბუციის მონოპოლიზების მცდელობა და მისცეს საშუალება ჟურნალისტებს, იმუშაონ დამოუკიდებლად, ზენოლისა და მოსალოდნელი დასჯის შიშის გარეშე.

4. საქართველოში ბოლო პერიოდში არაერთი თავდასხმა განხორციელდა ჟურნალისტებზე, მათ შორის — 2009 წლის 6 მაისსა და 15 ივნისს, როცა პოლიციამ ჟურნალისტებზე განახორციელა მასობრივი ფიზიკური ანგარიშსწორება და ასევე მათთვის საქმიანობაში ხელის შეშლა. ჟურნალისტებს წაართვეს და გაუნადგურეს გადაღებული მასალები, რომლებზეც ასახული იყო პოლიციის მიერ მშვიდობიანი აქციის მონაწილეებსა და ჟურნალისტებზე ძალადობის ფაქტები.

ასევე, ადგილი ჰქონდა ჟურნალისტებზე ფიზიკურ ზემოქმედებასა და საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტებს 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების

დროს. მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას ამ ფაქტების სასწრაფო გამოძიების, მათთვის შეფასების მიცემისა და დამნაშავეების დასჯისკენ.

ბატონო ვიცე-პრეზიდენტო, გთხოვთ, დაინტერესდეთ აღნიშნული საკითხებით და შეფასება მისცეთ მათ, რაც იქნება ამერიკელი ხალხისა და პირადად თქვენ მიერ შეტანილი წვლილი ახალგაზრდა ქართული დემოკრატიის, სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების გაძლიერების საქმეში. ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვის თავისუფლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა შეესაბამება აშშ-სა და საქართველოს შორის გაფორმებულ ქარტიაში მოცემულ პრინციპებსა და ნაკისრ ვალდებულებებს.

ვიტოვებთ იმედს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყურად იღებს ჩვენს მოთხოვნებს და გადადგამს შესაბამის ნაბიჯებს“.

მიმართვას ხელს აწერენ: საინფორმაციო სააგენტოები: „ინტერპრესნიუსი“, „ჯი-ეიჩ-ენი“, „პირველი“, „ექსპრესნიუსი“; ტელეკომპანიები: „მეტრო“, „კავკასია“; გაზეთები: „კვირის პალიტრა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი თაობა“, „რეზონანსი“, „ასავალ-დასავალი“, „სვობოდანია გრუზია“, „ყველა სიხლუ“, „ვერსია“, Messenger; რადიოკომპანიები: „პალიტრა“, „უცნობი“; ჟურნალები: „გზა“, „რეიტინგი“, „თბილისელები“; geovision.tv, media.ge; ჟურნალისტები: ინგა გრიგოლია, ზვიად ქორიძე.

ბოლოს დაეძინოთ: სამწუხაროდ, ამ აქციას აკლდნენ მასმედიის იმ საშუალებათა წარმომადგენლები, რომლებსაც შესაძლოა, ყველაზე მეტად სჭირდებათ პროფესიონალური უფლებების დაცვა: „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, ტელეკომპანიები — „რუსთავი 2“, „იმედი“, „მზე“; ზოგიერთი გაზეთი; „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თანამშრომელთაგან, მხოლოდ ინგა გრიგოლია ვიხილეთ, რომელიც ამ შეხვედრაში, როგორც დამოუკიდებელი ჟურნალისტი, ისე მონაწილეობდა და მიმართვასაც მოაწერა ხელი...



ზოგი ჭირი მარბაბელია კურხველიდან — რაჭაში...

რამდენიმე დღის წინ მეგობარმა თავის იმერელ ნათესავეთან, სოფელში დამაბტუა და უარს თქვა არც მივიქროა ქალაქური სიცილით და უპაურობით შეწუხებულს უკეთესი რა უნდა მენატრას?! თავად რაჭველი გახლავართ და მშობლიურ კუთხეს ყოველ ზაფხულს ვსტუმრობ. უცხოური კურორტების საგზურები რომც მაჩუქონ და ყველანაირ კომფორტს დამპირდნენ, რაჭისა და რაჭველების სიკეთესა და სილამაზეს მინც ვერ შეველევო ყველა ადამიანს თავისი კუთხე ჰგონია სამოთხე და ალბათ, არც ჩემი ნათესავი გაგიკვირდებათ: არ მეგონა, რაჭაზე უკეთესი ადგილი სადმე თუ არსებობდა. არადა, იმერეთისკენ მიმავალს მომიხდა იმის აღიარება, რომ რაჭაზე უკეთესი თუ არა, ნაკლებიც არავართაა ეს დალოცვილი კუთხე: მდინარეც აქვთ, მთაც, ტყეც და ის მაღლიც ქართველ კაცს დანარჩენი მსოფლიოს ხალხებისგან რომ გამოარჩევს.

ინება ჩაყვლი

თავიდან მძლოლებსიგან შევიტყვე, რომ ზაფხულში სოფლისკენ ყოველთვის ბევრი ხალხი მიემგზავრება, მაგრამ წელს, ამ მხრივ, თურმე, განსაკუთრებული მდგომარეობაა.

ბაღრი ბალაშვილი, მძლოლი:

— სხვისთვის არ ვიცი, როგორაა, მაგრამ ეს ეკონომიკური კრიზისი მძლოლებისთვისაც სულის მოთქმის საშუალება აღმოჩნდა და სოფლისთვისაც — ადრე სოფელში შევბუღების გატარებას რომ არ კადრულობდნენ და ანტილაში თუ ვარნაში გარბოდნენ, ისეთმა ხალხმაც კი უარი თქვა ზედმეტ ხარჯზე და ახლა სოფელს ნათესავეებს, მათი მონატრებით რომ სძვრებოდათ სული, სტუმრობენ.

ზია შილაშაძე, მძლოლი:

— მე აქ ვმუშობ, დედა და ცოლი კი სოფელში „დავასაქმე“ — იმდენი „დამწიკი“ ჩავიყვანე, დღედაღამ თონში არიან ჩაყვებულები, პურის ცხობას ვერ აუდიან. გაგიუფდნენ ქალაქებში ჩვენებური პურის გემოზე და ბევრმა თქვა, აწი მალაზიის პურს რაღა გავაჭმევსო?!

გიგო კირიაშვილი, მგზავრი:

— მე ცოლ-შვილი მიმყავს რაჭაში. ფეხის ხმას აყოლილები, აქამდე იქ ჩასვლას არ კადრულობდნენ და როცა მისვდნენ, კრიზისის გამო საზღვარგარეთ ვერ წავიყვანდი, ქალაქში დარჩენას, იქ ჩასვლა აშკარაა. ათი დღის წინ ჩემმა ძმამ წავიყვანა ცოლ-შვილი და იმათი დამსახურებაცაა, ჩემებმა სოფელი რომ იკადრეს. ყოველდღე რეკავდნენ: ჩამოდი, სამოთხე აქ ყოფილა, ჩვენ კი სად ვქებდითო...

სამარშრუტო ტაქსიში კუთვნილი ადგილები დავიკავეთ. სიცხისგან სუნთქვაშეკრულებს, კარგა ხანს ლაპარაკის თავიც არ გვექონდა, მაგრამ სოფლისკენ გადავუხვიეთ თუ არა, ისეთმა ჰერმამ დაუბერა, „თვალში გამოგვახედა“...

თვალწინ გადაშლილმა პეიზაჟებმა დავით კაკაბაძის ფერწერული ტილოები გამახსენა: იმერეთი მართლა ისეთი ლამაზი ყოფილა, და კიდევ უკეთესიც, რადგან იქაური სილამაზის სრულყოფილად გადმოცემა მხატვრის ფუნქსაც კი არ ძალუძს.

სამარშრუტო ტაქსიში ისეთი ბიჭიც აღმოჩნდა, საფრანგეთის და იტალიის კურორტები რომ ჰქონდა მოვლილი და მშობლიურ სოფელში პირველად მიდიო-



და. ჰოდა, 9 წლის გიორგი გუმბერიძემ იმდენი „აღმოჩენა“ გააკეთა, რომ თავისი ნამოძახილებით, თან გაგვამხიარულა და თან, სევდიანი ფიქრით ავიშალა: „უი, ცხენი აქაც ყოფილა... ჩანჩქერი ქართველებსაც გვექონია. წინილი ქათმის შვილია?! (კრუხი დაინახა, ფუმფულა წინილებთან ერთად)“.

ბაბუამისს მგზავრებმა უსაყვედურეს კიდევც, შეფარვით:

— არ გეკადრება, შენ, ვალიკო ბატონო, შენს ბალანას სოფელი რომ არ ჰქონდეს ნანახი!

— ვინ დამანება, ჩემო ბატონო?! ჩემმა რძალმა ქორნილის დღის მერე აიკრიძლა აქეთ სიარული. ეს ჩემი ბიჭიც, რახან ფული იშოვა, მის ხუშტურებზე დადის: სანამ შემიძლია, მსოფლიო უნდა შემივიარო. თან, ხალხი რას იტყვის, ცოლ-შვილი წელიწადში ერთხელ მინც თუ არ გოვუფი საზღვარგარეთო?!

— იმას არავინ ნამოაძახებს და იმისი არ რცხვენია, რომ მისი 9 წლის შვილს თავისი გვარის და წინაპრის სოფელი არ უნახავს აქამომდის?!

— ნუ იტყვი! — ამოიხენება ასაკოვანმა მამაკაცმა. — მეც მყავს მაგნარი შვილიშვილი, ჩემი სუსნია. 5 წლის გახდა და ჯერ ვერ ჩამეცდევს შვილი და რძალი სოფელში. სირცხვილი არაა, რომ ბოვს იმ სოფლის მინაზე ფეხი არ ჰქონდეს დანადგამი, სადაც მამამისი ფეხშიშველი დატანტალობდა?! ჩასიძებულია ჩემი შვილი და მდიდარმა სიმამრმა გამიფუჭა... იმისთანა კრიზისი დასცემოდეს ჩემი მძახის ქარხანას, აქეთ მხვვენბოდნენ თავშესაფარს...

არავის გაცინებია და ვერც მე გაგებდე... როგორც იქნა, ჩავალწიეთ ჩემი მეგობრის ნათესავეების სოფელში. გინდ დამ-

იჯერეთ და გინდ — არა, მაგრამ მართლა წამალივით მარგებელი წყალი გადმოდიოდა წყაროს სათავიდან; პურის გემო ჰქონდა პურს, განუმეორებელი არომატი ხეზე საკუთარი ხელით დაკრეფილ ხილს და ელენე ბებოს ბოსტანში კარტოფილი მიწიდან რომ ამოვთხარეთ, ისიც კი საოცრად გემრიელი იყო.

სალამოს ელენე ბებოს ჭიშკართან რიგი დადგა — ზოგს ყველის ყიდვა უნდოდა და ზოგსაც, ახალი კვერცხის. ყველა უარით და ბოდიშით გააბრუნა უკან: — მე თავად სტუმრები მყავს, ვერაფერს გაყვიდიო! მერე კი ჩვენ მოგვიბრუნდა:

— ამდენი ქალაქელი არასოდეს გვეყოლია. ამბობენ, — კრიზისის გამო კურორტებზე ვერ მივიღვართ და მშობლიური სოფლები

გავგახსენდაო. აქ კი ვინ რას დაახვედრებდათ? — უფროსები რომ მიიცვალნენ, ახალგაზრდებმა აჭედეს კარი და ისე გაიქცნენ ქალაქებში, უკან მოხედვა არც უფიქრიათ. წელს ისეთი ოჯახების ჭიშკარი გაიღო, 5-10 წელიწადი რომ იყო ჩარაზული და ასე მგონია, სინარულით აღარ იქნებიან იმათი წინაპრები სამოთხეში... ასეთი სუფთა ჰაერი და წყალი ქალაქში სადაა? ყველანაშე მადადავარგული ბავშვებიც კი ჭამად არიან ქცეულები. ჰოდა, მათი მშობლები დაუფიქრებლად იძლევიან იმდენ ფულს,

რამდენსაც დაფავასებთ, ოღონდ კი ყველი და კვერცხი გვექონდეს გასაყიდი...

სოფელში ღამით ისეთი ხმაური, ყრია-მული და მხიარულება ისმოდა, რომ ჩვენს ასაკოვან მასპინძელს შედინიერი ღიმილი არ მოშორებია სახიდან:

— ნეტა, დიდხანს გაგრძელდეს ეს კრიზისი თუ რაღაცა. ქართველებს მეტად არ გაგვიჭირდება, ბოლო 15-20 წელიწადი რომ გვიჭირდა და სხვაგან თუ ვერ წავლენ, საკუთარის დაფასებას ისწავლიან.

P.S. ლამის დავიჯერო, რომ ეკონომიკური კრიზისიც ქართველებისთვის მოიგონა იმ დალოცვილმა ღმერთმა — რაც მართალია, მართალია, სოფელი, როცა მას ქალაქებში შეესვენა ხოლმე, მართლაც რომ გამოჯანმრთელებულ ავადმყოფს ჰგავს... და კიდევ, ნეტავ, ჩვენს მთავრობასაც ისე „გაუჭირდებოდეს“, რომ მეტად დააფასოს ქართული სოფლები.

ვამზადებთ დაჯავშნილ
კარებს, ტყვიანობებარ მინებს,
ხონჩას სავალუტო ჯიხურ-
ბისთვის, რყინის დამცავ
ფარდა-ქალუხებს, სეიფებს,
ყოველგვარ რყინის ნაკეთობას.

შპს „გლოზუსი-2“
ა. წერეთლის პროსპ. № 141^ა
ტელ. 34-49-27; 8(71)41-74-33

ჩაბა ანანიძე

შხაპუნა წვიმა და სხელი შოთი სვალ ბათუბუი

ცხელა... ამ დროს შხეფებს გაც-
ილებით მეტი ფასი აქვს, ვიდრე წელი-
ნადის ნებისმიერ სხვა დროს, არა?... რა
სჯობს, ცხელ ქვიშაზე წამონოლილს,
გრილი შხეფები როცა „გესტუმრებათ“?
და თუკი თქვენთვის უკვე სიგიჟეს
დამსგავსა ზაფხული, დროა,
ჩაალაგოთ ჩემოდანი და ზღვისკენ
გამოეშუროთ! საზღვაო სეზონი
გახსნილია, აჭარა გელით!

სეზონი მართლაც, სმაურით
იკრებს ძალებს: ქეთი მელუას
კონცერტზე ხალხი წვიმისგან დას-
ველდა, მაგრამ მაინც ძალიან
კმაყოფილი დარჩა, სუნიშვილებმა
დრამატული თეატრის სცენაზე
დაანთეს ცეცხლი, თან „აჭარუ-
ლის“ რამდენიმე კომპოზიცია შე-
მოგვთავაზეს, კლუბ „ტარაბუაში“
კი ჯაზის მსოფლიო ლეგენდები
ლეგენდარულ საღამოებს მართავენ...

საკურორტო სეზონი ოფი-
ციალურად, 15 ივლისს, ქეთი მელუას
საქველმოქმედო კონცერტითა და შხ-
აპუნა წვიმის „თანხლებით“ გაიხსნა.
„საბანაოდ“ განწყობილი ზღვისპირეთი
„დასველდა“, რაც საცხებით ბუნე-
ბრივია: ბათუმს ხომ „წვიმიანი მზიანეთი“
კარგა ხნის წინ შეარქვეს. ხოლო იქ,
სადაც ახლა უკვე მზეა, შხეფები არა
მხოლოდ ციდან ასველებს მიწას...



ანვიმდა ბათუმს. ქოლგებს შხაპუნა წვიმა
ეცეკვებოდა... აქა-იქ ქოლგებქვეშ იმედი-
ანი სახეები ჩნდებოდა. კონცერტის დასას-
რულს, როცა ნაწვიმარ ცაზე ფიქერვერკე-
ბი ატყრცივდა, ასეთი შხეფიც ჩამოვარ-
და: მელუას სიმღერას წვიმამ კიდევ ერთი
ღამაზი ნოტი შესძინაო...

— ჰოჰ, ახალი აღმოჩენა ჩვენს
დროებაში!

— ნახე, აბა, რამდენი ღამაზი გოგო
დადის, ზოგი ულამაზეს საზაფხუ-
ლო კაბაში გამოწყობილი, ზოგიც
— უკაბოდ...

— გაგაცნობ, გინდა?
— შენ სამუშაო და ფული მომე-
ცი, ენა მეც კი მაქვს, ლაპარაკი კი
არ დამვიწყნია... რომ გაცნობ, ჭიქა
კოქტილზე მაინც ხომ უნდა დაპა-
ტიყო?! მერე?... მომაცქერდი ახლა
მე!.. — ახალგაზრდა წამოდგა, ცხე-
ლი ქვიშა ოხვრით გადაკვეთა, ზღვის
თავთხელ წყალში მოწყვეტით „ჩაე-
სვენა“ და სიამოვნებისგან ისე დახ-

უჭა თვალები, როგორც დალილიმა მზემ
ზღვაში ჩასვენებისას...

შხეფი მე-3

„ბაბა, შოთის პური იცი, როგორ ცხვება, ზენ“

ნაპირზე მხესუმზირას, ბაქლავისა თუ
შოთის პურის გამყიდველები გამოჩნდნენ.
ზოგიერთი მათგანის „სარეკლამო ტექსტი“
მართლაც ყურისმომჭრელია:

— აბა, მოვიდა შოთის პური! მიირთვი
და გეინათეთ გონება, გეიმყარეთ სამიტინ-
გო ხმა!.. არ მოგშვივდეთ, ბაბუ! აღიდგი-
ნეთ ზღვაში დახარჯული ენერჯია.

— რა ღირს შოთი? — მიმართავს გამყ-
იდველს გასარუჯად წამონოლილი გოგონა.
— 50 თეთრი.

— უფ, რა ამბავია?! — ცხვირი აიბზუა
გოგომ და გვერდი იცვალა.

ბაბუა გოგოს თავთან დაუდგა, მზე დაუ-
ჩრდილა და უთხრა:

— ბაბუა, შოთის პური, იცი, როგორ
ცხვება, შენ?

— მე საიდან უნდა ვიცოდე? ხაბაზი კი
არ ვარ.

— ჰმ, ხაბაზია ზუსტად, პარლამენტში
რომ ზის. ვაი, ჩვენს პატრონს!
პურის ცხოზა რომ აღარ იცის
ქართველმა, პურის და
გაჭირვების ფასი, იმიზა ვართ
ამფერ დღეში.

— ნადი, ადამიანო, რას
გადაშეკვიდე?

— ამ პაპანაქებაში ბაბუა
კაცი თქვენი გულობიზა დე-
ვიარები, ვათრევ ცხელ-ცხელ
შოთებს და შენ კიდევ მეზუბ-
ნები, ნადი, შორს წადიო?!
წავალ, მაგრამ იცოდე, ჩემი
პურის სურნელი აქ დარჩე-
ბა... შეფეფთან ერთად ყლა-
პე, ქალბატონო!

შხეფი მე-2

„ვინ მოგვცა სიყვარულის უფლაბა?!”

ამბობენ, ყველაზე მაგარი ამბები ზღვისპი-
რას ხდებოა. ასეცაა...

— ძლივს არ გავგრილდით?! რატომ
გვიყვარს ასე ძლიერ ზღვა?

— რომანტიკულია...

— შენსავით, არა?! გადაბრუნდი, გიო,
დაინვები. რას მიაშტერდი მზეს? ხომ ხე-
დავ, როგორ აცხუნებს!

— დავინვა, მერე!..

— გადაირიე?!

— ჰო.

— აღარ ხარ რომანტიკული და შეყ-
ვარებულო, ბიჭო?..

— კარგი, რა, ვინ მოგვცა სიყვარულის
უფლება?!

შხეფი 1-ელი

„ომილარალო მელუა, გაგახაროს მამაზაცხიარმა“

— წამოდი, ქალო, წინ. ამ გადარეულ
წვიმაში რა გესმის მაქედან? — აქოშინებ-
ული ქალბატონი ენერგიულად მიიწვედა
წინ.

— ხომ ხედავ, რამდენი ხალხია, ყოლიფ-
ერი დასწრებაზეა...

— ამხელა გოგო რომ დადექი და შე-
აცქერდი წვიმას, ქოლგა მაინც დაგეთრია...
წამოდი, მე შენ გეუბნები... პრეზიდენტიც
წინ დგას. იქნება, მოგვისმინოს, ქვეყნის ამბები
მაქვს მაგისტვის მოსაყოლი.

— პრეზიდენტი მელუას უსმენს... ეს
მელუა გაახაროს მამაზაცხიარმა! მატარებელ-
ში ადგილი აღარ ყოფილა. დაიძრა
ყველა ჩვენკენ.

— სად წავლენ უკეთეს ადგილ-
ას?! — ქალბატონმა, რადგან წინ
გასაძრომი ადგილი ვეღარ იპოვა,
შეჩერდა და სიმღერის მოსმენას-
თან ერთად, შხეფებსაც გააყოლა
თვალი.

— სად და — ანტალიაში. ჩვენზე
უკეთესი სერვისი ჰქონიათ და ფასე-
ბიც — უფრო დაბალი.

— მერე გააიაფე შენც „კოიკა“,
ოთუზბირს რომ აფასებ.

— რაფერ გავაიაფო, გაგიჟდი?!
მთელი წელი მაგ ფულით ვაპირებ
წახდენილი სულის გატანას...



თბილისის ფერისცვალების დედათა მონასტერს უწმინდესისგან მონყალების ფუნქცია დაეკისრა, ამიტომ ტაძარს იმთავითვე უამრავი გაჭირვებული ადამიანი აკოთხავდა. მოგვიანებით, მონასტრის ილუმენია მარიამს (მიქელაძე) სურვილი გაუჩნდა, ტაძარში უკიდურესად გაჭირვებულებსთვის, რომლებიც საწოლს არიან მიჯაჭვულები და მომაკვდავ პაციენტებად მიიჩნევიან, ქრისტიანულ გარემოში გარდაცვალების შესაძლებლობა მისცემოდათ, რისთვისაც ტაძარმა ამ მიმართულებით მუშაობა დაიწყო. ამისთვის მონასტერთან სპეციალური სასწავლებელი გაიხსნა, სადაც მონყალების დების მომზადება დაიწყო... თბილისში დღეს ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული, 5 მონყალების დაა, რომელიც თავდადებით მუშაობს როგორც მონასტერთან არსებულ სასწავლო სახლში, ასევე ბინაზე — ძირითადად იმ პაციენტებთან, რომლებიც მკურნალობას აღარ ექვემდებარებიან და მხოლოდ მოვლა ესაჭიროებათ... ნანა შოშიაშვილი ერთია იმ ხუთთაგან, ვინც ღვთის სიყვარულითა და მორჩილებით პირნათლად ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.



სიმსივნე ჰქონდა... ჩვენი სამსახური 11 წლის სარკომით დაავადებულ ბავშვს უწავს. პატარას ღია ჭრილობა აქვს და მასთან პირადად დედა პარასკევა (სასწავლებლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, ექიმი), ჩვენს ერთ-ერთ მონყალების დასთან ერთად დღის, გადახვევებს უკეთებს. თან, ის სოციალურად დაუცველი ოჯახიდანაა...

როგორ ეხმარებით დაფრთხილებსა და დაუძღვრებულებს?

— არსებობს სპეციალური მოვლითი ღონისძიებები, რომელიც სასწავლებელში გვასწავლეს: მაგალითად, მწოლიარე პაციენტს როგორ უნდა დავზანოთ თავი; ვიცით, რა მოძრაობებია საჭირო იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს გადაადგილების უნარი შეზღუდული აქვს; უნდა იცოდეს, როგორ გადმოიყვანო საწოლიდან და დასვა სუფნოზე... ფაქტობრივად, მას თითქოს ცხოვრებას თავიდან ასწავლი... თან, ესენი ისეთი პაციენტები არიან, რომლებსთვისაც მკურნალობა უკვე უშედეგოა და მათ მხოლოდ უნდა მოუარო, რათა იყვნენ მშვიდად, არაფერმა შეაწუხო: არც ტკივილმა, არც — ნაწოლებმა... როდესაც ადამიანი ჯანმრთელია, საკუთარ შესაძლებლობებს ბოლომდე ვერ აფასებს, მაგრამ როცა ჯანმრთელობას კარგავს, გარკვეულწილად, მას ამა თუ იმ მოძრაობის სწავლა თავიდან უწევს და შეიძლება, ამ დროს დეპრესიამაც ჩავარდეს. სხვათა შორის, აქედანაც არსებობს გამოსავალი და ასეთებსაც ვეხმარებით — ვართ მათ გვერდით, ჩვენგან დიდ სულიერ მხარდაჭერას გრძობენ. უპირველესად, ეს მონასტრის თანადგომამაა, რადგანაც ამ საქმიანობას უშუალოდ ის ახორციელებს. როგორც მონასტრის წარმომადგენლები, ვუზრუნველყოფთ მის სულიერ კავშირს ეკლესიასთან: შეგვიძლია, მოძღვარი ნებისმიერ დროს მივუყვანოთ, რადგანაც მომაკვდავ ადამიანს უჩნდება სურვილი, თქვას აღსარება, ეზიაროს, განიწმინდოს. ეს მომენტები მათთვის მნიშვნელოვანია, რადგანაც ღვთისგან უკანასკნელად ეძლევათ შესაძლებლობა, იპოვონ ღმერთი... ღმერთს შეუძლია, უკიდურესი გაჭირვებისას, მომაკვდავი ად-

ქართველი მოწყალეების დაბი და გოგონა, რომელს მომაკვდავ პაციენტებს უწავს...

„ადამიანი, რომელიც 5 წლის წინ კვდებოდა, დღეს ცოცხალია“...

ლალი შანი

— ნანა, ვიდრე შენს უშუალო საქმეზე ვისაუბრებდეთ, მითხარი, როგორ დაიწყო შენი გზა ტაძარამდე? როდის გააცნობიერე, რომ ეკლესიაში უნდა მისულიყავი?

— მახსოვს, 4 წლის ვიყავი, როდესაც ახლობლებმა ტაძარში წამიყვანეს და მახაიარეს. 12 წლის ასაკიდან კი ჩხვიძის ქუჩაზე მდებარე, წმინდა ნინოს ეკლესიაში დავდიოდი და ჩემი სულიერი მოძღვარი მყავდა. ტაძარში მისვლა ჩემთვის ყოველთვის ნუგეშისმომცემი იყო... როცა წამოვიზარდე, სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, ფინანსებისა და საბანკო საქმის განხრით დავიწყე, მაგრამ მალე აკადემიური ავიღე, რადგანაც ჩემი ცხოვრება დედათა მონასტერს (ბედიანის) დაუკავშირე. რაღაც პერიოდი (2 წელი და 7 თვე) იქ ვცხოვრობდი... მონასტრიდან წამოსვლის შემდეგ უნივერსიტეტს მივუბრუნდი და სწავლა ბაკალავრის დიპლომით დავასრულე...

— კი, მაგრამ დღეს შენ მონყალების და ხარ...

— ცოტა ხნის წინ, თბილისში, ფერისცვალების დედათა მონასტერში სასწავლებელი გაიხსნა, სადაც მსურველებს მძიმე ავადმყოფის მოვლას ასწავლიდნენ. ილუმენია მარიამმა (ის 3 მონასტრის: ფერისცვალების, ბედიანისა და მარტყოფის ილუმენია) მიჩიხა, იქ მესწავლა. სწავლების ორწლიანი კურსი იყო გასავლელი და მეც, ჩავაბარე. ძალიან საინტერესო ლექციები გვიტარებდნენ. პარალელურად, საავადმყოფოებში დავდიოდი, ვხვდებოდი ექიმებს და რეანიმაციაში მძიმე ავადმყოფებს ვნახულობდი. ლექციებს ბევრი კარგი პედაგოგი, სხვადასხვა საავადმყოფოს თანამშრომლები გვიკითხავდნენ. მოკლედ მედიცინის ყველა დარგი გავიარეთ, მაგრამ ჩვენი განხრა,

ძირითადად, ონკოლოგიაა. უმეტესად, პალიატიური (მომაკვდავი) ავადმყოფები გვყავს და ამ სფეროში მეტი ვისწავლეთ. სამედიცინო განათლების პარალელურად, სასულიერო განათლებაც მივიღეთ. როცა სასწავლებელი დავამთავრე, მონყალების დის სტატუსი მომანიჭეს, რაც სამედიცინო ენაზე მომვლელ ექთანს ნიშნავს. დღესდღეობით, ჩვენთან ავადმყოფს სანიტარი უწავს და არა — ექთანი, არადა, ევროპის ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიაში, ეს პროფესია ძალიან გავრცელებულია და იქ ავადმყოფის მოვლას დიდ ყურადღებას აქცევენ. ვინაიდან მონყალების და გახლავართ, პაციენტებს, როგორც ბინაზე, ასევე, მონასტერთან არსებულ წმინდა ნინოს სახელობის სასწავლო სახლში ვუვლი (გმორიგებოთ). უწმინდესმა ასე აკურთხა აღნიშნული სახლი, რომელიც ახლახან გარემონტდა და იქ მხოლოდ ექვსი ადგილია.

— ვინ არიან თქვენი პაციენტები?

— ყველანაირი კატეგორიის ადამიანები: ძალიან გაჭირვებულები და შეუღებულებიც... არის ერთი პაციენტი, ახლა უკვე მონაზონი, რომელიც ძალიან ცუდად იყო, ტერმინალური (მომაკვდავი) პაციენტი გახლდათ. მონაზვნობა მისი სურვილი ყოფილა, მაგრამ მანამდე აღკვეცა ვერ მოუხერხებია და როცა მისი სურვილის შესახებ ილუმენიამ შეიტყო, შეეცადა, მისთვის ტანსაცმელი შეეკრვა როგორმე მოესწროთ, რათა აღკვეცის გარეშე არ გარდაცვლილიყო. მისი მონაზვნად აღკვეცა მალევე მოხერხდა... წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომელიც 5 წლის წინ კვდებოდა, დღეს ცოცხალია... ეს უფლის სასწაულია!.. მართალია, მას გარკვეულწილად ვეხმარებით, მაგრამ დღეს დამოუკიდებლად დგება და მოძრაობს... სამწუხაროდ, ერთი 29 წლის პაციენტი, ძალიან საყვარელი ადამიანი (სხვათა შორის, ისიც მონაზონი) გარდაგვეცვალა,

ამიანის ყურების დროსაც გაგრძობინოს ბედნიერება და განუგემოს. ჭეშმარიტად დაგარწმუნოს, რომ ყოველივე, რასაც აკეთებ, მისი წყალობა და სურვილია...

— პაციენტთან მთელ დღეს ატარებ?

— როდესაც ის ბინაზეა, ჩვენ ორსაათიანი ვიზიტები და მისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება გვევალება. დღე-

თად იმას, რომ ადამიანებს მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული არ შეგვიძლია. როცა ამას მიხვდები, მერე სიმდაბლე მოდის და საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა ველარ გექნება, რადგანაც შენს პიროვნულ ნაკვალავს კარგად ხედავ... შეიძლება, არ მიზნოდეს, მთელი დღე გაჭირვებულს ვუყურო ან იმას, ადამიანი როგორ კვდება, მაგრამ რაკი ასეთი ნაბიჯი გადავდგი და მაქვს სურვილი, ადამიანებს დავეხმარო, ღმერთი ამასი მესმარება. ადამიანის სიყვარული ხომ ღვთის სიყვარულია! როდესაც გაჭირვებულის ნუგეში და იმედი ხდები, ისიც თვალეში შემოგტყერის, მოგმართავს, ბოლომდე გენდობა, მადლობას გიხდის, ეს კი ბევრს ნიშნავს. ვიმეორებ, ამ საქმის კეთება ყველასთვის ხელმისაწვდომია, მთავარია, სურვილი...

— ნანა, როგორები არიან მომაკვდავი ადამიანები, რომელთაც ალბათ, ბევრი არ არის მორწმუნე...

— ისინი სხვადასხვანაირები არიან. ზოგჯერ, მორწმუნესაც კი უჭირს საკუთარ გარდაცვალებასთან შეგუება და იმის გააზრება, რომ იგი ამქვეყნიურ ცხოვრებას ტოვებს. ეს საკმაოდ რთულია ჩემთვისაც, რადგანაც არ ვიცი, მოცემულ სიტუაციაში როგორ მოვიქცევი... როდესაც ადამიანს უჭირს, თავის სისუსტეებს ავლენს, იცვლება და ბავშვით ხდება. თუმცა, ზოგიერთი მორწმუნესთვის სიკვდილი ადვილია, რადგანაც მან იცის, რომ არ არსებობს სიკვდილი, არსებობს მხოლოდ გარდაცვალება. ამის ნათელი მაგალითი ხომ მაცხოვრის ცხოვრებაა. ქრისტემ ამაშიც თანავიგრძნო — თვითონაც გარდაიცვალა, სიკვდილი ბრწყინვალე აღდგომით განაქარვა. ამიტომ მორწმუნესთვის შეიძლება, ნუგეში იყოს ის, რომ ქრისტეც გარდაიცვალა, რომ ამქვეყნად გარდაცვალებით სიცოცხლე არ მთავრდება... საერთოდ, ადამიანი როგორც იცხოვრებს, ისეთივე გარდაცვალება ელოდება. ზოგი რთულად მიდის ამ ქვეყნიდან, ზოგი — მარტივად. სულის გასვლის ღოცებში არსებობს, რათა ადამიანებისთვის გარდაცვალება იოლი იყოს და სწულელებს ამ ღოცებებს მოძღვრები უკითხავენ. ცოტა ხნის წინ მამიდა გარდაიცვალა, ისიც ჩემი პაციენტი იყო, უმძიმესი ავადმყოფი გახლდათ, მაგრამ გონება არ დაუკარგავს. ეზიარა და სული ჩემს ხელში დალია... მონყალები დები ჩვენი საქმიანობით, ღვთის სიყვარულს, ადამიანებისადმი თანადგომას, თანავგრძნობას ვსწავლობთ, რაც დღევანდელ დღეს ჩვენს საზოგადოებასა და მთელ მსოფლიოში ასეთი დეფიციტია.

— შენი პაციენტებიდან რამდენი გარდაიცვალა?

— ყველა...

— ადამიანებს უკლი, თქვენ შორის რალაც ურთიერთობა ყალიბდება და მერე, ის ამ ქვეყნიდან მიდის. ამ დროს რას განიცდი?

— ისინი ისე მეჩვევიან და ჩემ მიმართ ისეთ სიბოძს გამოხატავენ, რომ წარმოუდგენელია, თითოეულის წასვლამ გული არ მატკინოს... მაგრამ 29 წლის მონაზონზე რომ გითხარით, მისმა გარდაცვალებამ განსაკუთრებულად დამწყვიტა გული. მას მეც ვუვლიდი. ის ჩემთვის მხოლოდ პაციენტი არ იყო — განუყოფელი ადამიანი გახლდათ და ძალიან მენატრება. გულში ისეთი დარდი და მწუხარება მაქვს, ვერაფრით გადმოგცემთ. ამასთან, მის სიყვარულსაც ვგრძნობ და ვიცი, ყოველთვის ჩემ გვერდითაა...

— პაციენტების პატრონები რამდენად გემორჩილებიან?

— ესეც ინდივიდუალურია. არიან ძალიან გულისხმიერებიც და ძალიან გულგრილებიც. შეიძლება, შენ მეტად ეხმარებოდე პაციენტს, ვიდრე მისი ოჯახის წევრები. ამიტომ, საჭიროა, პაციენტის მოვლა მხოლოდ ჩვენს თავზე არ ავიღოთ და ამ საქმეში ოჯახის წევრებიც ჩავრთოთ. ვაგრძობინოთ, რომ პირველ რიგში, ის ადამიანი მათი ახლობელია.

— ოჯახის წევრები შენს საქმიანობას როგორ უყურებენ?

— ჩემები განიცდიან, სერვიულობენ იმის გამო, რომ ავადმყოფებს ვუყურებ და ფაქტობრივად, სიკვდილთან მაქვს შეხება, მაგრამ არ მენიანაღმდეგებიან. დედა მეუბნება, — იმის გაკეთება არ შემიძლია, რასაც შენ აკეთებ... მე კი ყოველთვის სინდისი მქენჯნის, რომ უკეთ შეიძლება პაციენტის მოვლა, ვიდრე ვუვლი.

— როგორ ხედავ შენს სვალინდელ დღეს, შენს თავს მომავალში?

— ვერ ვფიქრობ იმაზე, რა მიწა და სვალ რა იქნება. ადამიანები რეალურ სამყაროში არ ფიქრობენ იმაზე, რომ ისინიც დაბერდებიან და შესაძლოა, დაავადდნენ, მაგრამ მე, ამ სამსახურის მერე, მუდმივად თან მდევს აზრი: შესაძლოა, მეც იგივე დამემართოს, რაც ჩემს პაციენტებს სჭირთ. ამიტომ, ეს სამსახური ცხოვრებაზე სხვანაირად დაგაფიქრებს. ისე კი, ყველაფერი ღვთის ნებაა.

— წარმატებებს გისურვებ შენს მადლიან საქმეში.

— გმადლობ.



ფერისცვალების დედათა მონასტერი

ში ბევრ პაციენტთან უნდა მოვასწროთ მისვლა. შეიძლება, ვილაცასთან მიხვიდე, ესაუბრო და ეს იყოს მისთვის მოვლა, რადგანაც სულიერი მხარდაჭერა სჭირდება... ამ საქმეში მხოლოდ სამედიცინო განათლება ბევრს ვერაფერს მოგიტანს. მთავარია, ადამიანის სიყვარულის უნარი გქონდეს. პირველ რიგში, ეს საქმიანობა გიჩვენებს იმას, რომ ადამიანი არაფერი ხარ და რასაც ცხოვრებაში აკეთებ, ეს ღვთის წყალობაა. თუ ამას ბოლომდე მიჰყვები, საკუთარ პრეტენზიებს არ გამოიჩენ, შენს მესა და ეგოიზმს დათრგუნავ, ღვთისთვის გამორჩეული, მისი ნების ბოლომდე გამტარებელი და მისიონერი იქნები.

— ნანა, ახალგაზრდა გოგონასთვის ასეთი საქმის კეთება რთული არ არის? რა დასძლიე შენს თავში და რა გადალახე? ან იქნებ, ამ საქმის კეთება გიადვილდება?

— არა, ადვილი არ არის... ჯერ არაფერი გადამილახავს. ყველაფერი მარტივია მხოლოდ მაშინ, თუ საკუთარ ამბიციებს უარყოფ, ეს კი საკმაოდ ძნელია და ამას წმინდანები ალწვენენ. ყველაფერი ეტაპობრივად, ნელ-ნელა ხდება. ჩვენს შემთხვევაში უფრო მორჩილებისა და საკუთარი ნების უარყოფის მცდელობაა. პირადად მე, იმ ადამიანისადმი მორჩილება და სიყვარული მაქვს, ვინც მიჩრია, ეს საქმე გამოეკეთებინა. ადრე ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, ამას თუ შევძლებდი. ამასთან, რაც ყველაზე მეტად არ მიყვარდა, ეს იყო მედიცინა, მაგრამ ახლა ძალიან მაინტერესებს. დღევანდელ ჩემს საქმიანობაში ინტერესიც მესმარება. როდესაც ადამიანი სულიერ გზაზე დგას, საკუთარ თავში ბევრ უარყოფით თვისებას აღმოაჩენს. მაგალი-



მისმა გარდაცვალებამ განსაკუთრებულად დამწყვიტა გული (მარჯვნივ ნანა შოშიაშვილი)

„რუსი კარდინალი“ — ჭორი თუ სინაგოგა?

„წასით, სააპოკალიფსის მისი ძალიან უნდა ეპილოდეს“...

„რუსი კარდინალის“ ცნება პოლიტიკაში არახალია. რაღაც გასაკვირია, რომ ჩვენშიც დროდადრო გაისმის ვარაუდები, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი სიტუაციას ვერ მართავს და მის ზურგს უკან, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს სხვა პიროვნება (თუ პიროვნებები) იღებს. უმეტეს შემთხვევაში, ასეთ პიროვნებად, შინაგან საქმეთა მინისტრს მიიჩნევენ, ზოგი ირწმუნება — ქვეყნის პირველ პირზე მეტი გავლენა გენერალურ პროკურორს აქვსო... მაშ, ვინ არის დღევანდელ ხელისუფლებაში „რუსი კარდინალი“?.. ამ კითხვით პოლიტიკოსებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებსა და მოქალაქეებს მივმართეთ.



ხათუნა ბახტურიძე

ბიძინა გუჯაბიძე:

— საქართველოში მართო რუსი კი არა, ყველა ფერის კარდინალები არსებობენ. მათ შორის ყველაზე ძლიერი — მერაბიშვილია. სხვათა შორის, არაფერია იცის, რა ინსტრუქციები მიიღო მან ვაშინგტონში ფარული ვიზიტის დროს. წესით, სააკაშვილს მისი ძალიან უნდა ემინოდეს.

გუგაზ სანიძე:

— ჩემი აზრით, ამ ხელისუფლებაში დღეს ორი „რუსი კარდინალი“ — მერაბიშვილი და ადვიშვილი. როცა ქვეყანაში ასეთი „იდეინი“ ფიგურები გვყავს, როგორ შეიძლება, სხვა ვინმეზე გაგვიჩნდეს ეჭვი?! ძალიან ნიჭიერი ადამიანები არიან, ყველა ნიუანსის სათავესოდ გამოყენება შეუძლიათ. მათი შემყურე, დავრწმუნდი, რომ ადამიანის ფანტაზია განუსაზღვრელია. არა უშავს, ჩვენ შევაჩერებთ მათ შემართებას და სულ მალე მათ „კარდინალობასაც“ წერტილი დაესმება.

გოგა ხინდრაშვილი:

— „რუსი კარდინალი“ — ადვიშვილია, მერაბიშვილი კი — მისი ბოროტების მახვილი. ეს ორი ადამიანი სააკაშვილს ამოფარებული აკეთებს თავის შავბნელ საქმეებს.

ბიძინა ცაგარეიშვილი:

— ვანო მერაბიშვილი.

ლავა ჩხარტიშვილი:

— ყველა პოლიციურ ქვეყანაში „რუსი კარდინალი“ — ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენელია. „რუსი კარდინალობა“ მერაბიშვილი და ადვიშვილი ეცილებიან ერთმანეთს.

ვაკა ზისელიძე:

— მერაბიშვილი. დღეს ქვეყნის მართვის მთავარი ბერკეტი მის ხელშია.

ადა მარგანიძე:

— ვანო მერაბიშვილი ან გიგა ბოკერია.

დავით მაღრაძე:

— ხელისუფლებაში ყველა „რუსია“, აი, „კარდინალი“ რომელია, არ ვიცი.

ნატა შურვანიძე:

— მერაბიშვილი.

პორკობაძე:

— „რუსი კარდინალი“ ის არის,

არა, ვინც კულუარებიდან მართავს ქვეყანას?

— დიახ.

— მე მგონია, რომ საქართველო ჩვენი ხელისუფლების კულუარებიდან საერთოდ, არ იმართება...

ქატი დოლიძე:

— „რუსი კარდინალი“ ადამიანი, რომელიც გარედან ძალიან „ფერად“ ჩანს; ასეთი საქართველოში არაფერია მეგულა.

ზასა ფოცხვიშვილი:

— დღევანდელ ხელისუფლებაში ყველა „რუსია“, „კარდინალი“ — არც ერთი.

პოპ გუნცაძე:

— არ ვიცი...

მარიამ ჩილინდრიშვილი, პედაგოგი:

— ჩემი აზრით, „რუსი კარდინალი“ ფუნქციას დღევანდელ საქართველოში გიგა ბოკერია ასრულებს. ძალიან ჭკვიანი, განათლებული და ემპათიური პიროვნებაა.

გელა სუციანიძე, მწიგნობელი:

— ალბათ, ვანო მერაბიშვილი. საქართველოს ძალოვანი სტრუქტურებს

თამაზ არახაშვი, ხაბაზი:

— მე მგონი, როინ ახალია. ამ კაცის შვილები (დათა და ბაჩო) ძალიან თავნებობენ, მათ დასჯას კი დღემდე ვერაფერია ბედავს.

გაბა შარიაძე, მენარმე:

— მერაბიშვილი.

თინათინ რატიანიშვილი, სპორტსმენი:

— გიგა ბოკერია. ამჟამად იყო, რომ ეს კაცი მთელ პარლამენტს თავის ჭკუაზე დაატარებდა. ახლა ალბათ, ასპარეზი გაიფართოვა და ხელისუფალთა მართვაზე გადავიდა.

საკუთარი აზრის გამოთქმა იმ ყურნალისტებსაც ვთხოვთ, რომლებიც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს არა მხოლოდ თვალყურს ადევნებენ, არამედ მის გაშუქებაშიც აქტიურად მონაწილეობენ.

„რუსი კარდინალი“ ყველა ხელისუფლებაში არსებობს, ოღონდ მისი „რუსობის“ ხარისხი დამოკიდებულია სისტემის ავტორიტარულობაზე

სრულად აკონტროლებს. ალბათ, „თავდაცვის“ თანამშრომლებიც მაგას მიიჩნევენ თავიანთ შეფად.

ტასო გულიაშვილი, ბუღალტერი:

— ვანო მერაბიშვილი. როგორც ჩანს, ამ პიროვნებას სააკაშვილზე ძალიან დიდი გავლენა აქვს; სხვაგვარად როგორ უნდა ავსნათ ის ფაქტი, რომ ოპოზიციისა და ხალხის მოთხოვნის მიუხედავად, მას გვერდიდან არ იშორებს?! გარდა ამისა, აგვისტოს ომამდე თითქმის ყოველთვე საკადრო კარუსელი ტრიალებდა, სააკაშვილი წინ და უკან დაარბენინებდა მინისტრებს, მხოლოდ მერაბიშვილი რჩებოდა ხელმუხებელი.


თამარ ჩიოქვაძე:

— თუ გავითვალისწინებთ პროკურატურის ყოვლისშემძლეობას (სასამართლოს ფუნქციასაც კი ეს სტრუქტურა ასრულებს), უნდა ვიფიქროთ, რომ „რუსი კარდინალი“ — ზურაბ ადვიშვილია.

— **კულუარული ინფორმაციით, მალე მორიგი სამთავრობო ცვლილება იგეგმება და ზურაბ ადვიშვილს მომავალ პრემიერ-მინისტრადაც ასახელებენ. თქვენი აზრით, ადვიშვილმა ჩრდილიდან გამოსვლა გადაწყვიტა?**

— ეს ინფორმაცია ჩემთვისაც ცნობილია. შესაძლოა, ადვიშვილს მართლაც, შესთავაზონ ეს პოსტი, მაგრამ მგონია,

რომ ის უარს იტყვის. ბატონ ზურაბს ყოველთვის ჩრდილში ყოფნა უყვარდა. დიდად არც მედიასთან ურთიერთობა



ძალიან ჭკვიანი, განათლებული და ემზაკი პიროვნებაა

ხიბლავს. „რუსი კარდინალობა“ იმით არის კომფორტული, რომ მნიშვნელოვან განაწესებულებებს კულუარებში იღებს და პასუხისმგებლობა არ გვეკისრება. გარდა ამისა, ახლა, როდესაც ქვეყანაში ისეთი ეკონომიკური კრიზისია,

ბული ადამიანია. ალბათ იცით, რომ ადმინისტრაციული კოდექსი ჯერ კიდევ მაშინ შეიმუშავა, როდესაც ოპოზიციამ იმყოფებოდა და პარლამენტში, იურიდიული კომიტეტის აპარატში მუშაობდა. სხვათა შორის, მაშინ ინფორმაციის გამჭვირვალობას, საჯაროობასა და დასავლურ ღირებულებებს ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის სასიცოცხლო აუცილებლობად მიიჩნევდა; სამწუხაროდ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რადიკალურად შეიცვალა: ახლა სწორედ მისთვის დაქვემდებარებული უწყებიდან ვეღარ ხერხდება საჯარო ინფორმაციის მოპოვება. მანვე შეზღუდა სასამართლოში მედიის მუშაობა (ანუ აკრძალა სასამართლო პროცესის გადაღება). მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში ძალზე გავლენიანი პირია. ზოგჯერ ის მერაბიშვილზე მეტი პრივილეგიითაც კი სარგებლობს.

— ფიქრობთ, რომ ადვილი

მართოს ქვეყანაც და ხელისუფალიც. ასე რომ, ეს „ინსტიტუტი“ ძალზე ძველია. ფსიქოლოგებმა ისიც ვიცით, რომ არსებობს, როგორც ფორმალური (რომელიც საჯაროდ ჩანს), ისე არაფორმალური (რომელსაც საჯარო კონტაქტები არ გამოხდის და ცდილობს, ჩრდილიდან მართოს სიტუაცია) ლიდერი. ასევე არსებობს ლიდერის შერეული ტიპიც: ბუნებით ფარული ლიდერია, ოფიციალურადაც იღებს ძალაუფლებას, მაგრამ ხალხთან კონტაქტში მაინც არ შედის და კაბინეტიდან, კულუარული ინტრიგებით მართავს ქვეყანას. ამის ტიპური მაგალითი იყო სტალინი. მას საზოგადოებასთან კონტაქტი უჭირდა, მაგრამ სხვა ადამიანების (ანუ მისი მეზობლებ პოეტების, მწერლების, მხატვრებისა და პოლიტიკური მოღვაწეების) საშუალებით იქმნიდა იმიჯს. სტალინსაც ჰყავდა ხოლმე დაახლოებული პირი ანუ „რუსი კარდინალი“, რომელსაც მერე იშორებდა. ერთ-ერთი ასეთი ფიგურა გახლდათ ბერია. არსებობს ასეთი ვერსია: ბერიამ შეიტყო სტალინის განზრახვა — თავიდან მოეშორებინა იგი და თავად დაასწრო... მაგრამ მერე ძალაუფლება ვეღარ შეინარჩუნაო. მისთვის კულუარული გარემო უფრო კომფორტული აღმოჩნდა...

— თქვენი აზრით, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე გავლენიანი „რუსი კარდინალი“ ვინ იყო?

— ზურაბ ჟვანია.
— მაგრამ მან თავისი მოღვაწეობა ფაქტობრივად შედეგით დაასრულა. მაინც, თქვენი აზრით, რა შეცდომა დაუშვა?

— თუ იმ ვერსიის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომ ჟვანია არ მოუკლავთ, მისი ერთადერთი შეცდომა — ირანული გაზის გამათბობლის ყიდვა იყო; თუ იმ ვერსიის დავეყრდნობით, რომ მოკლეს, მაშინ — ზედმეტი ძალაუფლების აღება მოინდომა. „რუსი კარდინალი“ მაინც, ფრაგმენტულად მართავს სიტუაციას, მთელი სისტემის მარ-

„რუსი კარდინალი“ მაინც, ფრაგმენტულად მართავს სიტუაციას, მთელი სისტემის მართვა მის შესაძლებლობებს აღემატება

რომ ეკონომიკური განათლების მქონე პირსაც გაუჭირდება ჩინური სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, სამართალდამცავი სისტემის წარმომადგენლის პრემიერად დანიშნა არაგონივრულია. როგორც შევითქვე, სამთავრობო კარუსელის დატრიალებისას, სანდრო კვიციანი და გოგა ხაჩიძეს გათავისუფლებას უპირებენ. ამ განაწესებულებას ნამდვილად მივესალმები. ტრასებზე ცელოფანის პარკების მოგროვება და მერე მისი ძახილი — ვინც ნაგავს დაყრის, იცოდეს, რომ დაგინებულაო! — მთლად სერიოზული არ არის; მგონია, რომ ბუნების დაცვის მინისტრი სხვა ფუნქციებსაც უნდა ასრულებდეს.

ელიზო ჩაფიძი:

— „რუსი კარდინალი“ ყოველთვის ფარულად მართავდა პროცესებს. ასეთი ფიგურა შევარდნაძის მმართველობის პერიოდში იყო ნუგზარ საჯანია, რომელსაც ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა და მნიშვნელოვან ინფორმაციასაც ფლობდა, მაგრამ ჟურნალისტებს პრაქტიკულად, არ ეკონტაქტებოდა; თუ რაიმე ინფორმაციის გავრცელება უნდოდა, ამას სხვისი ხელით აკეთებდა. დღევანდელ ხელისუფლებაში „რუსი კარდინალი“ ზურაბ ადვიშვილს მივიჩნევ. მე მას პირადად ვიცნობ და ვიცი, რომ ძალიან განათლებული

პრეზიდენტზეც ახდენს გავლენას?

— დიას, ამაში დარწმუნებული ვარ.

— პოლიტიკური პროცესების კულუარებიდან მართვა რისთვის უნდა აძლევდეს ხელს?

— ჯერ ერთი, ეს მისთვის საკმაოდ მომგებიანი პოზიციაა: განაწესებულებების იღებს, სხვები კი იღანძვებიან... გარდა ამისა, ის არასოდეს ყოფილა პოპულისტი. გიგი უგულავა ყოველთვის ცდილობდა, როგორმე კადრში მოხვედრილიყო, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კი ტელეკამერების გარეშე ნაბიჯს აღარ დგამს. ზურა ადამიანების ამ კატეგორიას არ მიეკუთვნება; არასოდეს იძლევა საბაბს, რომ განხილვის ობიექტად იქცეს.

— მის შესაძლო პრემიერობაზე რას იტყვით?

— დარწმუნებული ვარ, ადვიშვილს პრემიერმინისტრობა არ სურს. თუ ის მართლაც, პრემიერი გახდა, ეს იმას ნიშნავს, რომ სააკაშვილს მოჰპებრდა მისი „რუსი კარდინალი“.

პოლიტიკაში „რუსი კარდინალის“ „ინსტიტუტის“ დამკვიდრების საკმაოდ საინტერესო ვერსია გავაცნო ფსიქოლოგმა და პოლიტოლოგმა რამაზ საჭპარელიძემ:

— „ათას ერთი ლამის“ ყოველ მერე ზღაპარში შაჰს ჰყავს ვეზირი, რომელსაც უნდა, რომ თავის ჭკუაზე



მაქსიმალურად ცდილობს, რომ სააკაშვილის ერთგული იყოს



ერთ-ერთი ასეთი ფიგურა გახლდათ ბერია

თვა მის შესაძლებლობებს აღემატება. სხვათა შორის, ზურაბი შევარდნაძის დროსაც მიიჩნეოდა „რუს კარდინალად“, საჯაიასთან ერთად. სააკაშვილის ხელისუფლებაში კი მას ამ „პოსტის“ მერაბიშვილთან გაყოფამ მოუწია. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჟვანია ვერასოდეს ახერხებდა ძალოვანი სტრუქტურების გაკონტროლებას: შევარდნაძის დროს ამ კუთხით, ბარიერს კახა თარგამაძე ქმნიდა, სააკაშვილის დროს კი — მერაბიშვილი და ოქრუაშვილი.

— ზვიად გამსახურდიას არ ჰყავდა „რუსი კარდინალი“?

— გამსახურდიას ხელისუფლებაში ამ ფუნქციას პრეზიდენტის გარემოცვაში მყოფი ქალბატონები ითავსებდნენ.

— „რუსი კარდინალი“ ყველა ხელისუფლებას ჰყავს თუ მას გარკვეული პოლიტიკური სიტუაცია ქმნის?

— „რუსი კარდინალი“ ყველა ხელისუფლებაში არსებობს, ოღონდ მისი „რუსობის“ ხარისხი დამოკიდებულია სისტემის ავტორიტარულობაზე. „რუსი კარდინალი“, როგორც წესი, ერთპიროვნული მმართველის გვერდით მოიაზრება. რაც უფრო გაფანტულია ძალაუფლება სხვადასხვა ინსტიტუტსა და პიროვნებას შორის, მით უფრო მეტი შანსია, რომ კარდინალი „რუსი ფერი“ დაკარგოს.

— დღევანდელი ხელისუფლების „რუს კარდინალად“ ვის მიიჩნევთ?

— მერაბიშვილს.

— ამბობენ, მერაბიშვილზე მეტი გავლენა დღეს ადგიშვილს აქვსო. — ეს ორი პიროვნება სააკაშვილის საპრეზიდენტო ფიგურას განუყრელად მიჰყვება გვერდით. ჩემი აზრით, ადგიშვილს „რუს კარდინალად“ ძირითადად

იმიტომ მიიჩნევენ, რომ ის არის ფიგურა, რომელიც არ ჩანს. მე მაინც მგონია, რომ დღეს მერაბიშვილია „რუსი კარდინალი“.

— სააკაშვილის ხელისუფლების ბერმა მინისტრმა კარიერა ოპოზიციაში გადასვლით ან ქვეყნიდან გაქცევით დააჩუქრა თქვენი აზრით, მერაბიშვილმა და ადგიშვილმა რა მექანიზმებით შეინარჩუნეს თავიანთი პოსტები?

— ერთგულებით.

— ზოგიერთი ვერსიის მიხედვით, მათ კომპრომატები აქვთ სააკაშვილზე.

— კომპრომატებით მებრძოლი ადამიანი „რუსი კარდინალი“ ვერ იქნება. ასეთ ადამიანებს ან იჭერენ, ან... როგორც სტალინი ამბობდა — არ არსებობს ადამიანი, ე.ი. არ არსებობს პრობლემა...

— მოსალოდნელი საკადრო ცვლილებები რა მიზეზით უნდა იყოს განპირობებული?

— მართალია, სააკაშვილი ამას უარყოფს, მაგრამ აშკარაა, რომ ქვეყანაში კრიზისი შეიქმნა. ყველაზე დიდ კრიზისში კი თავად პრეზიდენტი აღმოჩნდა. ბუნებრივია, მას მოუწდება იმ ადამიანებისგან დისტანცირება, რომელთა გამოც ის რთულ სიტუაციაში ჩავარდა.


— საზოგადოების ერთი ნაწილი ამ ცვლილებებს ვაშინგტონში მერაბიშვილის ვიზიტს უკავშირებს. ზოგი მიიჩნევს, რომ მინისტრი პრეზიდენტის ზურგს უკან, ობამას ადმინისტრაციასა და ქართულ ოპოზიციას შორის შესაძლო გარიგებებში ჩარევას აპირებს...

— მერაბიშვილი მაქსიმალურად ცდილობს, რომ სააკაშვილის ერთგული იყოს; ის ყველანაირად ეცდება, პრეზიდენტის წინააღმდეგ ფარული გარიგებები არ დაინახოს, მაგრამ ეს მასზე არ იქნება დამოკიდებული. ჯერ გასარკვევია, სჭირდება თუ არა ამერიკას საქართველოს ხელისუფლებისგან სააკაშვილის ჩამოცილება. თუ ობამა აპირებს, რუსულ-ქართული კონფლიქტი კონფრონტაციის გზით მოაგვაროს ანუ ისევ დააპირისპიროს ერთმა-

ნეთს რუსეთი და საქართველო (როგორც ამას ბუმი აკეთებდა), მაშინ სააკაშვილის ფიგურა მისთვის სრულიად მისაღებია, მაგრამ თუ აშშ-ის პრეზიდენტი სამშვიდობო პოლიტიკის წინა ხაზზე წამოწევს გვემავს, მაშინ სააკაშვილის შეცვლაზე აუცილებლად იფიქრებს და ამისთვის ყველა შესაძლო ინსტრუმენტს, მათ შორის — მერაბიშვილსაც გამოიყენებს.

— ობამამ მოსკოვში ვიზიტს დროს რუსეთსა და მთელ მსოფლიოს უკვე სამშვიდობო პოლიტიკა შესთავაზა.

— არც მთლად ასეა საქმე. პრეზიდენტები, მოღვაწეობის საწყის ეტაპზე,



მას პირადად ვიცნობ და ვიცი, რომ ძალიან განათლებული ადამიანია

სშირად აკეთებენ ასეთ სამშვიდობო განცხადებებს, გულწრფელადაც სჯერათ საკუთარი სიტყვების, მაგრამ მერე ამ „იდეალური“ სამშვიდობო პოლიტიკის რეალურად გატარებას ვეღარ ახერხებენ. სხვათა შორის, ჯორჯ ბუშმაც მშვიდობიანი პოლიტიკით დაიწყო მოღვაწეობა, მაგრამ ბოლოს ყველგან ომი გააჩაღა. ასე რომ, ჯერჯერობით ნაადრევია იმაზე ფიქრი, რომ ობამა სამშვიდობო პოლიტიკის კურსს აირჩევს.

— თუ ხელისუფლებიდან სააკაშვილის ჩამოცილება მაინც გადაწყდა, ვაშინგტონი საგარეუდოდ, რომელ პოლიტიკურ ფიგურაზე დადებს ფსონს?

— იმაზე, ვინც რუსეთთან მოლაპარაკების დაწყებას შეძლებს...

Advertisement for 'ახალი დროით' (New Time) radio station. It features a woman in a headset, the station's logo, and broadcast details: '13:30' and 'თქვენი რადიოსადგომი' (Your radio station). The text at the bottom reads 'მთავარი პოლიტიკური მოვლენები' (Main political events) and 'კითხვები და პასუხები' (Questions and answers).

სილვიო ბერლუსკონის მორიგი თავის ბაივილი

მოლარე გოგონა და იტალიის პრემიერ-მინისტრი ერთმანეთს შემთხვევით გაიცნობენ, მაგრამ მალე მათ შორის, ისეთი ვნებიანი რომანი გაჩაღდება, რომ პრემიერი გოგონას პარლამენტში ადგილსაც შეჰპირდება. საბოლოოდ კი პოლიტიკოსი საერთოდ მიატოვებს გოგონას და მანდატსაც ახალ საყვარელს სთავაზობს... ეს არა მორიგი სექსკანდალი, არამედ იტალიელი მწერალი ქალის, მარია გენისის ახალი ეროტიკული რომანის — „ოქროს თევზი აქ აღარ ცხოვრობს“ — ფაბულა გახლავთ. მიუხედავად იმისა, რომ 44 წლის გენისი თავის ახალ რომანს „გამონაგონად“ და „ლიტერატურულ მიგნებად“ მოიხსენიებს, Riformista-ს ჟურნალისტებს მან მაინც გაანდო, რომ ამ ნაწარმოების იდეა მას შემდეგ დაებადა, რაც ბერლუსკონის მემორანდუმზე ცენტრისტულმა ალიანსმა კანდიდატად მისი წამოყენების გადაწყვეტილება შეცვალა; მწერალი ქალის თქმით, ბოლოს ეს ადგილი პარტიის მაღალჩინოსანი წევრის საყვარელს ერგო...

ნიგნის ბაზრის ამ სიახლემ იტალიელი მემორანდუმებისა და მემარცხენების უამისოდაც დაუსრულებელი დავა-კამათი კიდევ უფრო გაამ-



წვავა. მემარცხენები ბერლუსკონის კოალიციას დეპუტატობის კანდიდატებად მოდელის გარეგნობის მქონე არაპროფესიონალი გოგონების წამოყენებაში ადანაშაულებენ. ევროპარლამენტის ამასნიანდელ არჩევნებში ამ ტაქტიკის გამოყენებას პრემიერის მეუღლემ, ვერონიკა ლარიომ „უსირცხვილო ხალტურაც“ კი უწოდა.

ბერლუსკონის მედიაიმპერიაში შემავალმა Il Giornale-მ მარია გენისის ახალ რომანს „უხამსი“ და „ბიძჰური“

უწოდა, ხოლო მისი სხვა წიგნები — „პროვინციულ სექსსა და ცოლქმრულ ნევრასთენიაზე აგებულ უნიჭო ამბებზე“ მოიხსენია. რომანში მინისტრისაყვარელი, რომელიც საკუთარ პოლიტიკურ კარიერას კათოლიკური და ოჯახური ფასეულობების მოჩვენებით წინ წამოწევაზე აგებს, მისგან მიტოვებული გოგონასგან შემდეგ სიტყვებს ისმენს: „შენ დათაფლული სიკეთის ფასადს ამოფარებული, უბადრუკი ადამიანი ხარ“.

The Times

სამართლებრივ სახელმწიფოს დია ცის ქვეშ სექსზე თავლის დახუჭვა არ შეუძლია

ქჭონდათ თუ არა საწოლი ადამისა და ევას? რა თქმა უნდა, არა. ადამიანის ღვთაებრივი წარმოშობის თეორიის მოწინააღმდეგენიც კი აღიარებენ, რომ ჩვენი შორეული წინაპრები სიყვარულით ტკბობას ბუნების წიაღში ამჯობინებდნენ. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ დღესაც, ვნების მოძალბებისას, გული სუფთა ჰაერზე მიგვიწევს. თუმცა არც ის უნდა დაგვაინტერესდეს, რომ ჩვენი სასიყვარულო სიახლეების ადგილი (განსაკუთრებით — დიდ ქალაქებში) შეიძლება, „სცენად“ იქცეს. თანაც, ცნობისმოყვარეობა მართო უბრალო გამველებმა კი არა, არამედ სახელმწიფოს ოფიციალურმა წარმომადგენლებმაც გამოამჟღავნეს: საქმე ის არის, რომ დახუთულ შენობებს მიღმა „ვნების განსაკუთრებით აქტიური გამოვლენისთვის“ სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა სასჯელია დანესე-

ბული. მაგალითად, თუ ესპანეთსა და ფინეთში სუფთა ჰაერზე სექსი შეიძლება, ადვილად შეგარჩეთ, თურქეთში ამის გამო 200 ევროს უნდა დაემშვიდობოთ ანდა 2 თვე ციხეშიც კი გაყურყუტონ; შვედეთის თემიდა თქვენგან 50 ევროს მოითხოვს, ხოლო „ამ საქმეზე“ კანადაში გამოჭერილ, მხოლოდ გაფრთხილებას გაკმარებენ. აი, ჰოლანდიის დედაქალაქში კი სუფთა ჰაერზე ტკბობის მოყვარული წყვილებისთვის საგანგებოდ რამდენიმე „მწვანე ზონაც“ კია გამოყოფილი.

ახლახან, უინძორების სამეფო მამულში ფრიად თავშესაქცევი ინციდენტი მოხდა. შენობის ფანჯრებიდან გადომოდგარი მსახურები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს ვნებიან სცენას, რომელიც პირდაპირ ერთ-ერთ, საგანგებოდ მოვლილ სამეფო მდელიოზე ხდებოდა. მაგრამ სანახაობით ბოლომდე ტკბობა არავის

დასცალდა, რადგან სასწრაფოდ მოვარდნილმა მამულის დაცვამ სასიყვარულო აქტი უხეშად აღკვეთა... ერთ-ერთი აღშფოთებული თვითმხილველის თქმით, ვნებიანი სცენის მონაწილეები ისე იყვნენ „იმ საქმით“ გართულნი, რომ თავიდან მათ გარშემო თავმოყრილი პოლიციელებიც კი ვერ შენიშნეს. ფაქტზე წასწრების შემდეგ კი, პირველ რიგში, „სამეფო სექსის“ გამო, სამსახურის შესაძლო დაკარგვის შიშმა თუ ააღელვა. მაგრამ საბოლოოდ, ეს შიშიც ფუჭი აღმოჩნდა და, „გულწრფელი მონანიების“ შემდეგ, წყვილს მხოლოდ გაფრთხილება აკმარეს...

დაბოლოს: რაც შეეხება გერმანიას, იქ საჯარო ადგილებში სექსუალური ქმედებისთვის, შეიძლება, ერთწლიან ციხესაც კი გამოჰკრათ ხელი.

Die Welt

15 წლის პრაქტიკანტმა ბირჟის ანალიტიკოსები გააოგნა

Morgan Stanley-ს ლონდონის განყოფილების 15 წლის პრაქტიკანტმა მეთიუ რობსონმა დაწერა ანალიტიკური მოხსენება, რომელმაც უმაღლესი რეიტინგის სპეციალისტთა წრეებში ამერიკულმა ბანკმა მოზარდს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიმართ მისი მეგობრების დამოკიდებულებასთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და გაანალიზება დაავალა. „რობსონის გამოკვლევის შედეგებს მსგავსი მოხსენებების დიდ ნაწილზე ბევრად მეტი რეზონანსი — ხუთ-ექვსჯერ უფრო დიდი ინ-

ტერესი მოჰყვა“, — აღნიშნავს მასმედიის ანალიზის ევროპული ჯგუფის ხელმძღვანელი ედვარდ ჰილვუდი. რობსონის თქმით, მოზარდები სულ უფრო მეტ საინფორმაციო საშუალებას ეცნობიან, მაგრამ სულ უფრო ნაკლებად არიან მზად, ამაში ფულიც გადაიხადონ. „მოზარდები თითქმის არ სარგებლობენ Twitter-ის მომსახურებით, რადგან მობილური ტელეფონით მისი გაცნობა ძალზე ძვირი ჯდება; გარდა ამისა, ისინი არ უყურებენ ჩვეულებრივ ტელევიზიას და არ უსმენენ ტრადიციულ რადიოს — მუსი-

კა ხომ რეკლამის გარეშეც, მაგალითად, საიტზე — Last.fm. — არსებობს. ყმანვილი მკვლევრის აზრით, ინტერნეტში განთავსებული რეკლამა მოზარდებს „უკიდურესად ანერვიულებს“, ისინი მას „უაზრობად“ მიიჩნევენ. ბექდვითი საინფორმაციო საშუალებები ახალგაზრდობას ასევე არ აინტერესებს. თინეიჯერები ვრცელი საგაზეთო სტატიების კითხვას, ინტერნეტში მოკლე რეზიუმეს გაცნობას ამჯობინებენ.

Financial Times Deutschland

არიზონის ბრძოლის ახალი მეთოდი — ოფისში უფრო მეტად გუგოება

ნიუკასლში მდებარე ბრიტანულმა მარკეტინგულმა ფირმამ — Onebestway — კრიზისით გამოწვეული რეცესიის შესაჩერებლად, ფრიად უცნაური, მაგრამ საკმაოდ წარმატებული სვლა გააკეთა. მას შემდეგ, რაც ფირმის ხელმძღვანელობამ კრიზისის გამო სამსახურიდან რამდენიმე, ძალზე საჭირო თანამშრომელიც კი გაუშვა, მაგრამ მოახლოებულ კრახს მაინც ვერაფრით გაუმკლავდა, ფირმის გენერალურმა დირექტორმა მაიკ ოუენმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლა და დახმარებისთვის შტატთან ფსიქოლოგ დევიდ ტელიორს მიმართა. სიტუაციის გულმოდგინე გაანალიზების შემდეგ, ტელიორმა ოუენს საკმაოდ უცნაური იდეა შესთავაზა: ფირმის მუშაობის მოსაწესრიგებლად და კოლეგებს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, გარკვეული დროით ყველა თანამშრომელი... გაეშვიშებინა. მიუხედავად იდეის აბსურდულობისა, ფირმაში მასზე



მაინც გულმოდგინედ იმსჯელეს, მერე ამ ხერხის გამოცდაც გადაწყვიტეს და დანიშნულ დღეს (აპრილში) თითქმის ყველა თანამშრომელი სამსახურში სრულიად შიშველი გამოცხადდა. საბოლოო ჯამში, ამ უცნაურმა ექსპერიმენტმა იმდენად გაამართ-

ლა, რომ თანამშრომელთა თვითშეფასების გაზრდისა და მათ შორის ურთიერთობის გაუმჯობესების გარდა, ფირმის შემოსავლებიც იმდენად გაიზარდა, რომ ხელმძღვანელობას ახალი დიზაინერის აყვანის საშუალებაც კი მიეცა. ფირმის მენეჯერის აზრით, რომელიც მსგავსი ექსპერიმენტის ჩატარებისკენ დღეს ლამის ყველას მოუწოდებს, ამ ცდამ მასსა და მის თანამშრომლებს „ძალზე საჭირო იმპულსი“ მისცა. თუმცა ყველაზე მეტად მაინც თავად ფსიქოლოგია კმაყოფილი. „ასეთი რამის გაკეთება მხოლოდ ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შემდეგ თუ შეიძლება. უცნაურობის მიუხედავად, ეს მეთოდი ძალზე პროდუქტიული აღმოჩნდა. ის როგორც საკუთარი თავის, ისე შენ გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ რწმენას გამატებს“, — აცხადებს დევიდ ტელიორი.

Corriere della Sera



თუ მიგაჩნიათ,
რომ საინტერესო
ამბავი იცით და გსურთ,
ის ყველას გააგებინოთ...

**მოკყავით
თქვენი
ამბავი**

www.ambebi.ge

ამბები.გე-სი

სანოლი, როგორც თავისით ლაგდება

სანამ დილის შხაპს იღებთ ანდა საუზმობთ, ჩილემი შექმნილი ახალი ელექტრონული მექანიზმი — BED — ლილაკზე თითის უბრალო დაჭერის შემდეგ, მარტო ოთახს კი არ გაგინიავებთ, არამედ სანოლსაც გულმოდგინედ აგილაგებთ. თანაც, ეს ყველაფერი ყოველგვარი სასწაულებრივი ძალის ჩარევის გარეშე, მხოლოდ ჰაერის უბრალო ნაკადის გამოყენებით მოხდება. „მართლაც, არავითარი სასწაული არ ხდება, — აღნიშნავს კომპანია NextDream-ის გენერალური დირექტორი ნინო პროდი, — უბრალოდ, ჩვენმა გამოგონებებმა, სპეციალური კონსტრუქციის მეშვეობით, სანოლის ფუძეში ჩამონტაჟებული, მომცრო ტურბინიდან გამომავალი ჰაერის, სანოლის თეთრეულში გატარება მოახერხეს“. სხვათა შორის, NextDream-მა ეს ახალი ელექტრონული მექანიზმი უკვე 140 ქვეყანაში, მათ შორის — გერმანიაში და მთელ ევროკავშირშიც დააბატენტა. ნინო პროდი იხსენებს, რომ პირველად, თავისი მეგობრის, ხოსე ლუისის იდეა „თვითაღაგებადი“ სანოლის შესახებ ნამდვილ სიგიჟედ მოუჩვენა. დღეს კი ამ სიახლით უკვე ადამიანების ცხოვრების ხარისხის საგრძნობლად გაუმჯობესების იმედიც აქვს. პროდის თქმით, დღეს მისი კომპანია ევროპაში ლიცენზიის მიღების მსურველი ინვესტორებისა და



სანარმოების დირექტორთა აქტიურ ძიებაშია. აგვისტოში კი ერთ-ერთ ამერიკულ მენარმეს ეს პროდუქტი უკვე შეერთებული შტატების ბაზარზეც გააქვს. კომპანიის თავკაცს იმედი აქვს, რომ მათი სიახლე კანადისა და მექსიკის ბაზრებზეც წელსვე შეაღწევს. ამასთან, ნინო პროდი მარტო განებივრებულ, ძილის-გუდა მენეჯერებზე ანდა ტექნიკური სიახლეებით შეპყრობილ ადამიანებზე როდი ზრუნავს; ინოვაციას იმ ინველიდებისა და ხანდაზმული ადამიანების შველაც შეუძლია, რომლებიც სხვათა დახმარებაზე არიან დამოკიდებულნი. კომპანია, საავადმყოფოს სანოლების მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ჩილეს ხელისუფლებასთან უკვე საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს.

Frankfurter Rudschau

პარტია დემოკრატიული სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის განუყოფელი ნაწილია. პარტიების პაექრობასა და ჭიდილში, ამომრჩევლისთვის ბრძოლის შედეგად ისახება საზოგადოების განვითარების ოპტიმალური გზა. თუმცა ამავ „იარაღს“ სხვა მიზნებითაც იყენებენ ხოლმე.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე, საქართველოში უამრავი პარტია თუ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, მაგრამ დროის გამოცდას უმეტესობამ როდი გაუძლო. მიუხედავად ამისა, ახალი პარტიების გაჩენის მომსწრენი დღესაც ვხვდებით. რა მიზნით იქმნება პარტიები და რამდენად ახერხებენ საკუთარი იდეების რეალიზებას? — ამ თემაზე რამდენიმე ლიდერს ვესაუბრეთ. მათი საქმიანობის ავკარგის შეფასება კი ფსიქოლოგ ნოდარ სარჯველაძეს ვთხოვეთ.

ლალი პაპასკირი

ლევან ბაჩიჩილაძე

— საზოგადოებრივი ორგანიზაცია — „დაიცავი საქართველო“ — ჩემი კი არა, მთელი საქართველოსია, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ... ეს ორგანიზაცია ქართულ პოლიტიკაში თავის როლს შესრულებს. მისი შექმნის იდეა ისე, ჰაერზე არ დაბადებულა. ეს მოძრაობა საჭიროა ერის, საზოგადოებისა და ქართველი საზოგადოების კონსოლიდაციისთვის, რათა, უკვე კონსოლიდირებულმა და სისტემად ქცეულმა, ჩვენი სამშობლოს დაცვა შევძლოთ. საქართველო დაცული იქნება მაშინ, როცა მას არ ეყოლება ისეთი ხელისუფლება, რომლის ქმედებების პროგნოზირება არავის შეუძლია; ეს არის ამ მოძრაობის შექმნის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი. ამიტომაც დაგვთანხმდა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი მის თავმჯდომარეობას. აქ ვილატები კი არ არიან, ისეთი ხალხია, ვისაც ქართველის სატყვიარი სტკივა... საინიციატივო ჯგუფის პრეზენტაციამდე, ზაზა პაპუაშვილმა დამირეკა და მითხრა: რეპტიცია მაქვს და ვერ მოვდივარ, მაგრამ გულთით თქვენთან ვარ და იქ, ჩემთან ერთად, რობიკო სტურუაც ჩაწერეო. ბიძინა კვერნაძე და ის უზუცესებიც შემოგვიერთდნენ, ვისი გამოცდილებისა და ჭკუის უნდა ჯფროდეს ქართველ ხალხს. მათ საქართველოს მომავალი აწუხებთ.

— **მიგაჩნათ, რომ ეს მოძრაობა პოლიტიკურ სურათს შეცვლის?**

— დარწმუნებული ვარ... ამ ხელისუფლებას სახურავზე ასვლა და იქ მინისტრთა საბჭოს კლოუნადის ჩატარება ვეღარ უშველის. ზოგიერთი სახელისუფლებო ტელევიზიის ჟურნალისტი კახა

ნებაყოფლობითი სიხვილი თუ...



85 წლის ბრიტანელი დირიჟორი, სერ ედვარდ დაუნსი და მისი 75 წლის ცოლი ჯოანი ევთანაზიის მეშვეობით გამოესალმნენ სიცოცხლეს. ცოლ-ქმარი შვეიცარიულ კლინიკაში — Dignitas, — რომელიც კლიენტებს ევთანაზიით სარგებლობას სთავაზობს, თავისი ორი შვილის თანხლებით მივიდა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ჯოანმა შეიტყო, რომ ბოლო სტადიის კიბო ჰქონდა. რაც შეეხება სერ ედვარდს, მართალია, ხანდაზმულობის გამო, მხედველო-

ბა და სმენა დაკარგული ჰქონდა, მაგრამ სიკვდილის პირას ნამდვილად არ იმყოფებოდა... ამ შემთხვევამ ევთანაზიის მოწინააღმდეგეებში, ყველაფერთან ერთად, მორალური თამასის კიდევ უფრო დანერგვის სერიოზული შიში აღძრა. „გამოდის, რომ თუ მოხუცი და ავადმყოფი ხარ და ამის გამო დიდად არ გიღხინს, ევთანაზია — ნორმალური მოსავალია?.. — სვამს კითხვას ალიანსის — Care Not Killing — წარმომადგენელი ალესტერ ტომპსონი, — ასე ხომ სიკვდილი ცხოვრების ერთადერთ არჩევნად იქცევა! ის უმძიმეს ტვირთს აჰკიდებს უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანების მეუღლეებს და აიძულებს, რომ ევთანაზიას მაშინაც კი მიმართონ, თუ თავად სიცოცხლე ჯერ კიდევ შეუძლიათ“.

The Times

მომზადდა რუსუდან ლეპანიძემ

პოლიტიკური პარტია — ქვეყნის გადარჩენისთვის თუ პირადი კატილდლოებისთვის?..

თარგამაძის ფულს იმდენჯერ ახსენებს, ამას წინათ კოკა გუნცაძემ იუმორით მითხრა: რატომ აწამებ ამ ხალხს? უთხარი, რომ პატრუშვი გაფინანსებს თარგამაძის ხელით და ეგ თემა ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება... ღმერთია მოწმე, მე და ჩემი მეგობრებიც ერთ რამეზე ვფიქრობთ — როგორ გადავარჩინოთ საქართველო. ჩვენი ქვეყანა კი მაშინ გადავარჩება, როცა ხელისუფლებაში სააკაშვილი აღარ იქნება. მჯერა, რომ ეს დღე მალე დადგება.



ივინს-ივლისიდან ისევ ოპოზიციაში წავედით.

— **ბატონო დავით, მაშინ, როცა ამდენი პოლიტიკური ორგანიზაცია არსებობს, უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ ახალი პარტიები ყალიბდება? სწორად რჩება შთაბეჭდილება, რომ ეს მაგანთა ბიზნესგათვლების გამო ხდება.**

— ბიზნესგათვლებზე რა მოგახსენოთ, ამ საკითხში კომპეტენტური არ ვარ... ასევე თავს შევიკავებ იმის დაკონკრეტებისგან, თუ რომელი მიმართა პერ-

დავით უსუფაშვილი:

— იმედა, ტენდენციურობაში არ ჩამოშორდები, თუ ვიტყვი, რომ რესპუბლიკურ პარტიას სხვაზე მეტი პოლიტიკური გამოცდილება გვაქვს. ეს ორგანიზაცია 1978 წელს შეიქმნა და ყველა პოლიტიკური ამოცანა წარმატებით შეასრულა, უბრალოდ, ეს დროში ინფლაციაზეა. პარტიის შექმნის დროს მისი მთავარი პრინციპი — საქართველოში კომუნისტური რეჟიმის შეცვლა, დამოუკიდებლობის მიღწევა და ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრაცია იყო. ეს ყველაფერი შესრულდა, მაგრამ — დაგვიანებით... ჩვენ ოპოზიციაში ვიყავით პირველ ხელისუფლებასთან; მათ არ გაიზიარეს ჩვენი ხედვები და სწორედ ამიტომაც დაინიშნა სამოქალაქო ომი.

— **ანუ, გამსახურდიას ხელისუფლებას თქვენი პოზიცია რომ გავზიარებინა, სამოქალაქო ომს ავიცილებდით?**

— დიახ. ამის თავიდან აცილება შესაძლებელი იყო. ჩვენ ვითხოვდით დემოკრატიულ, ადამიანის უფლებებზე აგებულ სახელმწიფო სისტემას, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებაზე იქნებოდა ორიენტირებული... მოგვიანებით, ვინინაალმდეგობით შევარდნაძის მმართველობას, რომელიც დასრულდა, თუმცა — დაგვიანებით. ახლა ჩვენი პარტია ებრძვის მიხეილ სააკაშვილის სისტემას, რომელიც ასევე შეიცვლება.

— **თუმცა — დაგვიანებით?.. რა არის იმის მიზეზი, რომ თქვენი პარტია ყველაფერს დაგვიანებით აღწევს?**

— სწორედ მაგას ვლაპარაკობ: „რესპუბლიკელები“ მიზანს ვაღწევთ, მაგრამ დაგვიანებით; ჩვენ სწორად გათვლილი

ამოცანები გვაქვს, მაგრამ ამ პოზიციებისა და ხედვების რეალიზებისთვის უკეთ მუშაობაა საჭირო... ის, რომ ჩვენი პარტია ყველაფერს დაგვიანებით აღწევს, მხოლოდ ჩვენი პასიურობის ბრალი არ არის, უბრალოდ, დამოუკიდებლობას ქვეყანა ძალიან მძიმე ვითარებაში მყოფი შეხვდა. ეროვნული ინსტიტუტები თითქმის მოშლილი იყო; ამასთან, XX საუკუნეში, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, დანარჩენ სამყაროს მოწყვეტილი ვიყავით; აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისგან განსხვავებით, არც კი ვიცოდით, რას ნიშნავდა სახელმწიფოებრივი აზროვნება, თავისუფალი სასამართლო, მედია, ბიზნესი... ამას დაემატა სამოქალაქო ომი, ხელისუფლების ძალით დამსობა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, რუსეთის მხრიდან ხანგრძლივი აგრესია. რესპუბლიკური პარტია, რომელიც ამ ყველაფერის მოგვარებასა და სახელმწიფოს შენებას ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე აპირებდა, ეს ვერ შეძლო. ქვეყანაში შეიარაღებული ბანდოორმირებები თარეშობდნენ და ჩვენ მათ უკეთესი იარაღითა და ბანდოორმირებებით ვერ შევეჯიბრებოდით. მოგვიანებით, ქვეყანაში ორი სახელისუფლებო ცენტრი ჩამოყალიბდა — კორუმპირებული და ნახევრად დანაშაულებრივი; ამ დროს ჩვენ მესამე გზის გაკვალვას ვცდილობდით, მაგრამ ეს ორი დომინანტური ძალა თავისი ადმინისტრაციული ბერკეტებით გვებრძოდა... „ვარდების რევოლუციის“ დროს დღევანდელი სახელისუფლებო გუნდის მხარეს ვიბრძოდით... ჩვენთვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედგაცრუება იყო, სააკაშვილი და „ნაციონალური მოძრაობა“... 2004 წლის

სპექტიულ პარტიად... თავისთავად, ის ფაქტი, რომ ახალი პარტიები იქმნება, კარგია: თავის დროზე „მემარჯვენეებს“ პარტია რომ არ ჩამოეყალიბებინათ, დღეს ქართული პოლიტიკური სივრცე მათ გარეშე ლარიბი იქნებოდა... ახალი პარტიის შექმნით, მისი ლიდერი რისკზე მიდის, თუმცა ჩემი აზრით, ირაკლი ალასანიას აქვს იმის რესურსი, რომ ქართულ პოლიტიკაში თავი დაიძვიდროს.

— **ბატონო ზურაბ, რატომ გაჩნდა პარტიის ჩამოყალიბების აუცილებლობა?**

ზურაბ აბაშიძე:

— მოგეხსენებათ, როცა პოლიტიკური მოძრაობა — „ალიანსი საქართველოსთვის“ ჩამოყალიბდა, სადაც ჩვენთან ერთად, კიდევ ორი სუბიექტი („მემარჯვენეები“ და „რესპუბლიკელები“) გაერთიანდა, მაშინვე დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ირაკლი ალასანიას ახალი პარტია უნდა ჩამოეყალიბებინა და შემდეგ, 9 აპრილიდან დღემდე, ძალიან ბევრმა ადამიანმა გამოთქვა სურვილი, მასთან ერთად ეშუშავა, ამის ერთადერთი საშუალება კი — პოლიტიკური პარტიაა... თუ ერთნაირი მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა ჯგუფს ქვეყანაში არსებული პოლიტიკური რეალობის შეცვლის სურვილი გაუჩნდა, ეს მხოლოდ პარტიის საშუალებით არის შესაძლებელი.

— **წლების მანძილზე ჩვენში უამრავი პარტია დაფუძნდა, მაგრამ თავის დამკვიდრება და პოლიტიკურ სურათზე გავლენის მოხდენა მხოლოდ რამდენიმე შეძლო.**

— დიახ, ახლაც ბევრი ასეთი პარტია არსებობს, მაგრამ ეს პესიმიზმის საფუძველს არ გვაძლევს. „ჩვენი საქართველო — თავისუფალი დემოკრატები“ — თავს

სხვანაირად დაიმკვიდრებს. ჩვენ კონკრეტული პრობლემების მოგვარებაზე გათვლილი გეგმები გვაქვს... ჩვენი პარტია ეძებს პარტნიორებს და არა — მტრებს. როგორც ირაკლი ალასანიამ აღნიშნა, აუცილებელია ღია, გულწრფელი დიალოგი ხელისუფლებასთან, რათა საზოგადოების კონსოლიდაცია და ურთულესი პოლიტიკური მდგომარეობიდან ქვეყნის გამოყვანა მოხერხდეს. საზოგადოება ბევრ ახალ სახეს იხილავს ჩვენს პარტიაში... თუ რის გაკეთებას შევძლებთ და რამდენად ანგარიშგასაწიფი ძალა ვიქნებით, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ საზოგადოებას ვპირდებით, რომ ჩვენი პროგრამა თანამიმდევრული და საზოგადოების პრობლემებზე ორიენტირებული იქნება.

პოლიტიკური პარტიების შექმნის მთავარ წინა პირობად, ფსიქოლოგი ნოდარ სარგველაძე პრაგმატულ ინტერესებს მიიჩნევს:

— დემოკრატიულ სახელმწიფოებში, სადაც პლურალისტური საზოგადოება ჩამოყალიბებული, პოლიტიკური პარტიების შექმნის მიზანს, განსხვავებული ხედვებისა და პროგრამების ჩამოყალიბება წარმოადგენს, რაც ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე აისახება... თუ საქართველოში პარტიების შექმნის საპრობლემოდ, პროგრამასა და პრაგმატულ ინტერესებს ავიღებთ, პრაგმატული ინტერესები გადანონის: ლიდერების მთავარი მიზანი — არჩევნებისა თუ რევიოლუციის გზით ხელისუფლებაში მოსვლაა. ამიტომაც, როცა ეს ადამიანები პარტიას აფუძნებენ და აცხადებენ, — ამ გზით ქვეყანა უნდა გადავარჩინოთო, — მათ ჯერ ის უნდა გაარკვიონ, დემოკრატიის ამ პრინციპს რისთვის იყენებენ — ქვეყნის გადასარჩენად თუ — პირადი კეთილდღეობისთვის. შესაძლოა, რამდენიმე პარტიას პროგრამაც ჰქონდეს, მაგრამ ის არა პრობლემების მოგვარებაზე გათვლილი და შინაპარტიული მსჯელობის შედეგად შექმნილი იქნება, არამედ საიდანაღაცაად გამომონერილი. ამ ადამიანებს პრაგმატული ინტერესები და პირადი კეთილდღეობა ამოძრავებთ. დროთა განმავლობაში, პირველობის ამბიცია უჩნდებათ, რის გამოც იშლებიან ან სხვადასხვა პოლიტიკურ გუნდს უერთდებიან... წინა საუკუნის 90-იან წლებში ერთდროულად რამდენიმე პარტიამ წამოიწია წინა პლანზე, მაგრამ მათგან დღევანდლამდე მხოლოდ ედამ-მ მოაღწია, რადგან, სხვებისგან განსხვავებით, მხოლოდ გია ჭანტურისა ჰქონდა პოლიტიკური პროგრამა... მოგვიანებით ჩამოყალიბდა „მოქალაქეთა კავშირი“, რომელიც პარტია კი არა, ათასი ჯურის ადამიანის ნაკრები იყო, მაგრამ მაშინ-დად ქაოსურ პოლიტიკურ რეალობას მაინც მოერგო. საქმე ის არის, რომ პოლიტიკური სურათი დღემდე იგივე რჩება — ვილაცების დაფინანსებით, იქმნება პარტიები. არაფერს ვიტყვი დამ-

ფინანსებლების ასევე პრაგმატულ ინტერესებზე, თუმცა არ შეიძლება არ აღვნიშნო, რომ მავანთათვის ეს — ერთგვარი ბიზნესია, რომელსაც სხვადასხვა მიმართულებით, ხან — წარმატებით, ხანაც — წარუმატებლად იყენებენ... ასეთი ინტერესების გასატარებლად ჩამოყალიბდა თავის დროზე „ნაციონალური მოძრაობაც“, რომლის პარტიად წარმოდგენა შეუძლებელია — ამ ორგანიზაციის წევრებს სტრატეგიული პროგრამები არ აქვთ, მაგრამ პირადი ინტერესები აერთიანებთ... მათგან განსხვავებით, ქრისტიან-დემოკრატებს პარტიის არსებობისთვის აუცილებელი, გამოკვეთილი ორიენტირები აქვთ, ამიტომაც ეს პარტია დროს გაუძლებს. ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარეს „რესპუბლიკელებმა“ და „ლეიბორისტებმა“. მათ თავიანთი სტრატეგიული ხაზი აქვთ, იციან, რაზე დადონ ფსონი და მართკო იმაზე არ ბჭობენ, თუ ვის უნდა მიეკუდლონ.

— რა შეცვალა ამ პარტიებმა ქართულ პოლიტიკურ რეალობაში და რა არის მათი მიზანი?

— პარტიები ადგილობრივი საზოგადოების წევრებისგან შედგება და ამიტომაც, რეალობას მხოლოდ ისეთები მოერგნენ, რომლებმაც ალლო აუღეს რეალობას, ჭკვიანურად გაანალიზეს ფინანსები და ხალხს ის მიანოდეს, რაც სჭირდებოდა. ამასთან, ქვეყანაში პოლიტიკურ ამინდს ის პარტიები ქმნიდნენ, რომლებსაც გამოკვეთილი და ქარიზმატული ლიდერები ჰყავდათ, მაგალითად: „ნაციონალებს“ — სააკაშვილი, უფრო ადრე კი „მრგვალი მკვდარი — თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი — ზვიად გამსახურდია. რადგანაც ქართველი საზოგადოება პროგრამაზე კი არა, ქარიზმატულ ლიდერებზეა ორიენტირებული, ჩვენში პარტიების პროგრამას არავინ კითხულობს, საზოგადოებას ის უფრო აინტერესებს, ვინ ვისთან არის. შესაბამისად, ურავლესობაში ის ხალხი მოდის, ვინც ქარიზმატული ლიდერის გარშემო იკრიბება. თავის დროზე, შევარდნაძესთან იყვნენ: მიხეილ მაჭავარიანი, ხათუნა გოგორიშვილი, გოგა ხაინდრავა... მერე სიტუაციას ალლო აუღეს, მიხვდნენ, რომ შევარდნაძის მმართველობა სრულდებოდა და სააკაშვილის გუნდში გადავიდნენ. ხაინდრავა ვერც იქაურ სიტუაციას მოერგო და ისევ ოპოზიციაში წავიდა. სხვათა შორის, დავით გამყრელიძე და ლევან გაჩეჩილაძეც „მოქავშირის“, „შვილები“ არიან, შევარდნაძის დამსახურებით ჰქონდათ ლეგალური ბიზნესი; ხელისუფლებაში სააკაშვილის მოსვლის შემდეგ ისე თავისუფლად რომ ვერ იმოქმედეს, ამიტომაც წავიდნენ ოპოზიციაში.

— ახლახან საზოგადოებრივი მოძრაობა — „დაიცავი საქართველო“ — ჩამოყალიბდა; ამ მოძრაობის

დამფუძნებელთა თქმით, მათი მიზანია, მუდმივად უკუიწიონ ხელისუფლებას მის შეცდომებზე.

— ეს მოძრაობა ისეთივე დროებითი წარმონაქმნია, როგორც „გაერთიანებული ოპოზიცია“. ოპოზიციას პროგრამა არ აქვს და ლოზუნგი — „მიზა გადადგეს!“ — ვერაფერს შეცვლის. მათ ვერც ის გათვალეს, რომ საპროტესტო მოძრაობას ქარიზმატული ლიდერი სჭირდებოდა. ასეთი ვერ იქნება თინა ხიდაშელი ან დავით უსუფაშვილი... ქარიზმა არ აკლია შალვა ნათელაშვილს, მაგრამ ის მიხეილ სააკაშვილის „მეორე მხარეა“ — ისინი რადიკალურ შეფასებებსა და მონინალმდგის წინააღმდეგ გალაშქრების სტილით ერთმანეთს ჰგვანან; და კიდევ ერთი — ზომიერების გრძნობა არც ერთს არ აქვს...

— არასაპარლამენტო ოპოზიცია შემოქმედებაზე ახალი ძალისხმევით ამოუქმედებს აპირებს.

— მათ ძალიან მცირე შანსი აქვთ. „საქართველო სააკაშვილის გარეშე“ — პარტიის იდეფიქსი არ შეიძლება იყოს. ისინი მხოლოდ ხალხის გულის მოგებაზე არიან ორიენტირებული და მიზნის მიღწევას ხელისუფლების კრიტიკით აპირებენ. გავიგეთ, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ცუდია, მაგრამ ახლა უნდა აგვისხნან, რა შეუძლიათ დაუბიროსპირონ ამ ცუდ სისტემას. სააკაშვილის გადადგომა ქვეყნის გადარჩენის გარანტია არ არის; ოპოზიციამ ხალხს უკეთესი სახელმწიფოს შენების გეგმა უნდა წარუდგინოს, მაგრამ ამის გაკეთების ძალა არ შესწევს. სხვათა შორის, ოდესღაც დიდი შანსები ჰქონდა გამყრელიძეს, მაგრამ თავისი შანსები „დაახურდავა“. შიმშილობა, აქციები და დეპუტატის მანდატზე უარის თქმა მისი ამპლუა არ არის. ამ კაცს ჰალსტუხი უნდა ეკეთოს და პარლამენტში იჯდეს, მაგრამ ამავდროულად, კონსტრუქციულიც უნდა იყოს და შეტყვიც... მიტინგებით ისინი ვერაფერს შეცვლიან, რადგან ეს — სააკაშვილის სტილია. გამყრელიძე და გაჩეჩილაძე კი სააკაშვილს „საკაშვილობაში“ ეჯობებინ და ვერ მოუგებენ.

— საქართველოში კიდევ ერთი პოლიტიკური პარტია ჩამოყალიბდა, რომელსაც ირაკლი ალასანია ჩაუდგა სათავეში...

— არც ამ პარტიას აქვს კარგი პერსპექტივა. ირაკლი ალასანიასა და მისი მომხრეებისგან ახალი და ღირებული არაფერი მოგვისმენია, რის გამოც კიდევ ერთი ახალი პარტიის შექმნა ელირებოდა. ალასანიას უნდა, რეფერენდუმის გზით მიაღწიოს შედეგს და ვადამდელი არჩევნები „გამოკლიჯოს“ ხელისუფლებას ხელიდან... ასე რომ, ერთადერთი, რასაც არასაპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლებას „გამოსძალავს“, — ადგილობრივი არჩევნებია, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს... ■

მოდედი, ჰოპედის მანანა აჩხუაძე-ბაშისაშვილია ჩვენს პლინა

„ამ ოჯახისგან ბევრი რამ ვისწავლე“

„მივდივარ! თავი დამანებეთ! აღარავინ გეყოლებათ დასაკბენი და ინტრიგების მსხვერპლი!“ — ასეთი „სტატუსი“ ამოვიკითხე 21 წლის სოფო ჩიკვილაძის (ფოტომოდელი) საიტ „ოდნოკლასნიკებზე“ და მასთან დაკავშირებაც ვცადე. სოფო საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას რძალი გახლდათ, თუმცა, დაახლოებით ერთი წლის წინ, მასსა და მის მეუღლეს, ცოტნე გამსახურდიას ურთიერთობაში ბზარი გაჩნდა. როგორც ამბობენ, ბზარი, რომელსაც კონფლიქტი მოჰყვა, სწორედ სოფოს სამოდელო კარიერას უკავშირდება...

სოფო ყარალაშვილი

— 12 წლის ვიყავი, როცა პირველად სამოდელო სააგენტოში მივედი... მიუხედავად იმისა, რომ ჩემი ოჯახის წევრები სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ, იმდენად მინდოდა, ამ საქმის კეთება, რომ ამ სფეროში მაინც მოვსინჯე თავი. მალე მივხვდი, რომ საქართველოში იყო წარმატებული მოდელები, არცთუ ისე იოლია, რადგან კონკურსებში, რომლებიც ჩვენთან ტარდება, პირველი სამი ადგილი ყოველთვის იყიდება!

— ოჯახის წევრებს რატომ არ უნდოდათ, რომ შენ ამ სფეროში გემუშავა?

— მეუბნებოდნენ: ოჯახს ვერ შექმნიო... თანაც თუ გინდა, რომ პერსპექტიული და პროფესიონალი მოდელები იყო, შენი პროფესიისთვის თავი უნდა გადადო, არ უნდა გქონდეს შიშველი სხეულის გამოჩენის კომპლექსი!

— შენ გაშიშვლების კომპლექსი არ გაქვს?
— ახლახან შემომთავაზეს ფილმში გადაღება, სადაც შიშველი ზურგი და მკერდის ნაწილი გამომიჩნ-



დღეს უკვე 2 წლის და 4 თვის პატარა მყავს



განმავლობაში ვიყავით, იმ პერიოდში პროექტ „ცხელ კალენდარში“ ვმონაწილეობდი, მან ეს იცოდა და წინააღმდეგობა არც გაუწევია, თუმცა, როდესაც გადაღებული ფოტოები მივუტანე და ვაჩვენე, — მეტი საქმე არ გქონდა, ეს ფოტოები რომ დაბეჭდო?! — ასე მითხრა... ოჯახი რომ შევექმენით, სამოდელო კარიერას თავი დავანებე. მიმაჩნია, რომ ოჯახი კარიერას ხელს უშლის, თანაც მერე ორსულად ვიყავი და დღეს უკვე 2 წლის და 4 თვის პატარა მყავს. ორსულობის შემდეგ ჩვენებაში ჩუმად მივიღე მონაწილეობა, რის გამოც ცოტნესთან ძალიან დიდი კონფლიქტი მომივიდა.

— ამის გამო ხომ არ დადგა თქვენი ურთიერთობა საფრთხის წინაშე?

— არა... როდესაც ცოტნე დიდი ხნით რუსეთში წავიდა, მის ცხოვრებაში გაჩნდა ვიღაც გოგო, რომელმაც მას შვილი გაუჩინა... თავიდან ძალიან განვიცაადე, თუმცა, მერე დავფიქრდი და გავიზარე, რომ ჩვენ გავიზარდეთ, შეგვეცვალა შეხედულებები და... რუსეთში მის ცხოვრებაში ახალი ადამიანები გაჩნდნენ... არავინ იცის, როდის რა შეგემთხვევა... მეც მივდივარ ამერიკაში და რამე რომ მოხდეს, არც ცოტნეს უნდა გაუჩნდეს ჩემ მიმართ პრეტენზია... ერთად აღარ ვართ, მაგრამ თამამად შემძლია ვთქვა, რომ დღეს ჩვენ საუკეთესო მეგობრებად დავრჩით!

— ისე, როგორ დაიწყო შენ და ცოტნეს რომანი?

— ცოტნე სრულიად შემთხვევით, ქუჩაში გავიცანი... მას აქვს რაღაც ისეთი შარმი, რაც ქალებს მასში



ბავშვის გაჩენის დღიდან მანანასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა...

დებოდა. დავთანხმდი, რადგან ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. თუმცა, იცით, რომ ამერიკიდან მოწვევა მივიღე და ამიტომ ამ ფილმზე უარის თქმა მომიწევს...

— სოფო, შენ საკმაოდ ადრეულ ასაკში გათხოვდი და საქართველოს პირველი პრეზიდენტის რძალიც იყავი...

— მე და ცოტნე შეყვარებულები ერთი წლის

საქართველოში შეყვარებული კახელების ამერიკელი სიძე

ძალზე ხიბლავთ... ცოტა უცნაური, ძალიან განათლებული და საინტერესო პიროვნებაა. ერთხელ რომ ვნახე, მეორედ ნახვის სურვილი გამიჩნდა და ბოლოს მივხვდი, რომ მასთან ურთიერთობით რაღაც საზრდოს ვიღებდი. ქუჩაში სეირნობა ლამის 12 საათის შემდეგ უყვარდა, ვსეირნობდით და ვსაუბრობდით ათას რამეზე. მამაჩემს და ბიძაჩემს არ უნდოდათ, რომ ცოლად ცოტენს გავყოლოდი, თუმცა დღემდე არ ვიცი, რატომ. ქორნილი არ გვექონია, მაგრამ ხმაძალა ვაცხადებ: მე ერთადერთი ქალბატონი ვარ, ვინც ცოტენს დედამ რძლად აღიარა!

— ქმარი რუსეთში რომ გაუშვი, ეჭვიანობდი?

— აქ რომ იყო, თავად ეჭვიანობდა... მეტიც, აკონტროლებდა ჩემს ტელეფონში შემოსულ ზარებს... მერე უკვე მე დავიწყე ეჭვიანობა, მიუხედავად იმისა, რომ მისით იწყებოდა და მთავრდებოდა დღე, სულ ვურეკავდით ერთმანეთს და ვუშე-სიჯებდით. შეიძლება, ცოტენს არც ეს იამოვნოს ის, რასაც ახლა ვიტყვი, მაგრამ ჩვენში ასაკობრივი სხვაობა იყო დიდი... იგი ჩემზე 11 წლით უფროსია და ერთმანეთს მამიკოსა და შვილკოს ვეძახდით (იცი-ნის)... ბავშვი რომ დაიბადა, მან ექიმს ხუმრობით ისიც უთხრა — ახლა ორი შვილი მყავსო.

— დედამთილთან, ქალბატონ მანანა არჩვამე-გამსახურდიასთან როგორი ურთიერთობა გქონდა?

— ბავშვის გაჩენის დღიდან მანანასთან არაჩვეულებრივი ურთიერთობა მქონდა... შესანიშნავი დედამთილი იყო! სულ მეუბნებოდა, შენზე ცენხით დაბლა მდგომ ადამიანს თავი არ უნდა გაუყადროო... ამ ოჯახისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე, თუმცა ერთმა დღემ გადანყვიტა ჩვენი ბედი და დავეშორდით ერთმანეთს. სხვათა შორის, შარშან ფოტოსესია მქონდა და ვკითხე მანანას, რომელი კაბა ჩავიცვა-მეთქი? მირჩია და მეც დავუჯერე. მკაცრი ოჯახია, თუმცა თუ მათ ჩარჩოებში მოექცევი, არაჩვეულებრივი ადამიანები არიან. ყველაზე ამაყი ზვიად გამსახურდიას გადმოსვენების დღეს ვიყავი, მაშინ პირველად გავიარე, რომ ჩემი მეუღლე პირველი პრეზიდენტის შვილია!

პ.ს. არ ვიცი, რა რეაქცია მოჰყვება პირველი პრეზიდენტის ოჯახის მხრიდან სოფო ჩიკვილაძის ინტერვიუს. მაგრამ ფაქტია, რომ იგი გულგატეხილი და ნაწყენი ტოვებს მშობლიურ საქართველოს და აქედან მიემგზავრება!



სოფო მინაშვილი

— ამერიკაში, ნიუ-მექსიკოს შტატში, ქალაქ სანტა-ფეში დავიბადე. დედაჩემი მხატვარი იყო, მამა — მოქანდაკე. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როდესაც საცხოვრებლად ვირჯინიის შტატში გადავედი, სკოლის დამთავრების შემდეგ კი მერილენდის შტატში, ბალტიმორის სამხატვრო აკადემიაში ჩავაბარე, სადაც 4 წლის განმავლობაში ვსწავლობდი. იმ პერიოდში მოსკოვის სურვიკოვის სახელობის ინსტიტუტი ძალიან ძლიერი სამხატვრო სასწავლებელი იყო და ამიტომაც, განათლების მისაღებად მოსკოვში გამგზავრება გადაწყვიტე. რუსეთში ცხოვრების დროს (იქ 3 წელი ვიყავი) ხშირად დავდიოდი იქ ჩასული ქართული ხალხური ანსამბლების კონცერტებზე. თქვენმა ფოლკლორმა საქართველოს ნახვის სურვილი გამიჩინა და ქართული ენის შესწავლა დავიწყე. პირველად აქ 1995 წელს ჩამოვედი. მაშინ მხოლოდ თბილისი და მისი შემოგარენი დავათვალიერე, 1996 წელს კი მთელი კახეთი მოვიარე და სიღნაღში პატარა სახლიც შევიძინე. მოკლედ, თქვენს სამშობლოში ქართული სიმღერის სიყვარულმა ჩამომიყვანა. გარდა ამისა, იმ დროს სადიპლომოზე ვმუშაობდი და დასახატავად შესაფერის

საქართველოში ჩამოსვლა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც პირველად მოისმინა ქართული ხალხური სიმღერა. შემდეგ იყო კახური რთველი, ქართული ღვინო, „ქართველი ქალი, თვალებმაყვალა“ და მალე იმასაც მიხვდა, რომ ამ ყველაფრის გარეშე ცხოვრებაც აღარ შეეძლო. 1996 წელს სიღნაღში პატარა სახლი შეიძინა, იქვე საკუთარი სამხატვრო სახელოსნო გახსნა და უკვე რამდენიმე წელია, ქართულ-ტრადიციულ მეღვინეობას მისდევს. როგორია უცხოელის თვალთა დასახული საქართველო და რატომ იქცა ჩვენი ქვეყანა მისთვის მეორე სამშობლოდ? — ამ ყველაფრის შესახებ ამერიკელი მხატვარი — ჯონ ჰინრი ვურდემანი გვიამბობს.

მასალას ვეძებდი. კახეთში პირველად, შემოდგომაზე, ანუ მაშინ ჩამოვედი, როდესაც აქ ბევრი ლამაზი დღესასწაულია. რთვლის დროს მრავალი საინტერესო ჩანახატი და ესკიზი გააკეთე, რაც შემდეგ, ჩემს სადიპლომო ნაშუშევარში გადავიტანე. 1998 წელს, დღეს უკვე ჩემს მეუღლესთან — ქეთევან მინდორაშვილთან დავინერე ჯვარი და მას შემდეგ სიღნაღში ვცხოვრობ. სიღნაღი იმ დროს ძალიან მიტოვებული იყო, დღეს კი ერთ-ერთი ისეთი ადგილია, სადაც ყველას სურს დასვენება. მაქვს პატარა სახელოსნო და ამავედროულად, 3 წელია, მეღვინეობითაც დავინტერესდი. ჩემს მარანს „ხოხბის ცრემლები“ დავარქვი. ეს ღვინო მცირე რაოდენობით, ექსპორტზე ამერიკაში



ქართულმა სიმღერამ დაგაკავშირა. ქეთევანი მღერის, მე კი ყველა მანგერესება, ვინც მღერობა

გამაქვს, საქართველოში კი სულ რამდენიმე ობიექტში იყიდება.

— **თავად, რომელ ღვინოს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ტკბილი ღვინო არ მიყვარს, მხოლოდ მშრალს ვსვამ. უპირატესობას კი „საფერავსა“ და „რქანიტელს“ ვანიჭებ.

— **რამდენადაც ვიცი, ღვინოს დამზადებისას ქართულ ტექნოლოგიას იყენებთ. თავად ამზადებთ თუ ვინმე გეხმარება?**

— მყავს ქართველი პარტნიორი, გამოცდილი მეღვინე. ღვინოს დამზადება ქართველებისგან ვისწავლე და ტრადიციულ, მამაპაპურ ტექნოლოგიას ვიყენებ. ქვევრებს კედლებზე თავლის სანთელს ვუსვამთ და ვცდილობთ, ქიმიური საშუალებები საერთოდ არ გამოვიყენოთ.

— **უკვე დიდი ხანია, საქართველოში ცხოვრობთ. საინტერესოა, როგორ დაასიათებდით ქართველებს?**

— შემოქმედებითი თვალსაზრისით, ქართველი ერი ძალზე ნიჭიერია, მაგრამ ვფიქრობ, ხალხს დამოუკიდებლად აზროვნების უნარი აკლია. ჩემი აზრით, ეს საბჭოთა პერიოდს უნდა დავაბრალდოთ. მჯერა, დროთა განმავლობაში ყველაფერი გამოსწორდება.

— **ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაზე რა აზრის ხართ?**

— მე, რა თქმა უნდა, პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ვფიქრობ, ახალი რევოლუცია ქვეყანას კარგს არაფერს მოუტანს. თუ ვინმეს რამის გაკეთება სურს, უნდა შეკრიბოს საკუთარი თანამოაზრეები, ჩამოაყალიბოს სტრატეგია და რამდენიმე წლის შემდეგ, ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, უნდა დაამტკიცოს, რომ წინამორბედზე უკეთესი რაღაცების გაკეთება შეუძლია. სხვისი კრიტიკა ყოველთვის ადვილია.

— **კახეთის გარდა, კიდეც სად ხართ ნამყოფი?**

— სვანეთში, მთიულეთში, ხევსურეთში, თუშეთში, მესხეთში, გურიაში, აჭარაში, მთიან აჭარასა და სამეგრელოში.

— **ალბათ, ამ მოგზაურობიდან ბევრი რამ დაგამახსოვრდათ...**

— რა თქმა უნდა! იცით, ჩემი მოგზაურობის ძირითადი მიზეზი ამ შემთხვევაშიც, ქართული ხალხური სიმღერა იყო. ჩემთვის ყველაზე საინტერესო იქ ყოფნა გახლდათ, სადაც ლოტბარები ცხოვრობენ და ძველი ხალხური სიმღერის ტრადიციებს დღემდე უფრთხილდებიან.

— **ქართული ხალხური სიმღერებიდან რომელს გამოარჩევდით?**

— „ჩაკრულოს“. ჩემი აზრით, კახური სიმღერები ყველაზე რთული შესასრულებელია.

— **თავად თუ მღერობ?**

— კი, ვმღერი!

— **ქართულად ძალიან კარგად ლაპარაკობთ...**


— ვცდილობ... ქართული ენის შესწავლაში აქ ცხოვრებამ შემინყო ხელი.

— **მხატვრობაში რომელ უანრში მუშაობთ და ქართველი მხატვრებიდან ვინ მოგწონთ?**

— ყველაზე მეტად, ის მხატვარი მომწონს, რომელმაც დავითგარეჯის მონასტრის ფრესკები შექმნა. ქართული მხატვრობიდან ფრესკული და მოზაიკური ხელოვნება მაინტერესებს. თავად კი ძველი ევროპული რეალიზმის მიმდევარი ვარ. ბევრ ქართველ ხატმწერს ვიცნობ, მაგრამ თავად არასდროს მიცდია ხატის დანერა, რადგანაც ამას განსაკუთრებული მომზადება სჭირდება.

— **თქვენი მეუღლე როგორ გაიცანით?**

— ჩვენ ქართულმა სიმღერამ დაგ-



ქეთევანისა და ჯონის შვილები — გვანცა და ლაზარე

ვაკავშირა. ქეთევანი მღერის, მე კი ყველა მაინტერესებდა, ვინც მღეროდა. ალბათ, სწორედ ეს იქცა ჩვენი მეგობრობის საძირკველად, შემდეგ კი ურთიერთობა სიყვარულში გადაიზარდა.

— **საცხოვრებლად სამშობლოში დაბრუნებას სომ არ აპირებთ?**


— ბოლო 12 წელია, აქ ვცხოვრობ და ჯერჯერობით, წასვლას არსად ვაპირებ.

— **რას უსურვებდით ქართველებს?**

— ქართველ ერს იმას ვუსურვებ, რომ მეტად მოუხმინოს პატრიარქს. საქართველო ძალიან ლამაზი ქვეყანაა და თუ მას გაუფრთხილდებიან, ეს თავად ქართველებისთვის იქნება სასარგებლო. ღმერთს შევთხოვ, რომ მშვიდობა იყოს და ქართველ ერს ამოუსნთქვის საშუალება მიეცეს.

არ გაამობრჩეთ! ივლისის ნომერი

თქვენ სოც გამოვხეზიანი
აკითხვალნი ბრკანდაბით...



ბალები პოდიუმზე გველით

ანუ ანგულა მერკელის საჰაერო ქართული ბალები...

28 ივლისს, მერაბ ბერძენიშვილის საერთაშორისო კულტურის ცენტრში, ღია ცის ქვეშ, საგანგებოდ 30 წელს გადაცილებული, ქართველი ქალბატონებისთვის აიგება პოდიუმი, რომელზეც არაპროფესიონალი მოდელები, მაგრამ წარმატებული ქალბატონები გაივლიან; პროექტსაც ასე ჰქვია — „წარმატებული ქალი პოდიუმზე“. ეს გასლავთ ლიკა ყაზბეგის პროექტი, რომელიც წელს მეორედ ტარდება. დევილეს 30 საქმიანი და საინტერესო ბიოგრაფიის მქონე, მომსახლავი ქალი დაამუშვენებს. ღონისძიებამდე ერთი კვირით ადრე, ლიკა ყაზბეგს შევხვდით.

ერთს, არიან... სასურველია, იყოს ძალიან ლამაზი, პოდიუმისთვის შესაფერისი, წარმატებულიც, ტიტულოვანიც. თუმცა მომსახლავი და პოპულარობა უკვე საკმარისია, რომ ჩვენებაზე გამოვიყვანო. თუ ამას დაემატება მისი ტიტულები, სტატუსი — რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება.

— როგორები არიან ქალები, რომლებიც შენს პროექტში მიიღებენ მონაწილეობას?

— ეს ქალბატონები არიან ლიდერები, რომელთაც სამსახურში ხელქვეითები ჰყავთ, მაგრამ რეპუტაციაზე თვალბრუნებით შემოვიცილებენ; მათთან ხმასაც ვიმაღლებ... რა თქმა უნდა, წინასწარ გაავფრთხილებ და ამისთვის პოდიუმზე მოუხსადე. მათი პიროვნებების წინაშე ქედს ვიხრი, მაგრამ ეს დღე რომ ძალიან ლამაზი გამოვიდეს, ამისთვის უნდა დამემორჩილონ.

— და გემორჩილებიან?

— სხვა რა გზა აქვთ?! ამ პროექტის იდეის ავტორი მე გახლავარ. მათ ძალიან უნდათ, რომ საღამო კარგი გამოვიდეს, ასე რომ...

— წელს რა სახელს გვთავაზობ?

— ძირითადად, სტანდარტული ჩვენებაა; გამსხვავებული ის ქალბატონებით იქნება, რადგანაც ყოველწლიურად მასში მონაწილეები იცვლებიან... პითონი სახელად მონტი (10 კგ-ს იწონის და მამრობითი სქესის გახლავთ), თუ შარშან ტანზე ერთ-ერთმა ქალბატონმა შემოიხვია, წელს მას ჩემი დისშვილი, 18 წლის ბაღირინა — თათა ჯამიაშვილი შემოიხვევს, რომელიც თან იცვლებს და მასურებულს საბალეტო ვარიაციას შესთავაზებს.

ასეთი რამ საქართველოში ჯერ არც მინახავს და არც მსმენია — ბალეტი პოდიუმზე, გველით... ამიტომაც, თავად თათას ვესაუბრე, რომელიც ჩემი და ლიკას დიალოგს ესწრებოდა.

მე და თათა, სანამ პითონსა და პოდიუმზე ვიტყვოდით რაიმეს, გერმანიაში წარმატებულად დაწყებულ მის კარიერაზე შევეჩერდით.

თათა ჯამიაშვილი:
— ბერლინში ესწავლობდი, ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი დაავამთავრე და ამჟამად, გრეგორ ზაიფერდის დასის პირველი სოლისტი ვარ.

— ბალეტის ცეკვა გერმანიაში დაინწყე?

— არა, თბილისში, ვახტანგ ქაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ვამთავრებდი და ბოლო კურსზე გერმანიაში წავედი.

— აპირებ კიდევ სწავლის გაგრძელებას?

ლალი შანია

— ლიკა, ბოლო დროს სულ საქმეში ხარ, გამოდებებით რაღაც პროექტზე მუშაობ...

— ასეც უნდა იყოს ადრე (13 წლის წინ), როდესაც მუშაობა დავიწყეთ, სულ 2 სამოდლო სააგენტო არსებობდა. ახლა რატომღაც, 50-ია. არ ვიცი, როგორ არსებობენ ეს სააგენტოები, რადგანაც ვიცი, რა ხდება ბაზარზე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არსებობენ...

— შენ სააგენტო („ლიკა ყაზბეგი“) როგორ არსებობს?

— ჩემი სახელის ხარჯზე. შარშან მივხვდი, რომ ჩემი სახელი კარგად იყიდება...

— რაში გამოვლენდა ეს?

— „წარმატებული ქალბატონების“ პროექტი რომ ჩავატარე, სპონსორი — „ოლიმპიური ვარსკვლავი“ იყო. მას მერე ომი მოხდა, დაიწყო კრიზისი... წელს სპონსორი არც მყავს, მაგრამ ყველაფერი მაინც კრავდება. თვით პროექტი წარმატებული აღმოჩნდა. არადა, ასეთი გრანდიოზული შოუები საქაოდ ძვირი ჯდება.

— „ლიკა ყაზბეგი“ — პროფესიონალური ფსევდონიმა. რეალურად, რა გვარ ხარ?

— ნიკლაური. წარმოშობით ყაზბეგიდან ვარ და ამის გამო დავირქევი „ყაზბეგი“. ეს ფსევდონიმიც მომგებიანი აღმოჩნდა. მეგობრები მესუმრებიან, — ყაზბეგს ხომ გადაარქვეს სახელი, სტეფანწმინდა გახდა; ამ ლოგიკით, ახლა შენ „ლიკა სტეფანწმინდელი“ ხარო. მე ვამბობ, — ჯობია, ისევ „ლიკა ყაზბეგი“ დადარჩე-მეთქი (იკინის). მოკლედ, კომერციულად მომგებიანი სახელის დარქმევა გამომივიდა, თუმცა თავიდან არაფერი გამოთვლია, ყველაფერი თავისთავად მოხდა.

— ახლა ვისაუბროთ პროექტზე „წარმატებული ქალი“.

— ეს პროექტი შარშან პირველად განვახორციელე. გავრისკე და პოდიუმზე 30 წელს გადაცილებული ქალბატონები გამოვიყვანე. ვიფიქრე, ერთი დღით პოდიუმს „თაობას შევუცვლი“ და ვნახოთ, ამით რა



პროექტში მონაწილე ქალბატონები

გამოვა-მეთქი. მომგებიანი პროექტი აღმოჩნდა. ამას ვამჩნევდი და ვკითხულობდი თვით მასურებელთა სახეებზე: აღფრთოვანებულები იყვნენ. რა თქმა უნდა, ამაში დიდი როლი იმ ქალბატონების ტიტულებმა და დამსახურებამაც ითამაშა, რომლებიც პოდიუმზე გამოვიდნენ; მასში ბევრი წარმატებული და ეფექტური ქალბატონი მონაწილეობდა. პროექტი საინტერესო და არაორდინარული იყო. ამიტომაც მოვიგე მასურების გული და შემდგომი მუშაობისთვის სტიმული მომეცა. იმედი მაქვს, რომ პროექტი წელსაც ასეთივე გამოვა. უკვე გადაწყვიტე, რომ ის ტრადიციულად ვაქციო. მსურველთა რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ზოგიერთი თავადაც დამიკავშირდა; ბევრმა საყვედურიც კი მითხრა, — რატომ არ შემეხმინა, არ გაგახსენდიო?! თითოეული ქალბატონი, რომელიც პროექტში მონაწილეობს, გამორჩეულია თავისი ბიოგრაფიით, საქმიანობით, იმდენად, რომ ნებისმიერ მათგანზე ნოველაც კი დაინერება. მათ შორის არიან: პროფესორები, ლექტორები, ბიზნესლედები, ექიმები, დიზაინერები, მუსიკოსები, მსახიობები, ჟურნალისტები და მოხუცებულთა პანსიონატის დირექტორიც კი...

— ქალბატონებს რა კრიტერიუმებით აარჩევ?

— თავის პროფესიაში წარმატებული უნდა იყოს ან — პოპულარული. ძალიან რთულია ასეთი ქალის მოძებნა, თუმცა მადლობა ღმ-

— მინდა, მაგრამ ჯერჯერობით არ ვიცი, ცეკვას სწავლას როგორ შევუთავსებ, რადგან დასში ცეკვის პარალელურად, ძალიან გამიჭირდა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება. საპექტაკლებს ხომ არ გავაცდენდი! ამიტომ მეცადინეობისას ლამეებს ვათენებდი.

— თათა, რატომ აირჩიე ბალერინობა?

— მგონი, ეს ბევრი გოგონას ოცნებაა. თუმცა თავიდან ასე არ იყო. მ წლის ვიყავი, როცა ბალეტის ჯგუფში სრულიად შემთხვევით ჩავირიცხე. ჩემმა მეგობარმა მიჩრია. მეც მივედი, ბალეტზე შესვლას არც კი ვფიქრობდი, მაგრამ რომ მნახეს, ულაპარაკოდ მიმიღეს... მერე, 14 წლის ასაკში, ორი კვირით, ჩემს დასთან, ბერლინში ჩავედი. მოდი, სადმე ხომ არ ვივარჯიშო-მეთქი? — ვიფიქრე და მივედი საბალეტო სკოლაში, ასევე „ფრიდრიხ-შტადლ პალასის“ თეატრშიც; ვივარჯიშე... მერე მითხრეს, — დარჩი ჩვენთანო. მაგრამ არც ენა ვიცოდი და ქვეყანასაც არ ვიცნობდი. უარი ვუთხარი. თავი არ დამანებეს; მინვება გამომიგზავნეს, კონტრაქტი გამიფორმეს — სწავლის დაფინანსებით, სტიპენდიით. რომ არ წავსულიყავი, სისულელე იქნებოდა. თავიდან ბერლინში ვსწავლობდი. იქ ბავშვების სანახავად, გამოცდილი პუდაგოგები ჩამოდიოდნენ. შემნიშნეს და მიმიწვიეს დასში... ეს არის თეატრი-კლასიკა, ვცეკვავთ ნეოკლასიკასაც, მოდერნსაც...

— ისე, როგორი განცდაა, იყო ბალერინა?

— ძალიან რთულია, დღეში შეუსვენებელივც მ-საათიანი ვარჯიში მინევს. იყო შემთხვევები, როცა თან სკოლის სახელით გამოვდიოდი, თან — დასის სახელით და ორმაგი დატვირთვა მიქონდა. აი, სწორედ მაშინ მომიხდა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება.

— როგორც ჩანს, ძალიან გიყვარს შენი პროფესია.

— სცენაზე დგომა საოცრად მიყვარს. შეუდარებელი გრძობაა. ბალეტი ისეთი დარგია, რომ შემიძლია, ცეკვის სხვა უნარშიც მოვსინჯო ძალები, რადგანაც ძალიან მოქნილი ვარ და იმდენად გამჯდარია ჩემში მოძრაობები, რომ თუ დამჭირდა, ვთქვათ, სამეჯლისო ცეკვებზე გადასვლა, არ გამიჭირდება.

— ახლა თბილისში ლიკას ღონისძიებისთვის ჩამოხვედი?

— თბილისში ამჯერად, ცოტა ხანგრძლივი დროით ჩამოვვდი. ალბათ რამდენ-

იმე თვე ვიქნები. პატარა პრობლემები მაქვს — ზურგის კუნთის გადატვირთვა მივიღე. ბოლოს კუნთი ისე მტკიოდა, რომ გამაყუჩებლებით ვცეკვავდი. რაც ვცეკვავ, პაუზა საერთოდ, არ მქონია.

— როგორია ქართველი ბალერინის ცხოვრება ბერლინში?

— თავიდან ძალიან გამიჭირდა, სახლში ყოველდღე ვრეკავდი და ვტიროდი. მერე თანდათან მივეჩვიე, დამოუკიდებელიც გახვდი. არადა, მანამდე მშობლებზე გახლდით დამოკიდებული. სკოლაში მათ დაყავი.

— მოგიყვები იმ დასზე, რომელშიც ცეკვავ...

— აქედან რომ ჩავალ, შეიძლება, იქ ცეკვა აღარ გავაგრძელო — სხვა ქალაქსა და დასში მინდა გადასვლა. საბალეტო კონკურსშიც მინდა მონაწილეობა. მაგრამ ჯერჯერობით მინიპაუზა მაქვს აღებული. როცა გამოვჯანმრთელდები, მუშაობას ახალი ძალებით შევუდგები.

— ლიკამ ტანზე გველის შემოხვევა და პოდიუმზე ასე ცეკვა რომ შემოგთავაზა, მაშინვე დათანხმდით?

— კი, ბევრი არ მიყოყმანია. ჩემთვისაც ხელსაყრელია, რადგანაც ქართველი მაცურებლის წინაშე თითქმის აღარ გამოვდივარ. ახლა კიდევ ერთხელ მეძლევა საშუალება, წარვდგე მის წინაშე და ჩემი ხელოვნება ვუჩვენო.

— რას აპირებ?

— ჩვენებს თავიდან, კლასიკური ცეკვით გავხსნი ანუ ეს იქნება კლასიკური ბალეტი საბალეტო კოსტიუმში. ჩვენების ბოლოს კი პოდიუმზე გველთან ერთად გამოვალ. ჯერ არასდროს მიცეკვია პოდიუმზე და თანაც — გველით. ისე, არც არსად მინახავს, ტანზე შემოხვეულ პითონთან ერთად, ვინმეს ბალეტი ვცეკვავს.

— ეს რთული არ არის?

— კი, მაგრამ სირთულეების დაძლევა მიყვარს. არ მიყოყმანია-მეთქი, ვთქვი, ლიკას მაშინვე დაუთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ გველების საშინლად მეშინია. მაგრამ მე ისეთ რთულ სფეროში ვმოღვაწეობ, რომ ჩემთვის გველი არაფერია.

თათას დედა:

— „ვერ გავაკეთებ, არ შემიძლია“, — ეს სიტყვები ამის ლექსიკონიდან თავიდანვე ამოღებული იყო. პატარაობიდანვე შრომობს, ზაფხულშიც კი არ დაუსვენია. ახლა ზურგის კუნთის გადაღალაც ამიტომ აქვს. გერმანელებმა ყველანაირი პროცედურა და გამოკვლევა ჩაუტარეს, აბსოლუტურად ჯანმრთელია, უბრალოდ, კუნთი აქვს გადაღალი და დასვენება უნდაო. მაგრამ ლიკას რადგან შეჰპირდა, პირობას შეასრულებს და პროექტში მიიღებს მონაწილეობას. გველთან რეპეტიციებს რომ ატარებს, მიჭირს, ჩემს შვილს ვერ ვუყურებ...

— ეს გველი, როგორც ვიცი, ჩვენი ზოოპარკის ბინადარია.

— რამდენჯერმე ვიყავი ზოოპარკში... თავიდან, შეხება არ მინდოდა, მაგრამ გადამკიდეს კისერზე და მითხრეს, — აბა, ახლა შენ მიხედო... მივეჩვიე. პოდიუმზე რომ გამოვალ, კისერზე მე-

ოლება გადაკიდებული, ხელით დავიჭერ მის თავს. მონტი როცა ნაჭამია, საშიში არ არის.



სცენაზე დგომა საოცრად მიყვარს. შეუდარებელი გრძობაა



ჩვენების ბოლოს კი პოდიუმზე გველთან ერთად გამოვალ

ასე რომ, გველებშიც გავერკვიე: ვიცი, რითი იკვებებიან და ა.შ. „პატონი“ მონტი ყველაზე წყნარი და კარგი ხასიათის ყოფილა. ენის ქნევით დამიარა თავიდან, მთელ სახეზე და, როგორც გავიგე, ასე გამიცნო: ის თურმე ენით აწვდის ინფორმაციას ტვინს (არც სმენა აქვს და არც ყნოსვის ორგანო) და ასე ხვედება, ვისაც ის ხელში უჯავია, ნაცნობია თუ უცნობი. შიში უკვე დაძვლიე, თავიდან გული მიფრიალებდა...

— როგორც მითხრეს, თურმე გერმანიაში ანგელა მერკელის ყველა სამთავრობო ღონისძიებაში მონაწილეობ...

— ორი წელია, „ბუნდეს-დასთან“ ერთად, ანგელა მერკელის ღონისძიებებზე მიწვევენ. ფრიდრიხ II-ის სასახლეშიც გამოვდივარ. იქ ჩემთან ერთად, პიანისტსა და ერთ მევიოლინეს ინვევენ... ცოტა ხნის წინ, „ლომას გალერეისთვის“ ფოტოგრაფმა სურათები გადაამიღო. ეს გალერეა მსოფლიოში მოგზაურობს, სულ 11-ია და, როგორც მითხრეს, ჩემი ფოტოების გამოფენა 11-ივეში იქნება. ახლა სურათები დამუშავების პროცესშია და შემოდგომაზე გამოფენენ.

— შეიძლება, ბევრმა იშრომოს, ნიჭიერიც იყოს, მაგრამ არაფერი გამოუვიდეს. რას მიაწერ შენს წარმატებას?

— შრომას. გერმანელებს რაიმე რომ სტკივთ, მინიმუმ ექვსთვიან პაუზას იღებენ. მე ერთი წლის განმავლობაში კუნთი მტკიოდა და არ გავჩერებულვარ; როგორც ჩანს, ჩემში ესეც დაინახეს და დააფასეს...



ანგელა მერკელის სამთავრობო ღონისძიებებზე

როდესაც სამთავრობო მიღებაზე ცეკვა რას განიცდი?

— ძალიან თბილად მხვდებიან, აბლოდისმენტებით მაჯილოდებენ. მერე „პაკ-ლონზე“ სამჯერ გამოეყავარ; ისმის შეძახილები, პოლიტიკოსები ყვავილებს მჩუქნიან... ტაში ანგელა მერკელმაც დამიკრა. ახლა ბერლინიდან რომ მოვდიოდი, ჩემმა მეგობრებმა გამომაცილეს, თაყვანისმცემლები გამომეტირნენ... სულ საკუთარ თავზე კი მიწვეს ლაპარაკი, მაგრამ რაკი მეკითხებით, მეც გაასუფობთ... გერმანელებს ჩემი „ფან-კლუბიც“ აქვთ შექმნილი.

როგორები არიან გერმანელი ახალგაზრდები?

— თავიდან მეგონა, ვერ გავუგებდი და ვერ შევეჩვიოდი უცხოელებს, მაგრამ ერთ-მანეთს კარგად გავუგეთ. ისინი მეგობრულები და უფრო თავისუფლები არიან, ვიდრე — ქართველები. ამიტომ, მათთან შებოჭილი სულაც არ ვარ. ისეთს გიღებენ, როგორც ხარ; რაც უფრო გულღია და მხიარული ხარ, უკეთესია.

გერმანელებს პუნქტუალურბას ადვილად შეეჩვიე?

— კი, არ არის პრობლემა. პუნქტუალურობა მეც მიყვარს. „შტადს ოპერაში“ რომ დაევიგინაო, მიმანია, რომ ეს არაპროფესიონალიზმია...

სოლისტი ბიჭები როგორები არიან? ბალერონებზე ხომ ამბობენ, მოცისფროები არიანო...

— ამ მოარულ აზრს არ ვეთანხმები. ძალიან ვაკვატურები არიან. აბა, ქუჩაში გავიდეთ და ნებისმიერი ბიჭი გავაჩეროთ, ვინ ასწევს და აიტაცებს ქალს ხელში ისე მალა, როგორც ისინი?... დარწმუნებული ვარ, ვერავინ შეძლებს. ბალერონები კი ძლიერები არიან. ბიჭი, რომელიც ჰაერში ამიტაცებს და სცენაზე მატარებს, როგორ გგონიათ, არ არის ძლიერი?! ცისფრები კი არა მარტო ბალეტში, არამედ ყველა სფეროში არიან, ეს ბალეტის ბრალი არ არის...

სცენაზე რაიმე კუროზი არ შეგმთხვევია?

— ამას კუროზს ვერ დავარქმევ, უფრო — „მინიკუროზია“: ფრანკფურტში გასტროლზე ვცეკვაფდი პირველ სოლოს, სპექტაკლში კიდევ ორ გოგოს ჰქონდა სოლო გამოსვლა. ერთ-ერთმა სოლისტმა ფეხი იტყინა. ხელმძღვანელები დარბოდნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ. სპექტაკლი იშლებოდა. მერე ავდექი და იმ გოგონას ნაცვლად მე ვიცეკვე. ასე რომ, ბალანჩინის „სერენადაში“ ორი მთავარი პარტია ვიცეკვე. გამოვიდა, რომ ბალანჩინის ეს შედეგრი იმპროვიზებულად შევასრულე, გადავაკეთე.

ყველაზე მეტად, რომელი ბალეტი გიყვარს?

— თითქმის ყველა: „მომაკვდავი გედი“, „მძინარე მზეთუნახავი“, „დონკისოტი“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“... ეს ბოლო სპექტაკლი გერმანელმა ქორეოგრაფმა — პენდლურმა ჩემთვის დადგა. ყველა ჩემი შესა-

ძლებლობა ანუ სპექტაკლებში რისი შესრულებაც მინევს ხოლმე, ყველაფერი მასში ჩასვა. ამიტომ ამ სპექტაკლის მერე ვკვდები, ისეთი დაღლილი ვარ ხოლმე. ზედმიჯნულად ვა-დე-დე მაქვს.

ასეთი დატვირთული გრაფიკისა და შრომის ფონზე, ბალერონებს კიდევ დიეტის დაცვაც გინევთ, ბევრნაირ საკვებს ვერ იღებთ, არა?

— ჭმას არავინ მიკრძალავს, მაგრამ ძირითადად, ბოსტნეულითა და ხილით ვიკვებები. იმდენ ენერჯის ვხარჯავთ, რომ არ ვჭამოთ, ვეღარ ვიცეკვებთ; უბრალოდ, საღამოს არ ვჭამთ. ტკბილეულსა და ფუნთუშეულზეც გვინევს უარის თქმა.

ჩემ წინ, გერმანულ პრესაში დანერგული რეცენზიები დევის: „თათა ჯაშიაშვილმა ველური ქალის საოცარი სახე შექმნა სცენაზე, მაგრამ ამავე დროს, იმდენად ნაზი იყო, რომ შესებოდი, გეგონებოდა, დაიმსჯეროდა“; „თათა ჯაშიაშვილი ტიტანია“; „თათა ცეცხლია სცენაზე“...

— (იციან) სურვილი მქონდა, „ზაფხულის ღამის სიზმარში“ ველური ქალის, ტყის დედოფლის სახე შემექმნა, რომელიც ყველა მამაკაცს იპყრობდა...

ცხოვრებაშიც ასეთი ხარ? შეყვარებული არ გყავს?

— (იღიშება) შეყვარებული არ მყავს. თუმცა თაყვანისმცემლები უხვად არიან. პირადი ურთიერთობისას ცეცხლოვანი არავისთან ვარ. „ცეცხლოვანი“ იმდენ შემარქვეს, რომ ალბათ იმ როლში კარგად ჩავჯექი, კარგად შევასრულე. ისე, ჯერჯერობით არც მინდა, რომ პირად ცხოვრებაში რაიმე დანიწყოს — საქმეში ხელი შემიშლება...

რა გეგმები გაქვს?

— ჯერ გამოჯანმრთლებას ვაპირებ და მერე, ხომ გითხარი, გერმანიაში რომ დაებრუნდები, მინდა, ევროპის სხვა დასებში ვიცეკვო. ვნახოთ...

წარმატებებს გისურვებ!



ბიჭი, რომელიც ჰაერში ამიტაცებს და სცენაზე მატარებს, როგორ გგონიათ, არ არის ძლიერი?!

თამუნა კვიციანი

— ერთი კვირაა, რაც არასამთავრობო ორგანიზაცია „თბილისური საღამოები“ დავაარსე. მალე ჩვენს დედაქალაქში ისეთი საღამოებს ჩავატარებ, რომლებიც მივიწყებულია — წარსულისა და თანამედროვეობის შერწყმა მოხდება. მკვდარია ის ადამიანი, რომელიც მხოლოდ წარსულით ცოცხლობს და ისიც, რომელიც წარსულს ივიწყებს. ახლა ყველაფერს „ფართის“ ეძახიან. არადა, გვაქვს მშვენიერი სიტყვა — „წვეულება“. „ჩოხა-ფართი“ რა უბედურებაა? ეს ჩოხის რეაქციოფა და „ფართის“ მასხრად აგდებაა. თუ სიტყვით დანეჭებული, ქმედებით დამთავრებული, სხვას მივბაძავთ, როგორც ერი, ვეღარ ვიარსებებთ, დავიღუპებით. პირველი „თბილისური საღამო“ ტრანსპორტის ძველ და ახალ მუშაკებს, ასევე, უსინათლოებს მიექვლივება.

„თბილისური საღამოები“ რამდენ ხანში ერთხელ გაიმართება?

— ვფიქრობ, რომ თვეში 2 საღამოს ჩავატარებთ.

ამ ახალ წამოწყებაში წარმატებას გისურვებთ! აქვე შეგახსენებთ, რომ ჩვენი შეხვედრის თემა დასვენებაა...

— ბავშვობაში მშობლებს დასასვენებლად მანგლისსა და წყნეთში დავყავდი. როცა 4 წლის ვიყავი, მამა ციმბირში გადასახლეს. დედა კი დასასვენებლად რამდენიმე დღით, ბიძაჩემთან, კოჯორში თუ გამიშვებდა. მძიმე ბავშვობა მქონდა. პურის ფულის შოვნაც ჭირდა, დახეული შარვლით და ფეხსაცმლით დავდიოდი. იმ პერიოდის გახსენება არ მიყვარს, მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომელთა გაკეთებული სიკეთეც დღემდე მასსოვს. მინდა, ჯუშბერ ბერაქე და მისი ოჯახი გავისხენო. მამამისი — მიტო ბერაქე ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი იყო. როცა ჯუშბერს ახალ შარვალს შეუკერავდა, ბიჭი სამოსს ძალით ხედა და ამბობდა: ამ შარვალს მე აღარ ჩავიცვამო, მერე კი მე მჩუქნიდა. ბოლოს, მამამისი ეშმაკობას მიუხვდა და იმ დღის შემდეგ, ჩემზე როგორც საკუთარ შვილზე, ისე ზრუნავდა.

იქნებ, ის ზაფხული გაიხსენოთ, როცა ძმაკაცებთან ერთად დასასვენებლად პირველად წახვედით...

— ზაფხული არა, ზამთარი იყო. ვიდრე ამ ამბავს გავისხენებ, მამაზე კიდევ რაღაცას გიამბობთ: გადასახლებაში 6 წელი გაატარა. როცა ჩამოვიდა, 10 წლის ვიყავი და მისი სახე ბუნდოვნად მახსოვდა. ღამის 3 საათზე დედამ გამაღვიძა: — ადექი, მამაშენი ჩამოვიდა. სანოლიდან წამოვხტი და სირბილით ჭიშკრისკენ გავიქეცი. კართან კაცი იდგა. — მამა-მეთქი, — დავივირე და კისერზე მოვხვებე. ვკოცნიდი, ვფერებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ თავად მამასავით არ მეფერებოდა. თურმე,

პარდი — შეყვარებული ისთვის, მეგობრისთვის ნასროლი გოგო და გივი სიხარულიძის „თბილისური საღამოები“

თითოეული ჩვენგანისთვის ზაფხული დასვენებასთან და ახალ თავგადასავლებთან ასოცირდება. როგორ და სად ისვენებდნენ ცნობილი ადამიანები, როგორ იხსენებენ წლების წინ თავს გადახდენილ ამბებს და საკურორტო რომანებს? — ამ თემაზე სასაუბროდ მსახიობ გივი სიხარულიძეს დაფუკავ- შირდით. შეხვედრის დროს ჩვენი დიალოგი „თბილისური საღამოებით“ დაიწყო.



ჩემდამი გულგრილი არც ის იყო, მაგრამ თანამდებობის პირის შვილი გახლდათ და დედამისი კარგი თვალთ არ მიყურებდა

ჩვენს კართან ვილაც მგზავრი მდგარა. ის მიხვდა, რაც ხდებოდა და ცრემლები წამოუვიდა. მოულოდნელად, მის ზურგს უკან მდგარი, წვერიანი მამაკაცი შევნიშნე, რომელსაც დაბამბული ქურთუკი და ჩემქები ეცვა. მიხვდი, სწორედ ის იყო მამაჩემი და მისკენ გავიქეცი. ერთმანეთს ჩავეფუტეთ... სხვათა შორის, ამ შეხვედრას მოთხრობაც მიეუძღვენი.

ახლა, რაც შეეხება დასვენების თემას. დიდი წვალეების შემდეგ, მამამ ბაკურიანის 3-მანეთიანი საგზური მიშოვა. დასასვენებელ სახლს „ბურევესტნიკი“ ერქვა. განაპირა ადგილი იყო, ღარიბული, ფიცრული სახლები იდგა. მამამ 5 მანეთი მომცა და მითხრა: შვილო, არაფერი მოიკო და იქნებ, ამ ფულიდან იმდენიც დაგრჩეს, რომ დედაშენს და დას თბილი წინდები ჩამოუტანო. 5 მანეთი გამოვართვი. თან, ვფიქრობდი, — როგორ უნდა მეყოს, „ფოკუსნიკი“ ხომ არა ვარ-მეთქი?! მაგრამ მამას თხოვნა მაინც შევესრულე.

ბაკურიანში ის დღეები როგორ გაატარეთ?

— იქ ჩემნირი ბიჭები ბევრნი იყვნენ და დავმეგობრდით. იმ პერიოდში ბაკურიანში ისვენებდა გოგონა, რომელიც ძალიან მიყვარდა. ჩემდამი გულგრილი არც ის იყო, მაგრამ თანამდებობის პირის შვილი გახლდათ და დედამისი კარგი თვალთ არ მიყურებდა. ისინი ბაკურიანში პრესტიჟულ სასტუმროში ცხოვრობდნენ. ნანას დაბადების დღე ჰქონდა. დედამისმა თანატოლები დაუპატიჟა, მე — არა. შემთხვევით, ნანას და დედამისის დიალოგს მოვკარი ყური. გოგონა ეუბნებოდა — დაბადების დღეზე გივიც უნდა დაგვატიჟო. — გაგიჟდი? მაგას მამა გადასახლებული ჰყავდა, მამაშენი კი რაიკომის მდივანი და ვინ უნდა დაპატიჟო?.. ჰოდა, ნანამაც დედას წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ბორჯომში მშაკაცი მყავდა — დათო ჩადუნელი, მას დაფურეკე და ვთხოვე, სადმე ერთი ცალი ვარდი ეშოვა და ბაკურიან-

ში ამოეტანა. ცუდი ამინდი იყო, იმ საღამოსვე ამომიტანა ვარდი „გრუზავიკით“. ღამის 9-10 საათისთვის, პატარა მეგობრებთან ერთად, იმ სასტუმროსკენ გავეშურე, სადაც ნანა ისვენებდა. შენობას მივუახლოვდით თუ არა, დავინახეთ იოსებ ნონეშვილი, ირაკლი აბაშიძე და რაიკომის 2 თანამშრომელი ერთად სეირნობდნენ. რატომღაც, იოსებ ნონეშვილი ჯგუფს ჩამორჩა. იმწამსვე მისკენ გავიქეცი და შეეძახე: — „დიდო მგოსანო!“ — „რა იყო, შვილო, რამ შეგანუხა, გენაცვალე?“ — გამიღიმა და ჩემს მოსასმენად მოემზადა. — „ერთი გოგო მიყვარს, დღეს მისი დაბადების დღეა...“ ბატონმა იოსებმა სიცილი დაიწყო და იმდენი იცინა, რომ სული ვეღარ მოითქვა. ბოლოს, ძლივს წარმოთქვა: — მერე, მე რაში გჭირდები? — გეხვეწებით, გამომყევით, კარზე დაუკაკუნებ, ამ ვარდს ვაჩუქებ და მინდა, თქვენთან ერთად დამინახოს-მეთქი, — სხაპასუხით გავუხილე ჩემი სურვილი. — წამოდიო, და წინ გამიძღვა. თოვს, ციდან ვეებერთელა ფანტელები ცვივა. კარი დედამისმა გაგვიღო, ნანაც გვერდით ედგა. ჩემმა სასიდედრომ ნონეშვილი რომ დაინახა, შეცბა. — ჩემო ნანა, — მივმართე შეყვარებულს, — დაბადების დღეს გილოცავ. ჩემგან საჩუქრად მიიღე ეს ვარდი, პოეზია და პირველი თოვლის ფიფქები-მეთქი. მერე დათოვი, დიდი ხელისგული ლოყაზე მოვუსვი, სწრაფად შემოვბრუნდი და გამოვიქეცი. — შვილო! სად მიდიხარ?! — მეძახდა იოსები, მაგრამ უკან აღარ მივბრუნებულვარ. იმ დღის მერე იოსებ ნონეშ-

ვილი ძალიან შემეყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ მე და მისი ვაჟი — სანდრო დავმეგობრდით, მამამისს ყოველთვის გავურბოდი, მისი მრცხვენოდა.

ნანამ რა გითხრა?

— ნანას ვუყვარდი და რა უნდა ეთქვა?! ეს ამბავი მთელმა სკოლამ გაიგო. ერთხელ ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელმა თავისთან მიხმო და მითხრა — ბიჭო, შენ რა გმირული და რაინდული საქციელი ჩაგიდენია, თანაც — პოეტური (იციინი)... ეს სიყვარული ბავშვობაში დარჩა. დედამისი რომ არა, ამ სიყვარულს შეიძლება, მომავალიც ჰქონოდა. იმის შემდეგ თანამდებობის პირები მეჯავრებიან... ახლა, რაც შეეხება ზღვაზე დასვენებას. ერთხელ გაგრამში მიშვიკო ქორქიასთან ერთად ვისვენებდი. კალათბურთში ოლიმპიური ჩემპიონი იყო და კომიტეტისგან თვეში 250 მანეთს იღებდა. ფული, რომელიც თბილისიდან წავიღეთ, 5 დღეში შემოგვეხარჯა და რალა უნდა გვექნა? გამოსავალი მალე ვიპოვეთ — დამსვენებლებთან კალათბურთის თამაში დავიწყეთ ფულზე. მთელი ერთი თვე თავი მოგებული ფულით გავიტანეთ. მიშა კალათში ბურთს შუა მოედნიდან აგდებდა.

მას ვერ ცნობდნენ?

— 2-3 ბურთს რომ ჩააგდებდა, მერე კი ცნობდნენ, მაგრამ გვიან იყო, პირობა





დადებული ჰქონდათ და სიტყვას ხომ აღარ გატყდნენ? ყოველ საღამოს რესტორანში ვეჭვიფობდით.

— და საკურორტო რომანსაც აბამდით, არა?

— 16 წლიდან მოყოლებული, ზღვის და მთის კურორტები არ დამიკლია. მთელი ცხოვრება „გრიალიში“ გავატარე. გემზე, რესტორანში, ხმელეთზე, წყალში — სადაც კი ლამაზი გოგო იყო, ყველა ჩემი გახლდათ. მე კი არ ვაქტიურობდი, თავად არ მასვენებდნენ. 16 წლიდან წყლის თხილამურებით სრიალი დავიწყე, მაშინ ეს ბევრს თვალისაღწევი არ ჰქონდა ნანახი და გოგონები გიყვებოდნენ.

— ხომ აღიარებთ, რომ გოგონების გულისთვის თქვენც არაერთი სიგიჟე ჩაგიდენია?

— აბა რა! ამაში დასაძალი არაფერია. ერთხელ მოსკოვში მეგობარ ბერდიასთან ერთად ვარ, რესტორან „ლაბირინთში“ მაგარი პურმარილია გაშლილი. ვცეკვავ, ჩემ ირგვლივ კი უამრავი ლამაზი გოგო ტრიალებს, ერთიმეორეზე უკეთესები არიან. იმ რესტორანს 2-იარუსიანი დარბაზი ჰქონდა. ჩვენ ამ გოგონებთან ერთად მეორე სართულზე ვიყავით. უცებ დავიინახე, დარბაზში ჩემი მეგობარი — ამირან დუშაძე მეგობრებთან ერთად შემოვიდა და ისინი სართულზე ერთ-ერთ მაგიდას მიუხსდნენ. ამირანმა ამომძახა, — არ გრცხვენია? შენ და ბერდია ამდენ გოგოსთან ერთად ზიხართ, ჰოდა, რა მოხდება, ერთი გოგო რომ გვაჩუქო. — ვინც არ გაჩუქოს, იმისი დედაც-მეთქი, ერთ გოგოს ხელი დავტაცე და II სართულიდან ვესროლე. მანძილი 4 მეტრამდე იყო. კიდევ კარგი, დაიჭირა, მაგრამ დაჭერისთანავე ნაიქცა და ის გოგო ზემოდან დაეცა. ბერდიამ ეს რომ დაინახა, სხვა გოგოს დასტაცა ხელი და ისიც II სართულიდან ისროლა. ვისაც ესროლა, ის მათემატიკოსი გახლდათ, ფეხზე ძლივს დგებოდა და გოგოს დაჭერის თავი სად ჰქონდა? ჰოდა, იმ საცოდავს ორივე ფეხი მოსტყდა — ხომ შეიძლება, გასცლოდა, მაგრამ ქალი არ განირა, ვაჟკაცი იყო.

— ექსტრემალური გართობის დროს სერიოზული საფრთხის წინაშე არასდროს აღმოჩნულხართ?

— თოკის კისერზე შებმა და წყლის თხილამურებით სრიალი ძალიან საინტერესოა. ერთხელ ბოდრუმში მეგობარ ვაჟა კახიანთან ერთად ვისვენებდი. ვაჟა პროფესიით ექიმი. წყლის თხილამურებზე დავდექი, სრიალი დავიწყე. სისწრაფე ავკრიბებთ თუ არა, თურქს ნავის მოტორი ჩაუქრა. მეც ნელ-ნელა წყალში ჩავეშვი, მაგრამ თოკისთვის ხელი არ

გამიშვია. იმ თურქს ეტყობა, ჩემი არსებობა დაავიწყდა, მოტორი დაქოქა და ნავი ადგილიდან მოწყვიტა — თოკმა უეცრად გამკრა და მალა ამომიგდო. წყლიდან ძლივს ამოვედი და ვაჟას ვაგძახე, — მიშველე, ვკვდები-მეთქი. სამინლადა მტკიოდა. ხელით გამსინჯა და მითხრა: მე-5 და მე-6 მალეებს შორის ამოვარდნილობა გაქვს, არ გაინძრეო და უეცრად, ტკაცანის ხმა გავიგონე — მალეები წამში ჩამისვა. ერთხელ კოხტაგორის მთიდან თხილამურებით დავენეში და 300 მეტრი ვიფრინე. ყოველ წუთში ველოდი, რომ ხერხემალში გადავტყდებოდი, მაგრამ არაფერი მომივიდა, გადავრჩი: თხილამურებთან და ქალებთან დაკავშირებით ჩემი ერთი სიგიჟე გამახსენდა და ამასაც გიამბობთ. მაშინ ბაკურიანში ვისვენებდი, თხილამურებით მორიგი დამუშავების დროს შუა ტრასაზე კაკო შევარდნაძე დავინახე. ის რუსეთის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის ქალიშვილს, ულამაზეს გოგოს ელაპარაკებოდა. მე გიჟივით მივქერი. მივუახლოვდი თუ არა, დავიყვირე, — „კა-კოოოო!!!“ ახლოს ჩაუჭეროლე, არ შევჭერებულვარ, იმ გოგოს ხელი ჩავავლე, მხარზე შევისვი და გავიტაცე. მივქრით ორივე და უცებ, მხარზე სისველე ვიგრძენი. იცი, რა მოხდა? — იმ გოგომ შიშისგან დამაფსა. უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩამეყენებინა, არაფერი შევიძინე და ბოლომდე რომ ჩავსრიალდით, გამოვაცხადა: მსოფლიოში ყველაზე ლამაზი გოგო ჩემს მხარზე იჯდა-მეთქი. — მეორედ დავიბადა, ცოცხალი თუ გადავრჩებოდი, არ მეგონაო, — მითხრა რუსის გოგომ, მერე კი გადამეხვია და გადამკოცნა, მეც ვაკოცე...

— თუ არსებობს ქვეყანა, რომელშიც მოგზაურობა დღემდე ვერ მოახერხებთ?

— 117 ქვეყანაში ვარ ნამყოფი, ზოგიერთგან 15-ჯერ, მაგრამ იაპონიაში

არასდროს ვყოფილვარ. პირველად, როცა ამის შანსი გამიჩნდა, საგზური ჩემს დასდავთმე, მერეც არაერთხელ მქონდა ამ ქვეყნის მონახულების შესაძლებლობა, მაგრამ ყოველთვის ავიცილე თავიდან. რატომ? — არ ვიცი.

— 117 ქვეყნიდან გამორჩეულად რომელი დაგამახსოვრდა?

— არგენტინა. ბუენოს-აირესი საოცარი ქალაქია, სიმწვანეში ჩაფლული. როი-დე-ჟანეროც ძალიან ლამაზია და სან-ფრანცისკოც მომეწონა. ლამის ლას-ვეგასმა გამაოცა.

— სამზარეულოს თემსაც შევეჩოთ. სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობისა და დასვენების დროს, ბუნებრივია, მათ ეროვნულ კერძებსაც აგემოვნებდით.

— ახლა მეტიწარა ქართველები ერთმანეთს ჩინურ რესტორანში ეპატიჟებიან, — მოდი, მოლუსკები გადავცლაბოთ, გველი ვჭამოთო. მძაგს ეს ყველაფერი! მე ქართული სამზარეულო მიყვარს, რუსული — მომწონს, ხოლო ფრანგულ აყროლებულ ყველს იმერული მირჩენია.

— ვგზობიერებთ კერძები არასდროს გაგისინჯავთ?

— გამისინჯავს. პირველად ჩინურ რესტორანში რომ შემეიყვანეს, ზრდილობის გამო რამდენიმე ლუკმა შევჭამე, თან, ღმერთს ვვედვარებოდი, — აქედან ცოცხალი გამეყვანე-მეთქი.

— რას მიირთმევდით?

— რა ვიცი, რა იყო — ერთმანეთში არეული ლოკოკინები, კიბორჩხალები და ათასი უბედურება. სახლში რომ მივედი, 2 დღე საქმელი აღარ მიჭამია. თანაც, იმ რესტორნის სუნი ვერაფრით მოვიშორე. განა, შეიძლება, ის სუნი ქართული მწვადის სუნს შეადარო? ქართულ მინაზე მოყვანილი კიტრი და პომიდორიც კი გემრიელია.

— წელს დასვენებას სად აპირებთ?

— ჩემს შვილს ქობულეთში სახლი აქვს. ასე რომ, ცოტა ხანში ზღვის სანაპიროზე გავემგზავრები.

— ბედნორ დასვენებას გისურვებთ!

— გმადლობთ.



არ შევჩერებულვარ, იმ გოგოს ხელი ჩავავლე, მხარზე შევისვი და გავიტაცე

„კაბარეს დირექტორი“ კუს ტბაზე ისვენებს

მსახიობი მალხაზ ძვრივიშვილი ქართველ მაყურებელს დავინწყობის საშუალებას არ აძლევს. მისი მონაწილეობით გადაღებული სერიალები 3 ტელეარხზე გადის: ერთზე — „ძილის წინ, მეორეზე — „ასა“, მესამეზე — „კაბარეს“ ახალი სერიები. „კაბარეს“ გადაღებები ახლახან დასრულდა, მალხაზიც დასვენებას უკვე „მიეჩვია“: ბევრ დროს კუს ტბაზე ატარებს და საყვარელ ადამიანთან ერთად, მზეს ეფიცება. ინტერვიუს განმავლობაში, სოფო ტბაში გრილდებოდა, დროდადრო კი ნაპირთან მოცურდებოდა და ჩვენს საუბარს ყურს უგდებდა. მალხაზი ღიმილით აღნიშნავდა მასზე — „რუსალკააო“...



ეთო ყორანაშვილი

— იცი, როგორ ხდება? როცა დილით ადრე ადგომას და სადღაც წასვლას ხარ მიჩვეული, დასვენების პერიოდშიც გგონია, რომ სადღაც გქჩაჩებოდა. დაახლოებით, 3 დღის განმავლობაში ასე გრძელდება, მერე კი ხვდები, რომ მართლა ისვენებ. საქართველოს ტერიტორიაზე დასვენება ძალიან მიყვარს, მაგრამ თუ მოვახერხებ, ამ ზაფხულს თურქეთს ვესტუმრები — იქ არასოდეს ვყოფილვარ. ამაჟამად, კუს ტბაზე ვეფიცები მზეს. ბავშვობიდან მიყვარს აქ მოსვლა, ნათი, ველოსიპედიტი სეირნობა, მთაზე ასვლა, ჰაერი... ალბათ ცოტა ხანში კუს ტბაზე უფრო კარგი სიტუაცია და მეტი კომფორტი იქნება, თუმცა თავს ახლაც გადასარეყად ვგრძნობ. ჯერჯერობით, ვისვენებ და ახალ პროექტებს ველი, რომლებზეც წინასწარ არ ვლაპარაკობ — წინასწარ რაღაცის თქმა არ მიყვარს. თეატრში სეზონი არაა, „კაბარეს“ გადაღებები ახლახან დასრულეთ...

— მოკლედ, ქართული ეატრადის წარმომადგენლები „კაბარეს“ მომლერლებად აქციეთ.

— შევეცადეთ, პროექტში ქართველი მომლერლები ჩაგვეერთო და ამ მხრივ, სერიალი უფრო მრავალფეროვანი ყოფილიყო. რეჟერტუარს თავად ირჩევდნენ — ვცდილობდით, არ შეგვეზღუდა. ისე, ყოველთვის ვურჩევდით, რომ საკუთარი თავი მაყურებლისთვის ახალ ამბულაში წარედგინათ. გვყავდა ცოცხალი ბენდი, რომა რცხილადის ხელმძღვანელობით.

— ცოცხალი შესრულების გამო „კაბარეში“ მოსვლაზე რომელიმე მომლერალს უარი ხომ არ უთქვამს?

— არა. უარის მიზეზი ან მოუცლელობა იყო, ან — ის, რომ ქალაქში არ იმყოფებოდნენ, თორემ თამამად მოდიოდნენ და მღეროდნენ. რეპეტიციის გავლის საშუალება ჰქონდათ. სიამოვნებას თავად იღებდნენ.

— „კაბარეს მუბატორებს“, თუ მოგწონდათ მათი ნამღერო?

— მომწონდა და საერთოდ ქართული ესტრადა ძალიან მიყვარს, მაგრამ ხომ იცი, როგორაა? ზოგი მოგწონს, ზოგი — არა... მომღერლებს ყოველთვის ვეულმემატიკრობდი. მათ შორის, ბევრი ახალგაზრდა, დამწყები იყო. მსახიობებთან ერთად მომღერლების თამაში სერიალში კარგად ჩავრთეთ. საბოლოო ჯამში, ვფიქრობ, რომ პროექტმა გაამართლა: საინტერესო კომედიური სერიალი გამოგვივიდა. შემოქმედებით გუნდს დიდი მნიშვნელობა აქვს. ბევრი ნიჭიერი ადამიანი შეიკრიბა. მაგალითად, პაატა გულიაშვილმა ძალიან კარგი პერსონაჟი შექმნა. სერიალს რომ ვუყურებ, პაატას გმირზე ვისახლავ — სასაცილო პერსონაჟია.

— თქვენს გმირზე — არა?

— რავე, ჩემს თავზე არ მეცინება ხოლმე. ისე, ყველაზე სასაცილო მომენტები კადრს მიღზ დარჩა. ის „პრიკოლები“ რომ ინახებოდეს, უფრო მაგარი იქნებოდა. სერიალში კიდევ ბევრი საინტერესო პერსონაჟია. ევა კახიანის გმირი — გოზალა ძალიან სასაცილოა.

— თქვენი და ევა კახიანის პერსონაჟები ყველა სერიალში ერთმანეთს ექაშებებიან.

— სინამდვილეში, გადასარევი ურთიერთობა გვაქვს. ინსტიტუტიდან ერთად მოვდივართ, მუსიკალურ ტექნიკუმშიც ერთად ვსწავლობდით, მეზობლები ვიყავით... კარგი მეგობრები ვართ.

— ზოგჯერ მეგობრებიც ხომ ჩხუბობენ? მით უმეტეს, გოზალამ იმდენი სალანძღავი სიტყვა იცის...

— არა, ევასთან მართლა არასოდეს მიჩხუბია, გოგოლასთან — კი.

— გოგოლასთან — რატომ?

— ნუ, ალა, ცოლის როლს თამაშობდა და (იცინის)... სერიოზულად — არაფერზე.

გოგოლა გადასარევი პარტნიორია. ერთმანეთს ძალიან მიეჩვიეთ. რომელიმე პროექტში ცალ-ცალკე რომ მივიღოთ მონაწილეობა, ვერც წარმომიდგენია — თავს ეულად ვიგრძნობ.

— ამ ბოლო დროს, ქართველ ტელემაყურებელს დავინწყობის საშუალებას არ აძლევთ: „იმედზე“ გადის „ძილის წინ“, „მზეზე“ — „ასა“, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“ — „კაბარე“...

— ამასთან დაკავშირებით, ცოტა არ იყო, მეცინება ხოლმე. რა თქმა უნდა, ეს ჩემი „ბრალი“ არაა — ეტყობა, მოსწონთ და იმეორებენ.

— სერიალის — „ძილის წინ“

ერთერთ ძველ სერიაში თქვენს გმირს დილით ცოლმა უსაყვედურა: იმის ნაცვლად რომ მომეფერებოდი, მივიღე ლამე მწვანე ვაშლს ახრამუნბდიო. ხლი სინამდვილეშიც ასე ძალიან გიყვარს?

— ასე ძალიან — არა (იცინის). ქალის ალერსზე მეტად, ამქვეყნად არაფერი მიყვარს, ოღონდ — საყვარელი ქალის!

— რა ხდება თქვენს პირად ცხოვრებაში?

— მყავს საყვარელი ადამიანი, რომელთან ერთადაც ვცხოვრობ. არც ჯვარი გვაქვს დანერილი და არც ხელი მოგვიწერია, ამიტომ ოფიციალურად ვერ ვაცხადებთ, რომ მეუღლეები ვართ, მაგრამ „მეუღლეები“ იმას ნიშნავს, რომ ერთად გასწიონ ჭაპანი და ერთმანეთს დაესმარონ; ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, მეუღლეები ვართ. ერთად ყოფნა გვიხარია. მყავს 2 შვილი: 16 წლის ლიკა და 3 წლის ლუკა. ლიკა მოდებობს. ამ საქმეს სერიოზულად ეკიდება. მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და როგორც შემიძლია, დავცხმარებ. ერთმანეთთან ვმეგობრობთ. მკაცრად მოყრობა არ მიყვარს. „სახლში გვიან არ მოხვიდე“ და მსგავსი რაღაცების თქმა, არ მჩვევია. ერთმანეთს თუ გავფურთხილდებით და ვენდობით, ძალიან მაგარი იქნება. ტყუილი ვერ ვიტან ვერც შვილთან, ვერც საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისას... საერთოდ, პირად ცხოვრებაზე პრესასთან არ ვლაპარაკობ ხოლმე.

— ქართულ პრესას თუ ეცნობთ?

— ერთი პერიოდი, ბევრი ახალი უურნალი გამოვიდა და გატაცებული ვიყავი მათი კითხვით. სიმართლე გითხრა, ახლა ისე აქტიურად აღარ ვეცნობი. სამაგიეროდ, დედაჩემი ჩემზე გამოქვეყნებულ ყველა მასალას აგროვებს.



ევასთან მართლა არასოდეს მიჩხუბია, გოგოლასთან — კი

შარში გაყოფიდი თავი და დასჯის სახადისო მეთოდები

„გამოცდაზე გასვლის ყოველთვის მაგინოდია...“

„ისეთ დროში გავიზარდე, როცა ადამიანები წიგნების როგორ იდგნენ და შესაბამისად, ამა თუ იმ ნაწარმოებშია დიდი ინტერესიც დიდი იყო“, — იხსენებს მომღერალი მამუკა ონაშვილი და აღიარებს, რომ წლების წინ გაცილებით აქტიური მკითხველი იყო, ვიდრე დღეს არის. კითხვას მშობლებმა მიაჩვიეს. ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს, მაგრამ ბიბლიოთეკიდან გამოტანის შემდეგ უკან დაბრუნება ბევრჯერ დავიწყებია, რისთვისაც სერიოზულად დაუტყუქავთ. კითხვაზე — სკოლაში ყველაზე მეტად რომელი საგანი გიყვარდა? დაუფიქრებლად მპასუხობს: — სიმღერა და ფიზიკულტურა. კიდევ ბუფეტში შესვლა მიყვარდა ძალიან, ხოლო გამოცდაზე გასვლის ყოველთვის მეშინოდაო.



თამუნა კვინიკაძე

პრეზიდენტის მამუკა

— მამუკა, შენს „მხიარულ ოჯახში“ რა ხდება?

— აგვისტოში დავისვენებთ. მუშაობას 10 სექტემბრიდან დავიწყებთ. ეს გადაცემა ჩვენმა პატარა (და დიდა) მაყურებლებმა კარგად მიიღეს.

— სტუდიაში მყოფ ბავშვებზე რას გვეტყვი, მათი შერჩევა როგორ მოხდა?

— ტიკტიკა ბავშვები შევარჩიეთ. ისინი ჩემთან ურთიერთობასაც იოლად ახერხებენ და სტუმრებთანაც ბოლომდე იხსნებიან, იმ კითხვებს სვამენ, რომელიც უჩნდებათ. ამჟამად, 20 ბავშვი გვყავს და მათ 2 ჯგუფად ვყოფთ.

— ოჯახების მოყვანა არ გიჭირს? თავზე წყლის დასხმა სასიამოვნო პროცესი ნამდვილად არ არის.

— ეს შოუა, რომელსაც „მამიკოების შოუს“ ვეძახი. ისჯება ის, ვინც შვილს კარგად არ იცნობს. მამები მსაყვედურობენ, — წყალი რად გვინდა, ღვინო მაინც ჩაგვისხნო. შეიძლება, მომავალში უცნობი ოჯახებიც მოვიწვიოთ და დასჯის მეთოდებიც შევცვალოთ.

— უფრო გაამკაცრებთ?

— არა, უფრო სახალისოს გავხდით.

— ქართველთა რომელ ბრძოლაში მონაწილეობდნენ ჯვაროსნები?

— დიდგორის ბრძოლაში.

— რა ჰქვია გზას, რომელზეც ციური სხეულები მოძრაობენ?

— არ ვიცი.

— ორბიტა. სადაური ცეკვაა „მაზურკა“?

— პოლონური.

— რა სახელს ატარებდა მეტროსადგური „ავლაბარი“?

— „26 კომისრის“ სახელს.

— რა ფერის თმა აქვს მალეინას „ბურატინოს თავგადასავალში“?

— (იცინის) აღარ მახსოვს.

— ცისფერი. ადამიანის რომელი ჯირკვალი გამოყოფს ადრენალინს?

— ვერ გიპასუხებ.

— თირკმელზედა. დაასახელე ზღვის დიდი ფრინველი, რომელსაც ფრენა არ შეუძლია.

— პინგვინი.

— ძველი ბერძნული მითოლოგიის თანახმად, ის ცალთვალა გოლიათი იყო, გამოქვაბულში ცხოვრობდა და ბობოქარი ხასიათით გამოირჩეოდა. არ ერქვა მას?

— ციკლოპი.

— ალექსანდრე მაკედონელის მიერ მოწყობილ ამ შეჯიბრებას 41 კაცის სიცოცხლე შეენირა. გამარჯვებულმა პრომაქოსმა, რომელსაც მეფემ ოქროს გვირგვინი საკუთარი ხელით დაადგა, 3 დღეც ველარ იცოცხლა. რაში მოაწყო შეჯიბრება ალექსანდრე მაკედონელმა?

— ვერ გიპასუხებ.

— ღვინის სმაში. 1986 წლამდე აფრიკის რომელი ქვეყანა ატარებდა სახელწოდებას — „სპილოს ძვლის ნაპირი“?

— არ ვიცი.

— კოტ დ'ივუარი. რომელმა ლიტერატურულმა გმირმა იმოგზაურა ლილიპუტების ქვეყანაში?

— ეს ბავშვობიდან მახსოვს, გულივერმა იმოგზაურა.

— რომელ ქვეყანაში იყო ფაშის ტიტული?

— ოსმალეთში.

— რომელ ფილმში განასახიერა იპოლიტე სვიჩიამ თავისივე მოსახელე გმირი?

— (ფიქრობს) „მხიარულ რომანში“.

— რომელი სახელმწიფოს დედაქალაქია კატმანდუ?

— ნეპალის.

— რა არის რიბირაბო?

— არ ვიცი. ეს რა შარში გავყავი თავი (იცინის)...

— გარიჟრაჟი. რომელი სიგარეტის კოლოფს აწერია შემდეგი სიტყვები „მივედი, ვნახე, გავიმარჯვე“?

— „მალბოროს“.

— რა გვარი იყო ცნობილი ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი — დედას ლევანა?

— არ ვიცი.

— ასაბაშვილი, რომელ ქართულ მხატვრულ ფილმშია გამოყენებული გრიგოლ ორბელიანის მუხამბაზი — „გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ“?

— „ქეთო და კოტეში“.

— რომელი პესის მიხედვით არის ეს ფილმი გადაღებული?

— აექსენტი ცაგარელის „ხანუმას“ მიხედვით.

— რომელ ქვეყანაში დაარსდა პირველი „დისნეილენდი“?

— საფრანგეთში.

— ცდები, პირველი „დისნეილენდი“ აშშ-ში დაარსდა.

და. რა ერქვა ავაზაკს, რომელიც იესო ქრისტეს დასჯის სანაცვლოდ გაათავისუფლეს?

- ბარაბა.
- რომელ თევზს აქვს ორივე თვალი ცალ მხარეს?
- ვიცოდი, მაგრამ ვეღარ ვიხსენებ.
- კამბალას. რა ჰქვია ნავს, რომლითაც ვენეციის არხებში დაცურავენ?
- გონდოლა.
- დემეტრე I, ალექსანდრე I, თეიმურაზ I, ერეკლე II — ჩამოთვლილთაგან, რომელი ქართველი მეფე არ აღკვეცილა ბერად?
- (ფიქრობს) ერეკლე II.
- 1626 წელს ერთმანეთს ორი ლაშქარი დაუპირისპირდა. ერთს გიორგი სააკაძე მეთაურობდა, მეორეს — თეიმურაზ II. სად გაიმართა ეს ბრძოლა?
- (ფიქრობს)...
- მიგანიშნებთ, ბრძოლა საქართველოს ერთ-ერთ ტბასთან გაიმართა?
- ა! ბაზალეთის ტბასთან. ეს ქართველების დიდი სირცხვილი იყო.
- რუსეთის იმპერიაში რომელი სოციალური ფენის გაერთიანება იყო გილდია? აქვე სავარაუდო პასუხებსაც ჩამოგივლი: ვაჭრების, ხელოსნების, ინტელიგენციის თუ ჩინოვნიკების?
- ვაჭრების.
- მარკუს კრასუსი, პომპეუსი, იულიუს კეისარი, გაიუს მარიუსი — ამ სარდლებიდან რომელმა დალაშქრა საქართველო?
- ვერ გიპასუხებ.
- პომპეუსმა. რომელი მომღერლის ნამდვილი სახელია რეჯინალდ კენეტ დუაიტი?
- სავარაუდო პასუხებს ვერ მეტყვი?
- სტინგი, ელტონ ჯონი, პოლ მაკარტნი.
- მაინც ვერ გიპასუხებ.
- ელტონ ჯონის. ჭიდაობის რომელ სახეობას უწოდებენ კლასიკურს?
- ბერძნულ-რომაულს.
- რომელ ქვეყანაში მოღვაწეობდა ანთიმოზ ივერიელი?
- არ ვიცი.
- რუმინეთში. სადაური იყო დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის დამაარსებელი, დავით გარეჯელი?
- არც ეს ვიცი.
- ასურელი. რომელი კომპოზიტორის მუსიკა დაედო საფუძვლად საქართველოს ჰიმნს?
- ზაქარია ფალიაშვილის.
- ევროგაერთიანების ქვეყნებისთვის რომელი ქალაქია ერთიანი ევროპის სიმბოლო?
- ბელგია, ბრიუსელი.
- რას ნიშნავს სიტყვა „კავკასიონი“?
- არ ვიცი.
- ირანული წარმოშობისაა და ცინულოვანს ნიშნავს. ვინ არის ავტორი სიმღერის ტექსტის — „ტრიალებს“ ფილმიდან „ვერის უბნის მელოდიები“?
- ვერ ვიხსენებ.
- მორის ფოცხიშვილი. რომელი ტომების თავდასხმისგან დასაცავად ააგეს ჩინელებმა დიდი კედელი?
- სავარაუდო პასუხი მაქვს — მონღოლთა შემოსევებისგან თავდასაცავად. ასეა?
- რა თქმა უნდა. რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?
- ესპანეთის.
- რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?
- ვერ გიპასუხებ.

- წყნარი ოკეანე. დაასახელე სპორტის სახეობა, რომლის წარმომადგენლებსაც ნომრები ქუდებზე აწერიათ.
- წყალბურთი.
- რომელი ქართველი მწერალი მოღვაწეობდა გერმანიაში?
- არ ვიცი.
- მიგანიშნებთ, ის „გველის პერანგის“ ავტორია.
- ე.ი. გრიგოლ რობაქიძე.
- რას ვეძახით ჩვენ ნატრიუმის ქლორიდს?
- არ ვიცი.
- მამუკა, დაფიქრდი, მარტივი კითხვაა.
- ქიმიში ვერ ვერკვევი.
- მიგანიშნებთ, ნატრიუმის ქლორიდს ყოველდღიურად მივირთმევთ.
- ვაიმე! მარილი უნდა მეთქვა, არა? ვეღარ გავიხსენე.
- სკოლაში მათემატიკას კარგად სწავლობდი?
- მათემატიკის გაკვეთილს სიმღერის და ფიზიკულ-ტურის გაკვეთილი მერჩინა.
- მოსწავლეს 2 ფანქარი რომ ეყიდა, 5 თეთრი დარჩებოდა. ხოლო იმავე თანხით 4 ფანქარი რომ ეყიდა, 5 თეთრი დააკლდებოდა. რა თანხა ჰქონია მას?
- (ანგარიშობს) 15 თეთრი, არა?
- გამოიცანი. რომელ მხატვარს ეძღვნება ალა პუგაჩოვას ცნობილი სიმღერა მილიონი ვარდის შესახებ?
- ნიკო ფიროსმანს.
- რომელმა მხატვარმა მოიგონა სიკვდილი, რათა შემდგომში მისი ნახატები უფრო ძვირად გაყიდულიყო?
- ასეთი რამ მოხდა? არ ვიცი.
- რემბრანდტმა. რომელ საუკუნეში ვითარდება მოქმედება ალექსანდრე დიუმას ნაწარმოებში — „გრაფი მონტე-კრისტო“?
- XVIII საუკუნეში.
- ცდები. XIX საუკუნეში. სიცოცხლის ბოლო წლებში, რომელ ქვეყანაში ცხოვრობდა ჩარლი ჩაპლინი?
- არ ვიცი.
- შვეიცარიაში. სად უფრო მეტი ჯარისკაცი ირიცხება — ასეულში, ბატალიონში, პოლკში თუ ბრიგადაში?
- ბრიგადაში.
- ბერძნული მითოლოგიით, რომელ ყვავილად გადაიქცა ჭაბუკის გარდაცვლილი სხეული, რომელმაც უარყო ფერია ექოს სიყვარული, რის გამოც, ღმერთებმა დასაჯეს და საკუთარი თავი შეაყვარეს?
- ნარცისად გადაიქცა.
- 1915 წელს ისლანდიაში მშრალი კანონი შემოიღეს, 1932 წელს კი მოხსნეს. აკრძალვა მხოლოდ 1 სახის სასმელზე დატოვებს, რომელიც პოლიტიკოსთა აზრით, ქვეყნის ალკოჰოლიზაციას იწვევდა. რომელ სასმელზეა ლაპარაკი?
- აბა, ამას ვერ გამოვიცნობ (იცინის)? ლუდზე.
- ტაილანდში არსებობს ქოქოსის კაკლის შემგროვებელთა კურსები. ვინ არიან მისი მონაფეხები?
- მაიმუნები.
- დაბოლოს, დაასრულე ცნობილი ინგლისელი მწერლის, ოსკარ უაილდის გამონათქვამი: „ღვინის ხარისხს და ხანის გასაგებად ხელადა...“
- ოსკარ უაილდი რას ფიქრობდა, არ ვიცი.
- „...ფსკერამდე არ უნდა დაცალო“. თქვენ ღვინის ხარისხს როგორ აფასებთ?
- მე ღვინის ხარისხს პირველივე ჭიქიდან ვგრძნობ.

ინფორმაციულ-მედიაციური კოლაჟი

ეოსა დვალის უბის წიგნაკრები:

1. ავინაკი სკვიტური მახვილია.
2. „ქორია“ და „ელამი“ სინონიმებია.
3. კანკავალი ცხვრის ყველია ერთგვარი.
4. კანი ადამიანის ყველაზე დიდი ორგანოა.
5. ბურნაკუ იაპონური თოჯინების თეატრია.
6. სიტყვა „ბურჟუა“ ფრანგულად მოქალაქეს ნიშნავს.
7. ნეოცერატოდუსი ავსტრალიური თევზია, რომელიც ლაყუჩებითაც სუნთქავს და ფილტვებითაც.
8. „რაც თავი მახსოვს, კითხვა ყოველთვის ვიცოდი“, — წერდა მემუარებში ბენჯამინ ფრანკლინი.
9. ამერიკის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ რვაჯერ მოაწყო ფიდელ კასტროზე თავდასხმა და რვაჯერვე უშედეგოდ.



გი საძაგლიშვილი) 1918 წელს მარტყოფში მოკლეს.

11. „ურია“ ებრაელის ძველი ბიბლიური სახელწოდებაა, მოგვიანებით მან შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი ელფერი მიიღო.

12. „თქვენთვის ლექსის მოწოდება არის ჩემი მოწოდება, სხვა რად მინდა მე წოდება, სანამ კოტე მენოდება“, — წერს კოტე ყუბანეიშვილი.

13. ერთმა ამერიკელმა მილიონერმა მილიონ დოლარად შეიძინა ცნობილი მხატვრის, ტენერის ტილო, თუმცა მოგვიანებით გაიგო, რომ მხატვარმა ორ დღეში დახატა იგი და გაბრაზებულმა სასამართლოში უჩივლა. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, „გვითხარით, რამდენ ხანს მუშაობდით სურათზე?“ ტენერმა უპასუხა: „მთელი ცხოვრება და ორი დღე“.

14. ხრუშჩოვის მიერ კულტურის მინისტრად დანიშნულმა მიხაილოვმა ერთხელ უნივერსიტეტის წინ სტუდენტებს მოჰკრა თვალი, რომლებიც მზესუმზირას მიირთმევდნენ და თავი უპაირობოდ გადააქნია: „მტოტა უ ნას ს კულტურკაი სტალა პლახავატაო“, რის შემდეგაც ხალხმა მას „მინისტრ კულტურკი“ შეარქვა.

15. ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბრის დასაწყისში იტალიის ტერიტორიაზე შოშიების დიდი გადაფრენაა. ამ ულამაზეს სადაზავრობას ათასობით ადამიანი ადევნებს თვალს, ოღონდ უკლებლივ ყველა მათგანს გაზეთი აქვს თავზე გადაფარებული. რომის მუნიციპალიტეტს ძალზე ძვირი უჯდება ქალაქის თავზე 5 მილიონი ფრანკის

ილუზიონისტების „ფოკინაი“, „ქანკიანი“ ანა და კირილა მამუკაშვილი



სწრაფი ხელები, მაყურებლის სიყვარული და დიდი შრომისმოყვარეობა ის მთავარი კრიტერიუმებია, რომელიც ილუზიონისტებს აუცილებლად სჭირდებათ. 19 წლის დათო რობაქიძე და 16 წლის ვაკო კორახაშვილი ცნობილი ილუზიონისტის, ზურა ვადაჭკორიას წყალობით საფუძვლიანად ეუფლებიან ფოკუსების ხელოვნებას. ბატონი ზურა მათ პატარა კოლეგებს ეძახის და ცდილობს, ბიჭებს გზის გაკვლევაში დაეხმაროს.

„პატყუაბლი მობლახს, მავობრახს, ალასელახს...“

ელენე ბასილიძე

— დათო, დიდი ხანია, რაც ილუზიონისტობამ გაგიტაცა?

— 11 წლის ვიყავი, როცა ერთ-ერთ უკრაინულ არხზე მსოფლიოს საუკეთესო ილუზიონისტების შესახებ ვნახე გადაცემა, სადაც 3-4 ფოკუსი ახსნეს და მივხვდი, რომ ამ ყველაფრის გაკეთება მეც შემეძლო. მას შემდეგ დავიწყე მეცადინეობა — ვატყუებდი მშობლებს, მეგობრებს, კლასელებს. მერე ვიშოვე ჩანანერები, სადაც თითოეული ფოკუსი ახსნილი იყო და მას შემდეგ ამ საქმიანობამ სერიოზულად გამიტაცა. პარალელურად, ბიზნესის მართვას ვუფლები. **ვაპო:**

— ილუზიონისტობით ჩემი დაინტერესება ძალიან მოულოდნელად მოხდა. 7-8 წლის ვიყავი, როცა სკოლიდან ექსკურსიაზე უნდა წავსულიყავით, მაგრამ ჩაიშალა და მასწავლებელმა ფული დაგვიბრუნა. სკოლასთან ახლოს ჟურნალების ჯისური იყო, სადაც ზურა ვადაჭკორიას წიგნი ვნახე — მას ყველა ფოკუსი ახსნილი ჰქონდა. წიგნს თვალი გადავაკვლე, დამაინტერესა და ვიყიდე კიდევ. თავიდან პატარა-პატარა ფოკუსებით დავიწყე. სხვათა შორის, ყველაფერი

იოლად გამომივიდა და როცა შედარებით რთული ფოკუსების გაკეთებაც გადავწყვიტე, ზურასთან მოვედი (ილიმება).

— დათო, ზურა ვადაჭკორიას როდის შეხვდი?

— ზურას გაცნობა ყოველთვის მიწოდდა, მაგრამ მერიდებოდა. სულ რამდენიმე თვეა, რაც გავიცანი და ახლა მისგან ბევრ რაღაცას ვსწავლობ.

ზურა ვადაჭკორია:

— ჩვენ, პირველ რიგში, მეგობრები ვართ. მიხარია, რომ ახალგაზრდებს ეს საქმიანობა აინტერესებთ. სხვათა შორის, ფოკუსები მშვენივრად გამოსდით. კარგი ილუზიონისტი მაშინ ხარ, როცა ძველ და ნაცად ფოკუსებსაც აკეთებ და ახალ-ახალსაც იგონებ. ჩემი მეგობრები ზუსტად ილუზიონისტების ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან.

— როგორი პედაგოგია ბატონი ზურა?

ზურა:

— ამ შემთხვევაში სიტყვა „პედაგოგი“ ჩემთვის მიუღებელია, მე თავს მათ მეგობრად მივიჩნევ და საკუთარ გამოცდილებას ვუზიარებ... თავიდან, როცა ილუზიონისტობა დავიწყე, ბევრი პრობლემა შეექმნა და არ მინდა,

ინფორმაციულ-ჟეოგრაფიული კოლაჟი

ეოჩა დვალის უბის წიგნაკრძან:

ტრიალი. შოშიების მიერ დასვრილი რომის დასუფთავება ქალაქის მესვეურებს 110 ათასი ევრო უჯდებათ.

16. შვეიცარიულ ქალაქ რიოლენგეში ჩატარდა მტყორცნელთა ფესტივალი. გარდა შეჯიბრებებისა ბირთვის, დისკოს, შუბისა და უროს ტყორცნაში, ორგანიზატორებმა ფესტივალის პროგრამაში შეიტანეს კიდევ ერთი მძლავრული დისციპლინა — ჭოკით ხტომა, რადგან ჩათვალეს, რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ტყორცნა.

17. ახლობელმა მომიყვა, ავგისტოს ომის დროს სამუშაო ოთახში თანამშრომელი გოგო შემოვარდა გახარებული, სულ 24 თვითმფრინავი ჩამოუგდიათ ჩვენებს, ახლახან გამოაცხადეს ტელევიზორში „სულ 24“ კი არა, შე სულელო, „სუ 24“-იო, ნალვლიანი ხმით განათლეს კოლეგებმა.

18. იზმაილოვოს ტაძარში მეგობრებთან ერთად მისულ მისხალ ზადორნოვს ეკლესიაში აურაცხელი ხალხი დახვდა. ნაკურთხი წყლით სასველებთან უზარმაზარი რიგი იდგა. ერთ-ერთმა მღვდელმსახურმა შენიშნა უშველებელ რიგში მდგარი მწერალი-სატირიკოსი, თავისთან მიიხმო და უთხრა: „პაიდიომტე,



ია ვამ დამ სვიატლი ვადი ს ჩორნავა ვხოდაა(!) ა ტო, რუსიკი ნაროდ ვ ჟილანი სნისკან ბლაგადან რასტოჟნიტ ლიუბოვა.“

19. ეს სახუმარო ლექსი გალაკტიონს ახალგაზრდობაში შეუთხზავს: „ოქროყანელი ვარ მენახშირე/ ვირით ტფილისში სვლა დავახშირე/ ჩემს შეძახილებს ისმენს გზა ხშირი/ აბა ნახშირი, კარგი ნახშირი! მეც ავიკიდე, ვირსაც ავიკიდე/ ცოტადა დამრჩა, ბევრი გაყვიდე/ როს აივანზე ქალი თმახშირი/ ნახად მეძახის: რა ღირს ნახშირი? ვუთხარ: — აილე, რაიც დიდი! რომელი გინდა, მომიყიდი! გინდა აილე, ვირს რომ ჰკიდი! გინდ — ეს აილე, მე რომ მკიდი! ქალმა დამწყველა ლამაზი პირი! მომკვდარხარ შენცა და შენი ვირიც/ ოხვრად დაგფშენია შენი ნახშირი/ მესი დაგეცეს, მინამ გყოს პირი“.

20. რუსის ჯარში მომსახურე რაჭველის მიერ სახლში გამოგზავნილი დეჟუმის ტექსტი ბესიკუნა ბერიშვილმა ჩამანერინა სიტყვასიტყვით და მერე ნახევარი საათი მეჩხუბებოდა, არ გედერიო, ბოშო, არსა დაბეჭდოო. კი, აბა!.. „პორტ-არტურში ვართაო, ცხენის ხორცსა ვსჭამთაო, გზის ფულუკა თუ ვიშოვეთ, სახლში წამოვალთაო. ონის მთავარ ფოსტალიონს, ვალამას. მიეცი მაროს შუა ღარში“ (ღარი სოფელია ონის მახლობლად). ვალამას პასუხი „გოუგზავნია“, მივეცი მაროს შუა ღარშიო.

მათაც ასეთივე გზა გაიარონ. ვცდილობ, ახალგაზრდებს წინსვლა გაეუადვილო. არ მინდა, ერთი ადგილი ტკეპნონ და ველოსიპედის გამოგონება თავიდან სცადონ. თუმცა, ისიც ვიცი, რომ იოლად მოსულ წარმატებას ვერავინ აფასებს და ამიტომაც, უნდა იმუშაონ, იშრომონ, კარგ შემოქმედებად მხოლოდ ასე თუ ჩამოყალიბდებიან. 2010 წელს ილუზიონისტების საერთაშორისო კონკურს-ფესტივალია და ვცდილობ, ის საქართველოში ჩატარდეს. ბიჭებიც ემზადებიან და წარმატებასაც აუცილებლად მიაღწევენ!

ღათო:

— ზურას დიდი გამოცდილება აქვს და მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ.

— შეცდომების დამალვა შეგიძლიათ?

ზურა:

— კი, აბა რა! მათ შეცდომებს მყურებელი ვერ ხვდება და ჰგონია, რომ ასეა საჭირო (იციინის).

— ბიჭებო, როგორ უნდა იყოს კარგი ილუზიონისტი?

ზაკო:

— ზურა ყოველთვის გვიმეორებს: პირველ რიგში, პატიოსნები უნდა იყოთო. ვფიქრობ, კარგი ილუზიონისტი მაშინ ხარ, თუ ადამიანს აფერისტის შთაბეჭდილებას არ დაუტოვებ.

ღათო:

— ზურა გვასწავლის, რომ მყურებლის მოტყუება არ შეიძლება! ამა თუ იმ ფოკუსის ჩვენებისას, ჩვენი შემფასებლები არა მოტყუებულნი, არამედ სასიამოვნოდ გაცხებულნი უნდა დარჩნენ. კარგი ილუზიონისტი კარგი მსახიობიც უნდა იყოს და მყურებელს ახალ-ახალი ნომრები შესთავაზოს. თან, ჩვენი პროფესია ძალიან ხარჯიანია — ამა თუ იმ ნომრის ჩასატარებლად რაღაც ატრიბუტები გვჭირდება, მათ შესაძენად კი ბევრი ფულია საჭირო.

— ბატონო ზურა, თქვენი ბიჭები პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობენ...

— დიახ, ასეა! ამ პროექტში მხოლოდ ის არ მონაწილეობს, რომ კონკურსანტის გამარჯვება მყურებლის მიერ გამოგზავნილ მესიჯებზეა დამოკიდებული. ჩემი აზრით, „ნიჭიერის“ მონაწილეებს კომპეტენტური ჟიური უნდა აფასებდეს.

— რას გრძნობთ, როცა მყურებელს აოცებთ?

ზურა:

— მყურებელს გაკვირვებისაგან თვალები რომ უფართოვდება, ეს ჩვენთვის დიდი სტიმული და ენერჯიაა. მათი გაბრწყინებული სახის დანახვა ჩვენთვის ერთგვარი ვიტამინია.

— ვაკო, ადამიანების გაცხება ადვილია?

— არა, ადვილი ნამდვილად არაა, მაგრამ არც ძალიან რთულია... როცა ფოკუსს აკეთებ და გაკვირვებული მყურებლის შეძახილები გესმის, შეუძლებელია, ამ საქმეზე გული აგიცრუვდეს.

ღათო:

— არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომელთაც იმდენად უარყოფითი აურა აქვთ, რომ მათ ფოკუსს ვერ ვუჩვენებ — იმდენად უღიმღამოდ გამოდის, რომ საკუთარი თავით უკმაყოფილო ვრჩები. მაგალითად, როცა ვილატ მოდის და მეუბნება: აბა, მანქანე, ის სად გააქრე? ასე გადმოაბრუნე და იმე გააკეთეო, ვბრაზდები, რადგანაც ასეთი მყურებელი არც მე მაძლევს საშუალებას, რომ ფოკუსი ვუჩვენო და თავდაც მოტყუებული რჩება.

ზურა:

— ასეთ ადამიანს ფიცარს ვეძახი. კაცი, რომელსაც არ უყვარს იუმორი, არ უყვარს გაცხება, უგრძობია! ერთხელ ახალგაზრდობაში მეგობარს, რომელიც სტომატოლოგი გახლავთ, შეგჩივლევ: ვერ ვიტან, როცა ადამიანი მოდის, მიკირკიტებს, დეტალებში ერევა და ეჭვით მიყურებს-მეთქი. — რამდენ ხანს გრძელდება ეგ მომენტი? — დაახლოებით, 3-4 წუთს-მეთქი. — აბა, მე რაღა ვქნა, როცა მოვა პაციენტი, გამილებს „უანგიან“ ყბას, 10 დღე მაინც მყურებინებს თავის ჭიან კბილებში და თანაც, დუდლუნებს ხოლმე?! აირჩიე შენი პროფესია? ჰოდა, ახლა აიტანე თავის უარყოფითიან-დადებითიანადო (იციინის)...

— ბიჭებო, მომავალში რას აპირებთ?

ღათო:

— მომავლისთვის დიდი ფოკუსების სცენარი მაქვს მოფიქრებული. ნახაზები უკვე გავაკეთე და ადგილიც შევარჩიე... ვიდრე ამ გეგმას განვახორციელებ, მე და ვაკო 2010 წლის კონკურსისათვის ვემზადებით და წარმატების იმედიც გვაქვს.



კაცი, რომელსაც არ უყვარს იუმორი, არ უყვარს გაცხება, უგრძობია

ქართული „ოსკაროსი“, მოსაქვეზე პანო ჯაფანიშვილი და ჩართო გუნდი წითელქუდა კვანძი



ამ კაფეს მე და „ქლაბ-შოუს“ ბიჭები ხშირად ვსტუმრობდით

„სურათების გადაღება ძალიან მიყვარს, ვცდილობ, ყოველი სასიამოვნო წუთი ფირზე აღვებეჭდო და რაღაც პერიოდის შემდეგ ის კარგი დრო გავისვენო. ისეთი ფოტოები, სადაც საკუთარი თავი არ მომწონება, დამიხვევია, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, სურათების დახვევა არ შეიძლება“, — მითხრა „ქლაბ-შოუს“ მსახიობმა თამუნა ლეჰვიშვილმა.

„ხედი რომ გავუშვი, სუდ გაღრჯებული იყო...“

მარჯვნივ ღონისძიება

— მხიარული და ენერჯული ბავშვი ვიყავი, მაგრამ ჩემი მოსუფერობით მშობლებისათვის პრობლემა არასდროს შემიქმნია. ბავშვობაში ხეებზე ძრომიანი და იქ სიმღერა მიყვარდა. ეს სურათი, სადაც ძმასთან, დეიდაშვილთან და დედაჩემის დეიდებთან ერთად ვარ, ძალიან მიყვარს. ბორჯომში ვიყავით დასასვენებლად. ბებებმა საგულდაგულოდ გამოგვპრანჭეს და სურათის გადასაღებად წაგვიყვანეს. მე და ჩემს დეიდაშვილს ეს თეთრი კაბები ძალიან გვიყვარდა და გვინდოდა, სულ გვცმოდა.

— სამი ბავშვი ერთად, ალბათ, ბებიებს ძალიან აწვავდა...

— არც ისე (იციინს), მე და ჩემი ძმა სულ ვჩხუბობდით, მაგრამ იქ ყოფნისას ვცდილობდით, ერთმანეთთან კონფლიქტი არ გვექმნოდა. ჩემს ძმას ნლინასევირით დიდი ვარ და ბავშვობაში ძალიან ვჩაგრავდი, მაგრამ მერე, როცა წამოიზარდა, უფროსობა დამიწყო. მასსოვს, ერთხელ, წუნაობის დროს გამაბრაზა და წყლიან ქურჭელში თავით ჩავაყუდე. ლამის გაიგუდა, ხელი რომ გავუშვი და თავი ამოსწია, სულ გაღურჯებული იყო.

— ეს კი ზემოზე გადაღებული ფოტოა, არა?

ბის შემდეგ გოგონების უმრავლესობა იმიჯს რადიკალურად იცვლის. შენ თუ შეიცვალე?

— სკოლის დამთავრების შემდეგ გარანტიზა და მაკიაჟის წასმა დავიწყე, მაგრამ იმიჯი რადიკალურად არ შეიცვლია. ამ სურათზე მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი ვართ, სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა და აი, ასე გამოვიყურებოდით.

— თუ გასსოვს ბანკეტზე რა გეცხვ?

— ბანკეტი მეგობრის ოჯახში გვექმნება. ამ დღისთვის, როგორც ყველა გოგო, მეც განსაკუთრებულად მოვეწმადე. იასამინისფერი კაბა შევიძინე და იმ დღეს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები პირველად ჩავიცვი. მასსოვს, ძალიან „მაღლები“ იყო. ძლივს დავდიოდი და ვიტანჯებოდი, მაგრამ მაინც, ბედნიერი ვიყავი. ეს იასამინისფერი კაბა მაშინ ძალიან მომწონდა, ახლა კი რომ მასსენდება, მეციინება.

— სტუდენტობის პერიოდში როგორ გამოიყურებოდით?

— აი, ეს სურათი ჯგუფელებთან ერთად იმ დროს მაქვს გადაღებული, როცა კონსერვატორიაში ვსწავლობდი.

— ყურები რა ასაკში გაიხვრიტე?

— 11 წლის რომ გავხდი, ბებიამ ოქროს საყურე მაჩუქა, მას მარგალიტის თვლები ამშვენებდა. საყურე იმდენად მომეწონა, რომ მომიხდა, გამეკეთებინა და ამიტომ, ყურების გავხვრეტა გადავწყვიტე. ის დღე ძალიან მწარედ მახსოვს, რადგან დიდი წესით გამხვრიტეს და ეს პროცესი საშინლად მტკივნეული იყო. ამის შემდეგ ყურები კიდევ ორჯერ გავხვრიტე, მაგრამ უკვე, თანამედროვე მეთოდით.

— სამკაულები გიყვარს?

— ძალიან. საყურის და სამაჯურის გარეშე სახლიდან არასოდეს გავდივარ.

— მაკიაჟს ყოველდღიურად იკეთებ?

— გადაღებებზე იმდენ მაკიაჟს მისვამენ, რომ დანარჩენ დღეებში მისი გაკეთების სურვილი აღარ მაქვს და იშვიათად ვიღებები.

— ვარცხნილობას ხშირად იცვლი?

— ძალიან ხშირად. ამ მხრივ ექსპერიმენტებს არ ვერიდები. თითქმის ყველანაირი ვარცხნილობა მაქვს გაკეთებული. ერთხელ თმა ავიჩხე და მოკლე „ჩოლკა“ შევიჭერი. ხვეული თმა მაქვს, რის გამოც, „ჩოლკა“ დამეხვა და ზემოთ „ავარდა“. საშინელი დასანახავი იყო, თანაც, არ მიხდებოდა, ამიტომ თმა ძალიან დაბალზე შევიჭერი.

— თმა შეღებილი გაქვს?

— ამჟამად — არა. თმის შეღება მე-10 კლასიდან დავიწყე და მას შემდეგ თითქმის ყველა ფერის თმა მქონდა, მაგრამ ყველაზე მეტად შავი ფერი მიხდებოდა.



მე და ჩემს დეიდაშვილს ეს თეთრი კაბები ძალიან გვიყვარდა და გვინდოდა, სულ გვცმოდა



ბაღში საახალწლო ზეიმი გვექმნება, „წითელქუდა“ დავდგით



ამ სურათზე მე და ჩემი ბავშვობის მეგობარი ვართ

ეს სურათი ჯგუფებთან ერთად იმ დროს მაქვს გადაღებული, როცა კონსერვატორიაში ვსწავლობდი



ფოტოა, მაგრამ მე მაინც მიყვარს. აი მეორე ფოტოზე კი უკვე დაოჯახებულები ვართ.

— **ცოტა ხნის წინ შეილი დაკარგეთ—**

— ჰო. ჩვენზე ამ ტრადიციამ ძალიან იმოქმედა, მაგრამ დეპრესიაში არ ჩავცვენინლვართ.

— **შვილის დაკარგვის შემდეგ**

შენს ხასიათში თუ შეიცვალა რაიმე?

— ამას ალბათ დრო გვიჩვენებს, ჯერჯერობით კი მნიშვნელოვანი არაფერი შემინიშნავს. ჩემს ხასიათში ცვლილებები გაცილებით ადრე მოხდა. თავიდან ძალიან გულუბრყვილო ვიყავი, ყველას ვნდობოდი. ახლა კი ასეთი აღარ ვარ. ასევე, წლების წინ უფრო ემოციური ვიყავი, დარდსაც და სიხარულსაც ხმაელა გამოვხატავდი, ახლა კი ნყნარი და მშვიდი ვარ.

— **ამ სურათში ბენდენა გიკვთია—**

— ამ დღეს ბენდენა პირველად გავიკეთე. როგორც ხედავთ მასზე საქართველოს დროშა გამოსახული. ეს ფოტო კუს ტბაზეა გადაღებული, სადაც „რუსთავი 2“-ის იუბილე აღენიშნეთ და კარგად გავვრთეთ.

— **ეს სურათი სადაა გადაღებული?**

— პარიზში, ტრიუმფულ თაღთან. ჩემი მეუღლე სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრში უკრავს. თებერვალში გასტროლებზე წავიდა და მეც წამიყვანა. როცა მითხრა, შენც მოდიხარო, ძალიან გამიხარდა, ეს მისი მხრიდან დიდი სიურპრიზი იყო. პარიზში ძალიან ციოდა. და თუ ფოტოს კარგად დააკვირდებით, ნახავთ, რომ სიცივისგან სახე განითლებული მაქვს.


— **ამ სურათში კი შენ და ნიკა არაბიძის პოლიფუნდური ღიმილი დაგთამაშებთ სახეზე—**

— ეს ერთ-ერთი სვეტჩის ჩანერის დროს გადაღებული სურათია, „ოსკარის“

დაჯილდოების ცერემონიის იმიტაცია გავაკეთეთ, სადაც მე ჟურნალისტს ვთამაშობდი. „ქლაბ-შოუს“ ბიჭებთან ერთად გადაღებული ყველა ფოტო მიყვარს, რადგანაც, თითოეული მათგანი სახალისოა. აი, მაგალითად, ეს სურათი, სადაც მე, მიშა და ვანო ვართ, 2007 წლის საახალწლო კონცერტის დროსაა გადაღებული. ვისაც ეს კონცერტი არ უნახავს, ამ სურათის ხილვისას ნათლად წარმოიდგენს, თუ როგორ ცეკვავდა ვანო (იციანის).

— **ამ სურათში კი მარტო ხარ.**
— კიევის ერთ-ერთ კაფეში გადაღე-

ამ დღეს ბენდენა პირველად გავიკეთე



— **წარბების კორექცია როდის გაიკეთე?**

— როცა თმის შეღებვა და გაპრანჭვა დავიწყე, წარბების კორექცია მაშინ გავიკეთე, მაგრამ ახლა აღმოვაჩინე, რომ ჩემს წარბებს ეს დიდად არ სჭირდება და ამიტომაც, მას იშვიათად ვიქენი.

— **ჩაცმის სტილი თუ შეიცვალე?**

— ადრე კონცერტებზე გამოსვლის დროს კლასიკურად მეცვა, ჰოდა, ეს სტილი რალაც პერიოდის განმავლობაში ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ვადმომყვავ, მაგრამ ახლა პირიქითაა, თავისუფალ სტილს ვანიჭებ უპირატესობას და ძირითადად, დაბალქუსლიანი ფეხსაცმლით დავდივარ.

— **მეუღლესთან ერთად, ეს სურათი როდის გაქვს გადაღებული?**

— მე და გიგი ამ პერიოდში შეყვარებულები ვიყავით. მართალია, უხარისხო



თუ ფოტოს კარგად დააკვირდებით, ნახავთ, რომ სიცივისგან სახე გაწითლებული მაქვს




მართალია, უხარისხო ფოტოა, მაგრამ მე მაინც მიყვარს



უკვე დაოჯახებულები ვართ

ბული სურათია. ამ კაფეს მე და „ქლაბ-შოუს“ ბიჭები ხშირად ვსტუმრობდით. „ქლაბ-შოუს“ ხომ „კომედი-ქლაბის“ ანალოგია და კიევიში სამუშაოდ გახლდით ჩასულნი. მუშაობის შემდეგ კი განსატვირთავად ამ კაფეს ვსტუმრობდით.

ვისაც ეს კონცერტი არ უნახავს, ამ სურათის ხილვისას ნათლად წარმოიდგენს, თუ როგორ ცეკვავდა ვანო



„ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიის იმიტაცია გავაკეთეთ, სადაც მე ჟურნალისტს ვთამაშობდი



უხნაური (სულღური) ქანონები

- არიზონაში ჯარიმას გადაგახდევინებენ, თუ სააბაზანოში ვირს დააბამთ.
- ბალტიმორში ლომთან ერთად თეატრში წასვლა გეკრძალებათ.
- ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ მენვილში ზოოპარკში ანთებული სიგარეტის ცხოველებისთვის მიწოდება კანონით ისჯება.
- ავსტრალიაში დანაშაულად მიიჩნევა ავტომობილში გასაღების ჩატოვება.
- ინგლისის ქალაქ იორკში დღემდე არ გაუშუქებიათ კანონი, რომლის თანახმადაც, ნებისმიერ მსურ-



ველს შეუძლია, ისრით განგმიროს მოტლანდიელი...

უხნაური ღამთხვევა

● მსახიობი ჯეიმს დინი 1955 წელს ავტოავარიის დაიღუპა. შემდეგ მისმა მანქანამ მრავალი ადამიანი შეიწირა ან ავნო. როცა ნაავარიები, ფარეხში გადაჰქონდათ, მანქანიდან ძრავა „ამოხტა“ და ავტომექანიკოსს ფეხზე დაეცა. ცოტა ხანში, კაცი, რომელმაც ეს ძრავა შეიძინა, ავარიის დაიღუპა. ფარეხი, სადაც მანქანას არემონტებდნენ, დაინვა. შემდეგ, ავტომობილი ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში მოათავსეს, სადაც ერთხელ, სადგამიდან ჩამოვარდა, დამთვლიერებულს დაეჯახა და გვერდი დაუზიანა. დაბოლოს, 1959 წელს, სრულიად მოულოდნელად, მანქანა 11 ნაწილად დაიშალა.

● ოპიის შტატში ტყუპი ძმა დაიბადა. მშობლების დაღუპვის შემდეგ, ჩვილები სხვადასხვა ოჯახში იზვილა. ერთმანეთთან შეუთანხმებლად, ახალმა მშობლებმა ვაჟებს ჯეიმსი დაარქვეს. ბიჭები ისე გაიზარდნენ, ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდნენ, მაგრამ მათ ცხოვრებაში ბევრი დამთხვევა იყო: ორივე იურიდიული ფაკულ-

ტეტი დაამთავრა, ორივე ხეზე კვეთას მისდევდა, ორივეს პირველ ცოლს ლინდა ერქვა; ვაჟიშვილებს ორივემ, ჯეიმს ალანი დაარქვა; ორივე ძმა მეორედ, ერთი და იმავე სახელის (ბეტსი) მქონე ქალზე დაქორწინდა; ორივეს ჰყავდა ძაღლი, რომელსაც თოი ერქვა. ძმებმა ერთმანეთი 40 წლის ასაკში გაიცნეს და გაოცებულები იყვნენ უცნაური დამთხვევებით.

● 1975 წელს ბერმუდის კუნძულებზე ასეთი შემთხვევა მოხდა: ტაქსიმ ველოსიპედით მოსეირნე ბიჭი გაიტანა. ერთი წლის შემდეგ იმავე ადგილას, იმავე ტაქსის მძღოლმა გაიტანა ასევე ველოსიპედით მოსეირნე ბიჭი, რომელიც დაღუპულის ძმა აღმოჩნდა და მის ველოსიპედზე იჯდა. აღსანიშნავია, რომ ტაქსიში იგივე მგზავრი იჯდა, რომელიც წინა ავარიის დროს.

● ქალაქ მონტაში რესტორანში სასადილოდ შესულმა იტალიის მეფემ უმბერტო I-მა აღმოაჩინა, რომ რესტორნის მფლობელი მას ტყუპი ძმასავით ჰგავდა. საუბრისას გაირკვა, რომ ორივე ერთ დღეს — 1844 წლის 14 მარტს, ერთი და იმავე ქალაქში დაბადებულა. ორივეს ცოლს მარგარეტი ერქვა. რესტორანი უმბერტოს მეფედ კურთხევის დროს გაიხსნა. 1900 წელს უმბერტოს შეატყობინეს, რომ რესტორნის მფლობელი ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა. ამბის მომტანმა სიტყვა დაასრულა და მეფე ანარქისტის ტყვიამ განგმირა.

ჯგოტიქური „ხილი“



აზიის ქვეყნებში გავრცელებული, „ბუდას ხილი“ ციტრუსის ოჯახიდანაა და გემოთიც ლიმონს მოგაგონებთ. დურიოს, „უცხოპლანეტელების ხილსაც“ უწოდებენ. ზომით ფეხბურთის ბურთის ზომისაა. მოყვითალო-თეთრ ნაყოფს ყვითელი ეკლიანი კანი აკრავს. სურნელის მიუხედავად (მას ხან აყროლებული ხორცის, ხან კი ბინძური წინდის სუნს ამსგავსებენ), გემრიელი ნაყოფი აქვს. 1700 წელს ერთმა მოგზაურმა მას „ხილთა მეფეც“ კი უწოდა.

ტაილანდელთა საყვარელი დრაკონის ხილი ანუ პიტაია ტკბილია, თეთრი ნაყოფი და კვივიტო წვრილი კურკები აქვს.

შრი ლანკაზე ვარსკვლავური ხილი მოჰყავთ — ნენიანი და მომყავო. გემოთი ერთდროულად ყურძენსაც ჰგავს და ლიმონსაც.

JABOTACABA ერთი შეხედვით, ხის შხამიან სოკოს ჰგავს. მის ტკბილ ნაყოფს კი ქლიავის გემო აქვს.

ჯეიმს დინი




ყველა ეროს საუკეთესო ნიგნები

ჟურნალმა „ნიუსუიკმა“ ყველა დროის 100 საუკეთესო ნიგნის სია გამოაქვეყნა. პირველ ადგილზეა ლევ ტოლსტოის — „ომი და მშვიდობა“, მეორეზე — ჯორჯ ორუელის „1984“, მესამეზე — ჯეიმს ჯოისის „ულისე“, მეოთხე ადგილი ვლადიმირ ნაბოკოვის „ლოლიტამ“ დაიკავა. ათეულში მოხვდა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“, უილიან ფოლკნერის „ადამიანი-უჩინმაჩინი“ და ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდის-

ეა“. მხატვრული ლიტერატურის გარდა, სიაში მოხვდა კარლ მარქსის „კაპიტალი“ (30-ე ადგილი) და „ბიბლია“ (41-ე ადგილი).

სიის შედგენაში „ნიუსუიკმა“, გამოკითხვის გარდა, სხვადასხვა რეიტინგითაც იხელმძღვანელა: ნიუ-იორკის სახალხო ბიბლიოთეკის „საუკუნის ნიგნი“, გაზეთ „ტელეგრაფის“ „110 საუკეთესო ნიგნი“, წმ. იოანეს კოლეჯის „ყველაზე პოპულარული ნიგნი“, „ვიკიპედის“ ბესტსელერების სია და ა.შ.



ყველაზე უსანარი ღირსეისანიუნაოზაბი

რუინითი, ტრანსილვანია — გრაფ დრაკულას სასახლე
 ლეგენდარული სასახლე ისტორიულ პიროვნებას, გრაფ ვლად IV ცეპეშს ეკუთვნოდა. ქვის კიბე, საკვამური, რომელიც ქარის დროს საშინელ ხმას გამოსცემს და 56 ოთახიდან ერთერთი, სადაც გრაფი ქალწულებს

სისხლს სწოვდა, საშინელ გავლენას ახდენს მნახველზე.

საფრანგეთი, ვარიზი — დასჯის მუზეუმი

მუზეუმის დამაარსებელი ათეული წლის მანძილზე ჯალათად მსახურობდა. მუზეუმის ცენტრში უზარმაზარი გილიოტინა დგას, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა წამების მცირე ინსტრუმენტები.

ტივატი — სიკვდილის ველი

ეს ველი მომლოცველთა მარშრუტთან, მთა კაილასის მახლობლად მდებარეობს. იქ თვითგანწმენდის, საიდუმლო ცოდნის მიღების, გონების გახსნის მიზნით, ხოლო იოგები სულთან გამოსამშვიდობებლად მიდიან. უკან თითქმის არავინ ბრუნდება, ამიტომ მიდამო გარდაცვლილთა ძვლებითაა მოფენილი.



დრაკულას სასახლე

11 ერთ ჭინკვეუ პეუზეთან ერთად



რიანა ვანი ნივენსუცენი 22 წელი სამხრეთ აფრიკის იუსტიციის სამინისტროში მუშაობდა. პენსიაზე გასვლის შემდეგ, დაგროვილი ფულით, რანჩო და პირველად ვეფხვი — ფილი იყიდა. 3 წლის შემდეგ ნივენსუცენის მამულში კიდევ ათმა ველურმა კატამ დაიდო ბინა. „მთელ აფრიკაში ათასამდე ვეფხვი დარჩა. მინდა, გავამრავლო ისინი. ფისოები ჩემს სახლში თავს კომფორტულად გრძობენ, არაფერს ვუკრძალავ და ყოველთვის გემრიელი კერძებით ვუმასპინძლები“, — აღნიშნა მან. ვეფხვების მოსავლელი ფულის მოსაგროვებლად, რიანა მამულში ექსკურსიებს აწყობს. ტურისტებს საშუალება ეძლევათ, ცხოველებს დააკვირდნენ და მათთან ერთად, ფოტოც გადაიღონ. ადგილობრივი მოსახლეობაში კი ახალი ტრადიცია დამკვიდრდა: თუ ახალდაქორწინებულები ნივენსუცენის ფისოებთან ფოტოს გადაიღებენ, ბედნიერი და ხანგრძლივი ქორწინება ელით.

ინგლისი, ლონდონი — საშიშროებათა მუზეუმი

მუზეუმში წარმოდგენილია ბრიტანეთში მომხდარი ყველა ისტორიული მოვლენის ამსახველი ექსპონატი, მაგალითად: 1666 წელს ლონდონში მომხდარი ხანძრის სცენა. მსურველებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ შოუში, რომლის მოქმედებაც XVI საუკუნის სასამართლო პროცესს ასახავს.

ნიდერლანდი, ამსტერდამი — ნაგავის მუზეუმი

ქალაქის ცენტრში უძველესი, პირქუში კაზემატი დგას. ძველად მთელი სამეფოდან იქ ადამიანები სანამებლად მოჰყავდათ. დღეს, ეგზეკუტორების საშუალო იარაღები ინახება. თუ პირველი ნიმუშის ნახვისას გული არ წაგივათ, უამრავ საინტერესო ექსპონატს იხილავთ.

ლიტვა, კაუნასი — ეშაპის მუზეუმი

პროფესორი ჟუიდიინაიჩიუსი სატანისგამოსახულებიან ნივთებს აგროვებდა. 1966 წელს გახსნა მუზეუმი, სადაც 1991 წლისთვის, 23 ქვეყნიდან ჩამოტანილი 1742 ექსპონატი იყო.

**ძილის დროს სხეულის მდგომარეობა
პოზიციონირება მოქმედებს**

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მამაკაცის სექსუალური ჯანმრთელობა დიდწილად იმ პოზიციონირებაზე დამოკიდებულია, რომელიც ადამიანი იძინებს. კვლევამ უჩვენა, რომ სექსუალური დარღვევათა 40%-ზე მეტი ძილის დროს სხეულის მოუხერხებელი მდგომარეობითაა განპირობებული. მეცნიერებმა დაასახელეს სექსუალური ჯანმრთელობისთვის ყველაზე „მავნე“ პოზიციონირება: ძილი მუცელზე და ძალიან მაღალ სასათუმალზე.



პირველ შემთხვევაში, შარდის ბუშტუვში ზენოლა და მცირე მენჯის ღრუს ორგანოებში სისხლის მიმოქცევის დარღვევა ხდება; მეორე შემთხვევაში კი — თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, რაც სასქესო ჰორმონების გამომუშავებას აფერხებს. კარგი პოტენციის შესანარჩუნებლად, სექსოლოგები მამაკაცებს დაბალ სასათუმალზე და გვერდზე ან ზურგზე ძილს ურჩევენ.

პირველ შემთხვევაში, შარდის ბუშტუვში ზენოლა და მცირე მენჯის ღრუს ორგანოებში სისხლის მიმოქცევის დარღვევა ხდება; მეორე შემთხვევაში კი — თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის დარღვევა, რაც სასქესო ჰორმონების გამომუშავებას აფერხებს. კარგი პოტენციის შესანარჩუნებლად, სექსოლოგები მამაკაცებს დაბალ სასათუმალზე და გვერდზე ან ზურგზე ძილს ურჩევენ.

მომავალი დედა არ უნდა სვამდეს ყავას

პედიატრების მტკიცებით, ორსული ქალისთვის ყავის სმა არ შეიძლება. ორსულობის დროს ქალებს სასტიკად ეკრძალებათ: თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის ნებისმიერი რაოდენობით მოხმარება; ნარკოტიკებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ახლა ამ ჩვევებს შეიძლება, დაემატოს კიდევ ერთი — ყავის მიღება. ორსულობა — ქალისთვის განსაკუთრებული მდგომარეობაა: ამ დროს ის არა მარტო ბავშვს ელოდება, არამედ შეილთან ერთად, ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ამიტომ ნებისმიერი მავნე ჩვევა ბავშვის ჯანმრთელობაზე შეიძლება აისახოს. მეცნიერები რამდენიმე ათას ორსულ ქალს აკვირდებოდნენ და კვლევის პროცესში ყავის მოხმარების გარდა, ფეხმძიმეების სხვა მავნე ჩვევებზეც ითვალისწინებდნენ. გაირკვა, რომ ქალების 55,4% არ მოიხმარდა ყავას ორსულობის დროს; ქალების 31,4% ყოველდღიურად სვამდა 2-3 ფინჯან ყავას, რომელთაც მუცლის მოშლის 3%-იანი რისკი ჰქონდათ; ორსულთა 13%-მა კი გაამხილა, რომ დღეში 4-7 ფინჯან ყავას მოიხმარდა და ამ ჯგუფის წარმომადგენლების მუცლის მოშლის რისკი 33% იყო.




პედიატრების მტკიცებით, ორსული ქალისთვის ყავის სმა არ შეიძლება. ორსულობის დროს ქალებს სასტიკად ეკრძალებათ: თამბაქოს მოწევა, ალკოჰოლის ნებისმიერი რაოდენობით მოხმარება; ნარკოტიკებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ახლა ამ ჩვევებს შეიძლება, დაემატოს კიდევ ერთი — ყავის მიღება. ორსულობა — ქალისთვის განსაკუთრებული მდგომარეობაა: ამ დროს ის არა მარტო ბავშვს ელოდება, არამედ შეილთან ერთად, ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ამიტომ ნებისმიერი მავნე ჩვევა ბავშვის ჯანმრთელობაზე შეიძლება აისახოს. მეცნიერები რამდენიმე ათას ორსულ ქალს აკვირდებოდნენ და კვლევის პროცესში ყავის მოხმარების გარდა, ფეხმძიმეების სხვა მავნე ჩვევებზეც ითვალისწინებდნენ. გაირკვა, რომ ქალების 55,4% არ მოიხმარდა ყავას ორსულობის დროს; ქალების 31,4% ყოველდღიურად სვამდა 2-3 ფინჯან ყავას, რომელთაც მუცლის მოშლის 3%-იანი რისკი ჰქონდათ; ორსულთა 13%-მა კი გაამხილა, რომ დღეში 4-7 ფინჯან ყავას მოიხმარდა და ამ ჯგუფის წარმომადგენლების მუცლის მოშლის რისკი 33% იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ორსული თურმე დღეში 8 ფინჯან ყავასაც კი მიირთმევდა და მათ შორის მუცლის მოშლის საშიშროება 59% გახლდათ. მეცნიერებმა სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, დაადგინეს, რომ ორსულებისთვის ყავა ძალზე მავნეა. მათ ისიც დაადგინეს, ყავის რომელი კომპონენტია მათთვის საზიანო და აღმოჩნდა, რომ ეს — კოფეინია.

**ღიაბაჭური რეზინოპათიის განკურნებაში
ბუნებრივი ნივთიერებები დაგვეხმარება**

ამერიკელი მეცნიერების აზრით, ბუნებრივი ნივთიერებები დაგვეხმარება ღიაბაჭური რეზინოპათიის (თვალის სნეულება) განკურნებაში, რომელიც ხშირად, სინდრომის მთავარ მიზეზს წარმოადგენს. დღესდღეობით არ არსებობს ამ დაავადების მკურნალობის ეფექტიანი საშუალება, ხოლო ახალი აღმოჩენის წყალობით, მეცნიერებმა შეიძლება, მისი მკურნალობის ახალი საშუალება შექმნან, მაგალითად — თვალის წვეთები, რომელიც ღიაბაჭური რეზინოპათიის განკურნებას შეუწყობს ხელს. არადა, იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც ამ სნეულებისგან იტანჯებიან, მხოლოდ აშშ-ში 5 მილიონს აღწევს.



ქმარი განლომას უწყობს ხელს



იაპონელ მეცნიერთა აზრით, ადამიანებმა კერძებში უნდა დაუმატონ ქმარი, რადგან მასში შემავალ აქტიურ კომპონენტს — ძმრის მჟავას ცხიმის დამშლელი თვისება აქვს. მკვლევარების აზრით, ყოველდღიურად ვაშლის ძმრის სულ ცოტა 1-2 ჩაის კოვზის გამოყენებაც კი 10%-ით დაკლებას განაპირობებს. მეცნიერები გვირჩევენ, გავითვალისწინოთ დიეტოლოგების ეს რეკომენდაცია და ბოსტნეულის სალათას ცოტაოდენი ვაშლის ძმარი დავუმატოთ. ეს ცხიმის დაშლის პროცესს დააჩქარებს. გარდა ამისა, ძმრით შეზავებული სალათა ხანგრძლივი დროით კლავს შიმშილის გრძნობას. ჩატარებული კვლევებით ისიც დადასტურდა, რომ წითელი პილპილიც განაპირობებს გახდომას, რადგან ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესის დაჩქარებას. მაგრამ მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ სანამ ვაშლის ძმრის ან პილპილის გასახდომ საშუალებად გამოყენებას დავიწყებდეთ, აუცილებლად გავიაროთ კონსულტაცია ექიმთან.

იაპონელ მეცნიერთა აზრით, ადამიანებმა კერძებში უნდა დაუმატონ ქმარი, რადგან მასში შემავალ აქტიურ კომპონენტს — ძმრის მჟავას ცხიმის დამშლელი თვისება აქვს. მკვლევარების აზრით, ყოველდღიურად ვაშლის ძმრის სულ ცოტა 1-2 ჩაის კოვზის გამოყენებაც კი 10%-ით დაკლებას განაპირობებს. მეცნიერები გვირჩევენ, გავითვალისწინოთ დიეტოლოგების ეს რეკომენდაცია და ბოსტნეულის სალათას ცოტაოდენი ვაშლის ძმარი დავუმატოთ. ეს ცხიმის დაშლის პროცესს დააჩქარებს. გარდა ამისა, ძმრით შეზავებული სალათა ხანგრძლივი დროით კლავს შიმშილის გრძნობას. ჩატარებული კვლევებით ისიც დადასტურდა, რომ წითელი პილპილიც განაპირობებს გახდომას, რადგან ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესის დაჩქარებას. მაგრამ მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ სანამ ვაშლის ძმრის ან პილპილის გასახდომ საშუალებად გამოყენებას დავიწყებდეთ, აუცილებლად გავიაროთ კონსულტაცია ექიმთან.

სხვისი კომპიუტერის კლავიატურა სასაფრთხოა ჯანმრთელობისთვის



თუ ხშირად შედიხართ ინტერნეტ-კაფეში ან იყენებთ სხვის კომპიუტერს, მაშინ ეს, როგორც მეცნიერები აცხადებენ, ძალიან სასიფათოა ჯანმრთელობისთვის, რადგან კლავიატურაზე უამრავი ბაქტერია და ვირუსი იქნება „დასახლებული“.

ავსტრალიელმა მეცნიერებმა ერთ-ერთი უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში არსებული კომპიუტერის კლავიატურაზე უამრავი მიკრობი აღმოაჩინეს. კომპიუტერით სარგებლობა ნებისმიერ სტუდენტს შეეძლო. შემდეგ სპეციალისტებმა ეს მაჩვენებელი შეადარეს იმ კომპიუტერების მონაცემებს, რომლითაც მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო სარგებლობა. აღმოჩნდა, რომ ინდივიდუალურთან შედარებით, საერთო მოხმარების კომპიუტერების კლავიატურებზე მიკრობების 5-ჯერ მეტი რაოდენობა იყო. „კლავიატურა და მათი ყოველთვის სუფთა უნდა გქონდეთ და ხშირად უნდა ჩაუტაროთ დეზინფექცია“ — გვირჩევენ სპეციალისტები; ასე დავიცავთ ორგანიზმს მავნე ბაქტერიებისა და ვირუსებისგან.

კარტოფილის ფრი და ჩიფსები კიბოს ინვაზი

ჰოლანდიელი მეცნიერების განცხადებით, „სწრაფი კვების“ საკვების მოხმარების შემთხვევაში, საშვილოსნოს ყელისა და საკვერცხეების კიბოს განვითარების მაღალი რისკი არსებობს. ქალის სასქესო ორგანოების კიბოს განვითარების რისკის შემცირების მიზნით, მეცნიერები გვირჩევენ, უპირველეს ყოვლისა, უარი ვთქვათ ჩიფსების, კარტოფილის ფრისა და კრეკერების მოხმარებაზე. მეცნიერებმა გააანალიზეს 120000 ქალის დიეტა და დაადგინეს, რომ ძირითად კვებებს შორის აკრილამიდის („სწრაფი კვების“ საკვების შემადგენლობაში შედის) შემცველი საკვების მოხმარება პირდაპირ დაკავშირებულია კიბოს განვითარებასთან. როგორც ცნობილია, აკრილამიდი კანცეროგენია, რომელიც პროდუქტების თერმული დამუშავების შედეგად წარმოიქმნება. კვლევამ აჩვენა, რომ ქალები, რომლებიც ყოველდღიურად მოიხმარენ 40 მგ აკრილამიდს (ერთი შეკვრა ჩიფსი), მათთან შედარებით, ვინც უფრო ცოტა აკრილამიდს მოიხმარს, საშვილოსნოს ყელისა და საკვერცხეების კიბოს განვითარების 2-ჯერ მეტი რისკი აქვთ.



ყოველდღიურად ხილის წვენის მოხმარება მავნებელია

ხილი და ბოსტნეული სასარგებლოა ჯანმრთელობისთვის და ნებისმიერი დიეტის საფუძველს წარმოადგენს. ქალებს, რომლებიც ყოველდღიურად რამდენიმე ფინჯან წვენს მიირთმევენ, 18%-ით ეზრდებათ დიაბეტი — ტიპი 2-ის განვითარების რისკი. მათ კი, ვინც ანალოგიური რაოდენობით ახალ ხილს ან ბოსტნეულს მიირთმევენ, დაავადების განვითარების



ალბათობა რამდენადმე დაბალი აქვთ, მაგრამ მეცნიერებმა ჯერ ვერ დაადგინეს, უშუალოდ ხილის წვენი იწვევს თუ არა დიაბეტს. ამიტომ გვირჩევენ, უარი არ ვთქვათ ხილის წვენზე, მაგრამ შევზღუდოთ მისი მოხმარება, სამაგიეროდ კი, ბევრი ახალი ხილი მივიღოთ.

მოზარდი დაბრმავებას გადაურჩა

ებრაელმა ქორეგებმა 15 წლის მოზარდისთვის მხედველობის დაბრუნება და სიმსუქნის გამო განვითარებული სხვა მრავალი დაავადებისგან თავის დაღწევა შეძლეს. მას ბარიატრიული („კუჭის ჩაფინჯობა“) ოპერაცია ჩაუტარდა. ბიჭუნასთვის ეს ოპერაცია რომ არ გაეკეთებინათ, დაბრმავდებოდა. ქორეგიული ჩარევის შემდეგ მოზარდმა წონაში 50 კგ დაიკლო, მაგრამ ნამდვილი სიურპრიზი ის იყო, რომ მას მხედველობა დაუბრუნდა. 15 წლის ასაკში ბიჭი 138 კგ-ს იწონიდა. როგორც ექიმებმა განაცხადეს, სიმსუქნის ერთ-ერთი გართულება თვალის შიდა წნევის ზრდა გახდა, რამაც მხედველობის ნერვზე იმოქმედა. შედეგად ბავშვს მხედველობა საგრძნობლად დაუქვეითდა.

ოპერაცია ლაპარასკოპიული მეთოდით განხორციელდა. პაციენტის მდგომარეობა მალევე გაუმჯობესდა: მას შეუძლია თავის ტკივილი, გამოუკეთდა გუნება-განწყობილება; აქვს ნორმალური წნევა, გაუქრა დიაბეტი და დაუბრუნდა მხედველობა. მშობლები აცხადებენ, რომ ქორეგებმა მათ შვილს სიცოცხლე ხელმოურედ აჩუქეს.

აირჩიე და შეიძინე სასლიდან გაუსვლელად
 წიგნები და ჟურნალ-გაზეთები
www.elva.ge არასის და ნიგნაზის გამრცელებლის სააგენტო „ელვა.ჯი“


გამოცემის დასახელება	1 კვ. დაბი	3 თვე
1. GEO / GEO	5.00	27.99
2. ЛМЭ	2.50	32.58
3. 188 ЧЕЛОВЕК, КОТОРЫЕ ИЗМЕНИЛИ ХОД ИСТОРИИ	5.00	65.99
4. ПУТЕШЕСТВИЕ ПО СВЕТУ	8.00	24.99
5. СЕМЬ ДНЕЙ	2.50	32.58
6. HELLO! ХЭЛЛО!	4.00	52.99
7. ОТДОХНИ	2.00	26.99

კომპანია
 თბილისი ქ. 79/48
 ტელ: 38-26-73; 38-26-74
 ფაქს: 38-26-74
 აბრეშვი ნიგნაზის სსპ გამომცემი E-mail: elva@virispalitra.com

იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



2 ჩანაწერი ქურნალები



გამრიფლი სილის ზვიანი


ბუნებრივ კვებაზე მყოფ ჩვილს წვეს 3 თვიდან ადღევენ. ხელოვნური და შერეული კვების დროს სამედიცინო ჩვენებით უფრო ადრეც შეეძლიათ მისცეთ, მაგრამ არა უადრეს 1,5 თვისა.

მიოკარდიუმის ინფარქტი

პოსტინფარქტულ პერიოდში, სიმპტომების არარსებობის შემთხვევაშიც კი, პაციენტთა უმრავლესობას სჭირდება რამდენიმე, ხშირად 3-4 მედიკამენტის კომბინირებული მიღება. მრავალი პაციენტი ასეთ მკურნალობას წლებების განმავლობაში საჭიროებს.

დისკის თიაქრის მკურნალობა

დისკის თიაქრის და საზოგადოდ დისკის დაავადებათა პროფილაქტიკისთვის რეკომენდებულია ცურვა, ცხოვრების ჯანსაღი (აქტიური, სპორტული) წესის დაცვა, ძალისმიერი ვარჯიშების სწორად შესრულება.



მეორე ოჯახი

მარინა ბაბუნაშვილი სწორად, მშობლების უთანხმოება და მუდმივი კონფლიქტი ბავშვების ფსიქიკას აზიანებს. ზოგიერთი ბავშვი დედის ან მამის მეორე ოჯახს საერთოდ ვერ ეგუება („რატომ განუდგა შვილი დედას“, — „ვირის პალიტრა“, 23 ოქტომბერი, 2006 წელი).

აგავი პირველი

ყველაფერი „დედის ბრალი“

12 წელი ეკასთვის ტანჯვა უფრო იყო, ვიდრე ცხოვრება. ვერა და ვერ შეეგუა დათოს. ურთიერთობა თავიდანვე ვერ ააწყო, არადა ოჯახი სიყვარულით შექმნეს. ყველაფერზე კამათობდნენ: დაგვიანების გამო, ოთახში სიგარეტის მონევისთვის, ბა-

ზარში წაუსვლელიობისთვის, უყურადღებობისთვის, ქუჩაში შემთხვევით გვერდზე გახედვისთვის და ა.შ როცა ორ ადამიანს ერთმანეთი აღიზიანებს, ჩხუბისთვის საბაბის მოძებნას რა უნდა?

ისევ ქალმა მიიღო გადაწყვეტილება — გშორდებიო, — დათოს უთხრა და მშობლებთან შვილებიანად დაბრუნდა.

დათომ ძალიან განიცადა განშორება, მაგრამ ეკამ გული აღარ მოიბრუნა მისკენ.

მშობლები რომ გაშორდნენ, უფროსი შვილი გია 11 წლის იყო, თეა — 9-ის. გოგომ უფრო იოლად „გადახარშა“ ეს ყველაფერი. რაც შეეხება გიას, ის გულჩათხრობილი გახდა. დედას მიეჯახვა. მიაჩნდა, რომ რადგან მამა მათ გვერდით

აღარ იყო, მას უნდა ებრუნა დედაზეც, დაზეც და საერთოდ, ოჯახზეც.

ეკა მიხვდა, რომ გია ეჩაგრებოდა, ამიტომ მასთან ლაპარაკს მოუხშირა: დედ-მამის განქორწინება, რა თქმა უნდა, არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ უბედურება ნამდვილად არ არის. ეს ნაბიჯი ჩემი და თქვენი სიმშვიდისთვის, უკეთესი მომავლისთვის გადავდგიო. ორი წლის შემდეგ ეკამ მშობლებს და შვილებს გამოუცხადა, — ვთხოვდებიო. გოგონა ამ ფაქტსაც მშვიდად, ერთგვარი ხალისითაც კი შეხვდა. გია კი გაფითრდა. ეკას რჩეული მისი თანამშრომელი უფრო სწორედ, მისი უფროსი გამოდგა. ზურაბი ქვრივი და ეკაზე 15 წლით უფროსი გახლდათ. ეკა დიდი ხანია უყვარდა, მაგრამ თავის გრძნობას არ ამხელდა, სანამ ეკა ქმარს არ გაშორდა.


გიას არ ხიბლავდა მამინაცვალთან ურთიერთობა, არადა,

კაცი ყველაფერს აკეთებდა, რომ ბიჭისთვის ესიამოვნებინა.

ერთხელაც, გიას ნათესაებმა დაურეკა, — მამაშენს ციროზი აქვს, რამდენიმე დღე აქვს დარჩენილი და მიაკითხე, სიკვდილის წინ მაინც ასიამოვნე შენი ნახვითო. დათო მართლაც შეუძლოდ დაუხვდა, მაგრამ არც ისე იყო, როგორც ნათესავი აბუქებდა.

ამონარიდი წერილიდან: „დათოს შვილის დანახვაზე ცრემლები წასკდა, მერე კი, ვეღარ მოზომა და — ჩემი უბედურების მთავარი მიზეზი დედაშენია, რა აკლდა, ვერაფრით მოვიგე მისი გული, ხან რაზე მეჩხუბებოდა, ხან — რაზე, თურმე, საყვარელი ჰყოლია და იმიტომაც აღარ ვუნდოდიო“.

გია ლამის გააგიჟა, ისეთი რალაცები ელაპარაკა დედაზე. ის დღე იყო და გია დედასთან და მამინაცვალთან აღარ დაბრუნებულა.



აგავი ბორო

განსაცლელა

გამინაცვალთან შარიზა

ეკა სასონარკვეთილი იყო. ძლივს ეღირსა ნორმალური, მშვიდი ცხოვრება და შვილის გამო ყველაფერი ჩამწარდა. ბევრს ეცადა გაეათვისებინა, მაგრამ ეს კარგა ხანს ვერ მოახერხა, სანამ...

გიას ცოტა მეგობარი ჰყავდა, განსაკუთრებით თავის კლასელთან, კახასთან ძმაკაცობდა. მისთვის სულსაც კი არ დაიშურებდა. იმ დღიდან, რაც გია მამასთან საცხოვრებლად გადავიდა, სამი წელი გასულიყო. დედის ცრემლებმა მაინც მოაღბო გიას გული, თუმცა, გულის სიღრმეში წყენა ჰქონდა ჩარჩენილი — დედამ მამა „იმის“ გულისთვის მიატოვა, მამა კი დარდისგან გალოთდა და დაავადდა.

შარშან გიამ სკოლა დაამთავრა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა; გამოცდებიც ჩააბარეს და გია და კახა სტუდენტებიც გახდნენ. მერე დედამ (ზურაბმა მისცა ფული, მაგრამ ეს გასაი-

დუმლოებული იყო კარგა ხანს) შვილი და მისი მეგობარი ბათუმში დასასვენებლად გაუშვა. ბულვარში ბიჭებს შეკამათება მოსვლიათ იქაურებთან. კახა დანით მძიმედ იყო დაჭრილი. გია კი გადაურჩა დანას, მაგრამ მეგობარი სისხლით მოსვრილი რომ დაინახა, კინალამ ჭკუიდან გადავიდა. იცოდა, მამა



მაინც ვერაფრით დაეხმარებოდა, ამიტომ მაშინვე დედას შეეხმინა: მიშველეთ, კახა მიკვდებაო. იმ ღამესვე გაემგზავრნენ თბილისიდან ეკა და ზურაბი. საავადმყოფოში, სადაც კახა ჰყავდათ მიყვანილი, ზურაბს ბევრი მეგობარი დაუხვდა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს ბიჭის გადასარჩენად. კახა

გადარჩა. თუმცა ზურაბმა ბათუმში აღარ დატოვა და თბილისში გადმოიყვანა. აქაც წუთით არ მოშორებია გვერდიდან, ორ კვირაში ფეხზე დადგა კახა. მისი მშობლები ზურაბის მზეს იფიცებდნენ... გია კი, მამინაცვალთან მივიდა და: ბატონო ზურაბ, თქვენი დიდი მადლობელი ვარ, რომ ძმაკაცი გადამირჩინეთ, თან ყველაფრისთვის ბოდიშს გიხდით, მაპატიეთ თუ შეგიძლიათო...

როგორც იქნა, შერიგდნენ გია და ზურაბი. ეკა სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა.

მკითხველის წერილები

მან უნდა იცოდეს სიძარტლე - ნაწყეს მისი შვილია!

„ჩემს ცხოვრებაში ირაკლი იმ დროს გამოჩნდა, როცა ძალიან გულგატეხილი და იმედგაცრუებული გახლდით...“

15 წლის ვიყავი, როცა დედა გარდაემცვალა. მამა სულ იმას ამბობდა, ჩემს გოგოებს დედინაცვალს სახლში არ დავუხვამო. გავიდა დრო, 25 წლისას ერთი ბიჭი შემეყვარდა, ცოლად უნდა შევერთე, ის კი გაქრა, რაც ძალიან განვიცადე. ჩემი და უკვე გათხოვილი იყო (ქუთაისში ცხოვრობს) მამასთან ვერ ვგულახდილობდი. ყველაფერს ისიც დაერთო, რომ მამამ ამდენი ხნის მერე, სრულიად მოულოდნელად გამომიცხადა, ცოლი უნდა მოვიყვანოო. კინალამ გული გამისკდა, მაგრამ რაღას ვიზამდი? მხოლოდ ის ვთხოვე იქნებ, აღარ გავთხოვდე და თქვენთან ხომ არ ვიქნები, ცალკე ყოფნა მინდამეთქი. ერთხანს კი იბობოქრა, რას ქვია ცალკე მოგინდა ან რატომ არ უნდა გათხოვდეთ, მაგრამ ბოლოს, მაინც დაჰყვა ჩემს ნებას... გაყიდა ბინა და ერთი ოთახი მომცა. ამ დროს გამოჩნდა ირაკლი, რომელიც

სრულიად შემთხვევით გავიცანი. ცოლშვილიანი გახლდათ, მაგრამ გრძნობა იმხელა იყო, რომ ვერც მე და ვერც ირაკლიმ სიყვარულზე უარი ვერ ვთქვით. ჩვენი ურთიერთობა მალე გახმაურდა და იქით, ირაკლის ცოლმა ატეხა ერთი ამბავი, აქეთ — მამაჩემმა. საკუთარმა მამამ ისეთ დღეში ჩამაგდო, სიკვდილს ვნატრობდი. იმპერიოდში 2 თვის ორსული ვიყავი. ირაკლი დარცხვენილი მოვიდა და მითხრა, ალბათ, აჯობებს დავშორდეთ. ჩვენს სიყვარულს მთელი ქვეყნიერება წინ გადაუდგა და ბედნიერები ვერ ვიქნებითო. რა უნდა მექნა? ვიტყვი, დეპრესიაშიც ჩავვარდი, მაგრამ როცა მოგვიანებით გავიგე, რომ ირაკლის ცოლმა თვითმკვლელობა სცადა, გადავწყვიტე, თავი ხელში ამეყვანა და ირაკლიზე უარი მეთქვა. თუმცა ბავშვს ვერ შეველიე. ირაკლიმ არც კი იცოდა ორსულად თუ ვიყავი. არც ის გაუგია, შვილი რომ გავაჩინე. მე ის არასოდეს შემინუხებია და მიუხედავად ჩემი დიდი სიყვარულისა, თავი არც კი შემეხსენებია მისთვის.

მამაჩემი დღემდე არ მელაპარაკებდა. არადა ამ ამბის შემდეგ სამი წელია გასული. ალბათ დრო მოვა და მამაჩემიც „მოტყდება“, შემირიგდება და მის შვილიშვილს მოეფერება კიდევ. თუმცა, ახლა სხვა რამ უნდა გითხრათ: ამას წინათ, ვაკის პარკში სეირნობისას, ირაკლი შემხვდა, მეგობარი ახლდა. რომ დამინახა თვალები გაუბრწყინდა. ძველი მეგობრებივით შევხვდით ერთმანეთს. ჩემს (უფრო სწორედ ჩვენს) გოგონას მოეფერა. ნაყინიც უყიდა. ეგონა, რომ მასთან დაშორების შემდეგ მალევე გავთხოვდი, — მიხარია, რომ ბედნიერი ხარ და ასეთი ლამაზი პატარა გოგო გყავსო — მითხრა. კინალამ გული ამომივარდა საგულედან. დიდხანს ვეღარ გაგჩერდი, დავემშვიდობე და წამოვედი. მთელი ღამე თეთრად გავათენე. სულ ვფიქრობ, გავუმხილო თუ არა, რომ ნატუკა მისი შვილია, რომ მარტოხელა დედა ვარ და ისევ ძველებურად მიყვარს?

თეა“.

„კითხვ“ მკვდარი

„ჩემი და ფსიქოლოგია. მინდა, ჩემი დის ერთ პაციენტზე გაიმბოთ.

დიტო წარმოშობით ოზურგეთიდანაა. ძირითადად, იქ ცხოვრობს, მაგრამ თბილისშიც ხშირად ჩამოდის დასთან.

თავისი კურსელი გოგო შეპყვარებია პირველივე კურსიდან. გოგონა (სახელი არ ვიცი და პირობითად მაკას დავარქმევ) თბილისელი იყო. გოგოს მშობლები დიტოს წინააღმდეგნი იყვნენ იმიტომ, რომ ბიჭს თბილისში ბინა არ ჰქონდა. ბიჭის მშობლები კი, პირიქით, იქით იგიუებდნენ თავს — თბილისელი არ გვინდა, აქაური გვირჩევენიაო. ერთი სიტყვით, წინააღმდეგობა ბევრი შეხვდათ. კარგა ხანს ებრძოლეს, მაგრამ... დიტომ მშობლებს პროტესტი გამოუცხადა და მთაში ხეტიალი დაიწყო, აღარც თბილისში გაჩერდა, აღარც შინ მიდიოდა. მაკა განაწყენებულა, იფიქრა, დიტომ ზურგი შემაქციაო, ადგა და გათხოვდა. ძნელი შესაგუებელი აღმოჩნდა დიტოსთვის მაკას და-

კარგვა. „გლოვის“ ნიშნად წვერი მოუშვა, საერთოდ გატყიურდა. ეს რა არის? მერე ისეთი უცნაურობა ჩაიდინა, ყველა გააშტერა: მთიდან ჩამოათრია უზარმაზარი ლოდი, თავისი ეზოს კუთხეში დადო, მერე იქვე საფლავის მსგავსი რამ მოაწყო და ყველას გამოუცხადა ეს მაკას საფლავიაო. მაგიდა და სკამებიც დააღაგა და როცა ვინმე ესტუმრებოდა, იქ მიიპატიუებდა — წამოდით,



მაკას ჭიქა წავეუციოთო. ისინი, ვინც მაკას იცნობენ, პირველ ხანებში ეწინააღმდეგებოდნენ, მერე კი იფიქრეს, კაცს „გარეკილი“ აქვს და ჩვენი პროტესტი კიდევ უფრო გააცოფებსო, ამიტომ მიყვებოდნენ და პატარა სუფრა ე.წ. მაკას „საფლავთან“ იშლებოდა. წლები გავიდა, დიტო სადაცაა 50-ის გახდება, ისევ უცოლოა და მაკას „შესანდობარი“ მისი საყვარელი და უცვლელი სადღეგრძელოა. ბოლოს, იქ მცხოვრები მისი და-ძმა და აქ მცხოვრები უფროსი დაც ძალიან შეფიქრიანდნენ მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე და ამიტომაც შეახვედრეს ჩემს ფსიქოლოგ დას... დიტო მაკას მხოლოდ წარსულ დროში მოიხსენიებს, როგორც გარდაცვლილ ადამიანს, როცა ცოლის მოყვანაზე ჩამოუგდებენ ლაპარაკს, აცხადებს — მე მხოლოდ ერთი ქალი მიყვარდა, ის უნდა შემერთო ცოლად. ის აღარაა, ამიტომ სხვა არავინ შემოვა ჩემს სახლშიო. რაც შეეხება ქალებთან ფლირტს, ამაში დიდოსტატი ყოფილა და ქალს ქალზე იცვლის.

აი, რა დამართა ერთ კაცს სიყვარულმა. სოფო, თბილისი“

წერილი გულის სწორს

„შენ ჩემი სიბოცხლე გქვია“

ამ წერილებს ახალგაზრდა პატიმარი კაცი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში მესიჯების სახით უგზავნიდა თავის გულის სწორს. ქალმა იგი შეინახა და სპეციალურად ჩვენი რუბრიკისთვის მოგიტანა, რათა ამ სიყვარულის ისტორიასაც ეხილა მზის სხივი

(ჩვენ მას შემოკლებული სახით შემოგთავაზებთ).

„შენ გენაცვალე, ჩემო ლამაზო და საყვარელო გოგო. ჩემი დიდი სიხარული და სასწაული ადამიანი ხარ. აღარ შემიძლია უკვე, სულ აქედან გამოსვლის დღეზე და ჩვენს შეხვედრაზე ვფიქრობ. დარწმუნებული ვარ,

ყველაფერი კარგად იქნება და შენც ჩემი გახდები. შენს თავს არავის აღარასოდეს დაუთმობ, არც შენ მოგცემ უფლებას, რაღაცების გამო, ჩემზე უარი თქვა. მიყვარხარ სიგიჟემდე. ზოგჯერ, როცა გაუსაძლისი ხდება უშენობა, ცუდად ვხდები. მაგრამ ნუ გეშინია, ჩემო სიცოცხლე, ყველაფერი კარგად იქნება“.

„მაიკო, იცი, როგორ შემიყვარდი? რაც დრო გადის, უფრო და უფრო ძლიერდება შენდამი გრძნობა. რა გავაკეთო, ვიცოდე მაინც, როგორ შეიძლება შენი ნახვა? მინდა განახო და ჩაგეხუტო, შენს ლამაზ სახეს ხელით შევეხო და მოგეფერო. ჩემი ცხოვრების სილამაზე ხარ, ჩემი გახარება, იმედი და ოცნება“.



ჩვენი ჩვეულის შემოღობის
ისეა, რომ მშობლები
ამ მომენტზე

„ჩემო ცხოვრება, ნუ მეტუ-ტები, ძალიან გთხოვ, გამიგე აქ ისეთი ორომტრიალია ხოლმე, რომ ფიქრითაც ვერ იფიქრებ ბოლომდე, რადგან წარამა-რა შეგანყვეტილებენ, ხან ვინ დაგელაპარაკება, ხან — ვინ. რომ დავწვები, მერე უკვე ჩემს თავთან ვრჩები. შენც მაშინ მოდიხარ ჩემთან. გახსოვდეს, დავიწყებით ერთი წამითაც არ მავიწყდები“.

„შენ ჩემთვის ყველაზე ლა-მაზი და საყვარელი ქალი ხარ. გპირდები, ჩემი ცხოვრებიდან არსად აღარ გაგიშვებ. შენ სამუდამოდ ჩემში ჩასახლდი და ჩემი გულის და სულის ნაწილი გახდი. ასე უსაზღვ-როდ არავინ მყვარებია. არ მითხრა ახლა, ამას იმიტომ ამბობ, რომ ოთხკედელშუა ხარ და ემოციებიც გამძაფრებუ-ლი გაქვსო. არ არის ასე. შენ მართლაც საოცარი ადამიანი ხარ და შენი ლამაზი სულით მომხიბლე. ჩემი ყველაზე დიდი მონატრება, ცხოვრების მიზანი და იმედი ხარ“.

„ჩემო ცხოვრება, მიყვარხარ ისე, როგორც არავის არავინ არ ჰყვარებია ამქვეყნად. ამ საშინელ და გაუსაძლის პერი-ოდს, შენზე ფიქრში ვატარებ და ეგ ცოტათი მიმსუბუქებს აქ ყოფნას“.

„ახლა შენს სურათებს ვუ-ყურებდი და შენი ცქერით ვტკბებოდი. ჩემო ლამაზო გოგო, რა კარგი მყავხარ, რა საყვარელი. დამიჯერებ? ამდენი არასდროს მიფიქრია გარეთ გამოსვლაზე. ყოველდღიურად მატულობს შენი მონატრება და ნეტავ, სადამდე გაგრძელ-დება?“

„როგორ ხარ, მაიკო? რა ვქნა, ძალიან მენატრები და სულ ამაზე გელაპარაკები გა-მუდმებით. შენ ჩემი ყოჩაღი, ჭკვიანი და ლამაზი გოგო ხარ. მერე რა, რომ ცოტათი უფროსი ხარ? პატარა გოგონებთან არც არასოდეს მხიბლავდა ურთიერ-ობა, ძალიან ქარაფშუტები და ზედაპირულები არიან. შენ რომ გამოჩნდი, პირველი წუთიდან, იმ პირველი სიტყვებიდანვე მომაჯადოვე. აქაური ძმაკაცი მეუბნებოდა, ხომ არ გაგიჟდი, რა დროს სიყვარულია, 9 წელი გაქვს მისჯილი და ჯერ მხო-ლოდ სამი წელი გავიდაო. განა შეიძლება დაგეგმო სიყვარუ-ლი? ამ გრძნობას ხომ ღმერთი



გვჩუქნის და რა ვქნა, რადგან ოთხკედელშუა ვზივარ (და არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს ვიჯ-დები) უარი ვთქვა ჩემს დიდ სიყვარულზე, რომელმაც სულ სხვა თვალთ შემახედა საგნებ-ზე, მოვლენებზე და მთლიანად სამყაროზე? არა, ვერავინ (და არაფერი) შეანელებს ამ გრძ-ნობას. სიცოცხლეს დავთმობ, მას კი — არა. იცი რა მემარ-თება, როცა შენ გელაპარაკები? თითქოს სულ სხვა სამყაროში ვარ, ულამაზესში, სადაც არც პრობლემაა და არც სხვა რაი-მე ცუდი. ყველა დარდი და უსიამოვნო ფიქრი მეხსნება, როცა შენი ხმა მესმის. ერთს ვოცნებობ მხოლოდ, როდის ჩაგისუტებ გულში“.

„ალბათ მობილურს წაიღებენ და ვეღარ მოგწერ მესიჯებს. ერთხელ მითხარი, ქალაღზე დაწერილი სულ სხვა რამეაო, გეთანხმები, მაგრამ აქედან წე-რილების ხშირად გამოგზავნა ჭირს. მობილური იყო, რომელიც აქ მყოფთ სიცოცხლეს გვმატებდა და უიმედოდ არ

გვტოვებდა. ახლა მიაქვთ და არ ვიცი, როდის დაგვიბრუ-ნებენ (ან დაგვიბრუნებენ კი საერთოდ?) შენ ნუ იდარდებ. ჩემი გამოგზავნილი წერილე-ბი იკითხე, სურათებიც ხომ გაქვს?.. ჰოდა, ეგ გაგიქარვებს დარდს. მეც ასე გავაკეთებ. დამიჯერე, ეს დიდხანს არ გაგრძელდება ასე. მალე სულ ერთად ვიქნებით“.

„მაიკო, ეგოისტად ნუ ჩამთვ-ლი (თუმცა ყველა შეყვარებული ხომ ეგოისტია?!), ნუ გამიბრაზ-დები, მაგრამ აქედანვე უნდა შეეჩვიო, რომ მე შენზე ყვე-ლაფერი მაინტერესებს — სად მიდიხარ? საიდან მოდიხარ? რას აკეთებ და ვისთან ხარ? იმედია, როცა დაგირეკავ და გკითხავ, ამაზე პასუხის გაცემა არ გაგიჭირდება. შენთან ვიქნე-ბის სანამ პირში სული მიდგას, არ იტირო. ძალიან გთხოვ. მალე გამოვალ აქედან, გულში ჩაგისუტებ და ერთი წუთითაც აღარ დაგტოვებ. იცოდე, შენ ჩემი სიცოცხლე გქვია.

შენი ბორისი“.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ
ტელ: 899.27.25.61
ან ელფოსტით babunamarina@yahoo.com

ლო

ლა: გილოცავ, მართლა... ახალი ამბავი იცი? ჩემი ქმარი და შენი ცოლი ერთად არიან, მალე დაქორწინდებიან.

ლოლა: და შენ ცოლი მოგიყვანია, გავიგე. გამიხარდა, ბედნიერი რომ ხარ.

ლოლა: ამას წინათ ნინუცას რომ მისწერე, ლო-ლაა და გავედო, არ მეგონა, ასე თუ განუხებდი. **so my** და ბედნიერად.

გიგა: არ მომიყვანია.

ლოლა: ნინუცას რომ უთხარი?

გიგა: ვიხუმრე.

ლოლა: გასაგებია. ლუკა როგორაა? შენ?

ლოლა: განუხებ?

გიგა: კარგადაა, მალე ბავშვი ეყოლება.

ლოლა: მართლა? ვაიმე, ძაან მაგარია. მიულოცე ჩემს მაგივრად, გთხოვ და უთხარი, რომ მომენატრა და მიხარია, ასეთი ბედნიერი რომაა.

ლოლა: შენ რას შვრები? რა ხდება, პირადში? არაფერს აპირებ?

გიგა: არა, ჯერ. შენ?

ლოლა: მე რა? მე ახლა ძალიან ბევრი სამეცადინო მექნება, ამ წელს ვაბარებ და... ფსიქოლოგობა გადავწყვიტე და ასე...

გიგა: წარმატებებს გისურვებ.

ლოლა: მადლობა. შენკენ რა ხდება?


ლოლა: გიგა!

გიგა: არაფერი.

ლოლა: იცი? გამიხარდა.

გიგა: რა?

ლოლა: ისევ რომ ვკითხულობ შენს ნაწერს. სუულ მახსოვდი. შენ მომატყუე, დაგავინწყდებიო.



რომანი

მარი ჯაფარიძე

შენს შვრები, ესე ძნელია?

გიგა: დაგავინწყდები.

ლოლა: რომ დამვიწყებოდი, საკმარისი დრო მქონდა. ადამიანს აღარ ვგავარ. შენთან მეგობრობა მინდა. დაბრუნდი, ასე ძნელია? ან იშვიათად მაინც შემოდი ხოლმე. მეგობრობა მინდა.

გიგა: მეც მინდოდა, მაგრამ — არაო...

ლოლა: დაბრუნდი, ამ ერთხელ, ასე ძნელია? იცი, ახლა სულელივით ვტირი, იმიტომ, რომ მიხარია, შენ ხარ ისევ... იცი, რამდენჯერ მიფიქრია? სულ ვფიქრობდი, ნეტავ ჩემი არსებობა მაინც თუ გახსენებია ოდესმე-მეთქი. თან ახლა ისეთი საშინელი პერიოდი მაქვს... ყველას და ყველაფერს ვკარგავ, თითქმის ყველა მეგობარი დაგვკარგე, ყველას გულს ვტკენ, ვცდილობ, ისეთი გავხდე, როგორც არ ვარ ანუ ჩემგან სხვა ადამიანს ვქმნი, ბოროტს, უგულოს. ასე ველარ მატკენენ გულს და უკეთ ვიქნები. გიგა, მალე შემოდგომა მოდის.

გიგა: ჩემი ბრალია?

ლოლა: რა?

გიგა: რაც გჭირს

ლოლა: არა, ჩემი ბრალია, ვიცი, საშინელი ადამიანი ვარ

გიგა: საიდან მოიტანე, რომ საშინელი ხარ? ასეთ სისულელებს ნუ ამბობ ხოლმე. ჩემი დაბადების დღე როდისაა, აბა?

ლოლა: რატომ მეკითხები? იანვარში, ხომ?

გიგა: რომელ რიცხვში?

ლოლა: 29?

გიგა: :)

ლოლა: არა?

გიგა: იქნებ, თებერვალი?

ლოლა: შენ იანვარი მითხარი.

გიგა: იქნებ — მარტი?

ლოლა: მაგას რატომ მეუბნები? არ მეტყვი?

გიგა: იანვარი.

ლოლა: რატომ მეუბნები ასე, რომ იქნებ თებერვალი ან მარტიო? შემოდგომა მოდის.

გიგა: ისე, მაინტერესებდა, თუ გახსოვდა.

ლოლა: მახსოვდა. მაშინ გაგიცანი და... ფოტოები გამომიგზავნე, რა...

გიგა: არა. წავედი, კარგად.

ლოლა: რატომ? არ წახვიდე, გთხოვ, მე კარგა ხანს აღარ ვიქნები აქ.

გიგა: მე საერთოდ აღარ ვიქნები.

ლოლა: რატომ, გიგა? ასე რატომ იქცევი? რა დაგიშავე? განყენინე? მითხარი და მერე წადი, ასე არ წახვიდე, გთხოვ, 2 თვეზე მეტია, ყოველდღე ველი შენს გამოჩენას.

ლოლა: გიგა!

ლოლა: გი-გა!

გიგა: გიგააა! გიგაა! გიგაა! გიგაა!

ლოლა: შენ ხომ ყოველთვის მპასუხობდი ძახილზე. კარგად ხარ? ბედნიერი ხარ? ოღონდაც ახლა არ გახვიდე, ოღონდაც, გიგა!

გიგა: რა?



ლოლა: გთხოვ, ცოტა მოიცა. კარგად ხარ? ბედნიერი ხარ?

გიგა: გელოდები, რა იყო? ადე, ჩაიცვი.

ლოლა: გკითხე... მიპასუხე... გიგა...

გიგა: კი, კარგად ვარ.

ლოლა: ბედნიერი ხარ? სხვანაირად წერ, რაღაც, აღარ ხარ ის!

გიგა: კი. როგორ, სხვანაირად?

ლოლა: კარგია, მიხარია, თუ ბედნიერი ხარ. რა ვიცი, აღარ არის „ის“, მე რომ ვიცნობდი-მეთქი... ასე მგონია. ან იქნებ მე აღარ ვარ მისთვის არაფერი და იმიტომაც ასეთი.

გიგა: ნუ სულელობ.

ლოლა: დამელაპარაკე ნორმალურად, რა გჭირს?

გიგა: არანორმალურად როდის გელაპარაკე?

ლოლა: კარგი, გასაგებია... მაგრამ ასეთი სიცივე რით დავიმსახურე?

გიგა: სიცივე?

ლოლა: ჰო და ასეთი უგულო ნაწერები...

გიგა: სად დაინახე სიცივე? ადექი, ჩაიცვი, მიდი...

ლოლა: შენს ყველა სიტყვაში...

გიგა: ...და გარეთ გამოდი.

ლოლა: სად გარეთ გამოვიდე, კარგად ხარ? :)

გიგა: მიდი, ადექი და გამოდი...

გიგა: ქუჩა მითხარი შენი...

ლოლა: გიგა, რა გჭირს? :(

ლოლა: მე საქართველოში ვააააააარ! თბილისში, გესმის? აგერიე ვილაცაში?

გიგა: კაი, კაცო, მართლა? რომელ ქუჩაზე ხარ, მითხარი...

ლოლა: რა გჭირს? ფალიაშვილზე ვცხოვრობ, მერე?

გიგა: ნომერი?

ლოლა: რა გჭირს? :(

გიგა: რასთანაც ახლოს?

ლოლა: გიგა, რა გჭირს?

გიგა: რა გჭირს? არაფერი.

ლოლა: აბა, რაებს მეკითხები?

გიგა: გამოდი გარეთ.

ლოლა: გიგა, სად ხარ?

გიგა: გამოდი და დაგინახავ.

ლოლა: სად გამოვიდე? გინდა, გამაგიჟო?

გიგა: ქუჩაში.

ლოლა: კომპიუტერით ხარ ქუჩაში, ხომ? რატომ მექცევი ასე? ამიხსენი, სად ხარ და რას მწერ?

გიგა: დაგინახავ-მეთქი, გეუბნები.

ლოლა: გულით?

გიგა: არა, თვლით.

გიგა: რა დამიშავე? თუ არ გინდა, ნუ გახვალ.

ლოლა: რუსთაველზე? რა გინდა რუსთაველზე?

გიგა: ვათვალთვლებ.

ლოლა: ჰო?

გიგა: ჰო...

ლოლა: როგორ ათვალთვლებ?

გიგა: აი, გარშემო... კი არა და, ზევიდან...

ლოლა: გამაგებინე, ზევიდან როგორ? ალბათ, არ გახვიდე-მეთქი, რომ გთხოვე, იმიტომ



ლოლა: მადრიდიდან?

გიგა: გულით ყურება არ ვიცი, როგორ უნდა, ჯერ... მადრიდიდან არა.

ლოლა: აბა? ახლა მე რომ ავდგე და ქუჩაში გავიდე, დაგინახავ? რატომ მეხუმრები ასე? რატომ მექცევი ასე? გინდა, თავი შემაძულო? ვერ ელირსები! თუ ფეხებზე გკიდვიარ, კარგი, მაგრამ...

გიგა: არა... გამოსვალ თუ რას იზამ ახლა?

ლოლა: გიგა გამაგებინე, სად ხარ?

გიგა: რუსთაველზე.

ლოლა: კარგი, გავალ ქუჩაში და დაგინახავ? ჰა? რა დაგიშა-

მწერ ასე... ეტყობა ძაან მოგაბეზრე თავი.

გიგა: კარგი, არ გახვიდე, იყავი სახლში. ნავედი მე, კარგად, აბა, შენ იცი...

ლოლა: გიგა, მოიცა, გთხოვ...

გიგა: წარმატებები, გამოცდებზე.

ლოლა: გიგა!

გიგა: რა?

ლოლა: არ გახვიდე, ერთი წუთით, გევედრები.

გიგა: მელოდებიან. რა იყო?

ლოლა: სად გელოდებიან და ვინ? სად ხარ, გამაგებინე, რაებს მწერ?

გიგა: მეგობრები. არაფერს გწერ, დაივიწყე.

ლოლა: გიგა!

გიგა: გკოცნი.

ლოლა: გთხოვ... ერთხელ მაინც დამიჯერე, გთხოვ, ამ ერთხელ არ გახვიდე... ასე რატომ მომექცევი? რატომ? რატომ? მე ხომ მენატრები? ფეხებზე დამიკიდე? განადგურებული ვარ... რა დაგიშავე?



ჩემი ამგანობი სასიყვარულო
 მოქმედებს — წიყნიყებს,
 ჩამოაღებს, ზოზოუნებს

გაფრთხილება

„ნაფიქრ სიყვარულს ნაზოსიძის ბაჩიასი გადასცა შაქალი“

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა პატარა პრინცესას მესიჯი. ის გვწერდა, რომ პირველ შეყვარებულს მშობლების გამო დაშორდა. „მათ ჩემი რჩეულის ეროვნება არ მოსწონდათ და კიდევ იყო რაღაც ისეთი მიზეზები, რაშიც ახლა მათ ვეთანხმები... ამჯერად, უფრო რთულ სიტუაციაში ვარ: სიგიჟედ შემიყვარდა იმავე ეროვნების ადამიანი და მეშინია, შეყვარებულის გამო ყველა არ დაკარგო“. პრინცესას კიდევ ერთი პრობლემა აქვს: „ჩემმა რჩეულმა რაღაც ბიზნესი წამოიწყო და მას შემდეგ მესიჯებსაც იშვიათად მწერს“.



„თუ ქრისტიანი არაა, აუცილებლად უნდა დამორღვე...“

ლიპა ქაჩაია

პატარა:

„შენი მშობლები მართლები არიან, შენმა შეყვარებულმა კი სიყვარული და ბიზნესი ერთმანეთში აურიო. რომ უყვარდე, შენთვის აუცილებლად მოიცლიდა. ნუთუ, ტყუილზე აგებული სიყვარულით არ დაილაღე? თავს ნუ მოიტყუებ“.

ზადრო:

„ჩემო დაიკო, შენმა წერილმა გული მატივინა. ეტყობა, იმ ბიჭს არ უყვარხარ, თორემ შენთვის აუცილებლად მოიცლიდა!“

შოკოლადა:

„ჩემო კარგო, პირველ რიგში, შეყვარებულთან უნდა მოაგვარო ურთიერთობა. დაელაპარაკე და უთხარი, რომ მეტი დრო დაგიტომოს. როცა მიხვდები, რომ მართლა უყვარხარ, მშობლებსაც გაუმხილე შენი რჩეულის ვინაობა. სიყვარული დანაშაული არაა და დასამალიც არაფერი გაქვს. მათ შენს გრძობას პატივი უნდა სცენ, ამას იმსახურებ! სიყვარულზე უარი არ თქვა, თუ რა თქმა უნდა, ის ბიჭი ამას იმსახურებს“.

მზარი:

„როგორც თავად აღნიშნე, შენი პირველი შეყვარებული მხოლოდ ეროვნების გამო კი არაა, სხვა მიზეზების გამოც არ მოსწონდათ და ახლა ამისთვის მშობლების მადლობელიც ხარ. დედ-მამისთვის რომ არ დაგეჟერებინა, შესაძლოა, დიდი შეცდომა დაგეშვა. მშობლებს შვილისთვის ყოველთვის კარგი უნდათ და თუ ვინმესთან ურთიერთობას აგვიკრძალავენ, ისევ შენ საკეთილდღეოდ. მოკლედ, შენი ახალი შეყვარებულსაც გააცანი მათ და თუ „ლოვესთან“ ურთიერთობას მხოლოდ მისი ეროვნების გამო დაგიშლიან, სიყვარული არ დაკარგო. მერნშუნე, მშობლები ადრე თუ გვიან, შეგირიგდებიან, წყენა მალე გადაუვლით. აბა, წარმატებები!“

ნიცა:

„დაუჯერე მშობლებს! მეც მეგონა, დედას ჩემი არ ესმოდა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ მხოლოდ სიმართლეს მეუბნებოდა. მერნშუნე, თუ მშობლებს არ დაუჯერებ, ოდესმე საქციელს აუცილებლად იხანებ და მერე გვიანი იქნება. მით უმეტეს, რომ „ლოვე“ ყურადღებას ახლაც არ გაქცევს. ჩემო კარგო, დედის გული ბევრ რამეს წინასწარ გრძობს“.

ჩახი-ბუტილი:

„ჯერჯერობით, ოჯახის წევრებს შეყვარებულის ვინაობას ნუ გაუმხელ. რა იცი, იქნებ, შენი რჩეული ისეთი კარგი ადამიანი არაა, როგორც გგონია? იქნებ, ის შენი ღირსი არაა?... აუცილებლად დაინტერესდი მისი ბიზნესით. ახალი ბიზნესი ხომ შეიძლება, ახალი გოგოს „შემბას“ უკავშირდებოდეს?! კარგად დაფიქრდი და მერე იმოქმედე“.

ნათი-ნათი:

„ის, რასაც შენი შეყვარებული იმიზეზებს, აბსურდია. თუ ასე ძალიან უყვარხარ, როგორ შეიძლება, შენთვის სულ ცოტა დრო რომ ვერ გამოიხაროს?... თავს ნუ დაიმცირებ და დაფიქრდი, ღირს კი ასეთი ადამიანის გამო ახლობლების დაკარგვა?“

პანკუშკა:

„თავადვე აღნიშნე, რომ რაღაც დეტალებში მშობლებს ეთანხმები კიდევ. სიყვარულს ფიცი და მტკიცე არ სჭირდება. მთავარია, ერთმანეთის გესმოდეთ, უსტყვოდ უგებდეთ. ნუ შეანუხებ და როცა მოუნატრები, მიხვდება, რომ ცუდად მოგექცა, ყურადღება დაგაკლო. დროს მიენდე“.

იკუშკაპი:

„ჩემი აზრით, ნამდვილ სიყვარულს ნებისმიერი ბარიერის გადალახვა შეუძლია, მაგრამ შენს შემთხვევაში ყველაფერი რთულადაა. აბა, დაფიქრდი, ღირს კი ნათესაებსა და ახლობლებს დაუპირისპირდე“.

პირდა იმ კაცის გამო, რომელიც გარკვეულწილად, გულს გტკენს და გაიძულეს, მის გრძობაში ეჭვი შეიტანო. შენს ადგილას ვეცდებოდი, სხვა ეროვნების მამაკაცი არ შემყვარებოდა, მაგრამ არა იმიტომ, რომ რასისტი ვარ, უბრალოდ, ამას დიდი გართულებები მოსდევს ხოლმე. თუმცა, თუ თქვენი სიყვარული მართლა მტკიცე და ძლიერი აღმოჩნდება, მის გამო ბრძოლა ღირს! წარმატებებს გისურვებ! და კიდევ, გაითვალისწინე, დაუფიქრებელი საქციელით მშობლებს გული არასდროს ატკინო“.

სვანის ასული:

„კატეგორიული ტონი მამაკაცთა უმეტესობასთან არ ჭრის. ამას ჯობია, საქმის ასანყოფად ცოტაოდენი დრო მისცე. ვიცი, უყურადღებობა ძნელი ასატანია, მით უმეტეს, იმ ადამიანისგან, ვის გამოც ბევრს თმობ (შენ ხომ მის გამო ოჯახს აუმხედრდი), მაგრამ სხვა გზა არ გაქვს. მშობლები უნდა დაარწმუნო, რომ შენი რჩეული კარგი ადამიანია, რომ მხოლოდ მასთან იქნები ბედნიერი და თუ შვილისთვის კარგი უნდათ, ამას უნდა შეეგუონ; იმ ბიჭს კი აუხსენი, რომ მისი ყურადღება და მხარდაჭერა ახლა ძალიან გჭირდება. იმედი, ყველაფერს დააბალანსებ. იცოდე, სარწმუნოება არაფერზე და არავიზე გაცვალო“.

ლიონა:

„ჩემო პატარა, ახლა ჯობია, ასეთი ნაბიჯისგან თავი შეიკავო. ყველაზე კარგ რჩევას დრო მოგცემს. მთავარი ეროვნება კი არაა, ისაა, თუ რა რწმენისაა და როგორი გული აქვს. ეკლესიაში მიდი, წმინდა მარიამის ხატთან სანთელი ანთე და შესთხოვე, სიტუაციიდან გამოსავალი გაპოვნისოს. უფალი შეგეწიოს“.

ბრუზინა:

„ლოვეს“ ეროვნება არ დაგიკონკრეტებია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩემო კარგო, თუ ქრისტიანი

არაა, აუცილებლად უნდა დაშორდე და ამას მე, მუსლიმანი გირჩევ. სხვა რელიგიას გარკვეული მძიმე წესები აქვს და მათ ვერ გაუძლებ. ალბათ, შენი „ლოვე“ მიხვდა, რომ რელიგიის გამო თქვენი ერთად ყოფნა შეუძლებელია და ცდილობს, დაგშორდეს“.

სავდიანი ძალი:

„მშობლებთან გულახდილი იყავი. რაც შეეხება შენს შეყვარებულს, რაღაც მეეჭვება, გულწრფელად უყვარდე, თორემ შენთან სამესიჯოდ და შესახვედრად დროს აუცილებლად გამონახავდა. ხომ გაგიგონია: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევას“. ასე რომ, თავს სულელურად იმართლებს“.

ძალი ცდუნება:

„სჯობს, დედას დაუჯერო. ოდესმე, შენი ბედი კარზე მოგადგება, გულის ნათქვამი კი უბედურების გარდა, არაფერს მოგიტანს. წარმატებებს გისურვებ!“

მოთხრობი დედა:

„საინტერესოა, ასეთი რა ეროვნებისაა, რომ იწუნებენ? მთავარი სიყვარულია, ჩემო კარგო და არა — ეროვნება. უცნაური მშობლები გყოლია, რა...“

ლუნა:

„ნუ დაიბნევი, ყველაფერს ფხიზელი თვალებით შეხედე. მშობლებს შენთვის მხოლოდ კარგი უნდათ. შენი რჩეული შენთვის ახლა თუ ვერ იცლის, მერე რაღას იზამს? დაფიქრდი და ყველაფერი ისე გააკეთე, რომ საკუთარი თავი არ დააზარალო, გული არ გეტკინოს. უკან დასახევი გზა ყოველთვის უნდა დაიტოვო. გკოცნი. დიდ და წრფელ, ანუ ისეთ სიყვარულს გისურვებ, როგორსაც პრინცესები იმსახურებენ!“

NIGHT ANGEL:

„ჯერ არასდროს მსმენია, რომ დედა შვილს ასე მოქცეოდა. ყველაფერს სჯობს, მასთან მიხვიდე, მაგრამ აკოცო და ბოდიში მოუხადო. თუ ამანაც არ გაჭრა, დამიკავშირდი და რაღაც ერთად მოვიფიქროთ“.

მოთხრობი დედა:

„მანც, რატომ გამოგაგდო დედამ სახლიდან? ისე, დედა კი არა, ურჩხული ყოფილა, რკინის გული ჰქონია. 9 თვე მუცლით გატარა, 20 წელი გზრდიდა და სახლიდან ახლა გამოგაგდო? ნუთუ, ასეთი სადისტი დედები მართლა არსებობენ?“

ლუნა:

„ისეთი რა უნდა დაგეშავებინა, რომ საკუთარმა დედამ ზურგი გაქცია და სახლიდან გამოგაგდო?.. სიცოცხლე ღმერთმა გაჩუქა და ამიტომაც, სიკვდილზე ფიქრის უფლება არ გაქვს. თავს გაუფრთხილდი, უფალი გფარავდეს“.

ძალი ცდუნება:

„ამ 32 წლის მანძილზე ასეთი უცნაური და შემზარავი ამბავი პირველად მოვისმინე. დედა შვილს ასე სასტიკად ვერაფრით მოექცევა. ალბათ, ის ნამდვილი დედა არაა. გამაგრდი და სამუშაოს შოვნა სცადე. ღმერთი არ მიგატოვებს, ის აუცილებლად დაგეხმარება“.

REID BOSS:

„ერთადერთი გამოსავალი ისაა, რომ სიამაყე დასძლიო, დედასთან მიხვიდე და სთხოვო, რამდენიმე წუთით მანც მოგისმინოს. უთხარი, რომ მის წინაშე დამნაშავე“

ხარ, რომ საქციელს ინანიებ. თუ საქიროა, უნდა დაუწყო კიდეც. ამას თუ გააკეთებ, გული აუცილებლად მოუღებება. ბოლოს და ბოლოს, ის ზომ დედაა. აბა, წარმატებებს გისურვებ!“

სარწმინტა:

„არ იტყუება? — უკაცრავად, მაგრამ შენი მესიჯის კითხვისას ამას ვფიქრობდი. ვერ ვიჯერებ, რომ არსებობს დედა, რომელიც შვილს ასე ექცევა. თანაც, ვიცი, მშობლებს ურჩი და ჯიუტი შვილი მეტად უყვართ. თუ სურვილი გქნება, ამ ნომერზე: 8(55) 96.33.28 დამიკავშირდი (მესიჯი მომწერე, რადგან ხშირად, ტელეფონი გამორთული მაქვს) და როგორც შევძლებ, დაგეხმარები. შენ ნებისყოფა, სიმტკიცე უნდა გამოიჩინო. შესაძლოა, მისი სისასტიკე დროებითია და მალე ყველაფერი გადაუვლის“.

უცნობი:

„ძალიან მეცოდები... თავის მოკვლაზე ფიქრი მოიშორე და ეკლესიაში მიდი. იცოდე, მომავლის რწმენა არ დაკარგო. გურიაში ვისვენებ და თუ ჩემთან დაკავშირებას შეძლებ, როგორც მეგობარს, სიამოვნებით მიგიღებ“.

ბრუნისა:

„დედა სახლიდან უმიზეზოდ არ გამოგაგდებდა! მშობელს დაელაპარაკე, ბოდიში მოუხადე და ის უეჭველად, ყველაფერს გაპატიებს. დედას უყვარხარ, დამიჯერე“.

ტაია:

„ავოიეე... არა მგონია, უაზრობის გამო სალ ჭკუაზე მყოფმა დედამ შვილი ასე გაიმეტოს და თან, ნათესავეებთანაც არ მიუშვას.“

„ჩემი და დედაჩემი ყოფილა...“

თაქლა:

„ჩემი და — ანანო ჩემზე 14 წლით უფროსია. ის ჩემ მიმართ უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე ჩემი მეორე დისადმი და ამას იმით ვხსნიდი, რომ ნაბოლარა ვარ, მაგრამ გუშინწინ ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა: ის საქმროს ეუბნებოდა, რომ მე მისი შვილი ვარ. თურმე, 14 წლის შეყვარებულისგან დაორ-

სულდა... საშინლად ვიჩხუბე, მერე ცოტაოდენი ტანსაცმელი და საქირო ნივთები ჩავალაგე და სახლიდან წამოვედი (ჩემთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია). ახლა დაქალთან ვცხოვრობ. არ ვიცი, აქ როდემდე უნდა დავრჩე, არადა სახლში დაბრუნებაც არ მინდა. ვერ ვპატიობ, ამდენი ხანი რომ მატყუებდა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“

„არ მინდა, ჩემი პირველი სიყვარული ბოროტი ენების გამო დაკარგო“

დატანჯული 17:

„2 წლით უფროსი ბიჭი შემეყვარდა. გაზედუ და გრძნობაში პირველი გამოვუტყდი. შეეფიცე, რომ ჩვენი ურთიერთობის შესახებ ვერავინ გაიგებდა (ჭორიკანების გვეშინოდა)... ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ მერე ვიჩხუბეთ. მითხრა, რომ ჩემ შესახებ რაღაც

გაიგო და ამიტომაც მშორდებოდა. აღარ ვიცი, რა ვიფიქრო. ახლა მეც ცივად ვექცევი. აბა, რა ვქნა? ვერ ვხვდები, ჩემში ეჭვი რატომ შეიტანა?.. მიყვარს და

მზად ვარ, ყველაფერი ვაპატიო. ახლა თბილისშია და მალე ჩამოვა. დამეხმარეთ, არ მინდა, ჩემი პირველი სიყვარული ბოროტი ენების გამო დაკარგო“.

PS. მაშ ასე თუ თაქლასა და დატანჯული 17-ის წერილების ნაკითხვის შემდეგ, რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.

„დაინახავე რომ იყო, ძეჩაში გასაგებად რომოჩი გაიჩაბა?“

„გზის“ №29-ში დაიბეჭდა ყველასგან მიტოვებული გოგოს მესიჯი. შეგახსენებთ, ის 20 წლისაა და როგორც თავად გვითხრა, დედამ შინიდან რალაც უაზრობის გამო გამოაგდო. „ასე სასტიკად როგორ მომექცა? ბედის ანაბარად ქუჩაში როგორ გამომაგდო? სიკვდილი მინდა. მე არც თავშესაფარი მაქვს და არც — ფული — თან, დედამ ისე გააკეთა, რომ მისასვლელი გზა ყველგან მომიჭრა — ხალხს საშინელებებს ეუბნებოდა ჩემზე და რასაკვირველია, მათ ჩემი თავი შეაძულა“.



„ყველა ქალი დედობის ღირსი ნამდვილად არაა“

უეჭველად, მაგარი რალაც გაქვს მიქარული. აქ მესიჯის წერას ჯობია, დედას დაელაპარაკო“.

სკოლაში:

„შენი ამბავი ძალიან განვიცადე. ვიცი, არავის განსჯის უფლება არ მაქვს, რადგანაც ღმერთია ყველაზე დიდი და სამართლიანი მსაჯული. უბრალოდ, მინდა გთხოვო, თვითმკვლელობაზე ნუღარ იფიქრებ, ეს ყველაზე დიდი ცოდვაა. ჩემო კარგო, ღმერთი არ მიგატოვებს. თუ სურვილი გქვნება, დამიკავშირდი და შეძლებისდაგვარად დაგეხმარები“.

სვანის ასული:

„თუ შენთვის მხოლოდ ჭკუის სწავლება უნდოდა, ნესით, უკვე ყველაფერი უნდა გაპატიოს, მაგრამ თუ სათანადოდ არ უყვარხარ და შენი ბედი არც ადრე ანაღვლებდა, მაშინ მისგან სიკეთეს ნუ ელი. იქნებ, საბაბსაც კი ეძებდა, რათა ქუჩაში გაეგდე?.. ქუჩას ერიდე, მომავალი არ დაილუპო. დროებით რომელიმე მონასტერში მიდი, იქ გიპატრონებენ, შენს სულს უმკურნალებენ, ამასობაში კი იმედია, ქარიშხალიც გადაივლის. ყველაფერი ღმერთის ნებაა...“

ლი ჰარვი ოსვალდი:

„ეკლესიაში იარე. მერწმუნე, ასე სულიერ სიმშვიდესაც დაიბრუნებ და ღმერთიც წყალობის თვალთ გადმოგხედავს, მერე კი იქნებ, დედას შენ მიმართ გული მოუღებეს“.

იკუპაკაბი:

„არ მინდა, მკაცრი და უგულო გეგონოთ, მაგრამ მაინტერესებს, ისეთი რა ჩაიძინე, რომ დედამ სახლიდან გამოგაგდო? გვწერ, რალაც უაზრობის გამო, მაგრამ ამაში ეჭვი მეპარება. ჩვენ, შვილები ხშირად ვიმართლებთ თავს ისეთი საქციელისთვის,

რაც მშობლისთვისაც და ზოგადად, ცხოვრებაშიც მიუღებელი და დასაძრახია. კარგად ვიცი, თუ როგორ უკანონოდ ექცევიან შვილები მშობლებს, როგორ ატყუებენ და ასულელებენ. ალბათ, ძალიან გაამწარე. მაგრამ თუ დედაშენის სიმკაცრე მართლაც უსაფუძვლოა, მაშინ სიმართლის დასამტკიცებლად იბრძოლე. ჩემთვის დედა ყოველთვის იმედი, მყარი დასაყრდენია და ამიტომაც ვერ წარმომიდგენია, რის გამო შეიძლება ასე მომექცეს?.. იქნებ, მოახერხო და უახლოეს ნომერში გულახდილად მოგვწერო, თუ რა გახდა მიზეზი თქვენი ჩხუბისა. წარმატებასა და კეთილგონიერებას გისურვებ!“

პანკუშკა:

„ყველა ქალი დედობის ღირსი ნამდვილად არაა. დამნაშავე რომც იყო, ქუჩაში გასაგებად როგორ გაგიმეტა? ასე ხომ გზას ასცდები და ცხოვრებას აიწუნავ?! სხვა გამოსავალი არ გაქვს, ბოდიში უნდა მოუხადო და ოჯახში დაბრუნდე“.

გიბა:

„გამარჯობა. მე რუსთაველი ვარ და თუ თანახმა იქნები, შემიძლია, დაგეხმარო და ჩემს სახლში გაცხოვრო მანამ, ვიდრე შენს პრობლემებს არ მოაგვარებ“.

ნათი-ნათი:

„რაც არ უნდა საშინელება ჩაგედინა, დედაშენის საქციელს ვერ გავამართლებ. მით უმეტეს, თუ მართლა ჭორებს გივრცელებს. თავს მიხედე და სიკვდილზე ნუ იფიქრებ. ეცადე, სახლში დაბრუნდე“.

ნისა:

„მეცოდები. პირველ რიგში, მღვდელთან უნდა მიხვიდე და ის გირჩევს, როგორ მოიქცე. იცოდე, სწორ გზას არ გადაუხვიო და

ექებ ისეთი სამსახური, რომლის მეშვეობითაც საკუთარი თავის რჩენას შეძლებ... რაც არ უნდა დამნაშავე ყოფილიყავი, დედაშენს ეს ნაბიჯი არ უნდა გადაეგდა“.

მზარი:

„ვფიქრობ, უაზრობის გამო ასე არ მოგექცეოდა. დედას ბოდიში უნდა მოუხადო. საქციელი გულწრფელად მოინანიე და ვინ იცი, იქნებ მან შენი პატიება შეძლოს კიდევ. თუ არადა, 20 წლის გოგო ხარ და საკუთარ ცხოვრებას უნდა მიხედო. ნუთუ, არანაირი განათლება არ გაქვს? მუშაობა დაიწყე. შენი ასაკის გოგონები უკვე დამოუკიდებლად ცხოვრობენ. მჯერა, ამას შენც შეძლებ. მთავარია, სულიერად არ დაეცე და ადრე თუ გვიან, დედაც შეგირიგდება...“

ზოკოლადა:

„სიკვდილი გამოსავალი არაა. შენ ახალგაზრდა ხარ და მიზნის მისაღწევად უნდა იბრძოლო. მანამდე კი ეკლესიაში მიდი, მამაოს დაელაპარაკე და ის დაგეხმარება. ბოლოს და ბოლოს, ღამეს მაინც არ გაათევ ქუჩაში. უფალი შეგენიოს“.

კოდალა:

„აუცილებლად მიდი და დედას პატიება სთხოვე, ეკლესიაში იარე, მოძღვარი აიყვანე, თვითმკვლელობაზე ფიქრს შეეშვი. და კიდევ, ვიდრე დედაშენი შეცდომას არ გაპატიებს, შემიძლია, თავშესაფარი მოგცე. იმედს ნუ დაკარგავ. წარმატებას გისურვებ!“


უცნობი გულწრფელი:

„მსგავსი რამ მეც გადამხდა, მაგრამ ღვთის წყალობით, ახლა არაფერი მიჭირს და მაქვს ჩემი პატარა ბიზნესი. მინდა, ამ გოგონას დავეხმარო. შემომეხმიანეთ“.

ქაღი თუ პირიღობა...

მარი ჯაფარიძე

დაგპრდით და ვასრულებ ჩემს დანაპირებს. გთავაზობთ ინტერვიუს ჩვენი რეალური ამბის მთავარ მოქმედ გამირთან, კატოსთან. გამოგიტყდებით, რომ მეც დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალყურს ამ წყვილის ვირტუალურ ურთიერთობას და გული დამწყდა, ყველაფერი ასე რომ დასრულდა. როგორც შევთანხმდით, თავდაპირველად თქვენს მესიჯებს შემოგთავაზებთ, რომელიც საკმაოდ დიდი რაოდენობით მოდიოდა, მაგრამ მათგან ისინი შევარჩიე, რომელშიც მკითხველის მწვავე რეაქცია ჩანდა:



„ჩემო მარი, ძალიან გთხოვ, ეს წერილი დაურთოთ ვირტუალურ სასიყვარულო დიალოგს და მინდა მიემართო კატოს: ჩემო კატო, ყველა ქმრის მოყვარული ცოლი გრძნობს ქმრის ორგულობას. თქვენ ვერ იტყვით, არ ვიცოდი, ცოლი რომ ჰყავდაო. იქნებ დათოს ცოლი თქვენზე ვნებიანია და საყვარელი? თქვენ ეს ხომ არ იცით? იქნებ თქვენზე ძალიან უყვარს ცოლს? რატომ აგდებთ კაცს განსაცდელში? ოჯახი თუ ერთხელ გაიზარა, მას ველარ აანყო. რატომ ხართ დარწმუნებული, რომ თქვენც იგივე არ შეგემთხვევათ? ღმერთი ყველას მიუზღავს სამაგიეროს. მე თქვენს ადგილზე მოვიხდიდი საქვეყნოდ ბოდიშს, რომ კინალამ დაანგრიეთ ოჯახი, ალბათ — თქვენდაუნებურად და ეკლესიაში მოძღვარს აღსარებას ჩავაბარებდი. კარგი იქნებოდა, მონანიების ლოცვასაც თუ წაიკითხავდით. მე ჩემი საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე გეუბნებით. სწორედ მასეთი ურთიერთობის მსხვერპლი გახდით. ახლა თან მყვება მეუღლე, მაგრამ ეჭვიანობამ ლამის გამაგიჟოს. აღარაფერი მჯერა მისი. აგინებს, ლანძღავს იმას, ვინც ეს განსაცდელი მოუწყო, მაგრამ სულ მახსენდება ჩემი თვალთ ნანახი მესიჯები. შენ კაცი თვალთ არ გინახავს და ეჭვიანობ და წარმოიდგინე, მე რა დღეში ვარ, როცა ჩემი ქმრის მეგობარი, მესაიდუმლე, საყვარელი და ცოლიც მე ვიყავი. ასეთი ცოლი ყოველთვის გრძნობს ლალატს. ახლა ფსიქოლოგის დახმარება მჭირდება, რომ აზრზე მოვიდე. ძალიან გამიხარდება, თუ ისე მოიქცევი, რო-

გორც გთხოვე. ამით შეიძლება ერთი ოჯახი გადარჩეს“.

„გამარჯობა მარი, ძალიან მინდა, ჩემი წერილი მოხვდეს თქვენი ჟურნალის ფურცლებზე. ქალბატონ კატოს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისმა რეალურმა ამბავმა გამაგიჟა. როგორ შეიძლება, ქალი, რომელიც საკუთარ თავს ინტელიგენტს უწოდებს, ასე იქცეოდეს? ეს ქალბატონი ოჯახს ანგრევს, ფაქტობრივად. იცის, რომ ცოლშვილიანი მამაკაცია და მაინც შეხვედრას სთხოვს. კი, მესმის, ის მამაკაციც არაა მთლად დალაგებული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, ვინაიდან მეუღლეს ლალატობს. კატოს არ უნახავს ეს კაცი. შეიძლება სულ არ მოეწონოს და რიგითი თაღლითი აღმოჩნდეს, მაგრამ მაინც უნდა, რომ ოჯახი დაუნგრეოს. სპეციალურად ვყიდულობდი „გზას“, მაინტერესებდა, როგორ დამთავრდებოდა ეს ამბავი. კატო, რატომ ანგრევ ოჯახს? ვინ ხარ? ღმერთი ხარ? მაგრამ სატანას უფრო ჰგავხარ, შენი მესიჯებიდან გამომდინარე. არ ვარ გათხოვილი და ღმერთმა დამიფაროს, ასეთი მამაკაცი შემხვდეს, ცხოვრებაში. ძალიან გთხოვთ, ამ წერილს სათაური გაუკეთეთ და დაბეჭდეთ. ჰკითხეთ კატოს, იქნებ იკადროს და პასუხი გასცეს საზოგადოებას. დარწმუნებული ვარ, დათო ამ რეალური ამბის გამოქვეყნების ამბავს რომ გაიგებს, კარგი დღე არ დაადგება კატოს. დიდი მადლობა“.

„მარ, კატოს და დათოს ამბავს გულგრილად ვერ ვკითხულობ. კარგად ვიცი, როგორია საყვარელი ადამიანის სიგიჟემდე მონატრება, მის სურვილში თავის დაკარგვა, მასზე ოცნებაში ლამის თენება და უბრალოდ, სიყვარული — შეხვედრის გარეშე. მე ვგრძნობ, დილით როგორ მალვიძებს მისი ნაზი



სსაქართველოს ყველაზე
დიდი ნაყოლი ისაა,
რომ ამ შევიძლოს, მხსნე
მას და დაისვენო

ალერსი. როცა ვიბუტები, როგორ მეამბორობა გაბუსხულ ბაგეზე და როგორ მეხება თმაზე. ისიც ვიცი, რომ როცა მიჭირს, ჩემთანაა, ხელს მაშველებს, რომ არ დავიჩოქო და ცრემლიან თვალებს მიკოცნის. ვიცი, რომ მალმერთებს და ჩემი სიახლოვის სურვილით იწვის. ასობით კილომეტრია ჩვენ შორის და მაინც მათობს მისი სუნთქვა, ვნებით სავსე. ჩემი სიყვარული დიდი ქალაქის ქუჩებში დადის და მხოლოდ მე ვიცი, ვის ეფერება მისი ფიქრები, ვისთვის უძლებს მტანჯველ სიშორეს. ეს მე ვარ, მისი პატარა მაცდური, მისი ანმყო და მომავალი! ნიკის გარეშეც მიცანი, ალბათ. გკოცნით, თქვენი“...

„გამარჯობა, მარი. მინდა, თავს უფლება მივცე და ორიოდ სიტყვა ვთქვა კატოსა და დათოზე. ჩემი აზრით, მათი დიალოგი საკმაოდ ამაზრზენი და ვულგარულია. კატოს თავმოყვარეობა არ აქვს. შინაბერა ქალს მაგონებს. პატივისცემით, ნინო, 18 წლის“.

„მარ, ძაან გამიკვირდა, კატოსა და დათოს ამბის ასეთი დასასრული. თუმცა, ალბათ ასე უნდა მომხდარიყო, რადგან ოჯახის დანგრევა ნამდვილად არ იქნებოდა კარგი. სესი“.

— **კატო, მკითხველის მესიჯებს გაეცანით. როგორია თქვენი რეაქცია? ხომ არ ნანობთ, რომ თქვენი პირადი ცხოვრება ხალხის სამსჯავროზე გამოიტანეთ?**

— არა, არ ვნანობ, რადგან წინასწარ ვიცოდი, რა მოჰყვებოდა ამას. სიმართლე გითხრათ, გაცილებით უარესს ველოდი. თუმცა, ალბათ დამინდეს. დათოს ოჯახის დანგრევა გულშიც არ გამივლია. უარეს შემთხვევაში ჩვენი ურთიერთობა ისე დასრულდებოდა, როგორც დასრულდა, უკეთეს შემთხვევაში — ალბათ მეგობრებად დავრჩებოდით (მეგობრობაში ქალისა და მამაკაცის სასიყვარულო ურთიერთობას ვგულისხმობ).

— **ურთიერთობა კი არ დასრულდა, თქვენ დაასრულეთ და თანაც „უარესი შემთხვევით“, რატომ?**

— ასე ჯობდა... არ ვიცი, ვის როგორი რეაქცია აქვს ამ ყველაფერზე, მაგრამ მიმაჩნია (და დათოსაც), რომ ეს ძალიან ლამაზი იყო... 40 დღე ოცნებით ვცხოვრობდი... 40 დღის განმავლობაში დილის გათენება მიხაროდა, იმიტომ, რომ მას „ვნახავდი“ იქ, ვირტუალურ სამყაროში. დათოსთან შეხვედრის გარეშე ცხოვრება უკვე წარმოუდგენელი იყო და

შეხვედრაზეც ამიტომ დავთანხმდი. ჩემი ნება რომ ყოფილიყო, ამ ლამაზ ურთიერთობას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შევინარჩუნებდი, შეხვედრის გარეშე.

— **იმედი ხომ არ გაგიცრუვდათ, შეხვედრის შემდეგ? განიხილეთ?**

— არა, არ განვიხილე. დათო დახვეწილი, ზრდილობიანი, სიმპათიური, დელიკატური მამაკაცია. ეს მის მესიჯებშიც იგრძნობოდა და რეალურადაც ასეთი გახლავთ. უბრალოდ, უმჯობესი იყო, ჩვენი ურთიერთობა ყველაზე ლამაზ ადგილზე დასრულებულიყო. მე ვიცი, ასეთ ურთიერთობას გულის ტკენა, ბრაზი და იმედგაცრუებაც ხშირად მოაქვს. ახლა კი ჩემთვისაც და ალბათ მისთვისაც ჩვენი ურთიერთობა ერთ ლამაზ მოგონებად დარჩება. ამას კი ხელი იმითაც შეეწყო, რომ ყველაფერი თქვენს ჟურნალში დაიბეჭდა და თითქოს ხელშესახები გახდა.

— **გიყვარდათ? უფრო სწორად, გიყვართ?**

— არ ვიცი, ამ გრძნობას რა შეიძლება, დავარქვათ. მიყვარდა, რადგან მაშინ ცარიელი ვიყავი და თითქოს მინდოდა კიდევ, რომ მიყვარებოდა ვინმე... ვფიქრობ, რომ ღირსეული ადამიანი შევიყვარე. ახლაც მიყვარს, მაგრამ ახლა უფრო წარსული მიყვარს და ის ურთიერთობა, რაც ადრე იყო.

— **ახლა როგორ მოიქცევით?**

— ცხოვრებას ჩვეულებრივ გავაგრძელებ, როგორც დათოს გაცნობამდე ვცხოვრობდი.


— **მაგრამ მას ხომ სურს თქვენთან**

ურთიერთობა? ეს მესიჯებიდან ჩანს.

— ამაზე მხოლოდ ერთი პასუხი მაქვს: ეს მხოლოდ მესიჯებიდან ჩანს...

— **თქვენს დიალოგში არ ჩანდა და თუ საიდუმლო არ არის, რა მოხდა იმ დღეს, როცა ერთმანეთს შეხვედით?**

— როგორც მოვილაპარაკეთ, სასტუმროში ჯერ მე მივედი... 5 წუთში დამირეკა და მითხრა, ახლა შემოვალ... მოლაპარაკებისამებრ, თვალები არ ამიხვევია, ვინაიდან მისი დანახვა ძალიან მინდოდა... მის დანახვაზე დავიბენი, გავწითლდი და ენა ჩამივარდა... გადამკოცნა, დივანზე დამსვა, კონიაკით სავსე ჭიქა მომანოდა. მერე თავი კალთაში ჩამიდო და რამდენიმე კითხვა დამისვა... იქ 4-5 საათი დავყავით და მეორე (და კიდევ ბევრ) შეხვედრაზეც შევთანხმდით... ყველაზე მეტად მის მიერ ნათქვამი ერთი ფრაზა დამამახსოვრდა: „მე საყვარელი არასოდეს მეყოლება, რადგან ეს ჩემი პრინციპია. მე და შენ შეყვარებულები ვიქნებით“.





აღბათ ეს ძალიან კარგია, როცა მამაკაცი ამას გეუბნება... მეც იმიტომ დამამახსოვრდა.

— რა რეაქცია ჰქონდა, როდესაც „გზაში“ თქვენი ინტერნეტდიალოგის დაბეჭდვა დავიწყეთ? თუ წინასწარ შეუთანხმდით?

— არა, წინასწარ არ შევთანხმებულვართ. ხუთშაბათს ჩვენი დიალოგის პირველი ნაწილი დაიბეჭდა, ჩვენ კი ერთმანეთს 2 დღის მერე, შაბათს შევხვდით და სწორედ მაშინ ვუთხარი ამის

შესახებ, ნახე და წაიკითხე-მეთქი. ახლაც ყურებში მიდგას ის ხმა, რომელიც მისი ხელისგულის შუბლზე შემორტყმამ გამოსცა. დავიღუპეო, თქვა, მაგრამ დავამშვიდე, რომ ისეთი არაფერი დაიბეჭდებოდა, რაც მის პიროვნებას გამოაშკარავებდა. როდესაც პირველი ნაწილი წაიკითხა, დამშვიდდა და მადლობა გადამიხადა. შემდეგ თვითონაც სიამოვნებით კითხულობდა ყველა ნომერს და მესიჯებით აზრსაც მიზიარებდა. რაც ჩვენი ამბავი „გზაში“ დასრულდა, მას შემდეგ მესიჯი აღარ

მოუწერია. ვფიქრობ, მანამდე ჩემს გაბრაზებას ერიდებოდა, რომ რაიმე „ისეთი“ არ დაბეჭდილიყო... ახლა კი მოეშვა... დარწმუნდა, ყველაფერი კარგადაა და თავს მშვიდად გრძობს...

— და მაინც... რა იქნება შემდეგ?

— იგივე კითხვას მეც დიდი სიამოვნებით დავუსვამდი მას, ვისაც პასუხის გაცემა შეეძლებოდა.

მოკლე ჩართვა

როგორ ვისვენებ?

• აუ, კი ვისვენებ, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ. ჰოდა, რომ გავილახები, აღბათ შემდეგ დავისვენებ. ვითომ არ ცხელა და მე რამ ამრია-გადამრია, არ ვიცა. ლიზინკა.

• ეჰ, მარი, ვინ დაგასვენებს? ჯერ ჩემი დასვენება ისაა, რომ ძილი მიყვარს და დიდხანს მძინავს, მაგრამ ამასაც არ მაცდობან. დილის 10 საათზე რომ ამიფლრალებს ოსვალდი ტელეფონს, მიდი და დაიძინე. ცოტა ხანში მშობლიურ სოფელში გავემგზავრები და დარწმუნებული ვარ, ძან მაგრად გავერთობი. მშვიდობიან დასვენებას გისურვებთ ყველას. სიკვდილა.

• როგორ ვისვენებ? კოშმარულააად! ამ გამოცდების ხელში კიდევ კარგად ვარ დამავოი.

• როგორ ვატარებთ ზაფხულსოოო? არაჩვეულებრივად დღისით ზღვაზე სალამოს — „როლიკებზე“. თან თვით დიდ მანქანასთან ერთად ახლა სწავლობს „კატაობას“ და ნეტავ განახათ, როგორ ფორთხავს. არა, აშკარად ნიჭიერი მოსწავლეა. ახლაც იმ გიჟს და ვერმასტს ველოდები, ზღვაზე მივდივართ. თუ წყალში არა, იმედი, სიცილით მაინც არ დამაზრჩობენ. და კიდევ გუშინ პირობა დავადებინე რომ ორივე დაბრუნდება „გზაში“. აბა, ვნახოოოთ. ყველას სიამოვნო და სახალისო დასვენებას გისურვებთ. SWEET-GIRL.

• დაქალებთან ერთად ვისვენებ. ყოველდღე ნაირ-ნაირ ბიჭებს ვიცნობთ ერთი ბიჭი მაგრად მომწონს, სულ ერთად ვართ არადა, თბილისში შეყვარებული მყავს, რომელიც გამუდმებით მაკონტროლებს. რაღაც გაორება დამემართა. ბავშვობიდან მიყვარდა საზაფხულო რომანები და ამ შეყვარებულობის უამსაც გადავანყდი, ასეთ სიტუაცია. თათა.

• როგორ ვისვენებ? ზღვისპირეთში, მაგნეტურ ქვიშაზე. ჩემს საყვარელ ძიძიასთან ერთად. მთელი აჭარა ერთ, არც ისე უბრალო სიყვარულში გავცვალე ჯინჯარა-ქების გვარს უნდა შემოვვლებოდი, სხვანაირად არ შემეძლო. ჰოდა, კოლოებიც მჭამენ ლიკლიკა.

• როდესაც ვისვენებ, ხშირ შემთხვევაში სხვებს ეშლებათ ნერვები, რადგან ბოლო ხმაზე ვუსმენ „მეტალს“. ლი ჰარვი ოსვალდი.

• ჯერჯერობით თბილისში ვისვენებ (თუ სახლში ვდომას დასვენება ჰქვია). 2 კვირაში კახეთში მივდივარ და აი, იქიდან მოგწერთ, როგორ დავისვენებ. ლალოლა.

• წელს რაჭას, სამეგრელოს და ბათუმს უნდა ვესტუმრო. ჰოდა, ეს უურნალი რომ გამოვა, რაჭაში ვიქნები და იქ პრესა თუ არ იარსებებს, ვინც ჩემზე ცუდი თქვას აქ... რაა?! GREEN GIRL.

უსაქონლოები და უსაქონლობა

მარი ჯაშარიძე

18 აპრილი, 14:01

მერაბ: შენ ისეთი ანკეტა გაქვს, საერთოდ რა გინდა აქ? შენი ადგილი ცაში ყოფილა, მაგრამ მაგისტრის არ მემეტები. ჯერ ხომ ბარტყი ხარ?..

ანა: აბა, რისთვის გემეტები, შენთვის?

მერაბ: ისეთი გარეგნობის რომ იყო, როგორც მომწონს, მართლა გავიმეტებდი ყველაფერს. არა, შენ არ იფიქრო, რომ გიყიდდი. ყველაფერს გავაკეთებდი, რომ შენ ჩემში დადებითი თვისებები დაგენახა, მაგრამ მეშინია თამამი განცხადებების გაკეთების, რომ არაფერი გენყინოს. ისე, ქუთაისი მოგწონს?

ანა: ქუთაისი მომწონს... მინდა გითხრა, ისეთი გარეგნობა მაქვს, რომ დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოგეწონები.

მერაბ: იმის თხოვნაც მეშინია, რომ შენი ფოტო მაჩვენო. ერთი სანყალი ბიჭი ვარ. ისე, მართლა, მაჩვენე ფოტო, მოიხსენი „მასკა“ და იმ ცალ „ტუფლს“ ჩაგაცმევ, რომელიც დაკარგე...

ანა: მე არაფერი დამიკარგავს... კონკია არ ვარ... თავიდან პრინცესა ვიყავი, ახლა კი უკვე დიდი პრინცესა ვარ... :))) ჩაცმა-გახდას რაც შეეხება, გარდერობში ცარიელი ადგილი არ მაქვს... ნუ შენუხდები...

მერაბ: აუ, შენ „მაღაღეც“! სიტყვისთვის ჯიბეში ხელს არ იყოფ. ერთი სიტყვაც არ მაპატიე. გული მიგრძნობს, ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდება.

ანა: საერთოდ, მამაკაცებს არ უყვართ ისეთი ქალები, ხურდის დაბრუნება რომ შეუძლიათ... შენც ასეთი ხარ? გამიბრაზდი?

მერაბ: არა, პირიქით, გაუნათლებლებს და უფიცებს ვერ ვიტან. ქალმა უნდა დაგაინტერესოს, ცოტა უნდა გაგამწაროს (ზომიერად). ისე, შენ კარგად მიგყავს „პარადი“. სად აიმაღლე კვალიფიკაცია?

ანა: დავდიოდი, მამაკაცების გამწარებისა და ყოჩაღი პასუხების გაცემის წრეზე... :))) როგორც ჩანს, უკვე დაგაინტერესე რალაცით...

მერაბ: მე ვაკმაყოფილებ შენს პარამეტრებს?

ანა: სურათი ვნახე... სიმპათიურად გამოიყურები... სხვა — ჯერ არ ვიცი.

მერაბ: აბა, მე სურათსაც არ მაჩვენებ... რა, „ზალოფნიკი“ ვარ, შენი? მაგ სურათმა, რომელიც აქ გიდევს, რალაც გამახსენა და იმიტომ შეგეხმიანე.

ანა: ძველი სიყვარული გაგახსენა? „სკაიპი“ არ გაქვს?

მერაბ: აქ არა, სამსახურში ვარ და დაბლოკილია. ისე, მართლა, როგორ მოგმართო? რაც შეეხება ძველ

„ლიუბოვს“, არაერთი მასეთი გარეგნობის ქალი მევასებოდა და ისე წავიდა საქართველოდან, ვერ ვუთხარი და გულში მქონდა ჩარჩენილი. შენ საიდან გამოჩნდი? ისე, რაიმეთი მაინც თუ ჰგავხარ მაგ მანდილოსანს?

ანა: მორცხვი ბიჭი ყოფილხარ... :))) არა, არ ვგავარ.

მერაბ: ისე, ძალიან რომ მოვინდომო, გნახავდი, როგორი ხარ. კარგი, სურათი — არა, სახელი — არა, წლოვანება მაინც თქვი. ისე, მაგარი მოთმინების უნარი გქონია, ჩემ შესახებ რომ არაფერს მეკითხები.

ანა: ჯერ არ მაინტერესებს და იმიტომ... ჯერ შენზე საერთო აზრი შემექმნას და დანარჩენი, თუ საჭიროდ მიიჩნევ, თვითონ მეტყვი... ახლა რა აზრი აქვს? მოგაყოლო ვინ ხარ, სად მუშაობ, რას წარმოადგენ და მერე, რომ არ მომინდეს შენთან ურთიერთობის გაგრძელება, ამის ცოდნას რა აზრი ექნება? ასე რომ... უნდა მიმხვდარიყავი წესით, რომ ცოტა სხვანაირადამიანთან გაქვს საქმე და ჩემი მოხიბვლა თუ გინდა, ფეხსაცმელებითა და დაპირებებით არ უნდა ეცადო ამას...

მერაბ: არა, მასე არც ვაპირებდი. ხომ გითხარი წელან, შენს ყიდვას არ ვაპირებ-მეთქი? ისე, გარეგნობას არ აქვს შენთვის მნიშვნელობა? სხვისი სურათი რატომ დადე? თუ ხარ, უნდა იყო ბოლომდე და ვინც ხარ, ის უნდა იყო. სხვა შემთხვევაში შენს თავთან უხერხულად არ გრძნობ თავს?

ანა: მე ისეთ თანამდებობაზე ვმუშაობ, ჩემი სურათის დადება არ შეიძლება.

მერაბ: რაც შეეხება თანამდებობას, არანაკლები მაქვს, მაგრამ ჩემი ფოტო მიდევს.

ანა: ჰო, მაგრამ ნუ დაგავინყდება, რომ მე ქალი ვარ და შენ მამაკაცი... ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია...

მერაბ: კარგი, სახელი და გვარი მითხარი, მაგით რა მოხდება?

ანა: სახელი ანა მქვია... ვარ 38 წლის, მყავს



1 შვილი, დიდია უკვე... ვმუშაობ... ვცხოვრობ თბილისში.

მერაბ: გმადლობთ ანა, ასეც ვიცოდი. მე მქვია მერაბი, ვარ 40 წლის, ვმუშაობ ძალოვან სტრუქტურაში, ვცხოვრობ ქუთაისში, დაბადებულიდან.


ანა: ძალოვანი სტრუქტურა პოლიციას ნიშნავს, ალბათ... ასეა?

მერაბ: დიას, პოლიციას ნიშნავს. ქუთაისში არ გინევეს ხოლმე ჩამოსვლა? მეგობრები არ გყავს აქ ან ნაცნობები?

ანა: მყავს, როგორ არა... თუმცა, ჯერ არ ვაპირებ... მძიმე სამსახური გქონია... მე რომ შემომაკვდე უცებ, დამიჭერენ? :)))

მერაბ: გააჩნია, რა შემთხვევაში შემოგაკვდები. ისე, არ მოგბეზრდა თბილისში ყოფნა? ჰო, მართლა, ვისთან ერთად ცხოვრობ?

ანა: ჩემს გოგონასთან ერთად ვცხოვრობ.



რა შემთხვევაში უნდა შემომაკვდე და... იქნებ უნებლიედ, მოგახრჩო?

მერაბ: უცებ მე რომ შემომხრჩო? შენ რა, „აბაროტებს“ მიღებ და საიტიდან ისე გადიხარ, რომ არ მეუბნები? კარგი, კარგი...

ანა: აქ ვარ... შენც კარგა ხანს მალოდინებ პასუხზე... მარტო შენ გელაპარაკები და ჩაკეცილი მაქვს ფანჯარა, სანამ შენი პასუხი არ მოვა. შენ კი გაჩვენებს, რომ წავედი.

მერაბ: ახლა კიდევ კარგი, გამოასწორე, თორემ დაისჯებოდი, მთელი სისასტიკით.

ანა: კიდევ კარგი... მადლობა ღმერთს... ისე, იმედია, მართლმადიდებელი ხარ...

მერაბ: დიას, რა თქმა უნდა? საიდან მოიტანე, რომ შეიძლება, მართლმადიდებელი არ ვიყო? თბილისში რომ ჩამოვალ, სადმე ჩაიზე ან ყავაზე რომ დაგბატიყო, წამოხვალ?

ანა: კი, წამოვალ ალბათ... მანამდე თუ არ გადავიფიქრე და „შავ სიაში“ არ გაგიშვი, დანარჩენებივით...

მერაბ: შენ რა „შავ“ და „თეთრ სიებს“ ადგენ? ისე, ის მოთხოვნები თუ დავაკმაყოფილე, რაც შენ გაქვს, იმედია, არ უნდა მოვხვდე მაგ სიაში, მაგრამ ფრთხილად იყავი, შენც არ მოხვდე „შავ სიაში“. მე „შავ სიებს“ სხვა სტილით ვადგენ. ჩემთვის მიუღებელია, როდესაც

ადამიანებს ადამიანობის კუთხით „მოძრაობის ნესებში“ ეშლება.

ანა: არა მგონია, მაგ კუთხით რამე შემეშალოს... თუმცა, რას გაუგებ კაცებს, ერთს ასე მოსწონს, მეორეს — ისე...

მერაბ: რაც შეეხება შეშლას, არც მე უნდა შემეშალოს. აქამდე არავისთან შემშლია. ისე, შენ რომ გეთქვა ჩამოვდივარო, ზესტაფონში დაგხვდებოდი. შენ კი ასე გამისტუმრე.

ანა: მანქანა არ გყავს?

მერაბ: კი, ჯიპი მყავს. უმანქანოდ ცხოვრება არ შემეძლია. შენ? ჰო, რაც შეეხება სიმართლეს, მე ყველაფერს მართალს და სწორს გეუბნები, დასამალი არაფერი მაქვს და ორსიტყვიან მესიჯებს ნუ მწერ. იქნებ სხვებსაც ესაუბრები და ვერ ასწრებ? სრულყოფილი პასუხები გამეცი. რომ არ მაინტერესებდე, ამდენ ხანს არ გესაუბრებოდი, მოცლილი კი არ ვარ...

ანა: თუ მანქანა გყავს, რა დახვედრა გინდა? მეც მყავს და არც მე დამჭირდებოდა დახვედრა. თანაც, არავითარ შემთხვევაში არ ჩამოგაკითხავდი ქუთაისში... თუ ჩემი ნახვა გენდომებოდა, შენ თვითონ ჩამოხვიდოდი. არავის ველაპარაკები... შენ კი დამაინტერესე, მართლა... სხვების წაუკითხავ მესიჯებს მიაქვს ჩემი ანკვეტა...

მერაბ: შენ კი არა, სარდაფში ვნახულობ დამალულ ხალხს. უბრალოდ, როცა ჩამოვალ, ჰატარა ბავშვივით არ დაინყო, არ მცალიაო და ასე შემდეგ. მობილურზე „ემემესი“ ჩართული გაქვს?

ანა: არა.

მერაბ: ახლა მიდი მალაზიაში ან აკრიბე ოპერატორის ნომერი და ჩაართვევინე.

შენი სურათი ჩემს მობილურზე გამომიგზავნე.
ანა: სურათი? რად გინდა ბიჭო სურათი? რომ შეგიყვარდე?

მერაბ: ახლა უნდა ვინერვიულო? კაბინეტში დავდივარ, „ტუდა-სუდა“.

ანა: რატომ ნერვიულობ?

მერაბ: მე სერიოზულად მოგეცი ჩემი ნომერი, შენ კიდევ ეჰ... ეჰ...

ანა: მოიცა, ჩავრთავ ახლა და გამოვგზავნი, მაგრამ ეს პოლიციელები სანდო ხალხი არ ხართ და... გენდო? :)))

მერაბ: უბრალოდ, არ ველოდი, თუ მაგას არ შემისრულებდი.

ანა: ვააა... ვრთავ-მეთქი... შეგიძლია, დამელოდო?

მერაბ: რატომ არ უნდა მენდო? ჩემ შესახებ ყველაფერი იცი. ამ ნომერს ყველას არ ვაძლევ და ბევრმა ჩემმა თანამშრომელმაც არ იცის. რაღაც, ინტუიციამ არ უნდა მიღალატოს... რა, ჩემთან ჩამოდიხარ?

ანა: საიდან მოიტანე?

მერაბ: რომ მითხარი, შეგიძლია, დამელოდო, მეგონა, ჩამოდის-მეთქი და გული ამიჩქარდა, ესე უცებ მოვხიბლე-მეთქი?

ანა: ოოო... ააახლა, თუ ისე გადამრევ და შემეყვარდები, რომ უშენოდ ვეღარ გავძლებ,

შეიძლება ერთ მშვენიერ დილით ჩემი რაშით მოვადგე ქუთაისის მისადგომებს და დაგირეკო, აქ ვარ და უშნოდ ნუ მომკლავ-მეთქი... :)))

მერაბ: კარგი რა, როცა გინდა ჩამოდი, მაგარ იმერულ ხაჭაპურს აკეთებენ აქ, დილით გაგისწორდება.

ანა: ხაჭაპურის საჭმელად ჩამოვიდე ამხელა გზაზე?

მერაბ: შენ რა „კვიცი“ გყავს, რა მოდელია? ხაჭაპურს შემდეგ ხინკალი, ქაბაბი, მწვადი და ასე შემდეგ მოჰყვება...

ანა: რა მოდელია და „ჰონდას“ ჯიპია. მეცი-ნება, მაგას რომ მეუბნები... ჩამოვალ, ვიქეიფოთ და წამოვალ, მაგრამ დაღვეით ვერ დავლევ... პატრული გამაჩერებს და დამაჯარიმებს...

მერაბ: არა, თუ არ გიყვარს, არ დაგაღვეინებ. რაც შეეხება პატრულს, მაგისი არ შეგეშინდეს. ახლა ჩემი თანამშრომლის „სკაიპის“ მისამართს მოგცემ და სურათი იქ გადმომიგზავნე.

ანა: საერთოდ, არ ვსვამ, მაგრამ ისე, თუ დავლევ, მხოლოდ შავი ღვინო მიყვარს...

მერაბ: შენი სურათი მივიღე. მაგარი ფოტოა. ამას მიმაღავდი?

ანა: არ გიმაღავდი... სურათი კი არა, მე ვარ კარგი... და ახლა ერთი შენი კოლეგა მამამს, კიდევ... ქუთაისელია ეგეც... შენ ჩალიჩობ რამეს თუ არაფერი იცი?

მერაბ: ვინ არის აბა, რა ჰქვია? მე არაფერს ვჩალიჩობ, მოლაღატი არ ვარ. ღალატი ქალებმა იციან.

ანა: რა ვიცი, აქ სახელი არ უნერია... რაღაც ნიკი აქვს.

მერაბ: დაახვევინე! რომ არ უპასუხებ, დაგანებებს თავს. ესეც მე გასწავლო? ჩვენ ჩვენი საუბარი გავაგრძელოთ, თუ არ დაიღალე.

ანა: ალოოო... შენ რომ „სკაიპით“ დამეკონ-ტაქტე წელან, ის ტიპი ვინაა?

მერაბ: რა იყო?
ანა: მელაპარაკება...

მერაბ: მაგას ხომ არ აკლია? გავალ ახლა და ვაჩვენებ!

მერაბ: აღარ მოგწერს ანი.
ანა: კარგად კი ვიხალისე... შენზე მითხრა, ჩემი მომავალი მოადგილეაო...

მერაბ: შენ დაიჯერე? მასეთები ვახტიორები მყავს. მაგან იცის, ვინც ვარ და მიიღო ახლა საკადრისი. მაგის შემდეგ მოგწერა კიდევ?

ანა: კი, მომწერა... გითხრა, რა მომწერა?
მერაბ: მითხარი.

ანა: „აააა? შეგაშინა? აი, ასევე“... ეს მე მივწერე და მერე მითხრა, მიგბლოკავ, მერაბს კი ვაჩვენებ ჩათაობას, ახლავე საქმეზე გავუშვებო. კოცნა გამომიგზავნა და ენაც გამომიყო... აი, ასე... მერე გათიშა... მართლა შეაშინე, მგონი...

მერაბ: აბა, აბა აქ კაცობაში ვისაც ეშლება, ყველა „იტის-კება“ და შეიძლება გაილახოს კიდევ, სამსახურიდან წასვლასთან ერთად.

ანა: კარგი, დაანებე თავი... მორჩა, წავიდა...

მერაბ: დღეს ოპერატიულ ჯგუფში ვარ. ეს რას ნიშნავს, იცი? ქუთაისის მასშტაბით

რაიმე დანაშაული თუ მოხდება, ჩემს ბიჭებთან ერთად უნდა გავიდე დანაშაულის გასახსნელად და სხვათა შორის, ბევრი წარმატებები გვაქვს, მაგ სფეროში.

ანა: ამაღამ მორიგე ხარ, ე.ი. და აქ იქნები, ჩემთან, თუ არაფერი მოხდა?

მერაბ: ჰო, თუ არ მოხდა, შენთან ვარ. შეიძლება გავიდე ვახშამზე სახლში, მაგრამ ჯერ არა.

ანა: და ისევ დაბრუნდები? აუჰ... იმედია, დღეს მანდ არაფერი მოხდება. ისე, რა სამინე-ლებები გექნება ნანახი, არა?

მერაბ: შენ სად მუშაობ?

ანა: სად და... ნუ, რა დაწესებულებაა, მაგას მნიშვნელობა არ აქვს... საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ვარ, სახელმწიფო სტრუქტურაში. ერთი საკმაოდ მოზრდილი განყოფილება მა-ბარია.

მერაბ: ვა, შენ ყოფილხარ შაჰაბას II. ღმერთმა ხელი მოგიმართოს. გამიხარდება შენი წინსვლა. შვილი რამდენი წლისაა?

ანა: დიდი გოგოა, უკვე 18 წლისაა.

მერაბ: პატარა გათხოვილხარ... ქმარმა მო-გიტაცა? ახლა ერთად ხართ თუ...

ანა: ახლა ერთად რომ ვიყოთ, შენ დაგინ-ყებდი ტლიკინს? ასეთი ერთგულება არ ვიცი მე... გავცილდი, კარგა ხანია, უკვე...

მერაბ: ხომ არ გცემდა?
ანა: არა... ეს სულ სხვა ამბავია. ყველაფე-რი წარსულს ჩავაბარე და ახლა უკვე კარგად ვარ.

მერაბ: კარგი, აღარ გაგახსენებ. მეც სუ-ლელური კითხვები დაგისვი. ჩემ შესახებ სხვა არაფერი არ გაინტერესებს? ვიცი, რომ გაინ-ტერესებს, მაგრამ არ მეკითხები და მეც შეგნე-ბულად არ გეუბნები.

მერაბ: შენი აზრით, რა უნდა მაინტერესებ-დეს? არც არაფერი... სამსახური ასე თუ ისე, ვიცი... გარეგნობით წარმოდგენა მაქვს (თუ შენია ფოტო), წელან გავხსენი და დაგაკვირდი... რა-ლაცნაირი, კეთილი სახე გაქვს, ცუდი ადამიანი არ უნდა იყო, თუ ინტუიცია არ მღალატობს... ურთიერთობაში გადასარევი ხარ... იოლი... მსუბუქი... ოჯახი გყავს თუ არა, მაგას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს (ისე, ვიცი, რომ გყავს)... თუ გყავს, ეგ დიდი პლუსია. სხვა რა უნდა იყოს, რაც მაინტერესებს? თუ გინდა, შენს ფსიქოლოგიურ პორტრეტს ჩამოგიყალიბებ



უცებ, ამ მწირი ურთიერთობის საფუძველზე...

მერაბ: აბა, მიდი.

ანა: მოწესრიგებული, გემოვნებიანი მამაკაცი ხარ. მომთხოვნი. გარშემომყოფებისგან ითხოვ ყურადღებას და მიგაჩნია, რომ ამას იმსახურებ, რადგან შენც ასეთივე ხარ. ჯუჯღუნა არ ხარ. ერთხელ იტყვი, გარკვევით და უნდა შესრულდეს! შენი სიტყვის პატრონი ხარ, საიმედო მეგობარი... წონასწორობას იოლადად არ კარგავ, მაგრამ თუ გაბრაზდი, მტრისას! ვინც გიყვარს, გულით გიყვარს და ბედნიერია ის ადამიანი, ვისაც შეიყვარებ. ამ სიყვარულში ქალებს არ ვგულისხმობ... ყველანაირ სიყვარულზე ვლაპარაკობ. ეჭვიანი ხარ, მაგრამ ამას არ ამჟღავნებ. ხანდახან მარტო ყოფნა გინდება და როცა მარტო ხარ, შენს თავს ბევრ კითხვას უსვამ... თუმცა, პასუხს ცოტაზე თუ პოულობ. ინტუიცია კარგი გაქვს და ალლო. წინააღმდეგ შემთხვევაში, პროფესიულ წარმატებას ვერ მიაღწევდი. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, თავს ცუდად არ გრძნობ, მაგრამ რაღაც მაინც არ გაკმაყოფილებს... ოჯახი გიყვარს... ბევრი ვაჟკაცური თვისება გაქვს, კარგად იცი ქალის ფსიქოლოგია... აქ კი (საიტზე) მხოლოდ ერთობი და ერთჯერად თავგადასავლებს ეძებ... არაფერი სერიოზული... აი, ამის თქმა შემიძლია... აბა, როგორია შენი ვერდიქტი?

მერაბ: ყველაფერი მაგარი იყო, მაგრამ ბოლოში ყველაფერი წაშალე. მე ერთჯერადი ურთიერთობა არავისთან არ მქონია და არც შენთან ვაპირებ „ერთჯერადობას“, თუ შენი სურვილი იქნება. ერთჯერადი ჭიქიდანაც კი არ ვსვამ დასალევს. დანარჩენი შენ გადაწყვიტე, როგორი ვყოფილვარ. შენ რა გგონია? მაგრად მეზარება კომპიუტერთან ჯდომა, მაგრამ საინტერესო მოსაუბრე ხარ და ამან გამაჩერა, თორემ ქალის პრობლემა არასოდეს მქონია. ცხოვრებაში არანაირ სერიოზულ პრობლემას არ შევხვედრივარ, გარდა ომისა.

ანა: და შენივე სიტყვებით აბათილებ შენს ნათქვამს. არ მითხრა, რომ ყველა ქალთან, ვის-

თანაც კი ოდესმე ურთიერთობა გქონია, სიყვარული გაკავშირებდა... მე ნუ მეტყვი, მაგრამ გულში აღიარე, რომ აქაც გაგიცვნი ქალი, ერთხელ შეხვედრიხარ და მეორედ — აღარ... მე ჩემი თავი მანდ არსად მიგულისხმია... ჩვენი დღევანდელი ურთიერთობა იმის უფლებას არ მაძლევს, რომ შენს ფსიქოლოგიურ პორტრეტში ჩემი თავი მიგულისხმა ან თუნდაც, მეფიქრა, რომ შეიძლება, ჩვენი, თუნდაც შეხვედრა შედგეს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ... პირიქით... რაც ჩამოვთვალე, თუ ეგ ყველაფერი გამოვიცანი, შენისთანა ადამიანთან ურთიერთობას რა სჯობია? უბრალოდ, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი... ასეა, ჩემო კარგო...

21 აპრილი

ანა: დილა მშვიდობის... ეტყობა, აღარ მელაპარაკები... უბრადად ხარ?

მერაბ: დილა მშვიდობისა, როგორ ხარ? როგორ გაატარე აღდგომის დღესასწაულები? აღარ მელაპარაკებიო, რომ მწერ, მე ახლა ვინცე შენთან საუბარს და ურთიერთობას. მაგის პრობლემა არ გექნება, მე რასაც ვამბობ, იმას ვასრულებ. ეჭვი ხომ არ გეპარება მაგაში? გურიაში ვიყავი, აღდგომას.

ანა: გურული ხარ?

მერაბ: არა, „ლაითი“, დედიკო მყავს იქ.

ანა: ააა... ახლა შენ ღირსი ხარ, ლუდით გადღეგრძელო... :)))

მერაბ: რატომ საყვარელო, ასე მწარედ? რაიმეზე ხომ არ შეგეხობ?

მერაბ: ნახვედი, მიმატოვე თუ ლუდს სვამ?

ანა: არა, აქ ვარ... როგორ გავბედავ შენს მიტოვებას? ისე დამემუქრე ამას წინათ, ახლაც მაკანკალებს, შიშით...

მერაბ: ვიცი, მაგარი გოგო ხარ. მაგრად დასდექ! თავს არავის დააჩაგვრინებ შენ, კოჭებზე გეტყობა.

ანა: დედააა... შენ არ იცი, როგორი საწყალი, საცოდავი ვარ... ყველა მეჩხუბება და მჩაგრავს... და ისე, რა შემატყე, რომ მაგარი ვარ? სად ნახე ჩემი კოჭები, ჰააა?

მერაბ: მაგას ნამდვილად ვერ დავიჯერებ. შენ მაგარი ხარ. რაც მომიყვები შენ შესახებ და რა პრობლემებიც გადაგილახავს, საწყალი ხალხი ასეთ პრობლემებს ვერ წყვეტს.

ანა: მე კიდევ მეგონა, ჩემი დამცველი იქნება-მეთქი... შენზე ვფიქრობდი ამას... შენ ეტყობა, ჩემი იმედი გაქვს. :)))

მერაბ: არა, მე არავის იმედი არ მაქვს, ჩემი თავის გარდა და თუ ჩემი დაცვა დაგჭირდება, ჩემი იმედი მართლა გქონდეს.

ანა: რა სერიოზული ხარ, ცოტა გამიღიმე, თორემ მართლა შემეშინდა... შეგიძლია, რომ ვიხრჩობოდე, გადამარჩინო? :)))

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მოკლე ჩართვა

საე და ვისთან ერთად დავისვენებ?

• ევზ, ნეტავ ჩემი მეზობლის, ქერა გოგოს საწოლში დამასვენა, მასთან ერთად („იზინი“ ლევან, მაგარი ცოლი გყავს). მისტერ.

• მეუღლესთან ერთად მინდა დასვენება, მარა, მგონი არ მეღირსება. მგონი შეფობა არ ასვენებს ამ ზაფხულს თანამშრომლებს და მაგარი მიტყდება. პუსი.

• ნებისმიერ ზღვის სანაპიროზე მთავარია მშვიდობა, ამ ზაფხულს. თვის ბოლოს დაქალის ოჯახთან ერთად ქობულეთში მივდივარ და დიდი იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. სვანის ასული.

• დიდი სიამოვნებით დავისვენებდი, თუ დამასვენებდნენ. ლენინმა ერთი გვითხრა, სწავლა, სწავლა, სწავლა... კი, ბატონო, ვისწავლე — ახლა სულ მუშაობა, მუშაობა და მუშაობაო, ვმუშაობ, მაგრამ დავსვენო-მეთქი? რომ ვკითხულობ, მპასუხობენ: სჯობს გვიან, უფრო არასდროს... ევზ, შენ მაინც მყოლოდი გვერდით და უკარება.

• ზოდიაქოთი ჩემი სტიქია წყალია, მაგრამ ვერ ვარ მოიდგენთ, წყლის როგორ მეშინია. ამიტომ ზღვაზე არასოდეს ვისვენებ. მთიული ვარ და მთა მიყვარს.



მსტერნიღები

მარი ჯაფარიძე

დაუჯასტი შეზავალი სტუმარი



გამარჯობა, ჩემი კარგებო-
როგორ ხარ? გცხელათ? მეც
მცხელა, მაგრამ დასვენებისა
და შვებულების გარეშე
დარჩენილების საიმედოდ მინდა
ვთქვა, რომ როგორც ამბობენ,
ყველაზე დიდი სიციხე უკვე
უკან მოვიტოვეთ და ახლა წელ-
წელა აგრილდება. რაც შეეხება
დღევანდელ თემას, დაუპატიუბელი
სტუმრების რაოდენობით თუ
ვინმეს შეუძლია, დაიკვირნოს,
ეს მე ვარ. დღე ერთია და
სამსახურში სტუმარი სტუმარზე
მოდის — კურიერი (რომელსაც
პატიმრის წერილები მოაქვს),
რესპონდენტები, უბრალოდ,
მკითხველები, რომლებსაც ჩემი
გაცნობა სურთ. სტუმრები არც
შინ მასვენებენ — იღოველები,
მანანალები, მეზობლის ავი
ძალი (ციბებზე ისე არ აივლის,

ჩემს ღია კარში არ შემოვიდეს), ამას წინათ ვილაცისგან გამოქცეული თუთიყუშიც კი
შემოფრინდა. ჩემს ფანჯარაზე კი გვრიტებმა ბუდეც გაიკეთეს, მაგრამ ეგენი სტუმრები
აღარ არიან. გაზაფხულიდან მანდ „ცხოვრობენ“, ბარტყებიც დაჩეკეს და დააფრთიანეს კიდეც
აბა, რაღა სტუმრები არიან? ოჯახის წევრებად მიგვაჩნია და ყოველ დილით ლულუნითაც
გვადვიებენ. ამას წინათ მანქანაში უზარმაზარი კალია შემომიხტა, მე კი კალიის ისე მეშინია,
თითქოს მანქანაში ვილაცამ რგოლგამოცლილი „ლიმონკა“ შემომიგდო, ისეთი რეაქცია
მქონდა. მაშინვე გააჩერე, მანქანიდან გადმოვხტი და შორიასლო მომავალ პატრულს ხელი
დავუქნიე. მაშინვე გააჩერეს. რომ ვუთხარი, მანქანაში კალია შემომიხტა და მეშინია-მეთქუ,
ჯერ გულიანად იცინეს, მაგრამ მერე მიხედნენ, რომ არ ეხუმრობდი და მთელი მანქანა
გადაქექეს როგორც იქნა, ერთმა იპოვა ეს ჩემი დაუპატიუბელი სტუმარი, 3 თითით აიყვანა
და მეორეს მიაგდო (გაესუმრა, თავისი ქკუთ). პოდა, აბა, გიყვარდევს! ამ მეორემ ცეკვის
ისეთი უცნაური ილეთები ჩაატარა, ისე სასაცილოდ იგრინებოდა და კალიის მოშორებას
ხელების ფართხუნითა და მანჭვა-გრეხით ისე ცდილობდა, გვერდით ჩაქროლილი მანქანებიდან
გაოცებული სახეებით იყურებოდნენ, მაგრამ გაჩერებასაც ვერ ბედავდნენ. მე და პირველი
პატრული კი ლამის ძირს ვეგდეთ სოცილისგან. მოკლედ, მაგარი სანახაობა იყო. განითვლებული
„დაზარალებული“ დარცხვენილი იდგა და ბოლოს ამოილულულა, დედამინის ზურგზე არაფრის
მეშინია, კალიის გარდაო. აი, ასე დასრულდა ჩემი და ჩემი დაუპატიუბელი სტუმრის ამბავი.
ახლა კი თქვენს მესიჯებს გავეცნოთ.

**ამდენაზე, დეარტის ბაბუა
და კახრულის კახრული**

მახილზე მიმაკაცი

„ერთხელ ჩემმა მეზობელმა საახალწლოდ ღორი დაკლა და ძმაკაცებთან ერთად მაგრად იქეიფა. სტუმრებს რომ აცილებდა, ოთხი ძმაკაცი კიდეც მოუვიდა პოდა, გაგრძელდა ქეიფი თან ძველი სტუმრებიც დარჩნენ. მოკლედ მეორე დღეს რომ დანჯარდა სიტუაცია, ამ კაცმა აიღო ფული, პარკი და მიდის მარლის საყიდლად. ცოლმა ჰკითხა, სად მიდიხარო? ამახ, ასე და ასე მარლი უნდა ვიყიდოო. მარლი რად გინდაო? რად მინდა და ხორცი უნდა დავამარლო, გუშინ ღორი რომ დაგვალთ, არ გახსოვსო? შენ თუ გახსოვს, შე სასიკვდილევ ხორცი რომ აღარ დარჩაო? ღი პარკი ოსვალდი“.

მაგარი ტიპები


„ერთი მეზობელი მყავს, ნუ, არის ასე, 35 წლამდე. ჭიქა უყვარს სიგიჟემდე, ოღონდ სავსე. ძალიან მუქთახორა ვილაცაა. ნუ, ახლა რა თქმა უნდა, ქორწილები, ქელები, დაბადების დღეები, უმაგისოდ არ ჩაივლის კი არადა, ვერც ჩაივლის. უი, ჰო, დამავინყდა მეთქვა, რომ მოსწავლე ჰყავს, ლოთობის დარგში ამეცადინებს. ჰოდა, მოგვადგებიან ხოლმე მოსწავლე-მასწავლებელი უფრასთან, არადა ზუსტად ვიცით ყველამ, რომ არავის დაუპატიუბია. :-) მოვლენ, ვითომ შემთხვევით და დადგებიან, სანამ სუფრასთან არ მიიპატიუბ. მერე ცოტა თავს დაიფასებენ, არა, გასასვლელი ვართ, გვეჩქარება, არ ვიცოდით, აქ რამე თუ ხდებოდაო და იმის შიშით, რომ მეორედ აღარ შემოგვთავაზებენ და მართლა გასვლა არ მოგვინიოსო, ნელ-ნელა ჩამოსხდებიან ხოლმე, გვრიტები, ერთ ჭიქას დავლევთ და გავალთო... ასე შემორჩებიან ხოლმე სუფრას ჩვენი დაუპატიუბელი სტუმრები და სანამ მაგიდას არ აულაგებ ცხვირწინ და ჭიქას ხელიდან არ გამოგლეჯ, არ ადგებიან და არ წავლენ. მაგარი ტიპები არიან, რა... :-) მწარე“.

ნასიამოვნები და დაჭერილი

„მამაკაცს, რომელიც ერთ, მისთვის სიამოვნებისა და უბედურების მომტან დღეს სახლში მარტო იყო და ტელევიზორის ყურებით იქცევდა თავს, კარზე ზარის ხმამ გადაატანინა ყურადღება. ადგომა ეზარებოდა, მაგრამ კართან მისულს არ უნანია და მისმა თვალებმა გაბრწყინების პიკს მიაღწია, რადგან კარს უკან მშვენიერი სქესის წარმომადგენელი იდგა, რამდენიმე მომცრო ზომის წიგნით ხელში. კარი, რა თქმა უნდა, გაიღო და გაისმა ადამიანთა უმრავლესობისთვის საკვირველი, ღიმილის მომგვრელი,

ვისთვის კი არც თუ ისე სასიამოვნოდ მოსასმენი სიტყვები: „გამარჯობა, გინდათ, ვისაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზე?“ ოოო, აი, აქ კი დაფიქრდა მამაკაცი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს უმნიშვნელო ფაქტი, ხელს ვერ შეუშლიდა მის ელვისებური სისწრაფით გაჩენილ, მზაკვრულ ჩანაფიქრს. ერთი სიტყვით, მანდილოსნის შემოთავაზებით ვითომ დაინტერესებულმა მამაკაცმა იელოველი გოგო შინ შეიპატიუა. შეპატიუებას გასაუბრება მოჰყვა, გასაუბრებას — ყავის სმა და ცოტა გასაკვირია, მაგრამ მამაკაცმა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, „შეუსრულა“. შემდეგ, ახალგაზრდა ქალიშვილი (ამ სიტყვის რა თქმა უნდა, საეჭვო გაგებით) სახლიდან გაისტუმრა და ძალიან მშვიდად, აულელვებლად და სიამოვნების მიღებისგან მოთენთილმა, სხეულისა და გონების განტვირთვას მიჰყო ხელი. სულ რამდენიმე წუთში კი ჩვენს ძილში მყოფ მამაკაცს პოლიცია დაადგა თავზე და, რა თქმა უნდა, დაიჭირეს. ახლობლებმა როდესაც ჰკითხეს მისი უცნაური და საკვირველი საქციელის შესახებ, მამაკაცმა ძალიან უბრალო და მარტივი მიზეზით გაიმართლა თავი: „რა ვიცი, საქმე საქმეზე რომ მიდგა, წინააღმდეგობა არ გაუწევია, მოეწონა კიდეც და კმაყოფილი სახით წავიდა“. ასე ამოყოფინა მამაკაცს თავი დაუპატიუბელმა და სიამოვნების მომნიჭებელმა სტუმარმა 4, ცივ და ნესტიან კედელს შუა. P.S. აქვე გავისხენებ: 1 კვირის წინ ვიჯექი ჩემთვის მშვიდად, ვტკბებოდი მოსიარულე ადამიანების ცქერით, საყვარელი მუსიკის მოსმენის თანხლებით და უეცრად ჩემ წინ გაჩერდა 2, 30-ს გადაცილებული ქალბატონი და მთავაზობენ — რას? რა თქმა უნდა, წიგნს. „ეს წიგნი რაში გამომადგება?“ ვკითხე მე. ერთ-ერთი კიდეც უფრო მომიახლოვდა და წიგნის საფუძვლიანად ახსნა-განმარტება დაიწყო: „ეს წიგნი დაგეხმარება, ცხოვრების რელიგიური მიმდევრების შეცნობაში, შენი ამქვეყნიური მოვალეობების დანახვაში და ამით დაადგენ, თუ ვინ ხარ და რა გაკისრია“... ნუ, მათმა სიტყვებმა იმხელა ზეგავლენა იქონია ჩემზე, რომ ძალიან ღრმა ფიქრებმა მოიცვა ჩემი გონება. ვფიქრობდი, თუ რა მეთქვა მათთვის. ისინი კი აფორიაქებულები იყვნენ ჩემი პასუხის მოლოდინით და თითქმის მზად იყვნენ კმაყოფილი სახის მიღებისთვის, მაგრამ მათდა სამწუხაროდ, იმედები გავუტრუე და სერიოზული სახით ვუთხარი: „უკაცრავად, იელოვასთან და ბუდასთან შემთხვევით რაიმე კონტრაქტი ან ზავის სახით არაფერი დაგიდიათ? ვერ მიხვდნენ, რას ვეკითხებოდი. მე კი ვეღარ გაუძელი და ამიტყდა ხარხარი. მერე კი, როგორც იქნა, მიხვდნენ, რომ დროს ტყუილად კარგავდნენ და იმწამსვე გამეცალნენ. მისტერ“.

ამაყი იმისთვისაა
ძმონილი, რომ მოსვლი
მსოფლიოს ამ მამოავდნენ



ჭირვეული მეზობლები

„ლიაკო და ნინო ერთ უბანში ცხოვრობენ. ორივეს ბიჭები ჰყავთ. ლიაკოს ბიჭი, გია, 12 წლისაა, ნინოსი — 13 წლის. გია გულჩვილი ბავშვია, დათო კი ეშმაკზე სამი დღით ადრეა დაბადებული (დედას ჰგავს!). ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ყოველდღე, დილიდან საღამომდე, ნინო თავის შვილთან ერთად ლიაკოსთან იყო. იქ ჭამდნენ, სვამდნენ და მხოლოდ საღამოს კადრულობდნენ შინ წასვლას. ერთხელაც, ამოუვიდა ლიაკოს ყელში ყოველდღე მათი სტუმრობა და ერთ დილას, მსაათი იქნებოდა, გია რომ გაუშვა სათამაშოდ დათოსთან. გიას ძალიან გაუკვირდა დედის საქციელი, ბუზღუნით გაუყვა მეგობრის სახლისკენ მიმავალ გზას, ნახევრად მიძინარე. ეზოს კარი შეაღო. ფანჯარაში დაინახა, დათოს დედა რომ ფუსფუსებდა. ბევრი ეძახა მასპინძელს, მაგრამ არ გააგონეს. მიბრუნდა შინ, ტირილით, დედას სლუკუნით უამბო მომხდარი, ნინო დეიდა სახლში იყო და არ გამოხედო. ლიაკომ მეორე დღეს ეს ამბავი მეზობელს გაანდო საიდუმლოდ და იმანაც საიდუმლოდ უთხრა, ნინო ყოველთვის ასე აკეთებს, სტუმარი რომ მოვა, იმალეზო. გაკვირვება ვეღარ დაფარა ამის გამგონებ. მეორე დღეს ჩვეულებისამებრ, დილაუთენია ესტუმრა ნინო, მაგრამ ამჯერად ეშმაკობით ლიამ აჯობა და დაიმალა. ასე გაგრძელდა ერთი კვირა. თუმცა, მათ საიდუმ-

● ლოსაც მალე აეხადა ფარდა. მაშინ, როცა ნინომ
● თავისი თვალთ დაინახა, ლია შინ რომ იყო
● და იმალეზოდა. დათო დედას მიუბრუნდა და
● უთხრა, ჩვენც ხომ ასე ვიმალეებით ხოლმეო?
● მას შემდეგ ერთმანეთს აღარ ემალევიან, მაგრამ
● არც ხშირად სტუმრობენ. ლუნა“.

ღმერთის ბაბუა

„დაუპატიჟებელი სტუმარი „საგუშაგო კოშკი“ აღმოჩნდა, რომელსაც ჩემმა ძმამ უმასპინძლა. ყველაფერი კი ასე დაიწყო: კახა მარტო იყო სახლში, ეძინა და ვიღაცის „მასპინძელოს“ ძახილმა გააღვიძა. გახედა სტუმრებს. შეიძლება, შემოვიდეთო? დაიძახა სტუმარმა. მობრძანდითო, შეიპატიჟა ახალგაღვიძებულმა და თმაჩეჩილმა. მათ შორის კი ასეთი დიალოგი გაიმართა:

— ჩემო ბატონო, რას ფიქრობთ ამქვეყნიურობაზე? — ჰკითხა ერთ-ერთმა.

კახამ გაკვირვებულმა შეხედა.

— რა ვი, ქალბატონო, ორი დღეა, იმქვეყნიდან დავბრუნდი და აქ არ ვიცი, ჯერ რა ხდებო.

— რაოოო?! — გაუფართოვდა ქალს თვალები, — და თქვენ ნახეთ ჭეშმარიტი ღმერთი?

— კი, დედაო, ვნახე. თეთრწვერა მოხუცი ღმერთი. ისეთი საყვარელი მოხუცი...

— არა, რას ამბობთ?! — შეშფოთდა იელოვას მონძე, — ჭეშმარიტი ღმერთი ბრძენი და ახალგაზრდაა.

— ჰოო? — გაიოცა ჩემმა ძმამ, — მე ალბათ ღმერთის ბაბუა ვნახე.


ამ დროს იყნოსეს „კაიფის სუნი“ „მონძეებმა“ და სულ ლანძღვა-ბუზღუნით დაიწყეს სახლიდან გასვლა. კახამ კი მათთან დიალოგი სიმღერით დაასრულა: „მოვკლავ დედას, მოვკლავ მამას, იელოვა თუ მიბრძანებს ამას“... კახას ვეჩხუბებოდი, რამ შემოგაყვანილა ეგენი სახლში-მეთქი და რა ვიცი, გოგო, არ უთქვამთ, გავისაუბროთ ჭეშმარიტ ღმერთზეო და მეც პატიოსანი ხალხი მეგონა და შემოვიყვანეო. :) დამავოი“.

დაუპატიჟებელი ცხოვრების საზრდო

„ჩემს დაბადების დღეზე მთელი კლასი დაუპატიჟე. ყველა მოვიდა, გიოს გარდა. ვიფიქრე, აღარ მოვა-მეთქი და დავინწყეთ გაჯახება. შუა ცეკვის დროს კარზე ზარი იყო. გავიქეცი, კარი გავაღე და რას ვხედავ? ჩემს სანყალ ძმაკაც გიოს ფეხი მოუტეხია და მეგობარს მოუყვანია. მართალია, უცხო არავინ დამიპატიჟებია და არც მინდოდა, მაგრამ ის ბიჭი, გიოს რომ მოჰყვა, შემოვიპატიჟე. გიომ გადამკოცნა და მითხრა: ვიცოდი, რომ არ მოვსულიყავი, ვერ გადაგიჩეხებოდი და აი, მეც აქ ვარო. მერე ის ბიჭი, ლადო გამაცნო. ძალიან კარგად გავერთეთ ყველა. ის დაუპატიჟებელი სტუმარი ახლა ჩემი ცხოვრების საზრდოა. ჩვენ ერთმანეთი კარგად გავიცანით და დაუპატიჟებელი სტუმარი ჩემთვის ყოველთვის სასურველია. ქეთუსა-ქეთუსია“

მოღალატე

„ერთ ზაფხულს ჩემმა ახლობელმა ცოლ-შვილი გააცილა დასასვენებლად. დარჩა თუ არა მარტო, ერთ ქალბატონს უნმო და ისიც გამოეცხადა. მერე მოგეხსენებათ, რაც მოხდებოდა. ჰოდა, შუალამეა, სძინავთ და უცებ კარზე ზარია. წამოხტა კაცი ფეხზე და გაიგო კარს იქეთ ცოლ-შვილის ხმა. თურმე გზად რაღაც პრობლემა შექმნიათ და უკან დაბრუნდნენ. ჰოდა, რაღა ექნა? იქვე კართან კარადა მდგარა და ქალი შიგ დამალა. ოჯახობა შინ შემოუშვა თუ არა, ამ ქალს კარი გაუღო და გაისტუმრა. ეს მოსაყოლად იოლია, მაგრამ თქვენ არ იცით, რა შიში ვჭამეო, იხსენებდა მერე“.



ნამყოფი სიყვარული

დაკარგული მაუსი

„ინტერნეტში ვიყავი შესული. ჩემი პატარა დეიდაშვილი გვერდით მედგა და მეხვეწებოდა, თამაში ჩამირთეო. მეც ჩავურთე. უცებ, „კომპმა“ გაჭედა და მაუსის ისარი გაქრა ეკრანიდან. პატარა ნათიას თვალები გაუფართოვდა და შეშინებულმა მკითხა: ვაიმე, გოგო, მაუსი ინტერნეტში დაგრჩაო?

ყოველ წელს დავდივართ სოფელში დასასვენებლად. ეს სოფელი კი კონფლიქტის ზონაში მდებარებს. წელს არ ვგეგმავდით იქ ჩასვლას. ნათიამ მთელი დღე უყურა ობამასა და მედვედევის შეხვედრას, მერე კი გახარებული გამოვარდა გარეთ და — დედიკო, სოფელში მივდივართ, ობამამ თქვა, ომი აღარ იქნებაოო. :) დამავოი“.

პატრულის პატრული

„ერთხელ ჩემს დაქალს ვილაც აეკიდა ქუჩაში, დღისით, მზისით. ჰოდა, უმატებს ნაბიჯს ეს, უმატებს ისიც. ჰოდა, იფიქრა, დაქალთან შევივლიო. ბედად, ისიც არ დახვდა შინ, მაგრამ ნახევარი საათი იქ, სადარბაზოში „აბირყავა“. გამოვიდა და მშვიდად გაუყვა შინისკენ გზას. იფიქრა, მოვიშორეო, მაგრამ შინ, მეხუთე სართულზე ასულს, ვიბეზე ჩამომჯდარი დაუხვდა. მაშინ კი ეცვალა ფერი, მაგრამ შინ როგორღაც შეაღწია. ეს კი კარზე უკაკუნებს და შემომიშვიო, ეხვეწება. ბედი არ გინდა? ჩემს დაქალს ტელეფონზე ზარის გასაშვებიც არ ჰქონდა. აივანზე იდგა და ელოდა, ვინმე ნაცნობი დაეღანდა ქუჩაში და ეხმო საშველად. ამ დროს გამოვჩნდი თქვენი მონა-მორჩილი და რომ გავიგე მისი კვილი, შევშინდი. იცით, რა ხმით მეძახდა? მეგონა, რაღაც საშინელება მოხდა. გიჟივით ავვარდი მეხუთე სართულზე და იქ ის ბიჭი დამხვდა. გავლანძლე, დავემუქრე, რა აღარ ვუთხარი... ისიც კი ვუთხარი, ახლა პატრულს დავურეკავ-მეთქი და აგერ არ ხარ პატრული, რა უნდა მიქნაო? ესეც იცოდა ვაუბატონმა, მაგრამ ურცხვად იმეორებდა, ყავაზე დამპატიყეთო. ბოლოს ეტყობა მოსწყინდა იქ ჯდომა, წაეთრია, საიდანაც მოეთრა, მაგრამ ლამის ვცემე. ძალიან შევიკავე თავი. ელისო“.

თვითმკვლელი

„დაუპატიყებელ სტუმარზე ერთი ამბავი გამახსენდა: ერთხელ სახლში მარტო ვიყავით მე და ჩემი დაქალი. ვიცოდით, არავინ მოვიდოდა და გადავწყვიტეთ, „გვეგულავა“. ძმაკაცებს დაურეკეთ და ამოვიდნენ. გაჩაღდა ქეიფი, მთელი სახლი თავზე დავიშხეთ და ისე დაგვალამდა, ვერც გავიგეთ. ერთ ამბავში ვართ, ვგიჟობთ და უცებ კარზე კაკუნია. ნეტავ, ვინ უნდა იყოს? „გლაზოკიდან“ გავიხედე და დაქალის ბებია იდგა ჯოხით. თან ყვიროდა, კარი გამიღეთო. რა გვექნა? სად დაგვემალა ბიჭები, არ ვიცოდით. უცებ, მაგარი იდუა მომივიდა. ავხადე ტახტს თავი და შაკოს ვუთხარი, ჩქარა, შიგ ჩანექი-მეთქი. სხვა გზა არ ჰქონდა

და ისკუბა ტახტში. მეორე ძმაკაცი გარდერობში დავმალეთ, მე და დაქალმა სასწრაფოდ ლოგინი გავშალეთ. დაქალი ჩანვა და თავი მოიმძინარა. როგორც იქნა, კარი გავუღე ბებოს და თან თვალების ფშვინვითა და მთქნარებით ვუბნები, რა არის, მოხდა რამე? რატომ ძილს არ გვაცდით-მეთქი? შემოვარდა გამწარებული ქალი და ოთახებში დაიწყო სირბილი, ვინ გყავთო. საბედნიეროდ, ვერავინ იპოვა, მაგრამ მაგიდაზე ოთხი თეფში და ოთხი ჭიქა კი აღმოაჩინა, რამაც დააეჭვა. ვუთხარი, ვითომ ორჯერ ვჭამეთ და სუფრის ალაგება დაგვეზარა. მერე „სპალნაში“ შევარდა და დაქალს ჯაჯგური დაუწყო, გაიღვიძე, შე, მინაში ჩასავარდნოო. ერთ ამბავშია ბებო და ამ დროს მეორე ოთახიდან ტახტის ქრაჭუნი მოისმა. თურმე შაკო ტახტში იგუდებოდა და თავსახურს ასწევდა, ჩაისუნთქავდა და ისევ დახურავდა. ქრაჭუნის ხმა რომ დაეფარა, დაქალმა ღრიალი დაიწყო, თავს მოვიკლავო და გარეთ გავარდა. ბებოც უკან მიჰყვა. სანყალი შაკო ამოვიყვანე ტახტიდან. სულ ოფლში ცურავდა. მეორე ძმაკაცს კი გარდერობში დასძინებია და ძლივს გავალვიძეთ. ბიჭები გავაცილე და გავვედი დაქალთან. რას ვხედავ? დაქალის ბებო დანებსა და წამლებს მიარბენინებს დასამალად, მართლა არ მოიკლას თავიო. შევედი დაქალის ოთახში, ის კი ხარხარებდა, თან თვალებზე წყალს ისხამდა, ვითომ ტიროდა. იმ ღამეს მაგარი შიში ვჭამეთ, მაგრამ ახლა რომ გვახსენდება, მაგრად ვხალისობთ. რუსკა“.

ლამის ჩაშლილი პაემანი

„ჩემი დაუპატიყებელი სტუმარი არც მეტი, არც ნაკლები, დედაჩემი იყო, 3-წლის წინ. ხომ გაგიკვირდათ? მოკლედ, ასე იყო ეს ამბავი: ერთ ბიჭს ვემესიჯებოდი და როგორც იქნა, შეხვედრაზე დამითანხმა. დილიდანვე დიდი ამბით ვემზადებოდი და გასვლა რომ დავაპირე, კარზე კაკუნი გაისმა. მოკლედ, დედიკოს რაღაც დავინწყინა, უკან დაბრუნდა და 1 საათი აღარც წასულა! ბედობა დღე იყო, არც დაგვიანება მინდოდა დამბედებოდა და არც წარუმატებლობა, პირად ცხოვრებაში. როგორც იქნა, დედიკოც წავიდა. სასწრაფოდ ჩავიცვი. ფეხსაცმელებს გზაში ვიცმევდი და თან იმედიც აღარ მქონდა, რომ ჩემი „პაკლო“ ადგილზე დამხვდებოდა. როგორც იქნა, ერთი საათის დაგვიანებით მივალწიე და ოიი... ძაან სიმპო ბიჭი „მოდეეეეეს“. თვალებიდან გულები გადმომცვივდა, ლამის, ისეთი ბიჭი იყო. მოკლედ, ოლიმპიური სიმშვიდით დამელოდა თურმე ჩემი სიმპო და შეხვდით კიდევ, მიუხედავად დედიკოს დაუპატიყებელი სტუმრობისა. ამბის გაგრძელება სხვა დროს იყოს. კუსკუსელა“.

საქართველოში
2 ყოიძესოში სვობნის
— ამყის და ლყდის



დაგრუზული

„ჰოო, მარი, მაესტრო, ვერმახტი და Sweet-Girl-ი რომ შეხვდნენ ერთმანეთს, მე ვერმახტს გამოვრჩი და არ მითხრა, რომ ხვდებოდნენ. თუმცა, მაინც ვნახე. იმ სალამოს, როცა ქეთი მელუა მღეროდა და თან ბათუმს წვიმა ასველებდა, მე და ტკბილმა გოგომ ერთმანეთი ვნახეთ. მერე მაესტრო და ვერმახტიც მოვიდნენ. ვის ახსოვდა კონცერტი? ჩვენ „გზავნილურად“ ვერთობოდით. საოცარი იყო, რა თქმა უნდა. შენც გახსენეთ და „გზავნილებიც“. მერე თანდათან სევდამ შეგვიპყრო, ჩვენი ღიმილიც სევდიანი გახდა. Sweet-Girl-მა მოიწყინა. არ გვეთმობოდა ერთმანეთი. სულ რაღაც, საათ-ნახევრის გაცნობილ ადამიანებს ვშორდებოდი და „ვიგრუზებოდი“. მერე მაესტრო წავიდა. მე და ვერმახტმა Sweet-Girl-ი მივაცილეთ. გზაში თითქმის არ გვისაუბრია. წყნარად მივდიოდით და სევდა გვეუფლებოდა. მე ისინი უკვე მენატრებოდნენ. მხოლოდ მგზავნილებში თუ იქნება ასეთი მომენტი, თორემ... მივაცილეთ ტკბილი გოგო და კარგად დავემშვიდობეთ, ის ხომ მეორე დღეს თბილისში მოდიოდა და კარგა ხანს ვერ ვნახავდით. ტკბილ გოგოს რომ გადმოეხედა ფანჯრიდან, დაინახავდა 2 ბათუმელ მგზავნიელს, რომლებიც თავჩაქინდრულები მიუყვებოდნენ თავიანთ გზას, ის კი არ ეცოდინებოდა, რა ხდებოდა ერთ-ერთი მათგანის გულში ანუ ჩემს გულში. მარად თქვენი სუპერსტარი. P.S. მე მგონი ჩუპიც ბათუმშია. კიდევ ერთი შეხვედრა? ვნახოოთ“.

გასაზიზღრებული

„უი, მარი, სულზე მომისწრო მაგ თემამ, თორემ ნერვები მითუხთუხებს უკვე, ხაშლამის ქვაბივით. ნუ, თავიდან არ დავინწყებ მოყოლას, გრძელი ამბავია, მაგრამ გეტყვით იმას, რომ ჩემს ერთ-ერთ „პაკლონიკს“ დიდი აყალ-მაყალით დავშორდი. იყო განევ-გამონევა და ამბები. იმის მერე დაახლოებით 2 წელი გავიდა და ის იდიოტი მეხმინებოდა მაშინ, როცა რაიმე მნიშვნელოვანი ხდებოდა მის ცხოვრებაში. უფრო ზუსტად, როცა ცოლი მოჰყავდა. 20 წლისაა და უკვე მეორე ცოლი ჰყავს. ეტყობა, პირველი რომ მოიყვანა, ვინმემ უთხრა, ეს ერთი და სხვა მრავალიო. ჰოდა, ეს ბიჭი იმ დღეს „ოდნოში“ მესტუმრა და „დაჟე“ მეგობრებში დამიმატა. დაველოდე, სანამ საიტიდან გავიდა და ნავემალე ისევ მერე მეც გამოვედი და დავიძინე, დამშვიდებული ნამუსით. ე ბიჭო, იმ ღამეს ჩემს „ოდნოში“ მაგის ახალ ცოლს მთელი სანათესაოთი უგულავიააა... ერთი სიტყვით, გამასაზიზღრეს, რა... დილით რომ ვნახე, აი, რა მივწერე: შენი ცოლის სანათესაოდან ერთი ადამიანი მაინც თუ მჯობია, შევირგებ ამ


● „ერთიანებს“, გპირდები-მეთქი და თან გავაფრთხი-
 ● ლე, მეორედ ეგ მათხოჯები ჩემს „ოდნოში“ აღარ
 ● ვნახო-მეთქი. ვაიმე, არ ვაჭარბებ, გულით რომ
 ● მოგინდეს, მაგათ გვარში ერთ, საზოგადოებაში
 ● გამოსაჩენ ადამიანს ვერ ნახავ! სად შეიყარნენ ამ-
 ● დენი „დახადიაკები“, აზრზე არ ვარ! დავბლოკე და
 ● დავისვენე. უი, მთავარი მავინწყებოდა, ეგ მათხოჯი
 ● გოგო ჩემი დაქალის მეზობელი აღმოჩნდა. P.S. ესაც
 ● ჩემი დაუპატიჟებელი, „დახადიაკი“ სტუმრები! P.S.
 ● მარ, სმაილიკებს ნუ მიყლაპავ, დამიბეჭდე, ძმურად.
 ● :) ფეშენა“.

ტკივილი

● „თემამ ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც
 ● ყოველთვის უდიდეს ტკივილს იწვევს ჩემში.
 ● წარმოიდგინეთ ზამთრის თოვლიანი, წყნარი
 ● ღამე, განათებული ქუჩები, დათოვლილი სა-
 ● ხურავები... თითქოს თეთრ ნაბადში გახვეულა
 ● არემარე და ტკბილად სძინავს. მხოლოდ ფეხის
 ● ხმა და ჩურჩული არღვევდა სიმყუდროვეს. იმ
 ● ღამეს მოხდა ის, რამაც მერე მთელი ქალაქი
 ● შეძრა, რამაც ოჯახი გააუბედურა და ბავშვები
 ● დააოხლა. დაუპატიჟებელი სტუმრების ჩურჩუ-
 ● ლი, თოფის გავარდნის ხმამ შეცვალა, შემდეგ
 ● კი ოჯახის წევრების განწირულმა კივილმა.
 ● წარმოიდგინეთ, ორი პატარა, დაუცველი ბავშვი
 ● დედის უსულო სხეულს დასჩერებია, რომელიც
 ● თვალწინ მოუკლეს და ვერც ხვდებიან, რა ქნან...
 ● იმ ღამემ პატარა, უბოროტო ბავშვებს გულში
 ● უდიდესი ჭრილობა დაუტოვა. ვინ იცის, გაანე-
 ● ლებს კი დრო ამ ტკივილს ოდესმე? ფეშენა“.

მისამართი იცით?

● „თბილისში ვიტალისთან წვეულებაა. ყველა სტუ-
 ● მარი შეიკრიბა, მხოლოდ ქუთაისელი სტუმრები,
 ● გივი და ჯამლეტი არ მისულან. გვიან შემოუსხდნენ
 ● სუფრას. გივი და ჯამლეტი დილით ადრე ჩამო-
 ● ვიდნენ თბილისში, იქ ვილაც ნაცნობი შეხვდათ და
 ● რესტორანს მიაშურეს. კარგად შეზარხოშებულნი
 ● იყვნენ, როცა გივიმ აიტეხა, ჩემს გივიკოს თოფები
 ● და ნიღბები უნდა ვუყიდო და ბავშვთა სამყაროში
 ● შევიდნენ. მოგვიანებით კი ვიტალისთან წავიდნენ.
 ● ის მესამეც წაიყვანეს. მივიდნენ, კარზე ზარი დარე-
 ● კეს, კარი ბავშვმა გაუღო. — ვისი ხარ, პატალა?
 ● — ენა მოუჩლიქა გივიმ. — ესენი უკვე დამსხდარან,
 ● — გახედა მეორე ოთახში სუფრას. — ნახე, მღერიან
 ● კიდევ. ამ დროს პარკიდან თოფები და ნიღბები
 ● გადმოუცვივდა. — ვაა, — გაუხარდა, — ა, შენ
 ● ლომის ნიღბი და რევოლვერი. — მიანოდა ჯამ-
 ● ლეტს. — ა, შენ დათვის ნიღბი და ავტომატი, —
 ● მისცა იმ მესამეს. თვითონ ვეფხვის ნიღბი აიფარა.
 ● ახლა შევეუბნეთ მაგათ და ვნახოთ, როგორ უნდა
 ● ჩვენს გარეშე ქეიფი. შევარდნენ.
 ● — არ გაინძრეთ! — იყვირა
 ● ლომის ნიღბიანმა ჯამლეტმა. —
 ● რაც ფული და ოქრო-ვერცხლი
 ● გაქვთ, მაგიდაზე დააწყვეთ! —
 ● თან სათამაშო რევოლვერიდან
 ● „სროლა ატეხა“. — მარჯვნი-
 ● დან მოუარეთ, ბიჭებო, რომ
 ● გარეთ არავინ გავიდეს! — ეს
 ● ის, მესამეა, დათვისნიღბიანი.
 ● სუფრასთან მსხდომთა შორის
 ● ზოგიერთმა გაიცინა, ზოგმა კი
 ● ხუმრობა ვერ გაიგო და შეშინ-



აშშში, ვიღაც სარკინით
 ამ დავიძღვრავს

და. — რაშია მეგობრებო საქმე? — გამოჩნდა ამ დროს გაფითრებული მასპინძელი. — ა? — გაოცდა გივი. — ა? — გაოცდა ჯამლეტი. ეს ვიტალი არ იყო... სხვის ოჯახში შესულან. ოლეგარიო“.

მგზავნელები ბათუმში

„მართალია, ჩემი წამოსვლის წინა დღეს ძალიან წვიმდა, მაგრამ მგზავნელების დაუმშვიდობებლად როგორ წამოვიდოდი? მელუას კონცერტიც მიზეზი გაგვიხდა და ბულვარში შეკრება გადავწყვიტეთ. უფრო სწორად, მე და სუპერსთარმა გადავანწყვეტინეთ სხვებს. ჯერ იყო და ვაუბატონი ვერმასტი სანაპიროდან ძლივს გადმოვიყვანეთ (ის მეორე საკითხია, იმ შუალა-მეს იქ რა უნდოდა). მერე მანსტროს ვებუზღუნე ერთი საათი და სამსახურიდან პირდაპირ იქ მოვაცუნცულეთ. კი გვალოდინა, მაგრამ... შემდეგ ჩუპისაც დაუვკავშირდით, რომელიც იმ დღის ჩამოსული იყო და დაღლილობისა და წვიმის გამო ვერ გამოვიდა. იკამაც არ შეიწუხა თავი და დიდი საყვედური, პირად საქმეში შეტანით. ჩვენ კი ვიჭორავეთ, ვიცინეთ, ვიბორიალეთ და მშვენივრად გავატარეთ 15 ივლისის საღამო. წამოსვლისას მანსტროს რომ ვუთხარი, რაღაც, ცუდად ვარ-მეთქი, ეგონა ვხუმრობდი და მეც მეორედ გამეორება აღარ მიცდია. კიდევ კარგი, სახლამდე მივალწიე და... თვალი თეთრხალათიანების გარემოცვაში გავახილე... დამალა ამდენმა ემოციამ და სიხარულმა და აბა, რა იქნებოდა? ჰოდა, ჩემო ძვირფასო და სულზე უტკბესო მგზავნელებო, ამის შემდეგ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ გულის წასვლამდე მიყვარსააართ. დღეს ცოტა არ იყოს და „დებრესიონერა“ მჭიირს... ბათუმიდან წამოვედი და ალბათ მაგის ბრალია. ჯერ რამდენიმე საათიც არ გასულა და ის გიჟები უკვე უსაზღვროდ მენატრებიან. ისე შევეჩვიე, ასე მგონია, რამდენი საათი და წუთიც გავიდა ჩვენი ურთიერთობიდან დღემდე, ამდენი წელია, ვიცნობ... მართალია, ნერვებს გიშლიდით და გებუზღუნებოდით ხოლმე, მაგრამ ესეც სიყვარულმა იცის. თუმცა, არც თქვენ დაგიკლიათ ჩემთვის. თან ცოტათი განტვირთვა ხომ საჭიროა? დაისვენებთ ჩემგან. ისე, დარწმუნებული ვარ, ისეთი სიყვარული, როგორიც მგზავნელებს გვაქვს ერთმანეთის მიმართ, არავის დაესიზმრება. აბა, ყველას კი არ შეუძლია ჩემი გარუჯვის გამო გაგანია 3 საათზე პლაჟზე იყოს და სიცხის მიუხედავად, „სამხედრო სიმშვიდით“ იტანდეს ამ ყველაფერს...ან „როლიკებზე კატაობის“ შემდეგ, იმიტომ რომ ძალიან დამცხა და ფანტანებში წუნაობა მომინდა, მარტო არ დამტოვოს, ჩემთან ერთად ლამის 11 საათზე ჩახტეს ბულვარის ფანტანში და გააკეთოს კიდევ უამრავი სიგიჟე? ეს მხოლოდ მგზავნელებს შეუძლიათ. როკო, მაპატიე ის, რომ ჩემი წიკების გამო, მეორე დღეს საახალწლოდ დაბრანული გოჭივით მთელი კანი გენვოდა და მანსტრო, შენ იმისთვის, რომ ჩემი „წამოვლების“ გამო, ლამის ფილტვების ანთება აიკიდე... ისე, ხომ კარგი იყო? შენ კი სუპერსთარ, გული არ დაგწყდეს, როცა ამ ყველაფერს წაიკითხავ. გვიან გაგიცანი და ვეღარ მოვასწარი შენთან ერთად გიჟაობა... თუმცა, 20 აგვისტოდან ისევე თქვენთან ვარ და ააბა, ჩვენ ვიცინით! მიყვარხართ უკიდუგანოოოოდ... თქვენი გიჟი კი არდა Sweet-Girli“.

თემაზე და თემის გარეშე მოსული მოკლე მესიჯები

„მარი, არ მეგონა, ასე მალე თუ ვნახავდი ურნალში ჩემს ფოტოს. ჯერ ერთი, მაგრად გამიკვირდა და მეორეც, მაგრად გამიხარდა. ხუმრობა ხომ არ არის, „გზის“ ფურცლებზე და თან „გზავნილებში“ პირველივე დამესიჯებაზე მოხვდე? რაც შეეხება თემას, ამჯერად მე თვითონ აღმოვჩნდი დაუპატიუებელ სტუმრად, „გზავნილებში“. პოდიუმა“.

„ამას წინათ ბიძაჩემი და მისი ძმაკაცი მიმტკიცებდნენ, მმს-ს „ემემესი“ არ ჰქვიაო. ვაა, აბა რა ჰქვია-მეთქი? — რა ჰქვია და „ემემესიო“. — ეგ როგორ, კაცო, ახლა არ გამაგიჟოთ, — ლამის ენა გადამეყლაპა, გოცებისგან. — როგორ და — ჭრელად, სად ხედავ „ე“ ასოს, „ემემესს“ რომ ეძახითო? — ჰო, მაგრამ, „მმს“ იწერება და „ემემესად“ იკითხება-მეთქი, ვცადე ამეხსნა მათთვის. თუმცა, არ თმობდნენ და კვლავ აგრძელებდნენ: — ან „სმსს“ რატომ ეძახით „ესემესს“, როცა „სმს“ ჰქვიაო. აქ უკვე სიცილისგან გადავბურდი და ახსნის თავიც აღარ მქონდა, თუ რატომ ჰქვია, „მმსს“ — „ემემესი“ და „სმსს“ — „ესემესი“. ლუნა“.

„დაუპატიუებელი სტუმარი იყო ჩემი ახლანდელი მეუღლე. ეს 3 წლის წინ იყო. ავად გავხდი, დამირეკა და შენთან მოვდივარო, მითხრა. ის მეტნაკლებად ცნობილი ადამიანია და გაკვირვებული დავრჩი მისი ვიზიტით, რადგან მხოლოდ მესიჯებით გვქონდა ურთიერთობა. ბევრი რომ არ გავაგრძელო, დაუპატიუებლად მესტუმრა და... დღეს უკვე ლამაზი ოჯახი გვაქვს და ლამაზი შვილიც გვყავს. პუსი ვარ“.

„დაუპატიუებელი სტუმრის ხსენებაზე ელეთ-მელეთი მემართება. ერთხელ აბაზანიდან პირსახოცმემოხვეული გამოვედი. სახლში არავინ მეგულებოდა. მოვიხსენი პირსახოცი და მაისურის საძებრად გავეშურე და რას ვხედავ? დივანზე ჩემს მეზობელ კაცს სძინავს. თურმე უგონოდ მთვრალს სახლის მისამართი შეშლია. იმ დღის მერე კარს ბოქლომს ვადებდი და როცა დაბანას ვაპირებდი, წარწერას ვაკრავდი კარზე — „შემოსვლა აკრძალულია“. აღინა“.

„ერთ სასაცილო ამბავს მოგიყვებით: ჩემი დეიდაშვილი გოგო უნივერსიტეტიდან ბრუნდებოდა, თან თავისი თანაკურსელი ბიჭი მოჰყავდა მანქანით. ბიჭმა სთხოვა, სახლამდე მიეყვანა. გაბრაზდა ჩემი დეიდაშვილი და იცით რა უთხრა? ბარემ ადექი და მიხმარეო“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ — „ახლობლისთვის მოწყობილი ოინი“.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად კითხვა ასეთია — „როგორ ვებრძვი სიცხეს?“



დასაწყისი — „გზა“, №38-29

მარი ჯაფარიძე

ბედნიერების წამები კი ასე თუ ისე, უხვად მქონია... ყველაფრის ჩამოთვლა შორს წამიყვანს... ჯობს, ამ საყოველთაო, ფილოსოფიურ საკითხებზე ფიქრს შევეშვა და ნიცასთან წავიდე...

ტელეფონზე არავინ მპასუხობდა...

ამ შუალამისას სად უნდა იყვნენ, ნეტავ?

არ მოვერიდე და პირდაპირ შინ მივაღდექი.

კარი მამამისმა გააღო...

— ჰო, 3 დღეა, შინ ახ მოსყრა.
ჩვენ ვიცოდით, ხომ ბენთან იყო.

ჩემს დანახვაზე თვალეში გაკვირვება გამოსახა.

— გამარჯობა, — ხელი მორცხვად გავუწოდე.

— გაგიმარჯოს, შემოდი!

ზღურბლზე მორიდებით გადავაბიჯე და ოთახში შევედი. იქურობას თვალი მოვაველე, მაგრამ ნიცა ვერ დავინახე.

— სადაა? — ვიკითხე და დივანზე ჩამოვჯექი.

— ბენთან ერთად არ არის? — შემიბრუნა კითხვა დედამისმა, რომელიც კარში ჩამდგარიყო და თავისი განიერი თეძოებით ლამის მთელი გასასვლელი დაეკავებინა.

— არა, 3 დღეა, არ მინახავს, — გაოცება ვერ დავმალე და გულში ეჭვმა გამკრა.

— ჰო, 3 დღეა, შინ არ მოსულა. ჩვენ ვიცოდით, რომ ბენთან იყო.

გიჟივით წამოვვარდი და ტელეფონს ვეცი. — არ მუშაობს, ხაზია დაზიანებული. გამახსენდა, რომ წელან ვერ შევძელი დარეკვა.

უკანმოუხედავად წამოვედი იქიდან.

— ამბავი გამაგებინე, — კიბეებზე დამანია სიტყვა მამამისმა.

შინ მისულმა მთელ ოჯახს გამოვკითხე, ნიცას ხომ არ დაურეკავს ან ხომ არ გამოჩენილა მეთქი. უარი მივიღე.

წარმოდგენა არ მქონდა, სად უნდა მეძებნა.

მანქანა გამოვიყვანე „გარაჟიდან“ და ისევ მასთან, სახლში გავეშურე.

დედამისი და მამამისი მას შემდეგ შეშფოთდნენ, რაც გაიგეს, რომ ჩემთან არ გამოჩენილა...

მამამისი დატრიალდა, ნიცას მეგობრების ტელეფონის

ნომრები მოიკითხა, მაგრამ ვერ მიაგნეს ბლოკნოტს...

— წავიდეთ, — ხელი დამიქნია და კიბეზე დაეშვა.

უკან მივეყვი.

მილიციის სამმართველოში თითქმის არავინ იყო. მხოლოდ მორიგე და 1-2 თანამშრომელი. 15 წუთში ყველა კაბინეტში შუქი ენთო და მთელი სამმართველო ნიცას მოძებნაზე მუშაობდა.

შენობიდან გამოვედი და მანქანაში ჩავჯექი. თავს ძალა დავატანე, გამეხსენებინა, სად შეიძლებოდა, წასულიყო... ერთადერთი, რაც თავში მომივიდა, ჩემი სახლი იყო, ქალაქგარეთ... ისიც გამახსენდა, რომ იმ სახლის გასაღებს სადაც ვინახავდი, ნიცამ იცოდა...

ალარ დავფიქრებულვარ, მანქანა ეზოდან გავიყვანე და საშინელი სიჩქარით დავიძარი.

ისე მივექროდი, სპიდომეტრისთვის არც დამიხედავს. თვალი რომ მოვკარი, თვითონვე შემეშინდა... სიჩქარე დავაგდე და ფიქრი დავიწყე ისევ...

სად შეიძლებოდა, წასულიყო გოგო?

დამავინწყდა, მამამისისთვის მეკითხა, იქნებ სახლში აწყენინეს რამე ან იჩხუბეს და გაიქცა შინიდან?

რაც უფრო ვუახლოვდებოდი სახლს, მით უფრო ძლიერად მიცემდა გული... რატომღაც მეგონა, რომ სახლში შუქი დამხვდებოდა ანთებული და ნიცა აუცილებლად იქ იქნებოდა...

სახლი ჩამკვდარი და ჩაშავებული იყო და შორიდანვე ჩანდა, რომ იქ არავინ იმყოფებოდა, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, შევსულიყავი და იქაურობა დამეთვალაღიერებინა...

გასაღები ადგილზე დამხვდა და არც სახლს ეტყობოდა, რომ იქ ვინმე იყო... იმედგაცრუებული გამოვბრუნდი.

ისევ სამმართველოსთან მივბრუნდი, მაგრამ იქაც არ დამხვდა სიახლე. ისევ ისეთი სიტუაცია იყო. რეკავდნენ, ეძებდნენ, ნიცას მეგობრების სახლებში მიდიოდნენ, მაგრამ უშედეგოდ.

ამასობაში გათენდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს და არც მინდოდა ძილი. ეგ იყო, რომ უზომოდ დაღლილობას ვგრძნობდი. როგორც ჩანს, ავადმყოფობის შემდეგ ჯერ კიდევ ვერ აღვიდგინე ძალები ბოლომდე.

როგორც ჩანს, ეს დაღლილობა სახეზეც მენწერა, რადგან ნიცას მამას შევეცოდე და

ნიცას სახე მედგა თვალწინ და საშინელი სცენები. ხან წარმოვიდგინე, რომ სისხლით მოსვრილი ეგდო სადღაც და შველას ითხოვდა, ხან — მკვდარი იყო და ხანაც — მომაკვდავი. მახსოვს, გავიფიქრე, მაინც ვერ ვიძინებ და ავდგები, წავალ-მეთქი. როგორც ჩანს, ამის მერე ჩამეძინა...

თვალი რომ გავახილე, საღამოს 6 საათი იყო. გიჟივით წამოვხტი და ოთახიდან გავვარდი.

— ნიცას მამამ დარეკა, შვილო, — დედას ეს სიტყვა — „შვილო“ სულ რამდენჯერმე ჰქონდა ჩემთვის ნათქვამი და ყოველთვის არაბუნებრივად გამოსდიოდა. თითქოს ნაძალადევად.

— რაო, მერე?

— რომ გაიღვიძებს, ჩემთან მოვიდესო.

— რატომ მაშინვე არ გამალვიძე? — მსუბუქად ვუსაყვედურე.

— თვითონ მითხრა, თუ სძინავს, ნუ შეაწუხებ, მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს და როცა გაიღვიძებს, მაშინ უთხარო.

წყალი გადავივლე და კარისკენ წავედი, მაგრამ დედამ არ გამიშვა, სანამ რამდენიმე ლუკმა ძალით არ შემაჭამა.

როგორც იქნა, სახლიდან გავალწიე. ელვის სისწრაფით მივედი მილიციის სამმართველოსთან და ნიცას მამის კაბინეტის კარი დაუკაკუნებლად შევალე. კი არ შევალე, შევგლიჯე და შევვარდი ოთახში. მაშინვე მივხვდი, რომ სანუგეშო ამბავი არ მელოდა. ვალერის თავი მაგიდაზე დაედო. ხმაურზე თავი ასწია.

თვალები ჩასწითლებოდა და მომეჩვენა, რომ ტიროდა.

— ახალი რა არის? — ვკითხე შემოფოთებულმა.

— არაფერი. ცამ ჩაყლაპა თუ მინამ, არ ვიცი, ვერაფერი გავიგეთ.

— კი, მაგრამ სად უნდა წასულიყო?

— ახლა მეზობლების დაკითხვა მიმდინარეობს. იქნებ

რაიმე ძაფი მაინც ჩავიგდოთ ხელში და მივყვეთ მერე კვალს, — მხრები აიჩეჩა.

სიჩუმე ჩამოვარდა. კარგა ხანს მდუმარედ ვისხედით.

მერე ფორმიანი კაცი შემოვიდა, რომელმაც ვალერის წინ დაკითხვის ოქმები დაუდო.

— სანუგეშო არის რამე? — ჰკითხა სასოწარკვეთილი ხმით.

იმან მხრები აიჩეჩა.

— კარგი, თვითონ ვნახავ ახლა.

— თქვენ რატომ არ დაესწართ? — გამიკვირდა, რომ დაკითხვა თავად არ აწარმოა.

— ასე ჯობდა, უფრო გულახდილები იქნებოდნენ, — მიპასუხა და პირველ ფურცელს დასწვდა.

ჩუმად წაიკითხა და გვერდზე გადადო. მერე მეორე, მესამე...

დრო უსაშველოდ გაიწელა.

შევნიშნე, რომ ერთი გვერდი რამდენჯერმე წაიკითხა და ყურადღებით დააკვირდა რამდენიმე ადგილს. მერე მე გამომიწოდა.

ხელის კანკალით ჩამოვართვი ფურცლები და კითხვას შევეუდექი.

კეხ მიკხვდი, ნიცას გამო კტიხოდი თყ დედარემის მიეხ გამოკლენილმა სითბომ ამიწყლიანა თვალები.

მირჩია, შინ წავსულიყავი და დამესვენა.

— კარგი, 2 საათით წავალ და მერე შეგეხმიანებით, — დავემშვიდობე და წამოვედი, მაგრამ ჩემი გონება იქ დარჩა.

დედაჩემი გაგიჟებული დამხვდა. თვალები ჩასწითლებოდა. როგორც ჩანს, არც მას მოუხუჭავს თვალი მთელი ღამე.

— სად იყავი? — შემოფოთებით მკითხა.

— ნიცა დაიკარგა, ვერ ვპოულობთ, — ისეთი დაბალი ხმით ვუთხარი, მეგონა, ვერც გაიგონებდა.

— ნიცას ეძებდი?

— ჰო.

დედამ თავზე გადამისვა ხელი და ჩემი თავი მკერდზე მიიკრა. მისი სითბო მესიამოვნა და მოვიტენთე. თვალები კი ცრემლით ამევსო, მაგრამ მაშინვე მოვთოკე თავი.

ვერ მივხვდი, ნიცას გამო ვტიროდი თუ დედაჩემის მიერ გამოვლენილმა სითბომ ამიწყლიანა თვალები.

— ცოტას დავიძინებ, — თითქოს ნებართვა ავიღე.

— გეჭამა რამე...

— არა, არ მშია, დავისვენებ.


თუმცა, კარგა ხანს თვალი ვერ მოვხუჭე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მობილი-ზაცია

კატეგორია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

კატეგორია



1. ახლა თავს მარტოსულად ვგრძნობ და თუ ვინმეს სურს, ალარ ვიგრძნო მარტოობა, გამომეხმაუროს 20-35 წლის პიროვნება. მწვანეთვალუბა, 18 წლის.
2. გთხოვთ, მომწეროთ „გზა“ №19-ში გამოქვეყნებული, მე-17 განცხადების ავტორის ნომერი. თიკო.
3. ვარ 33 წლის, წესიერი და პატიოსანი. ვისაც ნამდვილად ოჯახის შექმნა უნდა, შემეხმინოს.
4. ვარ 33 წლის, განათლებული მანდილოსანი. გავიცნობ განათლებულ, მატერიალურად უზრუნველყოფილ, სამსახურის მქონე მამაკაცს. მე მაქვს სამსახური.
5. ვარ 34 წლის, სუფთა წარსულის მქონე, მომხიბვლელი მანდილოსანი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 34-45 წლის, დასაქმებულ, სერიოზულ მამაკაცს. გასართობად ნუ გამომეხმაურებით.

კატეგორია



6. ოჯახის შექმნის მიზნით გამომეხმაუროს 32-35 წლამდე

ასაკის ქალბატონი, დასავლეთ საქართველოდან. დანარჩენი — პირადად.

7. გავიცნობ ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანმრთელ, ინტელიგენტ, 35 წლამდე ასაკის ქალბატონს, ბავშვის გაჩენის მიზნით, მისთვის გვარის მიცემისა და ერთობლივად აღზრდის პერსპექტივით.

8. ვარ ჩვეულებრივი, თბილისელი, ქართველი მამაკაცი, მამაკაცური, დადებითი და უარყოფითი თვისებებით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობდი 30 წლის ქალბატონს.

9. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით, მინდა გავიცნო რომელიმე დიდ ქალაქში მცხოვრები, 35 წლის, ბინითა და მატერიალურად უზრუნველყოფილი ქალბატონი.

10. მინდა „გზა“ №29, მე-10 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

11. ოჯახის შექმნის მიზნით მსურს გავიცნო პატიოსანი ქალიშვილი, კეთილშობილი, წრფელი გულის ასული.

12. „გზა“ №29, 1-ლი მესიჯის ავტორს ვეხმინები, ათენში დროებით მცხოვრებს. რატომ არ მიპასუხე? მე პრობლემა არ მაქვს ათენში წამოსვლის, ძალიან დიდხანს ვიარე ევროპის გზებზე.

13. ვარ ცოლს გაშორებული, 29 წლის. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, ბინით უზრუნველყოფილ ქალბატონს.

•ქალბატონო მარი, მოგესალმები. საერთოდ არ ვიცი, რა თემა გაქვთ, მაგრამ მაინც გწერ. წელს ვაბარებდი. ჰოოოდა, 71 ქულა ავიღე უნარებში. ნეტავ სხვებმა რა ქნეს? ლუციფერი.

•დღეს დასვენების დღე არ მაქვს და გარეთ ვერ გავედი. ჩემს დაქალს დაფურეკე და ვთხოვე, უურნალი „გზა“ მოეტანა ჩემთვის, თორემ დარდით მოკვდებოდი. ამ წუთში ვკითხულობ გიგა ბუბუტიეშვილის ინტერვიუს. 9 აგვისტოს, ბომბების ქვეშ რა ლამაზი ოჯახი შეიქმნა და თურმე ქორწილში ოსურიც უცეკვიათ, მიუხედავად იმისა, რომ ოსები ხოცავდნენ ქართველებს. მე ოსი ვარ, საქართველოზე და ქართველ ხალხზე შეყვარებული და ცრემლებს ვერ ვიკავებ... პოლიტიკოსები ბრმა ტყვიად იყენებენ ოსებს და ყველას ურჩხულები ვგონივართ. მინდა, იმ ოსებს მივმართო, ვინც ქართველ ადამიანზე იარაღს აღმართავს: ღმერთი დაგსჯის! მირჩევნია, ქართველებმა ხორცები დამაგლიჯონ და მარილი დამაყარონ, ვიდრე ოსეთში გადავიხიზნო და ვარდებით მოფენილი გზა დამახვედრონ. როდის დადგება ის დღე, ჩემი საქართველოს მინას ვეამბორო და მე, ოსმა ქალმა, ქართული ვიცეკვო. მიყვარხართ, ქართველებო! ათენიდან, თქვენი ოსი ლია.

•დილის 6-ის ნახევარია. წესითა და რიგით უნდა მეძინოს, მაგრამ არ მძინავს. არ ვიცი, იმ ლიქიორმა ამიშალა მოგონებები თუ სოფელში გამეფებულმა გულშიჩამწვდომმა სიჩუმემ, მაგრამ მთელმა ცხოვრებამ სლავიდივით გაირბინა ჩემ თვალწინ (წ საათში ვერ ჩაეტეოდა, თუ...). ახლა კადრები ჩვენი გაცნობის დღეებზე გაჩერდა. გახსოვს? ეს ყველაფერი 1 წლის წინ, მაისში დაიწყო. სამების ეზოში ვისხედით მე, დუჩი და აკაკი. შენც რომ ამოქანდი, გახსოვს? მაშინ რამდენი ვიცინეთ... გახსოვს, როცა გოგონებმა „ბინკლის სახლში“ ვიშარაფეთ და რატომღაც 20 ლარი

დაგვაკლდა, იმ დროს სიცხიანი იყავი, მაგრამ შეგეხმინე თუ არა, იმნამსვე გამოგვიტანე თანხა. :-)

გოგონები დღესაც გლოცავენ და მეც გულში ჩუმად ვეთანხმები. როგორ არ უნდა დავეთანხმო, როცა მიუხედავად იმ ყველაფრისა, რაც მერე მოხდა, დღესაც იმ ერთადერთ ადამიანად რჩები, ვინც ჩემ შესახებ თითქმის ყველაფერი იცის. შენი თანადგომა იმ საკითხში ჩემთვის მართლაც ბევრ რამეს ნიშნავდა, შენ ხომ ჩემი მეორე ძმა გახდი. ჰო, ძმა, მაგრამ არა — ღვიძლი ძმა. „დაჟე“ დედაჩემიც შეგეჩვია. ასეთი სტატუსი არც ერთ ძმაკაცს არ დაუმსახურებია და სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩამოგერთვა. მერე რა უცებ აირია ყველაფერი... იმ დღეს რომ ბოლომდე მოგვესმინა ერთმანეთისთვის, იქნებ ასე აღარ მომხდარიყო, იქნებ ისე აღარ გაგველანძლა ერთმანეთი, იქნებ ასეთ მტრებად აღარ დავრჩენილიყავით ერთმანეთისთვის. თუმცა, რომ ვუფიქრდები, ასე ჯობდა ალბათ, ალბათ ასე იყო საჭირო... აუ, არ მჯერა, მ თვის განმავლობაში ასეთი კარგი ადამიანი ასეთი სხვანაირი როგორ გახდი. თუმცა, რატომაც არა, ყოველ წმინდას ხომ თავისი უწმინდური ლანდი დასდევს მუდამ. სწორედ ამამია ცდუნების არსი. ეჰ... იცი, მიუხედავად იმ დროებში გადატანილი ზიზღისა და ტკივილისა, მანამდე გატარებულ დღეებს ყოველთვის ღიმილით ვისხენებ (შენგან ხომ იმდენი რამე ვისწავლე, „მოსიარულე ენციკლოპედია“ იყავი) და მუდამ ასე ღიმილიანად დარჩება ჩემს ცხოვრებაში. ახლა? ახლა უკვე ჩემს გულში პერსონა ნონ გრატა გახდი. ჰმ... პერსონა ნონ გრატა — არასასურველი სტუმარი... ეს ყველაფერი კი იმიტომ მოხდა, რო ერთი ღმერთის გარდა სხვა ღმერთიც ვინამე, შენი სახით. იცი, ყველაფერ ამით მივხვდი, რომ ყველა თვითმარქვია ცრულღმერთის მრწამსუნებლის ბოლო ასეთია, რომ არ არსებობს არანაირი ოლიმპოს მთა და არანაირი პარნასის სასახლე. როგორც იქნა, მივხვდი იმას, რომ არსებობს მხოლოდ ერთი, ჭეშმარიტი ღმერთი, რომელიც არასოდეს მიგატოვებს, რომელიც ჩემთვის და ყველასთვის ერთადერთი თავშესაფარია. იმ დღეს არც მეგონა, შენ ჩემს გულში ამხელა ადგილს თუ დაიკავებდი. გახსოვს, მარტო მეორე დღესლა რომ იკადრე და დამირეკე? ის თუ გახსოვს, ტელეფონით ჩვენი საუბარი დიდ

ხანს გაგრძელდებოდა თუ არა, დედა როგორ გამკობდა „ქება-დიდებით“? ან ის თუ გახსოვს, „სნიკერსები“... თუ გახსოვს, ჰა? შენს ნაყიდს მაინც სულ სხვა გემო ჰქონდა, იმისასაც სჯობდა და ყველასასაც. ალბათ იმიტომ, რომ შენთან დამალული არაფერი მქონდა. ღმერთმა წყალობა და მშვიდობა არ მოგაკლოს. მშვიდობით. ლიმონა.

● მდინარის ნაპირას, პატარა ჩანჩქერთან, თითქოს მშვიდი ბუნება მიენდო, მიბარადა, მტირალა ტირიფი წყლის სარკეს ჩასცქერდა და ტოტებს ჩამოშლილ თმებივით იბანდა. იქითკენ, სადაც ცას ტრამალი მიჰკვროდა და სადაც სალამოს მზის შუქი ქრებოდა, წითელი მხედრების მხნე რაზმი მიჰქროდა და ხმალ-შემართული მტერს ეშუქებოდა. უცებ, ვით ფრინველი დაჭრილი, მხედარი დაეცა, მტრის ტყვიამ სიცოცხლე დახია, არ კენესის ჭაბუკი, ის მაინც მხნედ არის, წინ წასულ რაზმისთვის არც დაუძახია. მან მხოლოდ გახედა ცრემლიან თვალებით იმ მხარეს, სადაც ცას ტრამალი მიჰკვროდა, კვესავდნენ ნაპერწკლებს ცხენების ნალები და დასავლეთისკენ მხნე რაზმი მიჰქროდა. ო, რარიგ მძიმეა, ო, რარიგ სანყენი! — ვერ ნახავს ამ ცხენებს კვლავ მქროლავ რაშებად, მას აღარ სჭირდება მახვილი და ცხენი, ვერ შეძლებს მტრის ზურგზე ხმლის შეთამაშებას. რაზმი კი წავიდა... გალია ტრამალი და გაუჩინარდნენ ცხენები ჭენებით... წითელი მხედრები... რაშები ფრთამალი, ფრთამალი ცხენები... ცხენები... ცხენები... სიცოცხლის ფრთამალი რაშით გაფრინდა... დადუმდა მდინარე, ცა ბინდმა მოიცვა... სიკვდილის სიცივემ ჩააქრო, დაბინდა იმ ვაჟის თვალები, ტირიფთან რომ იწვა. წყლის წმინდა სარკეში სხივები არ კრთოდნენ, გაყვითლდა, ფოთლები შეაჭვნა იმ ტირიფს. ტირიფო, ნუ იშვერ წყლისკენ მაგ ტოტებს, მტირალა ტირიფო, გეთაყვა, ნუ ტირი! ტირიფი73.

● ერიჰაა, ელეს სტატია ნავიკითხე და გულს შემომეყარა, რა ვირტუალური სექსი ჩათში ხალხო, თქვენ რა, სულ დაგიჟდით? რომ ჩაუფიქრდებით, ნუთუ თქვენი თავის არ გრცხვენიათ, გული არ გერევათ? ბოლო-ბოლო, პირუტყვები ხომ არ ხართ, თქვენ ხომ ღმერთის ხატად შექმნილი ადამიანები ხართ? ადამიანები, ამ სიტყვის სრული დიდებულებით, ყველაზე

აღმატებული არსებები ამ სამყაროში. რა გაგიჭირდა ასეთი ადამიანო, რომ ეშმას ხაფანგში ასე ადვილად ებმები? ეჰ, რა რთული მისახვედრია, სულიერი შიმშილის ამოვსებას ცდილობთ, სულის ტკივილის გაყუჩებას. გუგასი არ იყოს, საერთოდ წარმოდგენა დამეკარგა ჩემს თაობაზე. თავს ნუ გვაზიზღებთ ბავშვებო, პატივი ეცით თქვენ თავს და აღარ აკადროთ, რომ ასე დაეცეთ. აზრზე მოდით, რა, გთხოვთ. ლიმონა.

● მარიკუნა, როგორ ხარ? მთელი გულით მინდა, კარგად იყო. გულის წასვლამდე ველოდები შაბათ დღეს, „გზა“ რომ ვიყიდო (ათენში შაბათს ჩამოდის). ლიმონა და სიკვდილა ძაან საყვარლები არიან. ლუნა კი ერთი პატარა ანგელოზია. ალინა.

● ბერბიჭავ, გენაცვალე, ძალიან დააკლდი „გზას“ და განსაკუთრებით — მე. გთხოვ, დაბრუნდი, რა. უშენოდ ძალიან ცუდად ვარ. არ მინდა, რომ წახვიდე. მენატრები. კამ-კამა.

● აბეზარა, ბერბიჭა, ოლე, სიკვდილა, კამელია, 9717, იასამანი, დუჩი, Sweet-Girl, Creize Girl და ყველა, ჩემს გულში ხართ. კამ-კამა.

● დღეს პარასკევია და იმის გამო, რომ სოფელში ვისვენებ, „გზის“ ყიდვა ვერ შევძელი და სამწუხაროდ, არ ვიცი, რა თემაა. სამაგიეროდ, ვზივარ ჩემთვის მოკალათებული, „გზაში“ ჩაფლული და თავიდან ვკითხულობ ძველ ჟურნალებს. მართალია, ხშირად არ გწერთ, მაგრამ რაც მოგწერეთ, მარიკომ პირველივე გზავნილი ჩარჩოში ჩამისვა, რამაც ძალიან ძალიან გამახარა. ჰოდა, რას ვამბობდი? ვკითხულობ ამ ჟურნალებს და კარგ ხასიათზე ვდგები. ამისთვის მადლობა თქვენ, მგზავნელებო და რა თქმა უნდა, მარიკოს. კარგები ხართ. უცნობი გოგო.

● ადრე იცით, მაგარი ცუდი გოგო ვიყავი, ღამის 3-ზე დავუწყებდი მესიჯობას ნაცნობ ბიჭუნებს და სანამ არ გავალვიძებდი, არ ვეშვებოდი. მერე ჩემდა უნებურად ჩამეძინებოდა და დილით ასეთ მესიჯებს ვნახულობდი: „სად წახვედი?“ „გამებუტე? არ მინდოდა“, „უკვე მამბრახებ“, „ესო, აღარ მოგწერ“, „რა არასერიოზული ხარ“, „ერთი მესიჯი მაინც მომწერე“... დილამდე ასეთი უამრავი მესიჯი გროვდებოდა, მე კი დილას თავს ვიმართლებდი ორი სიტყვით:

„უი, ჩამძინებია“. გაკოცეთ ყველას. თქვენი უკარება.

● ჩემო სიხარულებო, მე დავბრუნდი. აუ, Sweet-Girl, ბათუმში ვარ და მაგრად მინდა თქვენი ნახვა. თუ იკადრებ, რა თქმა უნდა. მომენატრა ყველა კეთილი. კამ-კამა.

● მარი, ბოდში, ასეთ უცნაურ მესიჯს რომ გიგზავნი, მაგრამ ერთმა მგზავნელთაგანმა, კერძოდ, მისტერმა ჩემი განაწყენება გამოიწვია. ასე ვთქვათ, მისი უაზრო ნააზრევის გამომზერებით, თელაველ გოგოსთან დაკავშირებით. არა მგონია, იმ გოგოზე მეტი გესმოდეს. რადგან რაიონში ცხოვრება გონებაჩლუნგობას ნამდვილად არ ნიშნავს. იკუშკების არ იყოს, ეგ ბიჭი ნიკს კი არა, ქართველობას ვერ ამართლებს... ბელო.

● ყურნალი „გზა“ ბეჭედიან ოქროსი, გზავნილი კი შიგ ჩასმული ბადახში, მგზავნელები თითები ვართ თოთონი, მკითხველებთან გარეული ამქარში. გზავნილეთი სიმღერაა გულისა, ქართველების სისხლის წვეთში ნაბანი, მგზავნელები სარკენი ვართ სულისა, სიყვარულით აწყობილი ანბანი. მარო რიტა სანთელია უფლისა, ჩვენ მგზავნელნი კი მის შუქით მავალნი, გაიხარონ მკითხველებმა ყურნლისა, დაელოცოთ ყოველი გზა სავალი. გზავნილეთი სურათია უბადლო, მარო რიტას ლურჯი ფუნჯით ნახატი, არც ერთ წამით ღიმილი არ მოგვაკლვით, სანამ კიდევ დაგვრჩენია სახატი... მე ალავრდს თქვენთან ვარ ბაღნებო, სიყვარული სიმართლეში გაიცრას, ვენაცვალე გზავნილეთის პეიზაჟს, ვენაცვალე მგზავნელების პალიტრას. აეე... ღიმიონა.

● მარ, მე მინდა, დაგემშვიდობო. ყველანი ძალიან, ძალიან მიყვარხართ, მაგრამ აღარ ვიქნები მგზავნელი. ყოველ შემთხვევაში, თუ ოდესმე დავამსიჯე, ისევ ეშმაკუნა არ ვიქნები. მიყვარხართ ყველანი ძალიან, ძალიან და მინდა, გზავნილებში სულ სიტბო და სიყვარული იყოს. მარად თქვენი მოუსვენარი გოგო, ეშმაკუნა.

● შენზე ფიქრში თუ კი თვალი მეცრემლება, თუ შენს მესიჯს ველოდები სიხარულით, ამიხსენი, რა დავარქვა მე ამ გრძნობას? მონატრება, ოცნება თუ სიყვარული? მარი, გმადლობ, რომ არსებობო.

● გამარჯობა, მე ისევ ვბრუნდები „სასტავში“ და მარი, ამდენი ხნის შესვენების მერე

არ დამბლოკო, ისედაც დაბლოკილი ვიყავი. მე არ ვიცი, რა თემა გაქვთ, მაგრამ ეგეთი მაგარი „პრიკოლი“ ბიძა მყავს და ამ დილით ვეკითხები, არაყი გირჩევნია თუ კაი ქალი-მეთქი (დალევა უყვარს) და მიპასუხა, არაყს აღარ ვსვამო. კობრა.

● როგორ ხართ? დიდი ხანია, თქვენს „გზავნილებს“ ვკითხულობ. მაგრები ხართ ყველა. კაჭკაჭო, გამეცნობი? მაგარი ტიპი ჩანხარ. გიოვნ.

● სალამი ჩემს მონატრებულ ოლეს, ბოას, მაეს, კახელოს, რეალს, სიკვდილას, ღიმიონას, 9717, ლუნას. გაკოცეთ უამრავი ყველას. ვინც გამომრჩა, მაპატიეთ. უკარება.

● ნათი და ლალი, დაიკოებო, მაგრად მომენატრეთ. თქვენს მაგივრად თქვენს სურათებს ვეფერები. ლალი, დაი, ახლა ნაღდად ვერა, მაგრამ გპირდები, სააღდგომოდ აუცილებლად ჩამოვალ. ჩემი საბუთებიც მზად იქნება მანამდე. დიდ სიურპრიზს გავუკეთებ ყველას. მაგრა მიყვარხართ, გკოცნით და გეხვევით, თქვენი დაიკო, უკარება.

● გრუზინკას რა ენაღვლება, სურამში ისვენებს. საკითხავი ისაა, მე სად წავიდე დასასვენებლად? თუმცა, გრუზისთან ერთად მეც ვისვენებ. დიდი სურვილი მაქვს, ჩემმა კეთილმა ფერიამ, კამიმაც შეძლოს ჩემთან ჩამოსვლა... მარიამულოო, შენი ნახვა ჩემი ოცნებაა. ლუნა.

● ლუნიტი, გენაცვალე, მეც დიდი სიამოვნებით გაგიცნობ, შენ და ყველა სულით ლამაზ მგზავნელს... მაგას არ ვიხვეწები, მთელი ჩემი მგზავნელობის განმავლობაშიი? მინდა, ყველა კარგი ადამიანი გაგიცნოთ. მარის უთხარი და იმედია, უარს არ გეტყვის და ჩემს ნომერს მოგცემს. მგონი სურამელი ხარ, ხომ? ამჟამად ხაშურში ვარ და პირადადაც გნახავდი, დიდი სიამოვნებით... არის კიდევ ხაშურელი ან სურამელი ვინმე აქ ტყუილად ხომ არ ჩამოვსულვარ? გაგიცნობთ. მხიარულება რა, მართო ბათუმშია დასაშვები, თუ? აქაც კარგად გავერთობით. Sweet-Girl.

● ჩუუუუუ... შენ ჩემი პანანუნა ქალუკა ხარ და უკვე ძაალიან მიყვარხარ... ეს ბევრჯერ მითქვამს, მაგრამ შენი თქმის არ იყოს, „გზის“ ფურცლებზე წაკითხული სულ სხვაა... მოვიკითხავ ყველა სულით ლამაზ მგზავნელს... შემოგველოთ Sweet-Girl-იოოო.

● აბრეს, არაფერი ინერვიულო, სანამ შენი დაიკო ცოცხალია. მენატრები, შე თავგასიებული. თამო დაია.

● იცი, როგორ მენატრები? სიგიჟედ. მამომ გამახარა შენი ამბებით. მიყვარხარ, პატარავ. თამო.

● ტეხასისშტატელო ჩორნა, ძალიან გამიხარდა ძამი, შენი გამოჩენა. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადო, გვერდში დგომისა და ნუგუმისთვის. მართლა ძმად მიგიღე. რატომღაც მგონია, რომ ახლოს გიცნობ, რადგან ერთ გია-ჩორნას ვიცნობ. თიანეთიდან ხომ არ ხარ? თანაც იდუმალ ქალზე წერ. ვიცი, ვინც ხარ და სადაც ხარ. მე და იდუმალი ქალი კი დაქალები ვართ. სევდიანი ქალი.

● ქალო ცდუნებავ, სიხარულო, მეც გეფერები და გკოცნი, საყვარელო. ბევრი ვეცადე, მაგრამ შენი ნომერი ვერ გავიგე. იქნებ შენ როგორმე დამიკავშირდე? სევდიანი ქალი.

● ჩემო მტრედებო, როგორ მომენატრეთ, იცით? მაგრამ თითქოს ყოველივეს ფერი ეცვალა, უხალისო და ხელოვნური გახდა ყოველი. უკარება, სულით ხორცამდე მშვენიერი ხარ. ტირიფი73.

● ჩემო კამელია, გული კვლავაც გელის/ შენი თბილი გული, ჩემი წამალია/ შენი მონატრება, უსაზღვროდ ძლიერია/ უშენოდ ეს დღეებიც სწრაფად გაილია. ჩემო კეთილო ფერიავ, გილოცავ იუბილეს, ყველაფერს შენსავით ტკბილს, თბილსა და ლამაზს გისურვებ! ძალიან მიყვარხარ, ჩემო სიხარულოოო, შენ ჩემი გულის მალამო ხარ! შენი ლუნა.

● ტეხასისშტატელო, ცოტა ფრთხილად... ყველას გასაგონად არ ამბობენ იმას, თუ რას განიცდიან ან აპირებენ სასურველი ქალის მიმართ. ჯერ გადახტი და ჰოპ, მერე თქვი. გაიგე?

● მოგიკითხავთ სიხარულე-ბო, თანახმა ვარ, კარგი ხალხი გაგიცნოთ და ვიმეგობროთ. დამირეკე ლუნა, გელოდები. ძან მაგრად მომწონხართ, გაფასებთ და მიყვარხართ. იდუმალი ქალი.

● ქალო ცდუნებავ, უღრმესი მადლობა სიტბოსთვის. ძალიან მიყვარხარ! ცოცხალ თოჯინას იუბილეს ვულოცავ! მეგობრებს გეფერებით გულში და გკოცნით უთვალავს. ლუნა.

● მისტერ, მასეთი ცალტვინა გოგონებით და შენნაირი, ვითომ

მაგარი ბიჭებით თბილისიც სავესა. ნუთუ სოფელი არ გაქვს და ერთხელ არ გინახირია? ლიკრასავით ნუ იწელები, არ გაიხე.

• მისტერ, შენთვის ალბათ ქართლ-კახეთი, იმერეთის ცნება უცხოა და ვერ ხვდები, რომ უშნო ცინიზმი შენვე გამცირებს. ან იქნებ თემქაზე და მუხიანში ნახირი ჯერ არ გინახავს?

• რამდენიმე კვირის წინ, ინტერნეტში მგზავნელების საიტი დავათვალიერე. რატომღაც იქ ის ხალხია, ვინც „გზაში“ არ ჩანს. რატომ? P.S. თურქეთში ვისვენებდი. გასაღები.

• მონატრებით მოვიკითხავ ყველა რჩეულს. პარიზის შვილს ვეთანხმები, ყველა მგზავნელი მგზავნელი არაა. დემონური „მე“ სად წავიდა? რა, უჩინმაჩინია? გასაღები.

• იკუშკები, მინდა გითხრა, რომ შენი საუბრიდან გამომდინარე, ჩემი ძველი მეგობარი გამახსენდა, რომელიც ამ შემთხვევაში შენგან არაფრით განსხვავდებოდა. ვინმეს მისთვის სრულიად შემთხვევით ფეხიც რომ დაეხეებინა, მაშინვე მის საქმის გამრჩევ ლოვესთან გარბოდა სათქმელად, მაგრამ დღესდღეობით ეგ გოგო უკვე წამოიზარდა და სრულიად უბრალო და მარტივი მიზეზების, შემთხვევების თუ გახუმრების გამო, აღარ მიიჩნევს საჭიროდ, მისი ლოვეს საქმის კურსში ჩაყენებას, რადგან მიხვდა, რომ თავადაც აქვს ენა, აზროვნება და რაც მთავარია, საკუთარი თავის იმედი. ნუ, ჩემი ნიკის მზაკვრულად აფიშირებისთვის...

• შინაბერას: შენი შავი თმის სურნელი, ძლიერ მაგიჟებს ქალო, ვისთვის დარდი ხარ, ვისთვის ვარდი ხარ, ჩემთვის პატარა ნატვრისთვის ხარ. ბერბიჭა.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ათენში მყოფ სოფი ადანაიას და ანი ტაბატაძეს, ხოლო სალონიკში, ქალბატონ მარიანას. მალე დაბრუნებას გისურვებთ, სამშობლოში. იკუშკები.

• ისა დაა... :) ცოდნის გასაღრმაველად გავიცნობო ჭკვიან და მოაზროვნე, თუნდაც დამწყებ იურისტსოო... :) დილექტანტები ნუ შენუხდებითო, უცოდინარი ჩემი თავიც მყოფნისოო... :) ლიმონა.

• პარიზის შვილო, რა უნდა გითხრა? შენი გაჭირვებაც გეყოფა. აი დარდი, თუ შენ არ გგონივარ მგზავნელი. სესი.

• პუსკი (პატარა) და მწვანეთვალე ანგელოზო, კარგია, „გზაში“

დამესიჯება რომ გადამწყვიტო. ჭრიჭინ, შემეხმინე. ციკო, გითანაგრძობ. ცაგერის რაიონიდან ამესიჯებს ვინმე? აბუნარა.

• ჭეშმარიტ მგზავნელს: ჩემი 1 მესიჯი, შენს 30-ს ვარჩიე, ფეხებშუა მეტკინა, სიტყვები შეარჩიე. დათო. P.S. მთავარია, რას გზავნი!


• მარი, როგორ ხარ, ხომ ხარ უმაგრესად? იცი, დღეს ჩათმი ერთი „გზაზე“ და მგზავნელებზე შეყვარებული ადამიანი გავიცანი. დავპირდი, რომ ამას აუცილებლად აღვნიშნავდი.

• სიკვდილ, რა თქმა უნდა, ჩავალთ. მე მაინც ჩავედი. იმიტომ არ ჩამიშვებს, რომ პირადობა არ მქონდა თან, მაგრამ ჩავიპარე და ზაგარიც მივიღე. რა ადგილზე ხარ ახალგორში? ნიბუ.

• დუჩი, მხოლოდ „გზის“ ფურცლებიდან ვეფერები მგზავნელებს, ტელეფონით კი არა. ჯერ ახალი ვარ და მათ გულეში ვერ შევალნიე. თუ შეგიძლია, მარის ნომერი გამოართვი. ნიბუ.

• ჩემო კარგო, მიუხედავად ამდენი წლის დაშორებისა, ისევ იმ სიყვარულით მიყვარხარ, შენ კი გეშინოდა, არ დამეწყობოდი. დამიბრუნდი ჩქარა, შენი თამო.

• აუ, აქ ზოგიერთები რა აბლატავდნენ?! კანი, ლანკა, ილინ, ლუნა, გრუზი, მაგარი ნაგვები ხართ. ვინც არ მეთანხმება, სამ ტაკოი, ილი ტაკაია და რა დებილები ხართ, მგზავნელებო?! ეთო.



• დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ დედიკონას, ლელაჩკას. მრავალს დაესწარი დე, ჯანმრთელად და ბედნიერად. მენატრები და გოცნი ბევრს. მიყვარხარ. შენი შვილიკო, მერი.

• გიო, გილოცავ 22 წლის იუბილეს. ყველაფერს კარგს გისურვებ. მალე მენახე ბედნიერი. ვერ გნახულობ, „იზვინი“. არ იდარდო ჩემზე. მე ახალ სამსახურს ვიწყებ. შენი დაიკო, პარასკევა.

• ჩემო შვილებო, გიორგი და ლევანი გილოცავთ დაბადების დღეს, 24 ივლისს. ხვალინდელი დღე უკეთესი და ნათელი იყოს,

თქვენს ცხოვრებაში.

• ჩემს ძმას, გიორგი ხატისაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 24 ივლისს. ვუსურვებ ყველაფერს კარგს. გიო, შენთან ვარ. ავთო შოშიაშვილი.

• ლუნა, დაიკო, გილოცავ დაბადების დღეს, ბედნიერებას, ჯანმრთელობას და დიდ სიყვარულს გისურვებ. მაგარი ნიჭიერი და მყავხარ. ჩემი სიხარული ხარ. მირანდა.

• მაიკო ცოცხალაშვილს ბორჯომში ვულოცავ დაბადების დღეს, 25 ივლისს. ვუსურვებ ბედნიერებას, ჯანმრთელობას, უღევ სიხარულს და დიდხანს სიცოცხლეს, ქმარ-შვილთან ერთად. გფარავდეს უფალი! მაპატიე ჩემო მაიკო, თუ შეგიძლია. მაპატიე, ვერ გივინწყებ. როგორც ჩემი და, ისე ხარ ჩემთვის. ველი იმ დროს, რომ შემეხმინებები. ნეტავ, როგორ ხარ? მარტყოფი.

• კამი, ლუნა, დაბადების დღეს გილოცავთ, ანგელოზებო. ყვავილს გაჩუქებთ ცრემლებით გაზრდილს, გულსაც მოგიძღვნით და იცით, როგორს? ყოველ ფეთქვაზე გითხრათ მიყვარხართ. ტირიფი/73.

• ჩემ საყვარელ შვილიშვილს, ნათია ჭითაურს ათენში ვულოცავ დაბადების დღეს, 23 ივლისს. სულ ჯანმრთელი და ბედნიერი მყავდე, შენი მშობლებით, დით და დისშვილით,

• კაცურო კაცო გიორგი ხატისაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს, 24 ივლისს. 24 ივლისი ჩვენთვის ბედნიერების და მწუხარების დღეა, 24 ივლისს ბიძაშენი, ნიკო გოგოლაური გარდაიცვალა.

• ვულოცავ იუბილეს ქუთაისის ბაგა-ბალის დირექტორს, ქეთევან ფანჭულიძეს. ვუსურვებ ბევრ გოგო-ბიჭს, გასაზრდელად. ოჯახით გახარებას. უფლის წყალობას. თანამშრომელი ათენიდან, ეკა.

• ბაღდათში გიგა ლილუაშვილს ვულოცავთ დაბადების დღეს, 24 ივლისს. დაესწარი მრავალს, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი. გფარავდეს უფალი, ყველგან და ყოველთვის, მეუღლესთან, მშობლებთან და საყვარელ დასთან ერთად. მომავალ დაბადების დღეს პატარასთან ერთად მოგილოცავთ. თორნიკე, შორენა.

• ბაღდათში, ზაზა ნიორაძეს ემიგრანტი ნიორაძეები, გია და შმაგი ვულოცავთ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შენს

საყვარელ ცოლ-შვილთან და ყველა ახლობელთან ერთად. უფალი გვარავდეს.

● ავთო და ნანა აფრიდონიძეებს ვულოცავ ნათიას ბედნიერებას. მუდამ გახარებული მენახოთ, როგორც ახლა. უფლის ძალა არ მოგკლებოდეთ. ნუციკო და ნინი აფრიდონიძეები.

● 24 ივლისს დაბადებულ ჩემს მახლიშვილს, გოგიტა შუბითიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. სულ გახარებული მენახე, შენს ლამაზ ცოლ-შვილთან ერთად. მალე დაბრუნებულიყავით პატარა შვილებთან. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. ბიცოლა, დალი კოჭლამაზაშვილი.

● რუსთაველ, ამჟამად ათენში მყოფ ემიგრანტს, ირმა დოკაძეს მთელი საქართველოს გასაგონად მინდა მიულოცო დაბადების დღე, 22 ივლისი. ჩემო სიხარულო, გილოცავ ამ ლამაზ დღეს. მიყვარხარ და გოცნი გულში. დალი კოჭლამაზაშვილი.

● ლაგოდეხში დათო ჭიპაშვილს დიდი სიყვარულით ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ბედნიერებას, უღვევ სიყვარულს, ღმერთის წყალობას. ძალიან მიყვარხართ და მენატრებით. თქვენი მზია.

● ხალი მეფარიშვილს და ლელა კუპრაძეს ვულოცავთ შეუღლების 9 წლის იუბილეს. ღმერთმა ტკბილად და ლამაზად შეგაბეროთ ერთმანეთს, თქვენს საყვარელ შვილთან ერთად. გულა და ეკა.

● ნათია, გილოცავ ბედნიერებას და გისურვებ ჩაუმქრალ სიყვარულს. სულ ასეთი სპეტაკი სიყვარულით გეცოცხლოს, შენს ულამაზეს იორგოსთან ერთად. შენი ნინი.

● ნათუშკები, ჩემო ერთადერთო ძმისშვილო, გილოცავ ბედნიერებას, შენს ზვირეას იორგოსთან ერთად. მუდამ ბედნიერი და დალოცვილი იყავით. მამიდა ნუცა.

● ლენა მელაძე-სამანიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 20 ივლისს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, შენს საყვარელ ქმარ-შვილთან და პატარა შვილიშვილთან ერთად. უფალი გვარავდეს. ნატო და გაა დევიძეები.

● გილოცავ 17 ივლისს, ამირანაშვილო თეა, ქალიშვილის იუბილეს. სალიშკა, მოგზაურო პრინცესავ, სულ ასეთ მომღიმარსა და წარმატებებით გეფრინოს, ათენიდან ქუთაისში. ეკა-ბაიკო-ანუშკი.

● დაბადების დღეს ულოცავენ დეიდა ლია და დედა ლიზა, ხათუნა ჩახუნაშვილს. ყოველი 27 ივლისი შენთვის ზღვასავით სიხარულისა და სიკეთის მომტანი ყოფილიყოს, შენს შვილთან ერთად. გამრავლებას და გახარებას გისურვებ, მონატრებულ დისშვილო და შვილო. გოცნი და გეფერები. ლია და ლიზა.

● ჩემს უსაყვარლეს თეონა ჩიხლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 ივლისს. მე შენ მიყვარხარ, ჩემო სიცოცხლე, რა დამავინყებს შენს ცისფერ თვალებს, მე მოგილოცავ დაბადების დღეს, დე, დაესწარი მრავალჯერ, ამ დღეს. ღმერთი გვარავდეს, ჩემო მონატრებულ გოგო. შენი იაია ბაბუა. ირა ვირსალაძე.

● ზემო ნიქოზში, ზაქრო ხმიდაშვილო, გილოცავ ვაჟკაცის დაბადებას. კაცური კაცი ხარ და ეგრეც უფალმა, 12 ივლისი სამ დიდ სიხარულად გაჩუქა. პეტრე-პავლობა, შენი დაბადების დღე და ვაჟკაცის დაბადების დღე.

● 24 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს 4 წლის უნახავ შვილს, ნინო ყიფშიძეს. გისურვებ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. გაიხარე, შენს პატარა სიხარულთან ერთად. 100 ლამაზი წელი დაეთვალოს შენი ცხოვრების კალენდარს. შენი მონატრებული დედა.

● ჩემს პატარა ანა ლოსაბერიძეს ვულოცავ დაბადების დღეს და გაბედნიერებას. ჩემო პატარა ანგელოზებო, ანა ლოსაბერიძე და თორნიკე კოჩაძე, იბედნიერეთ!

● მე და დედა 14 ივლისს დაბადების დღეს ვულოცავთ ქეთი ფიცხელაურს და ავთო ქარუმიძეს, 17-ში მამას, მიშა მათურელს. გაიხარდეთ დიდი გოგო-ბიჭები. ათენიდან, ლელა და ელზა.


● ჩემო მონატრებულ შვილო, მინდა, ის დიდი გრძნობა მოგილოცო, რომელსაც დედობა ჰქვია. ღმერთმა ჯანმრთელი ვაჟკაცი გაგიზარდოს. გისურვებ ისეთ საქართველოში გეცხოვროთ, სადაც დედებს შვილების დატოვება არ მოუხდებათ. გეფერებათ და გოცნით ვიოლა ბებო, ათენიდან.

● მინდა, დაბადების დღე, 26 ივლისი მივულოცო რუსთაველი, ნაირა სვანიძე-გოგრიჭიანს. ნაირა, გილოცავ, ჩემო კარგო. ბედნიერი ქალი ყოფილიყავი, მუდამ. გოცნი, დალი კოჭლამაზაშვილი.

ყურადღება!

„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.

„ახამზაედა“ პეტეტი



სული კაეშანით ინვის, ციხე ბავშვობიდან მდევდა, მდევდა: საქციელი სიძვის. მდევდა გასროლილი ტყვია წყველა დემონების ტანით, მაგრამ მხოლოდ შენი ტყვეა გული, დაგლეჯილი დანით. სისხლი მონატრებით მტკივა, როგორც მოტეხილი ძვალი მარად მიუნვდომი გახდი, ჩემი ოცნებების ქალი.

მარი, აქვე გნერ ლექსს, რომელსაც ჩემი მოსაკნე მიშიკო გუდაძე უძღვნის თავის მეუღლეს — ნ. იაძეს.

ციხე ურვაა დიდი, ცოდვის სახარში ჯამი,

თუმცა შენა ხარ მაინც ტკივილთა დასაბამი. ნალვლიან სევდის თავი — გულში ტკივილის მშობი არ მეგულება ქვეყნად შენი მშვენების მჯობი. თმა სურნელების მფრქვევი, ღანვები — ფერი ძონთა. ვერ გახდა გრძნობის მკვლელი აუტანელი მოცდა! ღამით მალვიძებს ელდა, შიში, დაგკარგე მგონი?! მინდა ბევრი რამ მოგცე ვარ კი არაფრის მქონი, მსურს დაგიმტკიცო ზეცა, მთვარე გიბოდო ქარვის, თუმცა ვარ ნაძირალა ვარ ხელოსანი პარვის მაგ ვნებიანი ბაგის წყურვილმა დამანელა საკანში სევდა მეფობს და ვკვდები ნელა-ნელა.

კეთილო მარი, აი, ეს არის ჩვენი თხოვნა. გთხოვთ, გამომიწოდოთ დახმარების ხელი. ძლივს გადავაბიჯე შინაგან უხერხულობას და მოგწერე ეს წერილი. ვფიქრობ, „ამაოდ არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება“. პატივისცემით, ბ.

მარი ჩაშარიძე

გამარჯობა მარი!

პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადო პატიმრების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის. ყურნალი „გზა“ და განსაკუთრებით თქვენი რუბრიკა, ჩვენთვის დიდი სიამოვნებაა. ამ უკანასკნელს ხომ ჩვენ იშვიათად განვიცდით. ამიტომ მიიღე მადლიერება ყველა პატიმრის სახელით.

მარი, მე ერთი არამზადა ადამიანი ვარ, რომელიც ღრმა ყმანვილობიდან ციხის კედლებში ზის. თითქმის 24 წელი გავატარე პატიმრობაში და კიდევ ცხრა მაქვს გასატარებელი. მართალია, ვერასოდეს მივხვდი სულ მსჯავრდებული რატომ ვარ მაგრამ, ამას არ შეუშლია ხელი მიყვარდეს წრფელად, უანგაროდ და უმანკოდ.

გთხოვ, თქვენი ყურნალის მეშვეობით, მომცეთ საშუალება მივანვდინო ხმა ადამიანს, რომელიც სამყაროს ულამაზესი ქმნილებაა. მართალია, ქვემოთ მოტანილი ლექსები პოეზიის თვალსაზრისით მდარე ხარისხისაა, მაგრამ, ვიმედოვნებ, მეპატიება, რადგან საშუალო განათლებაც არ გამაჩნია.

ლექსებს და გულს ვუძღვნი ი. მოდებოძეს:

ისევ მომეძალა სევდა,
გულში დაგორაობს ლოდი,
შენი ვნებისა და თრთოლვის,
შენი ჟრუანტელის ლოთი.
სადღაც გაანათებს არეს
მაგ შენ მწვანე თვალთა


მუქი,

აქ კი გისოსების შიგნით
ჩემთან, სიბნელეა მუქი.
ისევ დატრიალდა კალო,
სხვა რომ შეგიყვარებს
ვხვდები.


ჩემი ოცნების ქალო
მე კი შენს ნატვრაში ვკვდები!

ისევ მომეძალა სევდა,

მას აქვს უნდა,
შეღწიერება თუკომი აშას,
მავსამ ჯობს „მერსედესში“
იქნაო, ჯიღარ ავცოშხსში



ფოტო, რომანოვ ნაჩუნა დაქანდა



• „თითის აწვეით ნუ მელაპარაკები, ცუნცულ“ თაკუშა.

• „ხუთს რომ ოთხი გამოვავლოთ, რამდენია ბიჭებო? არ დაიბნენ ბიჭები და ასნიეს თითები“. მწარე.

• „გასწიე შენი ვაზელინინანი ხელი“. მისტერ.

• „ვაჩხუბოთ თითები?“ ვახუშტა.

• „ვისაც რუსეთთან არ უნდა, სჯობს რომ მონახოს ფონია, ვერ დააჩოქებს ვერავინ, პუტინის მოძმე გოლიათს. ევროკავშირსა ეგ სვლები, ტყვილა გაუვა ჰგონია, სულ თითის ქნევით დავუნგრევ, მაგ შტერულ ჰეგემონიას. ევროკავშირი? ჰა-ჰა-ჰა, მაგ თითის ქნევას მოეშვი, სჯობს მეტი აღარც მიჰქარო, ოცნებებს ფასი არა აქვს, შენც იოცნებე ჯიგარო“. ლიმონა

• „მედედევი ნაძღვედება, ერთი თვე აქვს კიდევე დროი, მან ერთ თვეში უნდა შეძლოს... ნეტავ — რა?“

• „არაფერი შეგეშალოთ, მედედევი ვარ, პუტინი კი არა!“ ნანუკა.

• „მაცადე, სად გეჩქარება? შენამდეც მოვალ“.

• „აუ, იცი, 2 მაგარი უნიტაზი გაფრითე და ერთი შენა და ერთიც — მენა, რააა. საქმე შეთანხმებულა“.

• „მოდი, დავნაძღვედეთ, ბოზიშვილი ვიყო, მოსკოვს ცრემლების თუ სჯეროდეს“. ნიცა.

• „რალაც, არ მგონია, დამასწრო. მე უფრო მალე გატაკებ თვალში თითს.

ერთი... ორი... სააა...“ კისკა.

• „ელთი მაკოცნინე, ლაა“.

• „— ამ თითსა მატარებელი აქვს განუული.

— ამას მატარებელზე უარესი — რუსეთი“.

• „შენ მე თვალში ხომ არ გეპატარავები, ჰააა...“


• „მედედევი ნაძღავს რომ დებს, არ გეგონოთ ხუმრობა, მან ერთ თვეში უნდა შეძლოს აფხაზეთის დათმობა“.

• „დიმა ხელი ჩამოგართვი, მაგრამ არ ხარ მაგარი, ჩემი თითის სიგრძე ხარ და სულ დარჩები დაბალი. ეგ თითი იქით გასწიე, არ მატაკო თვალში, მე უფრო გრძელი თითი მაქვს, არ დაგჩები ვალში“. სევდიანი ქალი.

• „ან კი ძალითა ჩემითა, ან კი ნებითა მათითა, ტრენინგს ვუტარებ გაეროს, პუტინისტოლა თითითა, ჰოდა, ეგ ყური მომაპყარ, ნაღდს ვამბობ, განა მითია, შენც შეგიძლია მომბაძო, ნაბახუსევი მანუხებს, თავი მაქვს ფუტკრის სკასავით, ჩემს თითსა კი ნუ შესცქერი, აყუდეულო მთასავით. მსწრაფლ გამიჩინე ახლავე, ბორჯომის მთების წყალიო, თან მოაყოლე მიშიკო, მწვადი და კაი ქალიო. მწვადებს ლაწროვი მოუვლის, შენ ბორჯომს სუფი მოხადე, მაგ ქალს მე თვითონ მივხედავ, მიშას პუტინიც მოადებს“. ლიმონა.

• „— გაიგე ბიჭო? ყოფას გიტირებ! — ვისა, ბიჭო? შენ — მე? ხა, ხა, ხა“. დამპალი.

ღს, ჩხ'ც ხსხ'ცს ტმხ'ტმბს



თურმე, შესაძლებელია, გაცილებით ადრე დაბერდე, ვიდრე ამას შენ და ბუნება გეგმავთ. ამის მიზეზი კი მაგნე ჩვევებია, რომლებიც ნელ-ნელა შენს გარეგნობას აფუჭებს. თუ ამ ჩვევებს აღმოგზვრი, მაშინ ნაადრევად გაჩენილი ნაოჭების არ უნდა შეგეშინდეს. ნუ იფიქრებ, რომ შეზღუდვები მხოლოდ სიგარეტის მწველეებსა და მზის ან სოლარიუმის მოყვარულთათვისაა დანესებული. ასე რომ, შენი საქციელი შეიძლება საკუთარი ახალგაზრდობის წინააღმდეგ დანაშაულად მიიჩნიო, თუ:

სიგარეტს თავი უნდა დაანებო. კარგი იქნება, თუ დილა-საღამოს ტუჩებზე სპეციალურ ბალზამს ან თაფლს წაისვამ.

3. სვირად იყანებ სახის გასაწმენდ „სკრაბს“.

თუ კანს კვირაში ერთხელ მაინც იფხეკ, ამით ეპიდერმისს აზიანებ და მის დამცველ ფუნქციას ასუსტებ. ეს კი კანის გაღიზიანებას იწვევს, რაც თავისთავად შემდეგ ნაოჭების გაჩენას ხელს უწყობს.

4. საუზრის დროს მივიკას იყანებ.

ტუჩების გაბერვა, წარბების აზიდვა ან ცხვირის შექმუხნა ძალიან საყვარელი თვისებებია ქალისთვის, მაგრამ ეს მიმიკები ნაოჭებს აჩენს.

როდესაც ტელეფონით საუბრობ, შუბლზე და წარბებს შუა სკოჩი მიიკარი და საერთოდ, საკუთარ მიმიკებს ყურადღება მიაქციე.

1. არ იყანებ მზის სათვალეს.

ეს აქსესუარი მუდამ თან უნდა იქონიო. მზიან ამინდში მუდამ უნდა გეკეთოს. მაშინაც კი, თუ ზაფხული არაა, გარეთ სულ რაღაც 15 წუთით გახვედი და თუ მანქანის საჭესთან ზიხარ. სათვალე დიდი ზომის უნდა იყოს. პატარა სათვალეს სარგებელი არ მოაქვს, ვინაიდან ის ვერ ფარავს თვალის გარშემო არსებულ, ყველაზე დელიკატურ ადგილებს.

2. კოჰტილსა და წვეს საწრუპით მიირთმავ.

მართალია, მონრუპული ტუჩები სექსუალურია, მაგრამ სითხის ასე მიღება ტუჩების გარშემო ნაოჭებს აჩენს. იგივე ეფექტი აქვს სიგარეტის მოწვევასაც. ტუჩის გარშემო გაჩენილი ნაოჭები კი კორექციასაც არ ექვემდებარება. როგორ უნდა მოიქცე? საწრუპსა და

ჩაშის თქვის ზმძაც
 ღი ნაყლოები აჭვს,
 შიმ ღმძელთაან თქმშ
 ახლმს მიჯიღვს



ჩვეობები „სამშობლოს წარსულიდან“

წერილი მეორე

დასაწყისი იხ. „გზა“ №29

ირმა ხარშილაძე

ართვინის მხარის ულამაზეს, კლდეზე შეფენილ დედაქალაქს — ართვინს შებინდებისას ვესტუმრეთ. ამ ქალაქს სიმბოლოდ, თურმე, ხარების ორთაბრძოლა მიიჩნევა, რომელიც წელიწადში ერთხელ, ივნისის ბოლო კვირას ართვინიდან 20 კილომეტრით დაშორებულ მთაზე, კავკასიურ არენაზე ეწყობა და სამდღიანი კავკასიური ფესტივალის კულმინაციაა. თურქმა პედაგოგებმა ახალციხელი კოლეგები ამ ფესტივალზე სწორედ ხარების ორთაბრძოლის სანახავად მიიწვიეს. ჩასვლისთანავე ართვინის „მასწავლებელთა სახლში“ მივედით — ჩვენმა მასპინძელმა პედაგოგებმა იქ დაგვინიშნეს პაემანი. ამჯერად მეგზურობას უკვე ყველაზე ხალისიანი, ყველაზე ენერგიული, ყველაზე „მომღერალი“ და ყველაზე ლოიალური ჯგუფის ხელმძღვანელი ზაზა თამარაშვილი გვიწვედა.



„წავდით, მოვდით, არ დავპარგოთ!“ ანუ სისხლის ყივილი

სასწავლებელია. ყველა ლიცეუმს აქვს საერთო საცხოვრებელი, სადაც სხვა ქალაქიდან თუ სოფლიდან ჩამოსულებს შეუძლიათ ცხოვრება. მათთვის კვებაც გათვალისწინებულია და ცოდნის მისაღებად ყველა პირობაა შექმნილი. ყველაფერს სახელმწიფო აფინანსებს.

მასწავლებლის სახლის რესტორანში არც ალკოჰოლურ სასმელს სვამდნენ, არც სიგარეტს ეწეოდნენ. „მშრალი კანონი“ მთელ თურქეთში ვრცელდება. მხოლოდ რამდენიმე რესტორანში და ისიც არასამუშაო საათებში შეიძლება დალევა. ამისთვის, სახელმწიფო კი არა, სარწმუნოება უკრძალავთ ამასო. ჩვენი მასპინძელი პედაგოგები, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, საკმაოდ თავშეკავებულები და სერიოზულები ჩანდნენ. ერთადერთი, ცეკვაზე არ ამბობდნენ უარს. შესაბამისად, ჩვენი „თრობის“ საშუალებად თურქული სიმღერა და ცეკვა იქცა. რესტორნის მომღერალმა საგანგებოდ ჩვენთვის „პატარა გოგო დამეკარგა“ ქართულ ენაზე შეასრულა. თურქულად

„ჯინველოც“ გვიმღერეს, გვიცეკვეს, გვაცეკვეს და უკვე მოსასვენებლად უნდა წავეყვანეთ, ახალგაზრდა, წარმოსადეგი და თანაც გვარიანად შეზარხოშებული თურქი რომ შემოგვიერთდა. თურმე, ჩვენს პატივსაცემად მოზრდნებულა, ძალიან ლამაზ მუხლზე (რომელიც მასპინძელი სკოლის პედაგოგი გახლდათ) და შვილებთან ერთად... საზით — აღმოსავლური საკრავით. ალბათ, მუხლესთან დუეტში დილა მდე გვიმღერებდა, ზაზა თამარაშვილს, რომელიც ცნობილი ლოტბარიცაა და სკოლის დირექტორობას მშვენივრად უთავსებს სიმღერის გუნდების ხელმძღვანელობას, ჩვენივე დაჟინებული თხოვნით რომ არ ეშველა (თხოვნა არც დასჭირდებოდა, აკადემიურად ჩაცმული დამხვდურებისგან განსხვავებით, ყველანი სპორტულად ჩაცმულები რომ არ ვყოფილიყავით) — მიკროფონი დროებით დაიპყრო და ჩვენებურად შემოსძახა... ასე სიმღერ-სიმღერით მიგვაცილეს ლიცეუმის საერთო საცხოვრებელამდე, სადაც ორი ღამე უნდა გაგვეთია. ართვინის სამდღიან ფესტივალზე აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლიც (ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული არტისტი თამაზ ბეჟანიძე) მოეწვიათ და მასწავლებლის სახლის მეზობლად, დარბაზში „ქართულციხლდანიებულები“ მოსასვენებლად ჩვენს „სასტუმროში“ დააბინავეს. ახლა იქ „წვიდა ხალისობა“ და ქართველ მომღერალ-მოცეკვავეებს ცეცხლი დილა მდე არ ჩაუქრიათ... არც ჩვენ მოგვიხუჭავს თვალი დილა მდე. რამდენიმე სპორტულმა ახალგაზრდამ —

ზაზა თამარაშვილი, ახალციხის VI საჯარო სკოლის დირექტორი:

— თურქეთში, მასწავლებელი, ყველაზე დაფასებული და პრივილეგირებული ადამიანი პრეზიდენტის შემდეგ. მასწავლებლის სახლები თურქეთის ყველა ქალაქშია. ეს გახლავთ თავშეყრის ადგილი, სადაც მოწყობილი აქვთ სასაუბრო-სათათბირო ოთახი, ბიბლიოთეკა, სასტუმრო, რომელშიც შეუძლიათ სტუმრები მიიღონ და ღამე უფასოდ გაათევინონ; და — რესტორანი, სადაც ასევე უფასოდ გაუმასპინძლებიან. მაგალითად, ჩვენი დამოხილული სკოლის მასწავლებლები ჩვენთან — ახალციხეში სტუმრად რომ მოდიოდნენ, გზად თურქეთის ერთ-ერთი ქალაქის — ფოსოვის მასწავლებელთა სახლში უფასოდ გაუთევიათ ღამე — მათ აქვთ სპეციალური მასწავლებლის ბარათები, რომლის წარდგენის შემდეგ თურქეთის ნებისმიერ ასეთ სახლში უფასოდ შეუძლიათ ცხოვრება და კვება, მათ ხარჯებს კი სახელმწიფო ანაზღაურებს. თურქეთის სკოლებში რვანდის სწავლება, ამის შემდეგ ბავშვები სწავლას ლიცეუმებში აგრძელებენ, შემდეგი ეტაპი კი უმაღლესი



ართვინის „ვაკო ბანკის“ სკოლის დირექტორთან სტუმრობისას

დირექტორმა ზაზამ, პედაგოგმა თინიკო კვიციანიძემ, პედაგოგ მარიანა ბალასანიანის მეუღლე არტურმა და მე — ჟურნალისტმა ირმამ, დღე დილის გამამხნეველი ვარჯიშითა და მარათონით დავინწყეთ და სასაუზმოდ მოვემზადეთ. უგემრიელეს საუზმეს ართვინის დამპობილებულ ულაშახეს, უსუფთავეს და ყოველმხრივ კეთილმონყობილ სკოლაში შევექცით. გულითადი მასპინძლები თავს გვევლებოდნენ და იოლი მისახვედრი იყო, ეს არაჩვეულებრივი ადამიანები რა სითბოთი და

რული ნალიებით დამშვენებულ „საკლამახეზე“ ამოყავით, სადაც პატარ-პატარა აუზებში ულაშახესი ოქროსფერი კალმახები დაცურავდა, იქვე მთის მდინარე მოჩხრიკალებდა და თითქოს მიწის ერთი ციდა მონაკვეთი მთელ საქართველოს იტევდა — ხან თიანეთის ლაშარში, ხან ურავლის ხეობაში, ხან კი აჭარა-გურიის მთებში მეგონა თავი. იქაურმა ლაშმა რამდენჯერმე მოგვიბოდიშა: ვიცი, ტრადიციულად, სტუმრებს ალკოჰოლიანი სასმელებით უმასპინძლებდით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი კანონი ამას



ქართველებს კი ღვევიძც მთუფიქრებით სამშაკაცოსთვის: „წივლეთ, მოვლეთ, არ ღვეკარგოთ!“



ადკინებულებმა, სუთჯერაინი დროში სელში საქართველოს ჰიმნი შევასრულეთ

გვიკრძალავს, ამიტომ იმავეს ვერ შემოგთავაზებთ, თუმცა თქვენი ნებართვით, ჯგუფის ხელმძღვანელს წავართმევთ და ცოტას ჩუმად დავალევივინებთ. ასე თავაზიანად გამოგვაცალეს ხელიდან ზაზა ნასვამმა ლაშმა და წინაღობას გაცნობილმა მომღერალმა თურქმა, რომელიც დედი თქართველი — გაბაიძე აღმოჩნდა (ვიფიქრეთ, ასეთ მომღებენ, მოქეიფენ, დროს ტარების მოყვარულ კაცს უჭველად

გახდეს, პედაგოგიური ლიცეუმის დამთავრების შემდეგ სპეციალური უმაღლესი განათლება უნდა მიიღო, მერე კი გამოცდა ჩააბარო და მხოლოდ ამის შემდეგ გაძლევინ მასწავლებლად მუშაობის უფლებას. თავდაპირველად, ერთი წლით მაინც, აუცილებლად დანწყებით კლასებში გიშვებენ. მასწავლებლებს საგანგებო გამოცდების ჩაბარების შემდეგ სხვადასხვა ხარისხი ენიჭებათ. დირექტორობისთვისაც გამოცდას აბარებ. მასწავლებელს ხელფასი თვეში 1.200 ლირა აქვს, რაც დაახლოებით, 700-800 დოლარის ტოლფასია. დირექტორის ხელფასი კი დაახლოებით, 1.200 დოლარია.

სიყვარულით მოაწყობდნენ სწავლას თავიანთ ალსაზრდელებს. სკოლის დათვალეიერების შემდეგ ცოტა ხნით ქალაქშიც გავიარეთ. აქ ვერსად ნახავთ ინგლისურ ან სხვაენოვან წარწერებს, ჩანს, თურქეთის სახელმწიფო მეტისმეტად დიდ პატივს სცემს საკუთარ ენას და ყველა მალაზიას, მუნიციპალიტეტს, რესტორანსა თუ ჩაიხანას მხოლოდ თურქული წარწერა ამშვენებს. აღმოჩნდა, რომ აქ მცხოვრებთა უმეტესობა, ჩვენგან განსხვავებით, იშვიათად ვაჭრობს და, ძირითადად, სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობს.

ქართული სისხლი ექნება-თქო და ასე აგინდეთ ყველაფერი კარგია) და დამეგობრება იქვე, მოყუჩებულ ფაცხაში „რახით“ აღნიშნეს. ოქროს კალმახების მირთმევაზე თურქულის მცოდნე მეგი ბერიძის დახმარებით, ჩვენს მასპინძელ დირექტორთან თურქეთის განათლების სისტემასა და მასწავლებლების ბედზე საქმიანი საუბარიც მოვასწარი.

დირექტორი რომ გახდეთ, რით უნდა გამოირჩიოდეთ სხვა მასწავლებლებისგან?

— დირექტორობამდე ჩვეულებრივი კლასის მასწავლებელი ვიყავი. ჩვენი განათლების სისტემა კარგად წარმოაჩენს შენს ყველა უნარს და საგანგებო კურსების გავლისა და გამოცდის ჩაბარების შემდეგ, თუ მოინდომებ, აღარც დირექტორობა გაგიძნელებს.

ჯავახი უნალი, „ვაკიფ ბანკის“ სკოლის დირექტორი:
— ართვინში სულ 70 რვანლიანი სკოლა, ლიცეუმებიანად კი 100-მდე სასწავლო დაწესებულებაა. 2 წელიწადია, უნივერსიტეტიც დავაარეთ. სხვადასხვა პროფილის ლიცეუმები გვაქვს, თუმცა პედაგოგიური მაინც ყველას ჭარბობს. სკოლებში მშობლიური ენა და ლიტერატურა, ყველა საბუნებისმეტყველო საგანი, უცხო ენებიდან კი ინგლისური ისწავლება. მასწავლებელი რომ

მოსწავლეების ცოდნის დონე როგორია?

— ბავშვები ძალიან მონდომებულები სწავლობენ, რადგან ყოველი წლის ბოლოს გამოცდები აქვთ და წამახალისებელ სიგელებს ვაძლევთ. შეფასების 100-ქულიანი სისტემა გვაქვს. სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, კვლავ გამოცდებით, სწავლას ლიცეუმში განაგრძობენ.

ჩვენმა ახალშექმნილმა მეგობრებმა ქალაქ ბორჩხის უდიდესი კაშხლის სანახავედ წავიყვანეს და ექსკურსია მდინარე ჭოროხის ქვეშ, 82 მეტრის სიღრმეზე, აგრეგატების ღმუილის ფონზე მოგვიჩვენეს. საბედნიეროდ, სიღრმისა და დახურული სივრცის არავის შეშინებია, მხოლოდ ემოცია მოგვეძალა — წყლის ქვეშ მოგზაურობის განმავლობაში, გიღობას უთარჯინოდ, იქ მომუშავე ბორჩხელი ქართველები გვინუდნენ. გზადაგზა, ტურბინებსა და ლილვებზე საუბრის მიღმა, ეს 23-25 წლის ბიჭები, ვერ წარმოიდგენთ, რა სიხარულითა და სიამაყით გვიამბობდნენ თავისი „ნენაისა და ბაბაის“ წარმომავლობასა და გვარებზე. ჩვენც — ბედნიერი და იმავდროულად სევდიანი „გურჯები“ დაუსრულებლად ვაჩსაკუნებდით ფოტოაპარატებს ამ „ქვეცნობიერად ქართველებთან“ შეხვედრის წუთების აღსაბეჭდავად. დამშვიდობებისას კაშხლის ლამის მთელი „ეკიპაჟი“ გვაცილებდა. კინაღამ დაგუბებულმა ჭოროხმაც ხელი დაგვიქნია... ჩვენი მასპინძლები კი ახალი ეგზოტიკური მოგზაურობისთვის გვაშაბდებდნენ. ამჯერად თავი გუ-

ჩვენმა ახალშექმნილმა მეგობრებმა ქალაქ ბორჩხის უდიდესი კაშხლის სანახავედ წავიყვანეს



— ჩვენთან საერთო ეროვნული გამოცდებით ხვდებიან უმაღლეს სასწავლებლებში, თქვენთან?

— აქ თითოეულ უმაღლეს სასწავლებელში განსხვავებული, მისთვის გამორჩეული გამოცდები ბარდება.

— სხვა პროფესიის ადამიანებთან შედარებით, რა უზირატესობით სარგებლობთ პედაგოგები? ან, ვთქვათ, პენსიას რა ასაკიდან გინიშნავენ?

— პედაგოგებს გამორჩეულად დიდ პატივს გვცემენ. ცოტა ხნის წინ პენსიაზე უფრო ადრეულ ასაკში უშვებდნენ, ახლა — 50 წლიდან გადიან (საუბარს პენსიონერი პედაგოგიც შემოესწრო. აღმოჩნდა, რომ მასწავლებელს პენსია 1.000 ლირა აქვს, თავისი პროფესიით აღარ შეუძლია მუშაობა, თუმცა სხვა საქმიანობის წამოწყების უფლება აქვს — ავტ.)...

ინტერვიუს შემდეგ მოქიფებებს ცოტა ხანში მე და ჩემი მეგობარი, ქართულის პედაგოგი მზევიანარ მჭავანაძე შევუერთდით. გასაოცარი იყო — ერთმანეთის ენა არ ვიცოდით, სადღეგრძელოებს კი მშვენივრად ვაგებინებდით. ცოტა ვიმღერეთ, მერე კი ქეიფის საღერღელაშ-ლილებმა „საკალმახე“ დავტოვეთ და კიდევ უფრო მალა, მთებში, ყარაგიოლის ტბაზე („ყარა“ ქართულად „შავს“ ნიშნავს, ე.ი. შავ ტბაზე) ამოგყავით თავი. მასპინძელთაგან რამდენიმე ახალგაზრდა ჩვენთან მგზავრობა ისურვა. უკეთ გაცნობის მიზნით კითხვებიც დაგვაყარეს (ინგლისურად გვესაუბრებოდნენ), ქართული სიტყვების შესწავლაც დაიწყეს და ისიც გვითხრეს, ტრადიციული თამაში გვაქვს ცეკვით, რომელიც იწყება ქართული სიტყვებით: ერთი, ორი სამი, ჰა, ჰა, ჰა. ამ თამაშს, მგონი, „აჭარა“ ჰქვიაო. ამ სიტყვებმა ზახას ბავშვობის დროინდელი პატარა ლექსი „ერთი, ორი, სამი, სამი კაპიტანი, ვალოდია — მეფე, ნინო — პატარძალი“ გაახსენა და სასწრაფოდ მოინადინა, ქართული ენით დაინტერესებული თურქი გოგონასთვისაც დაესწავლებინა. თუმცა ეს არცთუ იოლი აღმოჩნდა. სამაგიეროდ,

ლექსმა (უფრო კი — „რახმა“) სიმღერის საღერღელი აუშალა და ტბამდე, ტბაზე და ტბის შემდეგაც აღარ გაჩუმებულა. და არა მარტო ზახა — გუნდიც სრულ მზადყოფნაში ვიყავით და ლოტბარის ნიშნისთანავე ომხიანად ვუერთდებოდით. ჩვენი თურქები გაცხებულები და ბედნიერები შემოგვცქეროდნენ, ტბაზე ლხინისას კი დედით ქართველ თურქ მომღერალს, რომელმაც იქ მისვლისთანავე აღმოსავლური საკრავი საზი მოიმარჯვა და აღერებდა, აშკარად ქართულმა სისხლმა უყვილა და თურქული სიმღერების ტექსტებითა და ნოტებით დახუნძლული რვეული განრისხებით აუფრიალა თანამემამულე თურქებს — ამას რას მამღერებთ, ეს რას ჰგავს! აი, სიმღერები და აი, მომღებნი ხალხიო, — თან ჩვენც უთითებდა. ჩვენ კი — ამაყები — დაუსრულებლად ვმღეროდით და ვცეკვავდით... ყარაგიოლის ტბა შავი სულაც არ აღმოჩნდა, თუმცა იქვე მართლა იყო უფრო პატარა შავი ტბა და ჩვენი ჯგუფის წევრის, პედაგოგ მავა ჯანაშვილის მეუღლის, გიას თქმით, შეფერილობით ძალიან ჰგავდა, თურმე, ადიგენის რაიონის ყარაგველის ტბას, თვითონ ყარაგიოლის მდებარეობა და ბუნება კი ყარაგველის ტბის მდებარეობის იდენტური ყოფილა. შეუძლებელია, ეს უბრალო დამთხვევა ყოფილიყო. ტბას ერთი მხრიდან მაჭახელას მთები ესაზღვრებოდა. რომ შემოვუარეთ, გაცხებულებმა აღმოვაჩინეთ, რომ ყველა კუთხიდან განსხვავებული პეიზაჟი იმლებოდა... ემოციებით სავსენი წამოვედით, მოქიფე თურქმა სადღეგრძელოს სათქმელად გზად წყაროსთან შეგვაჩერა. ასეთ დროს ჩემს სამეგობროში იმ გადასახედთან დანახული საქართველოს სადღეგრძელო შეისმებოდა, მთლად ასე ვერ ვთქვით, მაგრამ სამშობლო კი ვადღეგრძელებთ. ჩვენი ჯგუფის წევრს, ახალციხის VI სკოლის სამეურვეო საბჭოს ხელმძღვანელს, ნანა მოდებაძეს საქართველოს დროშა წამოვღო და აღტკინებულებმა, ხუთჯვრიანი დროშით ხელში საქართველოს ჰიმნი შევასრულეთ. თურქები აღფრთოვანდ-



თითქოს მიწის ერთი ცილა მონაკვეთი მთელ საქართველოს იცეკვდა

ნენ და აპლოდისმენტებიც არ დაიშურეს. ასე, პატრიოტულად დამუხტულები, მოგვიანებით დავბრუნდით შინ, ლიცეუმში, სადაც ჩვენს აჭარულ მეგობრებს, წელს ზემოთ გაშიშვლებულებს, თავსხმა წვიმის ქვეშ მსიარული შოუ მოეწყობა — აჭარულ მოტივებზე ექსპრომტად საცეკვაო „სპექტაკლს თამაშობდნენ“. ცეკვას ომხიანი სიმღერა მოჰყვა და ასე, მონაცვლეობით, დიდებული კონცერტი გამოუვიდათ. ყველაზე აქტიურები აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მოცეკვავეები გოგი ვეკუა და ბიძინა მაკარაძე აღმოჩნდნენ, ლამის სიძულობაც დაგვიპირეს — ჩვენი ნინიკო ბეგიშვილი მოეწონათ ძალიან, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. საუბრისას აღმოვაჩინეთ, რომ ისინიც დამეგობრებიან თურქ ლაზებს — ოსმანს, უსუფს და კიდევ რამდენიმეს, რომლებმაც ასევე კარგად იცოდნენ თურმე თავიანთი ძველი გვარები — ყოფილან ბოლქვაძეები, ჩაჩიბაძეები, მიმინოშვილები, სანაძეები, ჯანხოთელები... ანსამბლიც ჰყოლიათ ბოლქვაძე და მოგვარეებს ძალიან მოუღებინათ შეხვედრისას. ლაზები გვერდიდან ვეღარ შორდებოდნენ ახალშექმნილ მეგობრებს, ქართველებს კი დევიზიც მოუფიქრებიათ სამშავაცოსთვის: „წევდეთ, მოვდეთ, არ დევკარგოთ!“ — აჭარულ-ლაზური ინტონაციით შესანიშნავად ჟღერს.

ოსმანი:

— (აჭარულ-თურქული კილოთი) მე აქ დევბადე და გევზარდე. ჩემი ნენაი და ბაბაი ქართველები არიან, ბოლქვაძეები. ბათუმიდან წამოსულან ბორჩხის სოფელ ქლასკურში. იცი, რა ლამაზი სოფელ მაქ? საქმე რომ არ იყოს, ჩემ სოფელში წეგიყვანთ თქვენ. იქ სუ ჩვენებური არიან. ნენე არი, ბაბუ არი, დედე არი, ჩვენებურებ ლაპარაკობენ...

გახსარეთ, ჩვენებურებო. დიდი იმედი მაქვს, ოდესმე თქვენს ლამაზ ქართულ სოფელში მოხვდებით და იმ კარგ ქართველებსაც გავიცნობთ, თავისი ფესვები რომ არ დავიწყინათ და არც შვილებს ავიწყებენ მშობლიურ ქართულს...

გაგრძელება იქნება

ახალი პრესა ყველა სოფელს!

ყურადღება!

თუ საქართველოს მოსახლეს რეკონსტრუქციის ან სოფელში ვაჭრობის საფართო ობიექტი (მარკეტი ან სხვა) და ვაჭრობის სურვილი, შეზავით თქვენს ობიექტს **ერნალ-გამოცემის სარეკლამოვო სერვისი**. დაგვიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

ჩააწერეთ თქვენთვის თქვენი ენაობა და საკონტაქტო გეგმები.

8396 ანგარიშზე მისაღებად მისაგზავნად:

საბანკო: **გაბაშვილის**

სანომერი: **„ერნალ“**

ერნალ-გამოცემა

ერთი ვინმე ეაფლოანიძეილი



პაპა გიგაშვილი

ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება
შეგიძლიათ გაგვიზაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ.
„გზა“ № 18-29

— ეს რაღად უნდოდა? ამ სოფელში, რა, საჭმელი არ იშოვება?

— ეგეთი ნაღდად არა! ნოდარი უმაგათოდ ვერ ძლებს... — უთხრა იორამმა, ყუთიდან ერთი ბოთლი ღვინო დააძრო და გატრიალდა. ზეინაბი უქნიდან წამოენია, ხელები წელზე შემოხვია, მკერდით ზურგზე აეკრა, ეალერსებოდა მკერდსა და ფიცარივით სწორ მუცელზე, თან ამბობდა:

— არ გიხარია, იორამ? სულ ცოტათი მაინც არ გიხარია?!

— რა?

— აი, რაღაც შეიცვალა... რაღაც კარგი ხდება... ხომ კარგია აქ? არ მოგეწონა?

— კი, როგორ არა... — უხალისოდ დაეთანხმა იორამი, ფრთხილად გამოთავისუფლდა ქალის მკლავებიდან და სავარძელში ჩაჯდა, ჯაყვით შეუდგა საცობის ამოღებას, თან თავისთვის ბუზღუნებდა:

— რად უნდა ეს ფინტიფლუშები?! — გვერდზე მოისროლა საფერმობეჭდიანი საცობი და პირდაპირ ბოთლიდან მოყვება. — ოთხჯერ ძვირი ღირს ჩამოსასხმელზე... გემოზე მაინცდამაინც ვერაფერი განსხვავება ეტყობა... არა, კინაღამ დამავინყდა: იქ ხომ ლიტრას გისხამენ, აქ კი შვიდასორ-

მოცდაათი გრამია... სულაც ხუთჯერ ძვირი გამოდის... რატომ უნდა მისცე ხუთჯერ ძვირი და თანაც გახსნაზე ინვალო? რა კრეტინიზმია ყველაფერში...

კიდევ ერთი-ორი ყლუპი მოსვა და ზეინაბს შეხედა... ზეინაბი როგორღაც მომწვარული იდგა, ჩამქრალი, განზილებული... „ისევ ჩავაშხამე“, — გაიფიქრა და თითქოს მოსაბოდიშებლად თუ თავის სამართლებლად დაიწყო:

— რა არი, იცი, ზეინაბ? არ ვიცი... რაღაც... ეტყობა, ისე გამიჯდა... ქრონიკული გახდა დეპრესია... მე რას მიყურებ? სულაც არ მინდა, რომ გაგიტყოს... კარგია, აბა, რა... კარგია, განა ვერა ვხედავ? მაგრამ გახარების ოფსილაც აღარაა... სანყენი კიდევ... სანყენში ვზივარ და შიგა ცცხოვრობ...

— არა, კარგი უნდა გაგიხარდეს.. თუნდაც სულ პატარა, კარგი... თუნდაც ისე, პატარა ბავშვს რომ უხარია... ფერად ბუშტს რომ აჩუქებენ, ხომ არის რამდენიმე წუთს მაინც ბედნიერი?

— ჰო, მაგრამ განსხვავება დიდია...

— განსხვავება?

— ჰო, აბა რა... ასაკი, პერიოდი... ბუშტი რომ სკდება, ბავშვი წაიტირებს და რამდენიმე წუთში ავიწყდება... ჩვენ კი...

— ჩვენ კი, რა?

— ჩვენ კი... არა... რა ვიცი! ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვარ... ყოველ ფერად ბუშტს ისე ვუპოტინები, გეგონება, უკა-

ნასკნელი მაშველი რგოლი იყოს... ჰოდა, სკდება! ახალი ბუშტიც აღარ მიხარია... თავიდანვე, პირველი წუთიდანვე, სიხარული კი არა ჩნდება... არამედ შიში... გასკდომის შიში... გასკდომისაგან მიღებული ტკივილის მოლოდინი... და მერე რა? მაინც ისევ ვეპოტინები და ისიც ისევ სკდება!

ღვინო ისევ მოყვება, სიგარეტს მოუკიდა და გააბოლა. სავარძელში გადაწვა და დარჩა ასე, თავის ჩვეულ „პოზიციაში“... ზეინაბმა გააგრძელა „ტერიტორიის ათვისება“, ახლა საძილესა და სააბაზანოში ტრიალებდა...

მანქანის ხმა გაისმა და კარის ჯახუნი. იორამმა წამოკრიბა ბოთლი, სიგარეტი, სანთებელა და ტერასაზე გავიდა. ჯოტო იაპონურ გენერატორს ამზადებდა ქსელზე მისაერთებლად. იქით კესო დიდ გეჯაში მატყულს რეცხავდა, მოშორებით ორი მოზრდილი ბიჭი საგულდაგულოდ ვერთხავდა და ცოცხით ასუფთავებდა სხვნიდან ჩამოზიდულ ფუთებს... გასუფთავებული დასტები ოთახში შეჭქონდათ და იორამის მაგიდასთან თაროებში ალაგებდნენ. ნოდარი თავს წამოადგა ჯოტოს და უთხრა:

— იორამს აჩვენე, ჩართვა-გამორთვა როგორ უნდა, ბენზინის ჩასხმა და რამე...

ზეინაბმა გამოიხედა ტერასაზე. იორამმა ხელი აიქნია და ცალყბად გაიცინა:

— ზეინაბს აჩვენეთ, ზეინაბს! მე მაინც დამავინყდება და ამერევა რამე...

შარვლიანი ზეინაბი გენერატორთან ჩაცუცქდა, ჯოტო შეუდგა ინსტრუქტაჟს. ნოდარმა ხარბად მოავლო თვალი ჩაცუცქული ქალის ზურგის, წელის, გავის ლამაზ მოხაზულობას, მერე შემობრუნდა და იორამს უთხრა:

— ზურია გამგებელი შემოგივლის ყოველდღე. არ მოგერიდოს, თუ რამე დაგჭირდა, მანქანითაც წაგეხმარება. გორში მოგიწევს, ალბათ, ჩასვლა, იქაურ არქივში... იქნება რალაცები... მუზეუმშიაც... ძველი საეკლესიო დავთრებიც სადღაც მანდ აქვთ შენახული. ნათლობები, ქორწინებები და რამე... ახლა კი ზურია გამგებელი სადილად გველოდება... ჩიხირთმა, ხაშლამა, ღორის მწვადები...

იორამის უფიქრი გამომეტყველება შეინშნა და დაამატა:

— ისე, თუ ეგ ვარიანტი არ განყობს... გინდა, რესტორანში გავიზინოთ? მიზეზს მოვიგონებ...

— მე არც ერთგან არ მინდა, მაგრამ რატომ გავანზილოთ კაცი? რად გვინდა რესტორანი?!

— აბა მამ, დავიდრათ ნელ-ნელა... ავიკრიბოთ! ზეინაბ, მოეშაბდე! სტუმრად მივდივართ!

ზეინაბი სააბაზანოსაკენ გაქანდა. ჯოტომ გენერატორი აახრიგინა, ოთახში შევიდა, შეამოწმა ელექტრონერტილები, მერე ტელევიზორი ჩართო.

— ანტენა ჩართული გაქვს? — დაუძახა ნოდარმა.

— აბა! „აიასი“, ბატონო! აი, იქ დაგყენეთ, სახურავზე, — ხელი გაიქნია დიდი სახლისაკენ. მერე არხები დაარეგულირა და შესძახა, — აუუ, რას აჩვენებს!

სააბაზანოდან გამოვიდა დაბანილ-და-

ვარცხნილი ზეინაბი გაცისკროვნებული სახით... ტელევიზორს შეხედა და ტაში შემოჰკრა:

— აუუ, რას აჩვენებს! — უნებურად, ზუსტად ჯოტოსავით დაიძახა. ჯოტოს კი უთხრა:

— გენიოსი ხარ! — და ისიც გადაკოცნა.

— რაის გენიოსი მე ვარ, ქალბატონო ზეინაბ! კაი ანტენა წამოვიღე და კაი ანტენ-შიკი წამოვიყვანე და...

— ჰოდა, მაგიტომ ხარ გენიოსი! — გაიცინა ზეინაბმა.

— აუჰ, ბიჭოს! ამისთანა გამოწყობილ-გამოპრანჭული პრეზენტაციანზე არ მინახავხარ! რაშია საქმე?

— ესაა, კაცო, გამოპრანჭული? — თავისი გრძელი კაბის კალთის ბოლო აიტაცა ზეინაბმა და ხელში მიაჩქრა ნოდარს, — ეს ჩენჩია გამოსაპრანჭი? მოუსვი ხელი!

ნოდარმა უხერხულად მოსრისა ქსოვილი და გაუშვა. ზეინაბმა გააგრძელა:

— ანდა ეს ბიჭუტერიაა გასაპრანჭი? შენ კი უნდა არჩევდე ფირფხსა და ლალს შუშისაგან, ჰა?

— კი ბრჭყვიალებ დედოფალივით და რა ვიცი. არ გადარეო ეს ნაშინდრელები! კაი, ნავედით! გრძელ ქეიფს არც მე ვაპირებ, იორამ! ცხვირი ნუ ჩამოგიშვია! ვისადილებთ და წამოვალთ. დროზე უნდა ჩავიდე თბილისში...

ტერასის კუთხეში, კაკლის ხის ქვეშ, მაგიდასთან იჯდა გამგებლისგან მობრუნებული იორამი. მაგიდას ზემოდან ჩამოკიდებული აბაჟურიათი ნათურა ანათებდა, იდგა ერთი ბოთლი ღვინო და საფერფლე, მოგულულად ხრიგინებდა გენერატორი. ზეინაბმა სანთლიანი შანდლიანი გამოიტანა და იორამს წინ დაუდგა...

— ანთე შენი სანთებლით! უნდა გამოკვრთო...

იორამმა სანთელს მოუკიდა, ზეინაბმა გამოართო გენერატორი. უცებ დადგა სიჩუმე და სიბნელე, მაგრამ შესამჩნევი გახდა მთვარის მკრთალი ნათება, აქამდე რომ არ ჩანდა. ზეინაბი გვერდით მიუსკუპდა იორამს, მკლავი გადახვია, გაიცინა:

— რა უცნაური კაცი ხარ, იორამ! იქ რომ აღარც ღვინოს დააკარე პირი... ახლა?

— არ მიყვარს!

— რა არ გიყვარს, ღვინო?

— ღვინო მიყვარს... მაგრამ არ მიყვარს ღვინის ერთბაშად, დიდი ჭიქით ჩასანსვლა... ვილაცის მორშილ სადღეგრძელოზე...

— ჰო-ჰო, რა გააფიჩინე ფეხი ამ სტალინის სადღეგრძელოზე! რა გაუკვირდათ! მაგრამ აღარ გაართულეს... კიდევ კარგი, მთვრალი ჯერ არავინ იყო... დაგელია, რა მოხდებოდა?

— რატომ უნდა დამელია?

— რა მნიშვნელობა აქვს? ესენი თავისიანად თვლიან, აქაურად... ისე სვამენ,

როგორც კაი ნათესავის სადღეგრძელოს...

— აბა, კიი... რატომ ივანე ჯავახიშვილისას არა სვამენ? ის რა, აქაური არ იყო? ხოვლე შორს კი არაა გორიდან...

— ესახელებათ... მსოფლიო კაცი...

— ჰო, მსოფლიო მტარვალი! დღემდე მისი შიში და რიდი აქვთ გამჯდარი ძვალ-რბილში... გენტიკურად გადადის... — ღვინო მოყლუბა და თითქოს გაცხარება შეემატა,

— ეს რა უბედურებაა! კერპისა და ბელადის ასეთი მოთხოვნილება! ნავლენ, წამოვლენ და ვინმეს გამოინახვენ თავზე დასასმელად, შეანერენ ბელადობას! თუ არ გაუმართლათ და ვერ მოუგრისა ყველას კისერი, ლანძღვენ! თუ კარგი კისრის მომგრები აღმოჩნდა, შეუყვარდებთ და ხოტბას ასხამენ! მოთხოვნილებაა, გესმის?! სულ ბელადის და მაგარი ხაზინის ძებნაში არიან! მერე გაიძახიან, თავისუფლებსმოყვარე ვერ ვართ, მთელი ისტორია თავისუფლები-სათვის ვიბრძოდითო!

— ჰა-ჰა-ჰა! — გაიცინა ზეინაბმა. — მგონი, აქაურებმა მიაგნეს მაგისტანას...

— რა? რაზე ამბობ? — დაბნეულად იკითხა იორამმა.

— რაზე და, მგონი, ნოდარის იმედი აქვთ მაგ ვარიანტიში... ვერა ნახე, რა სადღეგრძელოებს ამბობდნენ? რა ხოტბა შეასხეს! ლამის სტალინს შეადარეს... ჰა-ჰა-ჰა-ჰა!

— ჰოო, აბა, რა გგონია! როგორ ენატრება, ბიჭო, ამ ხალხს სეთური და მამა-მარჩენალი! როგორ ენატრება! გადასარევი ამბავია!

— რა არი გადასარევი? იორამმა ისევ მოყლუბა და თითქოს ჩაფიქრდა. მერე თქვა:

— ჰო, მართალი ხარ... რა არი გადასარევი?! ხალხი ევა ყოფილია და აჰა!

ისევ მოყლუბა, გააბოლა, იჯდა ჩაფიქრებული, ისევ ალაპარაკდა:

— ბიჭო! ოთხმოციანების ბოლოს რომ ენთუზიაზმი იყო... ილუზიები... გაიხსნა სივრცე და თავისუფალი ლაპარაკის საშუალება გაჩნდა... გვეგონა, ხალხმა რაც არ იცოდა, ახლა გაიგებდა... საიდან უნდა სცოდნოდა, რაც არასდროს გაუგია? ჰოდა, ახლა, ჭკვიანი კაცი სიმართლეს რომ დაუფარავად ეტყვის, გაიგებენ, აბა რა იქნებაო, ასე გვეჯეროდა, კაცო! ადამიანისთვის რაც არ გითქვამს, საიდან უნდა იცოდეს, ხომ? ჰოდა, როცა ეტყვი და კარგად აუხსნი, გაიგებს, აბა, რა ჯანდაბა იქნება-მეთქი, ვფიქრობდით... აჰაჰ! მეტი არაა ჩემი მტერი! ამ დროს ზეინაბი ეხუტებოდა და ეტმასნებოდა იორამს სიცილით...


— იორამ, იცი რაა?! მოდი, კისერიც უტეხიათ მაგათ სუყველას! მე დღეს ისე კარგადა ვარ, თითქოს საავადმყოფოდან გამოვედი! თითქოს მე და შენ საქონილო მოგზაურობაში მეორედ წამოვედით... ნახე, რა მთვარეა! იცი, როგორ მომენატრე?! იორამი იჯდა გატრუნული. ზეინაბი ზედ იყო შემოხვეული და კოცნიდა საფეთქლიდან ჩამოყოლებული ნიკაპამდე. იორამიც ცოტ-ცოტას პასუხობდა, ენთუზიაზმის გარეშე. მისი საპასუხო ალერსი თითქოს დაწყნარებისაკენ უფრო იყო მიმართული, ვიდრე ალგზნებისაკენ.

— წამო, მე უნდა დავწვე... — თქვა ზეინაბმა. — სანთელიც წამოიღე...


სიარულში ისევ მოეხვია ქმარს, ცხვირი ყურის ძირში შეუყო...

...შიშველი ზეინაბი ზემოდან აწვა იორამს, მკერდს უკოცნიდა და თან ცდილობდა მისთვის მაისური გაეხადა. იორამმა თვითონ გადაიძრო და ქალი ორივე ხელით მიიხუტა, ძუძუებს ენით გაელაშუნა, ხელები წელზე ჩაუტყურა, თქმისთავეზე გადაუსვა, დაუნდულებში ჩაავლო და მჭიდროდ მიიჭირა... ერთად გადაბრუნდნენ და ზემოდან მოქცეული იორამი აშუშავდა. ზეინაბი ბოლომდე იყო გახსნილი, მკლავები მარწმუნებელივით შემოესალტა იორამის მენჯისთავეზე, ზედ მაგრად იკრავდა და ძლიერი აზარტით პასუხობდა მის მოძრაობას, მაგრამ ქალის აქტიურობა როგორც დამორგუნველად მოქმედებდა იორამზე, გრძნობდა, როგორ თანდათან იკარგებოდა ალგზნება, მოძრაობების ცვლით ცდილობდა შემობრუნებას, მაგრამ წვლების გარდა არაფერი გამოსდიოდა... გატანჯულ-გათეთრებული სახითა და უეცრად აღმომხდარი კვნესით გადაბრუნდა გვერდზე და ბალიშიში თავიარგული გაირინდა. იდაყვზე წამოწეული ზეინაბი ზემოდან დაჰყურებდა. სახეზე მწარე განბილება, შემფოთება, შიში და რაღაც სინაზეც ეხატა... ჩურჩულებდა:

— იორამ! ჩემო იო! ცუდად გახდი? ახლა როგორა ხარ? იმისი ბრალია... იმ ოხერი კომოციოს შედეგები... არ გაიარა... ჩემი ბრალია, მე მეგონა, უკვე გაიარა... მერე რა მოხდა? გაივლის... აქ უფრო მალე გაი-



ლის... აი, ნახავ! სუფთა ჰაერი, ტყეში სიარული... ღვინოს ნაკლებს დაღვე... არ უნდა გადაიტვიროთ... არა! ცოტა ღვინო, პირიქით, კარგია... მაპატიე! არ ვიცი... ისე მეგონა... არ იფიქრო! სულ მალე! სულ ძალიან კარგად იქნები! ჩემო იო! — ასე არუფლად ბუტბუტებდა ზეინაბი... ძუძუებით იორამის ბეჭებს იყო მიხუტებული, თითების წვერებით ნაზად, მსუბუქად ეალერსებოდა მის თავკისერს.



უეცრად იორამმა გაბეზრებული და სასონარკვეთილი გაფთრებით გაიქვია იდაყვი და წამოიყვირა:

— გამანებე რა, თავი!
 ამ წამოახილსა და მოძრაობაში ისეთი განწირული ზიზღი და გაუცხოება იგრძნობოდა, რომ ზეინაბი სილაგარტყმულივით გადაქანდა უკან და ასე დარჩა, ნახევრად წამომჯდარი და სახეგამეშვებული...

აღმოსავლურ ხალაბში გახვეული და თავზე ქალაღაიამოხვეული თვა მწვანე გაზონზე ჩაცუცული საქმიანობდა: პატარა ორმოებში ტიტას გაღვივებულ ბოლქვებს ფლავდა, მიწას აყრიდა და გვერდით მდგარი ვედროდან ჩაშრით ცოტ-ცოტა წყალს უსხამდა. ეზოს მეორე მხარეს ჯაჭვს აჩხარუნებდნენ და გლეჯდნენ „წუნკლები“, აქეთ-იქით აწვდებოდნენ, სანყალბელები ყველა-წეშულით ითხოვდნენ ყურადღებას. თვა შემოტრიალდა ძაღლების აღვლებს მიზეზის გასარკვევად და ზედ წამომდგარი ნოდარი დაინახა. ნოდარი გაკვირვებული დასჩერებოდა მის წამოქმედარს.

— ვაი! რა ჩუმად შემოხვედი! — თქვა თემა.

— ეს ნერგები საიდან? — იკითხა ნოდარმა.

— ეს ნერგები კი არა, ბოლქვებია.

— კარგი! მერე საიდან?

— საიდან უნდა იყო? ჯოტომ მომიტანა.

— რატომ?

— დავაბარე და მომიტანა! რა იყო, ხომ არ გეწყინა?

— არა, რატომ! წყენა რა შუაშია? — თითქოს დაწყენარდა ნოდარი.

— რა ვიცი? თუ გწყინს, უკანვე ამოყერი. შე დალოცვილო! ამისთანა სახლი და ეზო გაქვს, სახლში ერთი წიგნი არ გიჭაჭანებს, ეზოში — ერთი ყვავილი. რა გჭირს? რაღაც ხომ არ გაკლია? ნერაკითხვის უცოდინარი ხომ არა ხარ?

— უუხ! ისევ ეგ მანავი ენა! ნიჭი გაქვს, რა, რო კაცს ხელი აუქავო!

— შენ რა? პასუხის მოძებნა როცა გიჭირს, ირტყმევინები? კაცებთანაც მასე ხარ თუ იქ უფრო თავს იკავებ?

— უუხ, შენი! — ნოდარს წამით თვალე-

ბი ცოფიანი გაუხდა, მაგრამ თავი მოთოკა, მზერა აბრეშუმში გამოკრულმა ლამაზმა ბარკლებმა მიიზიდა, მერე ხალათის მოღვლილ უბეში ჩახედა, მერე ქალაღაიას ქვეშ შეიხედა და სახე დაუთვალა. სახეზე აღმდგარიყო ძველი სილამაზე, მხოლოდ ცალი თვალის ქვეშ კიდევ ირჩეოდა მოყვითალო მოზრდილი ლაქა. ბრაზმა გადაუარა და დაამატა: — ქალი არ იყო! მართლაც! წამო, შინ შევიდეთ!

— ახლავე! თორმეტი ბოლქვიდა დამარჩა, ხელად მოვრჩები.

ნოდარი ერთ წამს ადგილზე იტკუნებოდა, მერე შეტრიალდა და კიბისაკენ წავიდა.

დიდ მაგიდაზე ისევ ჩანახევრებული შამპანურის ბოთლი და ფუჟერი დახვდა. ეწყო ჯამები ფსტიტა და თხილით, ლუღის ჩირით, მოკოლადის კანფეტებით, გობი, ლამაზი ხილით, ყურმნითა და ჩურჩხელებით სავსე, ყავის ნალექიანი ფინჯანი და იქვე დიდი ჯეზვეც, შიგ ჩარჩენილი ყავით. მაგიდაზე, ბუხრის თაროზე, სავარძელში, ტახტზეც, ეყარა ფერადყვინი წიგნები და პრიალა ჟურნალები. თვალში ეცა ტახტის თავზე, ბუხრის კიდზე დიდი თაიგული, მსხვილთავა, თეთრი პიონებისა. ერთ მოზრდილ თიხის კოჭოში გამხმარი ბურეაკების მთელი ბუჩქი იყო ჩადგმული — დეკორატიული ეფექტი უზარმაზარი ზღარბისა. ეს ყველაფერი, სხვა, აქა-იქ მიგდებულ ქალურ წვრილმანთან ერთად, საფუძვლიანად ცვლიდა ყაფლანიშვილის „საბრძანებლის“ ადრინდელ ატმოსფეროს. ნოდარი ყბაჩამოვარდნილი ათვალეებდა ოთახს, მერე მეორე სასმისი მოიტანა, შამპანური დაისხა და მოწყურებულივით ერთბაშად დალია. სავარძელში ჩაჯდა, სასმისი ისევ გაივსო და გააბოლა. თვა შემოვიდა, რეზინის ხელათიანები გაიძრო და იქვე მიყარა.

— შენ ისევ ნასვამი ხარ? — ჰკითხა ნოდარმა.

— მერე რა?

— არაფერი! ოღონდ...

— შენ არ იყავი, ძალით რომ გამომათვრე, როცა შენ გინდოდა. მე რომ მომინდებდა და თვითონ დავლევ, შენ რატომ გწყინს?

— კაი, მორჩი ეგეთ ლაპარაკს! რატომ

უნდა მწყინდეს? პირიქით, მეც კამპანიას გაგინე!

დაასხა თეას სასმის-შიაც, ჭიქა მიუჭახუნა.

— დავლიოთ?

— დავლიოთ!

დალიეს. ნოდარი ერთ წამს დაკვირვებით უყურებდა, მერე ჰკითხა:

— ერთი ეგ მითხარი, არ მოგწყინდა აქ მარტომდარტო ყურყუტი?

თეამაც დაკვირვებით შეხედა თვალბეში.

— ჯერჯერობით, არა! გულახდილად გეუბნები, ვისვენებ... მაგარი დამღლელია

სულ სხვების ცხვირწინ ყოფნა, მომსახურება... ყველა ახვარს კოჭი უნდა უგორო... თან თავიც დაიძვრინო და თან არც ვინმეს აწყენინო... ამოვიდა, რა! — ყელზე აწვინა. — აქ ისე გამოვიდა, რომ განცხრომაში ვარ... და ჯერ არ მომბეზრებია, ალაღად გეუბნები. — ისევ გამომცდელად შეხედა თვალბეში და ჰკითხა, — რა იყო? სათავსის დაცლა ხომ არ დაგჭირდა?

— არა! თუ დამჭირდა, არ მოგერიდები, — უთხრა ნოდარმა და კიდევ ჩამოასხა.

— იმ დიდი საძილედან გადაგბარგდები, ეგრე აჯობებს. ოთახების მეტი რაა?

— იყავი, კაცო! მე რას მიშლი? რომელი უცხოები ჩვენა ვართ?

თეამ დაცლილი სასმისი დადგა, მზერა და კილო ისევ გესლიანი გაუხდა.

— მამ, შენი აზრით, ახლობლები ვართ?

იმას თუ გულისხმობ, რომ მიხმარე, დაიხსოვე! შენ ჩემთან, — მკერდზე მიირჭო თითი, — არა ყოფილხარ! ვერც ვერასოდეს იქნები, თუ მე არ მომიწდა! ოცდაოთხჯერაც რომ გამაუპატიურო! მასე შეგიძლია, ჩემს ასლ კუკლასთანაც ისიამოვნო! სხვათა შორის, იმისთანა კუკლებს ამზადებენ საზღვარგარეთ, ვერ გაარჩევ. შეგიძლია, შეუკვეთო, თუ ფული გაქვს...

სპეცშეკვეთები ძვირი ჯდება. ყველას კი ვერ დაითანხმებ მოდელიზაზე. მე თანახმა ვარ, მივყიდი ჩემს მოდელს, ერთი ცალის დამზადების უფლებით... ძალიან ძვირი დაგიჯდება, მაგრამ შენზე ამბობენ, დიდი ფული აქვსო. ჰოდა, მერე რაც გინდა და საიდანაც გინდა, ის უქენი... შიგადაშიგ სცემე კიდევაც...

ნოდარს ისევ გადაუარა ცოფმა სახეზე, მაგრამ ისევ მოთოკა თავი, კრიჭაშეკრული მისჩერებოდა, გაბოროტებული. ბოლოს გამოცრა:

— ისევ გეუბნები! ეგ შენი ენა... დავიჯერო, სხვას არავის უცემიხარ?

— არასოდეს! გინდ დაიჯერე, გინდ — არა!

— აბა?

— რა აბა? ზოგი შესაფერის პასუხს პოულობდა, ზოგი — პირიქით...

— პირიქით — რა?
 — წარუშლელი შთაბეჭდილებით რჩე-

ბოდა! საერთოდ, ჩემთან ვინც ყოფილა, ვერაფერს მივინწყებს. ერთზე მითხრეს, ყვავილებსა რგავს და შენს სახელს ეძახისო.

ორივეს გაეცინა.
— ვაჰ, ეგეთი ვირებიც არსებობენ? — თქვა ნოდარმა.

— ვირებიც არსებობენ, მხეცებიც...

— ჰო, კარგი! ბევრი გყავდა?

— ვინცა მყავდა, ადრე გითხარი. რაში გაინტერესებს? ხომ არ ეჭვიანობ?

ნოდარმა სიცილ-სიცილით ჩაცალა ბოთლი სასმისში.

— მართლა, ხო იცი! რალაც ეჭვიანობასაც იტყობ?

— შენ, რა? არშიყობის ხერხების შესწავლა ხომ არ დაგინწყია? — გამხიარულდა თეა.

— არა, შენ გელოდები!

— მეე?

— ჰო, შენ არ მითხარი, გასწავლიო? ჰოდა, გელოდები! მოდი, ბარემ დავიწყებო!

თეა ისევ აიძრინა.

— ნუ იცი, რა, ეს ნასტიკი მონოლა! ხასიათს უტყუებ ადამიანს! მაცალე, რა! დამაცალე და გასწავლი! ახლა ერთი ბოთლიც მოიტანე! კიდევაც საყინულეში...

ნოდარი ცალკება სიცილითა და თავის ქნევით გავიდა სამზარეულოში.

გივი ვაშალომიძე დილიდანვე დაადგა ყაფლანიშვილს აგარაკზე. სალაპარაკო ჰქონდა და გადადებდა არ უნდოდა. ნოდარის მოლოდინში დიდ ოთახში იჯდა, „ვეროსპორტის“ არხზე პროფესიონალი მოკრივეების მატჩს უყურებდა.

ნოდარი საბაზანოდან საბანაო ხალათში გახვეული გამოფრატუნდა, სამზარეულოში რალაცას ახრიგინებდა. დაიყვირა:

— ლუდს დალევ?!
— არა! საქმეზე ვარ წასასვლელი...
— მერე რა?
— რა და მთენთავს... ველარ ვუძლებ ძველებურად.

— როგორ უფრთხილდება, ბიჭო, თავს! ლამისაა დიეტაზე დაჯდეს.

— ჯერ საქმე და მერე სიამოვნება! რალა სიამოვნება, თუ საქმეს ჩაგაფლავებინებს...

— მე კი არაფერსაც არ მაფლავებინებს! ახლა ოთხ ქილას ჩაზეთქავ და მერე საქმესაც გავაკეთებ! რა სჯობია ახლა ლუდის ჩახეთქვას?!

„კრომბახერის“ ქილები გამოიტანა, დახსნა.

— შენ რა მოგცე? — ჰკითხა გივის.

— თუ გინდა, ყავა გამიკეთე...

— არ მინდა, მეზარება! თუ გინდა, შენ თვითონ გაიკეთე. ეს ყაოტოც ჯერ არ მოსულა... იმასაც, — ზემოთ ანიშნა, — სძინავს... თუ გინდა, გავაღვიძებ, გავაკეთებინებ!

— ნუ გადამაყოლე! რად მინდა ამდენი ხათბალა! — მერე დაინტერესდა. — რა იყო, მორიგდით?

სავარძელში გათხლაშული ნოდარი ლუდს პირდაპირ ქილიდან ისხამდა დაღებულ პირში, გაიღრჩხა კმაყოფილი სახით:

— კიი, კარგად! მთელი ღამე ვუჯლაყუნე!

— ისევ ძალით?

— არა, კაცო! თვითონ მასწავლა!

— რა გასწავლა, კაცო?! — გაკვირვებული მიაჩერდა გივი.

— თვითონ მითხრა: თუ მე არ მომინდა, არაფერი გამოგივა. თუ გინდა, გასწავლი, როგორ მომანდომოო...

— ისწავლე, მერე?

— აბა, როგორ?!

— რა გასწავლა ამისთანა?

— მოყოლით მაინც ვერ გაიგებ, მოქმედებაში უნდა ნახო, ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ისე, კარგია! მაგარია ეგ შობელძალი! მართლაც!

— ხომ არ შეგახვია, ბიჭო? რალაცა ისეთი გომობით ლაპარაკობ. ეგ, ეტყობა, ჭკვიანი ქალია, სიტუაცია გააანალიზა. შენთან ბოლომდე შემოტენვა აწყობს.

— აწყობდეს, მერე რა? აწყობს და აწყობდეს! ისე, ერთი ნამოკი კი გააკეთა: ჩემთან ნამყოფი კაცი მერე სადაც გინდა წავიდეს, მე მნატრობსო...

— ბევრი კაცი ჰყოლია?

— თვითონ როგორც ამბობს, მხოლოდ სამი... მაგრამ რას გაიგებ? მეც იმ წუთში დავიჯერე, რა! ისე, შეიძლება მართალიც იყოს, არც ეგაა გამორიცხული... მაგრამ რა ჩემი საქმეა!

— ისე, ბიჭო, ჰა? ერთიც ვნახოთ და, ცხოვრებაში ერთხელ შენც წამოეგო? რა არ ხდება ამ ქვეყანაზე!

— მეტი ვაი არ ჰქონდეს შენს ნოდარს! მე ეგეთი ჯიშისა ვარ, — ერთადერთი და შეუცვლელი ქალი არ არსებობს ჩემთვის დედამიწაზე... მჯობნის მჯობნის რა დალევს?!

— თუ ეგ გახდა ახლა მჯობნი? თანაც დიდი ხნით?

— აბაჰ! არ არსებობს! ეს ხო აგერ მყავს და არა ვმალავ, ასწორებს, მაგრამ უკვე ორ ისეთ მჯობნზე მაქვს თვალი დადგმული, რომ არ ავისრულო, რა კაცი ვიქნები მე, ყაფლანიშვილი?! ნომ ვთქვი, მჯობნის მჯობნის რა დალევს-მეთქი და ღმერთმა არ დალიოს.

გივის მზერა გაუცივდა, დადარაჯებულად ჩააჩერდა თვალებში ნოდარს.

— არაფერს გეკითხები, მაგრამ გაფრთხილებ! არის მომენტები, სადაც უნდა დაამუხრუჭო! კარგად გაარჩიე, თორემ შეიძლება ცუდ ამბებში შეტოპო...

ნოდარს ბრაზმა გადაუარა სახეზე, თვალები ბოროტად აენთო.

— ჰოო?! ვითომ ისეთში რაში უნდა შეგტოპო, რომ გაღმა ველარ გავტოპო, ჰა?

— ეგ შენი საქმეა, მაგრამ არ დავავინყდეს, რომ მე და შენ გადაბმულეთი ვართ! შენ საითაც წამოგივლის, იქით გარეკო, ეგრე არ გამოვა! გგონია, ბრმასავით მოგყვები თოკზე? არა! თოკს დროზე ჩაგჭრი, რომ არ გადამიყოლო... და კისერიც გიტყისა!

გივის სასტიკმა ტონმა, მგონი, დააფრთხო ყაფლანიშვილი, შეფიქრინებულმა იკითხა:

— რა არი, ეგეთი რა მოხდა?

— არ მომხდარა, მაგრამ მოხდება! ხომ

კარგად იცი, თოკის ჩაჭრა ცოცხალი თავით არ მინდა! ეგ საერთო საქმის დაღუპვაა, მაგრამ საქმე თუ ორმოში გადმოყოლაზე მიდგა, რას იზამ? მე არჩევანის უფლება მრჩება! თუ ერთი საქმე გვაქვს, ერთად უნდა ვიყოთ. ამიტომ, რაც შენ იცი, მეც უნდა ვიცოდე, ისე პასუხისმგებლობას არ ავიღებ, გამიგე?

— ყველაფერი შენს ხელში არ გადის, კაცო? სხვა რა არი, ვერ გავიგე!

— სწორედ მაგას მივადექით. მსუბუქიდან დავიწყებ...

გივიმ რალაც დოკუმენტები ამოალაგა მაგიდაზე, ნოდარს მიუწია.

— ეს ყველაფერი შიდა, ტიომნი გარეგებაა... ამაში სასამართლო ვერ ჩაერევა, თუ თვითონ გამრიგებლებმა არ ააყროლეს, გაკეთებულია ხელწერილი, რომელსაც ვაწერ ხელს, როგორც შათირიშვილის იურიისტი, ესე იგი, მონმე და არა როგორც მხარე. მხარე თავად შათირიშვილია და მისი ხელმოწერაც აქაა. ხელწერილი ჩაბარა როსტომ ჭანიშვილმა, — „რუსტამ-რიზემ“... დაფარულია დავალიანება, თავნი შვიდი ათასი დოლარი, პლუს ექვსი თვის მოგება — ათას ხუთასი დოლარი. სულ რვა ათას ხუთასი... პოლიცია დავითანსმე, რუსტამს ნება დართეს და გადაიხადა. ეს თანხა შენა გაქვს, იორამს კი — მეორე ხელწერილი, რომ ამა და ამ რიცხვში მოუტანენ თავის ფულს. იორამი ეკმაყოფილია, რომ საქმე მოგვარდა და კმაყდება. რატომ შერები ამას? მე გამაგებინე! საქმეში რომ იყოს ამ წუთში ამ თანხის დროებითი საჭიროება, გასაგები იქნებოდა, მაგრამ არავითარი საჭიროება არ არის. რა გინდა, გამაგებინე? მე აქ ვინა ვარ?

— დაწყნარდი! ვინა ხარ და, გივი ვაშალომიძე ხარ და მასეც იქნები! ღმერთმა ნუ ქნას სხვანაირად!

— მაშინ თქვი, ასენი! ფინანსურ, საქმიან ლოგიკას ვერა ვხედავ... რა გინდა?

ნოდარმა გაიცინა:

— ბევრი არაფერი! სულ უბრალო, პირადი მიზეზია! მაგ ჩემი ძმაკაცი კია ნიჭიერი და ძან განათლებული, მაგრამ ერთი ოჩანი, თავვერძა, აშარი ვინმეა. მე ხო ვიცი მაგისი ამბავი? მაგან რო ფული დაიგულოს, მაშინვე ფეხზე დაიკიდებს ყველაფერს, დაიწყებს თავისი რალაცების წერას. რაზეც გაუზრიგდი და რაც მინდა, რო გააკეთოს, აღარ გაკეთდება! ისე მონისერის გვერდზე, როგორც პივის ქილას, ვიცი მე! მე მასწავლი, მაგის ხასიათს?! რაც მინდა, არ გაკეთდება. ეგეც საქმესაც დაკარგავს და ფულსაც. იჩალიჩებს იმ თავის წიგნზე, გრომს მაგაში არავინ მისცემს. მაგ თანხას, ვერც გაიგებენ, ისე გამოუყვანენ წირვას. ზეინაბი ჰყავდეს გვერდზე და... გამიგე? ისეც მაგისთვის ვკეთებ, თორემ სულაც სხვას დავიქირავებდი. რა, არ შემძლო თუნდაც მთელი სამუშაოს ფულის ავანსად მიცემა? არ შეიძლება! ვერაფერს გააკეთებინებ, თუ ყოველთვე არ აწრუწუნე...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ჟონაჟონ სპაზაჟონ

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (აითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვაბისაჟარ გაგაქვით თვალი

1. რა არის ჯირგა?
2. რა არის შლაფროკი?
3. რა არის თალარი?
4. რა არის ჯაზაირი?

5. ერთხელ, კუბაში მივლინებით ჩასულმა რუსმა მწერალმა — პენრის ბოროვიკმა იქ მყოფი ერნესტ ჰემინგუეი მოინახულა და საჩუქრად 3 ბოთლი რუსული არაყი გადასცა. ამერიკელ მწერალს საჩუქრის დანახვაზე თვალეზი გაუბრწყინდა და ერთ ბოთლს გასახსნელად მაშინვე დასწვდა. ბოროვიკმა ერთხანს უყურა, თუ როგორ ცდილობდა ჰემინგუეი საცობის ამოძრობას, შემდეგ ბოთლი გამოართვა, ხელისგული ძირში ოსტატურად ამოჰკრა და საცობი ხმაურით ამოაგდო. ამის დანახვაზე როგორი რეაქცია ჰქონდა ამერიკელ მწერალს?

6. დაასახელეთ მოსკოველი პოლიტიკოსი, რომელსაც რუსები „ლისი ჩებურაშკას“ ეძახიან.

7. XIX საუკუნის ფოტოებზე გამოსახული ადამიანები თითქმის არასდროს ილიმიან. რატომ?

8. რით სჯიდა რეპუტიციაზე დაგვიანებულ მსახიობს მისიელ თუმანიშვილი?

9. ერთხელ, ქალაქ დეტროიტში მცხოვრებმა ვინმე ჯონ ილიმ საიუველირო მალაზია გაძარცვა, დანაშაულის ადგილზე კი სრულიად შემთხვევით დარჩა... საკუთარი ძალი(!). რა მოიმოქმედა შემთხვევის ადგილას მისულმა პოლიციამ?

10. დაასახელეთ ქვეყანა, რომლის მოსახლეობის 80% ვეგეტარიანელია.

11. რომელი იარაღით მიყენებული ჭრილობით გარდაიცვალა ინგლისის მეფე რიჩარდ ლომგული?

12. დაასახელეთ ლენინური პრემიის ლაურეატი ამერიკელი მომღერალი.

13. რა ერქვა მოხუც მეთევზეს ერნესტ ჰემინგუეის მოთხრობაში — „მოხუცი და ზღვა“?

14. დაასახელეთ გერმანიის მმართველი, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე 28-ჯერ მოუწია დუელში ბრძოლამ.

ანექლოცენი

* * *

- მამა, პისტოლეტი მინდა!
- მოეშვი სისულელეებს!
- პისტოლეტი მინდა!
- თავი დამანებ!



- პისტოლეტი მინდა! პისტოლეტი მინდა! პისტოლეტი მინდა!
- გეყოფა-მეთქი! ბოლოს და ბოლოს, ვინ არის აქ უფროსი?
- რა თქმა უნდა, შენ!.. მაგრამ აი, პისტოლეტი რომ მქონდეს...

* * *

- რა აქვთ საერთო ტელევიზორის პულტსა და მამაკაცს?
- ორივე მარტივი მოსახმარია და ორივე ტელევიზორთან გდია.

* * *

- შურას სიდედრი ბებერი ბოზია!
- კარგი, რა, რა შუაშია ახლა ასაკი?

* * *

- ტყუილი ყოფილა, ძმაო, რომ ამბობენ, მოლაღატე ცოლის ქმარს რქები ამოსდისო, — ეუბნება ბიკენტის თანამშრომელი.
- ეს საიდან დაასკვენი?
- აპა, სად გაქ შენ რქები? არ გაქ, ძმაო, არა!..

* * *

- ვალერას ცოლმა ხალიჩა იყიდა და ახლა სახლში არავის უშვებს, ფეხსაცმელი თუ არ გაიხადა.
- მერე რა, მეც არ მიყვარს,

როცა სახლში ნაგავი შემოაქვთ!
— დაიცა და, ხალიჩა შენთანაც კედელზე კიდია?

* * *

ახალი დირექტორი ძველ მდივანს თავის ვალდებულებებს აცნობს. ქალი ეკითხება:
— მკერდზე მარილი მოვიყარო?
— რატომ?
— ძველ დირექტორს ლუდთან ერთად უყვარდა!..

* * *

ჭიჭიკია უგონოდ დათვრა და დილით უცნობ ქალთან ერთად მწოლიარეს გაეღვიძა.
— ვინ ხარ?
— ნაზიკია.
— კი, მარა რამდენი წლის ხარ?
— რამდენისაც გამოვიყურები.
— ტყუილია, მაგდენ ხანს ადამიანები არ ცოცხლობენ!..

* * *

— სალამოს შემოიარე, ჩემი ქმარი შინ არ იქნება.
— ძალიან ცუდი, ფული მინდოდა, გამომერთმია.

* * *

წითელქუდა:
— ბებია, ბებია, რატომ გაქვს ამხელა ცხვირი, ყურები და შავი ულვაში?
— იმიტომ, რომ სომეხი ვარ!



გონებას სავსაქმოდ

„გზის“ ერთგული მაითხველისათვის

(პასუხები)

1. ავღანელი ტომების უხუცესთა საბჭო.
2. საშინაო ხალათი.
3. ვაზის სეივანი.
4. ძველებური, გრძელი, პირფართო თოფი.
5. ჰემინგუემ ხარხარი ატეხა და თქვა: ახლა კი ვხვდები, რუსებმა თავიანთი ხელოვნური თანამგზავრი კოსმოსში როგორ გაუშვესო.
6. ზიუგანოვი.
7. იმ დროს პირადი ჰიგიენა სათანადო დონეზე ვერ იდგა და ადამიანთა უმრავლესობას კბილები სავალალო მდგომარეობაში ჰქონდა.
8. სრული იგნორირებით.
9. პოლიციელებმა ძალს მარტივი ბრძანება მისცეს: „სახლში! ჩქარა, სახლში!“ — და გაქცეულ ცხოველს უკან გაჰყვინენ. ეს ამბავი იმით დასრულდა, რომ სამართალდამცავები დამნაშავეზე ადრე მივიდნენ მის ბინაში, მშვიდად დაელოდნენ მძარცველის შინ დაბრუნებას და დააპატიმრეს.
10. ინდოეთი.
11. არბალეტი.
12. დინ რადი.
13. სანტიაგო.
14. ოტო ზისმარკი.

* * *

— ვინ არის ის კაცი, ახლა რომ გამოელაპარაკე?
— მსახიობია.
— ქუჩაში საერთოდ არ ეტყობა, თუ მსახიობია.
— არც სცენაზე...

* * *

ორი ბავშვის დიალოგი:
— მე კომბოსტოში მიპოვეს.
— მე კიდევ, წერომ მომიყვანა.
— შენი მშობლები რას აკეთებდნენ იმ დროს?
— ყვიროდნენ: „ქში, ქში, შე საზიზღარო!..“

* * *

— რა განსხვავებაა პორნოფილმებსა და ბრიტნი სპირსის კლიპებს შორის?
— პორნოფილმებში მუსიკა უკეთესია.

* * *

— შინ ხომ ვერ მიმაცილებთ, ბატონო?
— მხოლოდ მხერით, ქალბატონო!

* * *

— ეს ჩემი ცოლი სულ გათავხედდა: ჯერ ხომ ჩემთან არ წევს და ახლა კიდევ, თავისთან ერთად მაგიდასთან ჯდომაც ამიკრძალა.
— შენ რა, ჭამაც არ შეგიძლია?..

* * *

— ეჰ! — მძიმედ ამოიოხრა ქმარმა, როცა ცოლისთვის ნასროლი ემალის ჯამი მიზანს ააცდინა. — სადღაა ის დიდებული დრო, როცა ერთმანეთს ფაიფურის თეფშებს ვესროდით!..

* * *

ექიმი პაციენტს ეუბნება:
— რამდენჯერ უნდა გითხრა, სხვადასხვა სიგარეტს ნუ ეწევი-მეთქი!
— აბა, ერთ კაცს სად ვდიო, მთელი დღე?..

* * *

დაქალები საუბრობენ:
— იცი, გუშინ წვეულებაზე ზომიერ მეთი შამპანური დავლიე და როცა ზახასთან მარტო დავრჩი, მან ჩემი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა.

— რა, გაგაუპატიურა?
— არა, გაიქცა!..

* * *

სვანი სირაქლემზე სანადიროდ წავიდა. სირაქლემამ დაინახა და ეგრევე ქვიშაში ჩარგო თავი.
— უჰ, ისევე დამეშალა, ეს დამპალი!..



* * *


— ო, როგორ მომბეზრდა ეს ჩვენი სკანდალებიი! — გაჰკვივის ცოლი.
— კარგი, დღეს უხმაუროდ გცემ! — დაჰპირდა ქმარი.

* * *

ქმარი სახლში შუალამისას გაგლეჯილი მთვრალი დაბრუნდა. ცოლი უყვირის:
— საზიზღარო! იდიოტო! დეგენერატო! ამ დროს საძინებლიდან პატარა ბავშვი გამოტანტალდა:
— დე, მეძახდი?!

ჩვენი ფოსტოგანია

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდოთ რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



საფუძვლიანი თუ არა შენი ეჭვი?!

ხანდახან არცთუ საფუძვლიანი ეჭვით გაჯერებული ქალური ცნობისმოყვარეობა საღ აზრზე ძლიერია და ადამიანს კარგ მანერებსაც ავიწყებს... ხელი თავისთავად გაგირბის მისი ტელეფონის აპარატისკენ, რათა შეიტყოს, თუ ვინ დაურეკა; შეამოწმო, ვისგან მიიღო sms; ის კი არა და, სურვილი გიჩნდება, მისი შარვლის ჯიბეშიც მოაფათურო ხელი.



თეორია და პრაქტიკა

ყველა ჩვენგანს თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენა მაინც აქვს, რა არის შინაგანი სამყარო. უფრო გასაგებად თუ ავხსნით, შინაგანი სამყარო — ეს არის ურთიერთობის ყველაზე ინტიმური ზონა, სადაც მხოლოდ რჩეულს „უშვებენ“. მისი „მანძილი“ კი იცვლება იმისდა მიხედვით, თუ სად და როგორ ვითარებაში გაიზარდა შენი რჩეული — მთიან, მიყრუებულ სოფელში თუ დიდ, ხმაურიან ქალაქში.

მაგრამ თუკი ფიქრობ, რომ ეს მანძილი მის სხეულამდე მხოლოდ 15-50 სმ-ის დაშორებით შემოიფარგლება, სასტიკად ცდები. როცა ზღვარს გადადიხარ, ობიექტი იწყებს ნერვიულობას, თავს ფსიქოლოგიურად არაკომფორტულად და უკიდურესად დაუცველად გრძნობს...

როდის შეგიძლია მისი ჯიბეების ამოწრუნება?

მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში — მაგალითად, გარეცხვის წინ. ასე რომ, წინასწარ გააფრთხილე შენი რჩეული და სინდისი დამშვიდებული გექნება. ვინც არ

იმალება, დამნაშავეც არ არის.

თუმცაღა, ზოგიერთი მამაკაცი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ტანისამოსი ყოველი გარეცხვის წინ მიუტანონ, რათა თავად შეამოწმოს საკუთარი ჯიბეები. რას იზამ — ტაბუ ტაბუა!

მეორე მხრივ, გახსოვდეს, რომ ასეთნაირად აღმოჩენილი ნებისმიერი ნივთი, ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ის, შესაძლებელია, უამრავი, სხვადასხვაგვარი გზით მოხვდეს ახლანდელ მფლობელთან — ცხოვრება ხომ ნებისმიერ ფანტაზიაზე მდიდარია.

მის მანქანაში საეჭვო ნივთი აღმოაჩინე? და ხარ კი დარწმუნებული, რომ მანქანის საჭეს მხოლოდ ის უზის? ეგებ მანქანა მეგობარს (რომლის ცოლი, ამავე დროს, შენი ახლო მეგობარია) ათხოვა, მან კი საყვარელს გაუარა... როგორ გგონია, ასეთ შემთხვევაში მეუღლე ყველაფერს გულახდილად გიამბობს? ჯიბეში ან მანქანაში აღმოჩენილი

პომადა, საყურე თუ ქალის თეთრეული (ჩამონათვალი შესაძლებელია უსასრულოდ გაგრძელდეს) ერთი შეხედვით, იდეალური საბაბია ურთიერთობის გასაწყვეტად. თუმცაღა გაითვალისწინე, რომ ასეთი მაკომპრომეტირებელი ნივთების დავიწყება ან ძალზე დაბნეულ კაცს შეუძლია, ან მას — ვისაც უნდა, რომ ეს კომპრომატი აღმოაჩინო.

ის თვალს ურცხვად გაგისწორებს, თბილად გაგილიმებს და ისე მოგატყუებს. თანაც დროთა განმავლობაში ამის გაკეთებას უფრო და უფრო ვირტუალურად მიეჩვენება. შენ კი სამუდამო, მტანჯველი ეჭვისთვის ხარ განწირული — გატყუებენ თუ არა ამჟამად? ერთი სიტყვით, გაფრთხილდი, ამდენ ძებნა-ძებნაში „კატა არ გამოთხარო...“

როგორ მოვაგადოთ ჰამბურგერი

მასალად საჭიროა:

- 70 გ კეტჩუპი;
 - 100 მლ წყალი;
 - 100 გ მაიონეზი;
 - წინასწარ ცხიმში მოხრაკული 100 გ ხახვი;
 - 2 ცალი სალათის ფურცელი;
 - 1 ს/კ მდოგვი;
 - 1 პატარა თავი ხახვი;
 - 600 გ საქონლის ხორცი;
 - 4 ცალი მჭავე კიტრი;
 - 200 გ ქათმის ფილე;
 - 2 ცალი მსხვილი პომიდორი;
 - 50 გ მცენარეული ზეთი;
 - 4 ცალი დიდი, არატკბილი ფუნთუშა (შეგიძლიათ გამოიყენოთ ბიგ-მაკი)
- მარილი, პილპილი გემოვნებით.



მომზადების წესი:

ხორცი მსხვილად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაუმატეთ მოხრაკული ხახვი, წყალი, პილპილი და მარილი. ფარში გააბრტყელეთ, მიეციტ ჰამბურგერის ფორმა და შეწით ზეთში. მიაქციეთ ყურადღება, რომ ზომანზე მეტად არ დაიბრანოს — ხორცი წვნიანი უნდა იყოს! ფუნთუშა გაჭერით შუაზე და ისიც შეწით.

სალათის ფურცლები გაჭერით შუაზე, პომიდორი დაჭერით მრგვლად, კიტრი — წვრილად, ხახვი — ალყა-ალყა.

ფუნთუშის ერთ ნახევარზე მოათავსეთ ხორცი, მეორეზე კი — დანარჩენი ინგრედიენტები. კეტჩუპი აურით მათონებში და შუაში წაუსვით.

მაკიაჟის ბაბითების უნივერსალური სერსები

შესაძლოა, დეკორატიულ კოსმეტიკას დიდი ხნის განმავლობაში იყენებდეთ, მაგრამ მისი შესაძლებლობები ბოლომდე მაინც არ იცოდეთ. გთავაზობთ ცნობილი ვიზაჟისტების რჩევებს:



თუ ხელთ არ გაქვთ მოცულობის მომცემი ტუში, ჩვეულებრივი, ფხვიერი პუდრი მიიფრქვიეთ ნამწამებზე, შემდეგ კი წაისვით ტუში — ნამწამები უფრო ხშირი და ფუმფულა გამოჩნდება. გამოიყენეთ თეთრი სადაფისფერი ჩრდილი, რომელსაც წაისვამთ თვალის შიდა კუთხეში, ზედა და ქვედა ქუთუთოებზე, ასო V-ს ფორმით.

თუ გინდათ, საღამოს სწრაფად შეისწოროთ მაკიაჟი, ქალაქის ნოტიო ხელსახოცით დაისველეთ სახე, მოიშორეთ დღის განმავლობაში დაგროვილი მტვერი. შემდეგ მსუბუქად გადაისვით პუდრი. ნამწამებზე ტუშს ნულარ დაიმატებთ, რადგან ჩამოცვენას დაინწყებს.

მაკიაჟმა დიდხანს რომ შეინარჩუნოს სახე, წაისვით ტონალური კრემი უშუალოდ განმწიდი კანზე — არ გამოიყენოთ მაკიაჟის საფუძველი და გადაისვით პუდრი. შემდეგ აიღეთ ყინულის 3 კუბურა და ენერჯიული, წრიული მოძრაობით გადაატარეთ სახეზე. არ შეგშინდეთ მაკიაჟის გათხაპნის. თითოეული კუბურა გამოიყენეთ მანამ, სანამ დნობას დაიწყებს.

მაკიაჟის მდგრადობის გასაზრდელად, ქუთუთოებზე ჯერ ტონალური კრემი და პუდრი წაისვით, შემდეგ თვალის კონტური შემოხაზეთ. შეგ-


იძლიათ, პუდრი ფანქრით გაგლეხულ ხაზსაც გადაუსვათ ან იმავე ფერის ჩრდილი წაისვათ. ტუჩებზე დაიდეთ ტონალური კრემის ან პუდრის თხელი ფენა, შემდეგ კონტური ფანქრით შემოხაზეთ და ფუნჯით პომადა წაისვით.

არ დაივიწყოთ მარტივი ნესები: ტონალური კრემი თხელ ფენად გადაისვით მთელ სახეზე, ქუთუთოების, შუბლისა და ყელის მიდამოების ჩათვლით. კრემი დააფიქსირეთ ფხვიერი პუდრით, რომელიც საბოლოოდ ათანაბრებს ფერს, ფარავს ფორებს და რელიეფურ გამოხექილობებს. ტონალური კრემი თანაბრად რომ განაწილდეს და ნაკლებმყვი-

რალა იყოს, შეგიძლიათ შეურიოთ დამატენიანებელ კრემში — 3:2 თანაფარდობით.

ღანვებზე მიიფრქვიეთ ნამზეური ფერის „რუმიანა“ და ფუნჯით თანაბრად გაინაწილეთ. ცხვირის ზედაპირზე, ვიწრო ზოლად, სწორად გადაისვით სპილოსძვლისფერი ჩრდილები. ამასთან, თუ ცხვირის ვიზუალურად დაპატარავება გსურთ, ზოლი ცხვირის წვერიდან 1 სმ-ით უნდა იყოს დაშორებული. ოდნავ შეახეთ ფუნჯი ცხვირის წვერს, ბიბილოს და ნიკაპს.

გააკეთეთ აქცენტი მკაცრად განსაზღვრულ ოთხ ნერტილზე. I ნერტილი აღნიშნეთ წარბების საწყისთან ანუ ცხვირის ფუძესთან. ამ ნერტილიდან წარბების ზრდის მიმართულებით, გადაისვით ფუნჯი; II და III ნერტილი — ღანვები და ღანვქვეშა სივრცე (ფუნჯი ოდნავ შეახეთ). დაბოლოს IV ნერტილი — დააფიქსირეთ ზედა ტუჩზე, ნერტილის გასწვრივ და ტუჩის კონტური გაატარეთ წარბების ხაზის პარალელურად. აღნიშნული ნერტილები წარმოქმნის „რომბს“, სახე ვიზუალურად გადატყეცილია და უფრო ახალგაზრდულად და ნათლად გამოიყურება.




აირჩიე და შეიძინე სასიყდრე გაუსვლელად
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

www.elva.ge

გამოცემის დასახელება	1ჯგ. ფასი	3 თვე
1. ИТОГИ	3.00	39.00
2. НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА	2.00	117.00
3. ЛИЧНОСТЬ. КУЛЬТУРА.	32.00	32.00
4. КАРАВАН ИСТОРИЙ	8.00	24.00
5. НОВАЯ ГАЗЕТА	1.50	39.00
6. ВОКРУГ СВЕТА	9.00	27.00

არასოდეს და
წიგნების
გაყიდვას
სააგენტო
„ელვა.ჯი“



ქ. თბილისი
თბილისის ქ. 2048
ტელ: 32-26-73; 32-26-74
ფაქსი: 32-26-74

აგროსპე ნებისმიერი სხვა გამოცემა

E-mail: elva@kivrispaltra.com

რუბრიკა მოამზადა
ქაბა გუნთაიშვილმა



თავზე დაადგა, თითქოს იქვე იყო ჩასაფრებული და მისი მოთმინების ფიალის ავსებას ელოდაო.

— ვიცი, დავაგვიანე, მაგრამ უნდა მაპატიო. მიეცი შეკვეთა? არა? რატომ, რატომ? — იკითხა მან, მის გვერდით დაჯდა და ისეთი ცივი თვალებით შეხედა, ნიამ კიდევ ერთხელ ინანა, რომ გამოჰყვა.

— მგონი, არც ისე კარგად ჩაიარა შეხვედრამ, არა? — ნიამ ზღვისფერი თვალები მიანათა.

მისმა გამჭრიახობამ გიგი ალაფრთოვანა. ჩვეულებისამებრ, ყოველთვის ახერხებდა თავისი ემოციების დამალვას, მაგრამ დღეს თავის ძველ და ყველაზე ძლიერ კონკურენტთან მოუწია შელაპარაკებამ და ამიტომაც შეხვედრამ დაძაბულ ვითარებაში ჩაიარა. იქნებ შეცდომას უშვებს, როცა ცდილობს, წარმატებას ნებისმიერ ფასად მიაღწიოს? დღეს პირველად დაფიქრდა ამაზე, სწორედ მაშინ, როცა კონკურენტის ბრზისგან გადმოქაჩულ თვალებს შესცქეროდა. ნუთუ თვითონაც ასეთი შთაბეჭდილება დატოვა?

არა, შეხვედრა მართლაც წარუმატებელი აღმოჩნდა. მას არ უყვარდა მსგავს რამეებზე ჩაღრმავება, ამიტომ მონატრებულ

ლი მიაჩერდა ნიას, რათა თავის მშვენიერ თანამგზავრზე გადაეტანა ყურადღება და ყველაფერი დაევიწყებინა. მიუხედავად იმისა, რომ ნიას მოკრძალებულად ეცვა, მისი თეთრი, პრიალა კანი ძველებურად უღვიძებდა ნდომას.

— ნესად მაქვს, რომ ბიზნესი და სიამოვნება ერთმანეთთან არასდროს დავაკავშირო. ასე რომ, არ ვაპირებ ამ საღამოს გაფუჭებას ჩემი საქმეების განხილვით. სხვათა შორის, კარგ ფორმაში ხარ...

მოულოდნელმა კომპლიმენტმა ისე გაიჟღერა, ნიას შეაკანკალა, თითქოს ყინულოვით ცივი წყალი გადაასხესო. აშინებდა ეს მამაკაცი. ერთ ნუთს ცივი და უკარება რომ იყო, მეორე ნუთს სითბოდ იღვრებოდა, რაც აშკარად მოჩანდა მის თვალებში.

— გამაღლობ... დიდად გაპრანჭვა არ მიცდია... — მით უმეტეს... რადგან ასეთი უფრო მომწონხარ.

— ვფიქრობ, აჯობებს, შინ წავიდე. შენ ალბათ უკვე ნანობ კიდევ, რომ წამომიყვანე. ვფიქრობ, იმთავითვე ცუდი იდეა იყო. მე მასწავლებელი ვარ, გიგი, ჩვეულებრივი მასწავლებელი და ასეთივე ჩვეულებრივი ცხოვრებით ვცხოვრობ. არ ვურთიერთობ შენი ტიპის ადამიანებთან და არაფერი ვიცი შენი სამყაროს შესახებ. შენს თვალში ალბათ ველური გოგოს შთაბეჭდილება ვტოვებ... ეს ჩემთვის, სიმართლე გითხრა, ცოტათი დამამცირებელიც კია. ამიტომ, ორივენი რომ გავთავისუფლდეთ უხერხულობისგან, გთავაზობ, დავივიწყოთ ყველაფერი და დავშორდეთ. რას იტყვი? — ბოლო სიტყვები ჩქარ-

ჩქარა წარმოთქვა, რადგან იგრძნო, როგორ წითლდებოდა, მით უმეტეს, როცა გიგის სახეზე ირონიული ღიმილი აუთამაშდა.

— ძალიან დიდ შეცდომას უშვებ, სიხარულო, თუ ფიქრობ, რომ შენს დაბატიუებას ვნანობ. ძალიან მიხარია, ამნუთას ჩემ გვერდით რომ ხარ. თუ ამღამინდელ შეხვედრას არ ჩავთვლით, მთელი დღე სხვა რამეზე ფიქრი ვერ შეეძელი. და ნუ ლაპარაკობ ვილაც ველურებზე, ამით თავსაც იმცირებ და მეც მამცირებ. იცი, რა, პატარავ? მე მხოლოდ იმ ქალებს ვხვდები, ვინც მაინტერესებს... და არა მხოლოდ საწოლი მურთიანებს მათთან... ნამდვილად ვერ ავიტანდი უაზრო ლაყბობას გოგოსთან მხოლოდ მისი ლამაზი სიფათის გამო, თუმცა, შენს შემთხვევაში მზად ვარ, გამონაკლისი დავუშვა, განსაკუთრებით საწოლში, მაგრამ ვფიქრობ, იქ სალაპარაკოდ, სწორედაც რომ არ გვეცლება.

ნიამ იგრძნო, როგორ აენვა ლოყები სიმსურვალისგან.

— ნუთუ ამაზე არაფერი გაქვს სათქმელი? — მამაკაცმა ნიშნის მოგებით შეხედა.

გოგონას თითქოს მეტყველების უნარი წაერთვა, კრინტი ვერ დაძრა. ბოლოს ჩაახველა და გაუბედავად იკითხა.

— ესე იგი, დავრჩე? — რა თქმა უნდა, — ღიმილით დაუდასტურა გიგიმ და მენიუ გადააფურცლა.

ფარდებჩამოფარებულ ნომერში ბნელოდა და როცა ნიამ ხელი ჩამრთველისკენ წაიღო, გიგიმ მაჯა დაუჭირა. მამაკაცის ოდეკოლონის სურნელი და სხეულის სიმსურვალე გოგონაზე წარკოტიკივით მოქმედებდა, წამსვე თავბრუ დაესხა და მუხლები მოეკვეთა.

— მიხარია, რომ დესერტზე უარი ვთქვით, — დაიწურჩულა ახვლედიანმა და წელზე მძლავრად მოხვია ქალს მკლავი.

მისი ცხელი ტუჩების შეხებისას ნიას კვნესა აღმოხდა. მამაკაცის თანაბარი და თბილი სუნთქვა ზედ ცხვირთან სცემდა და ქალმა იგრძნო, როგორ ეცლებოდა ფეხქვეშ იატაკი. ის მთვრალი იყო, მაგრამ არა სასმლისგან, არამედ მისი სიხლოვისგან. წვეთი არ დაუღვია, თუმცა ალკოჰოლზე მეტი სიძლიერით მასზე მამაკაცის შეხება მოქმედებდა.

— ჩემი პატარა, სექსუალური ნია... — გაიღიმა გიგიმ და კვლავ მის ტუჩებს წაეცხა.

უფრო მჭიდროდ მიიზიდა ქალის სხეული, რათა ნია დანწმუნებულიყო, თუ როგორ თავდავინყებით სურდა იგი.

დრო თითქოს გაჩერდა და ყველაფერი გაქვავდა ირგვლივ. ღმერთო, რატომ არის ასეთი სუსტი, რატომ არ შესწევს უნარი, წინააღმდეგობა გაუწიოს მის სურვილებს? იმდენად სუსტია, რომ მზად არის, მისი ყველა კაპრიზი დააკმაყოფილოს. ასე ადრე არასდროს ყოფილა. მისი სხეულის ყველა უჯრედი ბრმად მიიწვედა მამაკაცისკენ, სისხლი თითქოს გააგებით ეხეთქებოდა არტერიის კედლებს.

წითალი უხსნასხალი

სვეტა კვარაცხელია

წარწერებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგივიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №23-29

ნია აღარ იყო პატარა გოგო და მშვენივრად ხვდებოდა, რომ გიგის მასთან მუდმივი ურთიერთობა არაფერში სჭირდებოდა. ეს იყო მხოლოდ ერთჯერადი გართობა შემთხვევით სასტუმროში, მდიდარი ადამიანის დროებითი კაპრიზი...

ლამაზად მორთულ მაგიდასთან დიდხანს იჯდა და მამაკაცს ელოდა. ათი საათი გახდა, ის კი არ ჩანდა. ხუთი ნუთის შემდეგ ოფიციალტი მიუახლოვდა და გადასცა, ბატონი გიგი დაგვიანებისთვის ბოდიშს იხდის, მოლაპარაკებები გაუგრძელდაო.

— ხომ არ ივანშებდით მის მოსვლამდე? — მისკენ დაიხარა ოფიციალტი.

— არა, გამაღლობთ, დაველოდები, — ნაღვლიანად უპასუხა ნიამ და ნაძალადევად გაიღიმა.

ისე შიოდა, კუჭი ეწვოდა, მაგრამ ამნუთას ლუკმა არ გადაუფიქროდა ყელში. არ იცოდა, გაბრაზებულიყო გიგიზე თუ მშვიდად ალექვა მისი დაგვიანების მიზეზი. მოლოდინი უკვე ნერვებს უშლიდა და წარამარა იმეორებდა გულში, თავისთვის, რომ მისი გამომგზავრება შეცდომა იყო.

ის იყო, ადგომა და ნომერში ასვლა დააპირა, რომ მოულოდნელად მამაკაცი

ნიას ქალური სურნელი გიგის ჭკუას ავარგინებდა. როგორ მისცა თავს უფლება, ასეთ ხაფანგში გაბმულიყო? როგორ მოხდა, რომ ასეთი უბრალო, მორცხვი გოგო მისთვის უცებ შეუცვლელი და აუცილებელი გახდა? თუმცა, გიგის ახლა ამ კითხვებზე პასუხები არ სჭირდებოდა. ის კოცნიდა ქალს, ეალერსებოდა მის მკერდს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, მთელი დღე როგორ გაძლო ამ ღვთაებრივი სიამოვნების გარეშე, რომლის შედარება არაფერთან შეეძლო.

ძველი რომანების ამასთან შედარება არ შეიძლებოდა. ეს იგივე იყო, ნიავი შეედარებინა გრიგალისთვის. ეს ქალი მასში ისეთ ღრმა, თავგზის ამბნეველტოლვას აღვიძებდა, ცხოვრებაში ვერასდროს რომ ვერ წარმოიდგენდა.

და ახლა იგი სულაც არ აპირებდა უარის თქმას იმაზე, რაც ასე მოულოდნელად მიიღო. არც ის უნდოდა, ნიას წამით მინც ეფიქრა, რომ მათი ურთიერთობა მხოლოდ შემთხვევითი სექსი იყო სასტუმროს ნომერში და მეტი არაფერი.

მას სულ სხვა გეგმები ჰქონდა...

— გიგი... — სურთქვაშეკრულმა ძლივს გაითავისუფლა თავი მამაკაცის ტუჩებისგან. — გიგი... შენ მე ჭკუიდან მშლი... მეტი არ შემიძლია...

— არც მე, — ამოთქვა მამაკაცმა და ქალი ლოგინზე წამოაქცია...

თითქოს მთელი დედამიწა ატრიალდა...

— კარგი ქენი, სახლში რომ არ დაბრუნდი? — ეშმაკურად გაუღიმა მამაკაცმა, როცა ოდნავ მოითქვეს სული.

— არ ვიცო... ალბათ...

— მინდა, მთლიანად შეგისრუტო, მაგრამ ვერძნობ, ვერა და ვერ ვძლები, — გააგრძელა გიგიმ და შიშველ ზურგზე ჩამოუსვა საჩვენებელი თითი.

ნუთუ ოდესმე გამოუცდია რამე მსგავსი? არა, არასდროს. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. წინ მთელი ღამეა და ეცდებოდა, ოდნავ მაინც მოიკლას ის ძლიერი ნყურვილი, რომელსაც ეს მომაჯადოებელი ქალი განაცდევინებდა... — სიბნელეს ფართოდ გაუღიმა მამაკაცმა.

დილით, როცა გიგის გაეღვიძა და მის გვერდით ნია ვერ დაინახა, არა მარტო გაუკვირდა, თავზარიც დაეცა. სანოლიდან წამოხტა და სააბაზანოში შეიხედა შესამონმებლად, მაგრამ გოგონა არც იქ დახვდა. როგორ შეიძლებოდა, ასეთი რამ მოხ-

დარიყო? არასდროს არც ერთ ქალს არ მიუტოვებია იგი ასე უთქმელად...

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავთ, ვერ ძლებოდნენ ერთმანეთის ალერსით. მხოლოდ დილით, ცას ოდნავ რომ შეეპარა სილურჯე, ვნებისგან დალილებმა ცოტა ხნით დასვენება გადაწყვიტეს და ჩაეძინათ კიდევც...

გიგი დილით ყოველთვის ადრე ადგომას იყო მიჩვეული. დღესაც ასე აპირებდა. სანამ ნია გაიღვიძებდა, თავის საქმეებს მოითავებდა და საუზმეზე უპრობლემოდ მოუსწრებდა გოგონას. კი, მაგრამ ხომ გააფრთხილა ამის შესახებ? ნუთუ მხოლოდ გაიფიქრა და თქმა დაავიწყდა?

კარგა ხანს დადიოდა ნომერში წინ და უკან და ბრახისგან ცოფებს ყრიდა. მის სხეულს ჯერ კიდევ შემორჩენოდა ქალის ვნებთანი მკერდის ცხელი ოსზივარი, ამნუთას სხვა არაფერი უნდოდა, ოღონდ ერთი ეპიზოდი მაინც განმეორებულიყო წინა ღამიდან.

მაგრამ ნია საოცარი არსება აღმოჩნდა, ამოუცნობი, იღუმალი... ისევე არ ელოდა მისგან ამ ნაბიჯს, როგორც იველისში თოვლს... იგი თავის თავს თვითონვე უდგენდა წესებს. გიგი არ იყო ქალების დევნას მიჩვეული, ვერ იტანდა, როცა მათზე დამოკიდებული ხდებოდა. არა, ამ სიტუაციისთვის დროზე უნდა მოელო ბოლო...

...ნია თავაუფლებლად მიიბიჯებდა ქუჩაში. ირგვლივ ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა. ვერავის ხედავდა, საკუთარი თავის გარდა, ვერც ყვავილების არომატს გრძნობდა და ვერც ხმაურით მქროლავ მანქანებს... არა, არავითარ შემთხვევაში არ დაბრუნდებოდა უკან, რომ გიგისთან ერთად ისაუბროს. ქალბატონო, თუ შეიძლება, გადაეცით ბატონ გიგის, რომ მაღლობელი ვარ

ყველაფრისთვისო, — უნდოდა, გამოეცვალა ნინ ეს სიტყვები ეთქვა ადმინისტრატორისთვის, მაგრამ შერცხვა... და ასე უსინდისოდ გამოიპარა... მოულოდნელად ოხვრა აღმოხდა. ღმერთო, რა ჩაიდინა ეს? ასე როგორ მოიქცა, გამოუხვლელი ქალივით? შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. მხოლოდ გაშლილი მინდვრები და ქუჩის გასწვრივ ჩამსკრივებული დიდრონი ხეები მოჩანდა გარშემო. სად მიდის? რითი აპირებს თბილისამდე ჩასვლას? წარმოდგენა არ ჰქონდა, როგორ უნდა მოქცეულიყო. არ ეყო იმის გამოცდილება, ეფიქრა, რომ ბოზოქარი ღამის შემდეგ აუცილებელია, დარჩე ადამიანთან, რომელმაც ენით აუწერელი სიამოვნება მოგანიჭა... რომ კეთილშობილება უნდა გამოიჩინო და გაუფრთხილებლად არ უნდა მიატოვო იგი შუა ძილში... ყველა, ყველა და... დამწვიდობება მაინც არის აუცილებელი. წერილი მაინც დაეტოვებინა, ეჩვენებინა მისთვის, რომ თანამედროვე და საღად მოაზროვნე ქალია და ასეთ შეხვედრებს მარტივად უყურებს. ნეტავ, სხვა ქალებს როგორ გამოსდით ეგ?

გული უგრძობობა, მამაკაცი არ მოუნონებდა საქციელს. რა უნდა? რა თავპატიუს იღებს? ძალით ხომ არ წამოუყვანიათ იგი? თავისი ნებით დათანხმდა მამაშინაც და ახლაც. რას მოელის მისგან? არ იცოდა, რა განზრახვაც ჰქონდა მამაკაცს? იცოდა... ისიც ხომ იცოდა, რომ ასეთ მაღალ საფეხურზე მყოფი ადამიანი მასზე სერიოზულად არ იფიქრებდა? იცოდა. მაშინ რაღა უნდა? რატომ გახდა ასეთი ჭირვეული?

არა, უნდა დაბრუნდეს, ასე არ გამოვა... თან ჩანთაც ნომერში დატოვა... შემთხვევით... რა-ა? შემთხვევით? ვითომ? ჰო, კარგი, აღიარებს, რომ შეგნებულად მოიქცა ასე, უკან მიბრუნების მიზეზი რომ ჰქონოდა...

და დაბრუნდა...

უცებ ვერც შეამჩნია გიგი, რომელიც პოლში, კუთხის მაგიდასთან დამჯდარიყო და ყავას ნრუბავდა. ნიას დანახვაზე მამაკაცი ფეხზე წამოიჭრა.

— ნუთუ ჩვენ არ მოვილაპარაკეთ, რომ ცხრაზე ერთად უნდა გვესაუბრა?

ნია მშვიდად აზიდა ნარბები.

— შენ არ მითხარი, დილით ცოტა უნდა წავიშუშავო? მეც ცოტა ხნით სუფთა ჰაერზე გასყურება გადავწყვიტე, — უსინდისოდ იცრუა და თვალი

ლი თვალში გაუყარა მის წინ მდგარ მამაკაცს.



— შეგეძლო, ჯერ გეკითხა ჩემთვის, მანყოფილია თუ არა შენი გადაწყვეტილება. როცა მე რაღაცას ვგეგმავ, ესე იგი, ასეა საჭირო და არ ვარ მიჩვეული, როცა ჩემს გეგმებს ცვლიან, — გაღიზიანებული ტონით უპასუხა გიგომ.

მოუხედავად მისი ტონისა, ნიამ გულიანად გადაიკისკისა. დიდი ხანია, იგი სკოლის მოსწავლესავით არავის დაუტუქსავს.

— მე კი არ ვარ მიჩვეული, რომ ყოველ ჩემს ნაბიჯზე სხვის წინაშე თავი ვიშარტო. რა, ნებართვა უნდა მეთხოვა გასეირნებისთვის? — ბრაზიანი ნაპერწკლები გაუქრთა ზღვისფერ თვალებში.

— მე ნებართვა არ მიხსენებია... სად იყავი? — გიგომ შეამჩნია, ვილაცის ცნობისმოყვარე თვალი რომ მისჩერებოდა მოკამათე წყვილს და ტონი შეარბილა, — ნაშობი, დაგხსდეთ.

— არ ვიცი, სად ვიყავი, აქაურობას არ ვიცნობ. სიმართლე გითხრა, გვერდზე არც კი გამიხედავს. უბრალოდ, მინდოდა სუფთა ჰაერი ჩამეყლაპა. ეს რა, დანაშაულია?

— შენ ყოველთვის ასე აგრესიულად რეაგირებ სასაყვედურო კითხვებზე? — მამაკაცის ხმაში ირონია გაისმა და ნიამ გაჩუმება არჩია, მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა.

თვითონაც არ იცოდა, რატომ აპილიბიდა ასე. არც ის იცოდა, როგორ მოქცეულიყო ამ კაცთან, როგორ მიეღო გიგის მისადმი დამოკიდებულება, რა ერქვა მათ ურთიერთობას... არადა, ახლაც კი, ამწუთასაც სურდა მის გვერდით ყოფნა... რა სიამოვნებით ჩამოეკიდებოდა ახლა ყელზე...

— ნია...
გიგონამ წამსვე აარიდა თვალები მამაკაცის გამჭოლ მზერას, რათა გიგის მის თვალებში ჩამალული სურვილების ნაკითხვა ვერ შესძლებოდა.

— ცოტა არ იყოს, ვნერვიულობდი... მაპატიე, კარგი? — ძლივს გასაგონი ხმით ჩაიჩურჩულა ქალმა და თავი დახარა.

— მაშინ რატომ არ ჩამოგდები? ყავას მოვატანინებ, — შვებით ამოისუნთქვა ახვლედიანმა და ოფიციანტს ანიშნა, კიდევ ერთი ყავა მოგვეტანეთო.

ნიამ თხელი ჟაკეტი შეისხნა, სკამი გამოსწია და კიდზე ჩამოჯდა, თითქოს გაქცევას ლამობსო, თან ცდილობდა, გიგისთვის არ შეეხედა.

— იქნებ მომიყვებ, ასე რა განერვიულებს? — დაინტერესდა მამაკაცი.

— გულახდილად რომ გითხრა, ასეთ რაღაცებში გამოცდილება მაკლია. ჩვეულებრივ, ასე არ ვიქცევი ხოლმე... უფრო სწორად... ჩვეულებრივ კი არა... სინამდვილეში ასეთ სიტუაციაში პირველად ვარ...

— როგორ სიტუაციაში? ნახევრად უცნობ მამაკაცთან ლოგინში რომ აღმოჩნდი? ამის თქმა გინდა?

ნიამ თავი დააქანია და გამშრალი ტუჩები მოილოკა.

— მისხარია ამის გაგონება. როგორც ვიცი და როგორც მივხვდი, ჩემამდე შენ არავინ გყოლია, ასე არ არის? ხომ არ

ვცდები?

— ჰო, მაგრამ... ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე...

— გინდა მითხრა, რომ მოვალეობების გარეშე კაცთან არ დანევები?

არა, ნიას ამის თქმა სულაც არ უნდოდა! შენუხდა, მამაკაცმა მისი ნააზრევნი სხვანაირად რომ გაიგო. ახლა მას ეგონება, რომ ნია მისგან რაღაცას ითხოვს, პრეტენზიებს უყენებს.

— შენ ვერ გამიგე... სულ სხვა რამ მინდოდა მეთქვა... შეიძლება, თუმა შევცვალოთ?

გიგი თვალებს არ უჯერებდა... გოგონა განითლდა, ვარდისფრად შეეფაკლა ლანჯები. რა სიამოვნებით მოეფერებოდა ახლა ამ პატარა ჯადოქარს.

— ასე მგონია... აი, შენი ყავაც მოვიდა!

— ნაშობიხა გიგომ, ოფიციანტს მადლობა გადაუხადა, თან თვალს არ აშორებდა გოგონას.

— ნია...

ისე მბრძანებლურად გაისმა ახვლედიანის ხმა, დამფრთხალმა ნიამ მსწრაფლ ასწია თავი.

— ბატონო...

— ასე მგონია, შენ გეშინია, რომ წუხანდელი ლამის შემდეგ შენთან შეხვედრას აღარ მოვისურვებ. გამოვიცანი?

ჰო, გამოვიცნო! სწორედ ამას გულისხმობდა, როცა რაღაცის ახსნას ცდილობდა. სიტყვებზე დაუბრუნა სხეულში.

— შენ ხომ ძალიან დაკავებული ადამიანი ხარ, გიგი. მეც ვმუშაობ... ბევრი პრობლემა მაქვს... ზოგიერთი სასწრაფოდ უნდა მოვაგვარო... რომანების დრო არ მაქვს.

— დრო არ გაქვს თუ სურვილი? — ჩაეძინა მამაკაცი და კომპიუტერი შეკრა.

როგორ ვერ ხვდებოდა, ასეთი გამოსული და თანამედროვე კაცი, ნია რას გულისხმობს. მისნაირი მამაკაცები ხელთათმანით იცვლიან ქალებს. მერე რა, რომ მასთან ურთიერთობა სიამოვნებას ანიჭებს. სხვა ქალებთან რა, ნაკლები განუცდია? ეს ხომ წუთიერი გატაცებაა და სხვა არაფერი... იცის ნიამ, რომ მასთან რომანი, ერთ დღესაც, ძალიან ცუდად დამთავრდება. სწორედ ამას გაუბრუნა იგი.

— სურვილი არაფერ შუაშია. ხომ გითხარი, ვმუშაობ-მეთქი. თან ეს პრობლემები...

— განა რა პრობლემები გაქვს ამისთანა; არ გინდა, მითხრა?

— არა, ეს ძალზე პირადულია, არ მინდა, სხვას მოვახვიო თავს.

— შენი აზრით, მე სხვა ვარ?

— ამ საკითხში — კი და ძალიან გთხოვ, არაფერი მკითხო.

ნია მოიღუშა. იმის მაგივრად, რომ ეს კაცი კმაყოფილი იყოს მისით, რა დაკითხვას უწყობს? ვერ ხედავს, რომ ნია იმ ქალებს არ ჰგავს, ვინც მამაკაცს მოსვენებას არ აძლევს და თავს აბეზრებს? ვერ ხვდება, რომ არაფერს ითხოვს მისგან? მან მიიღო ქაღალსგან ის, რაც სურდა... ისიამოვნა. არ არის დრო, დეემშვიდობონ ერთმანეთს?

— ძალიან ცდება, თუ ფიქრობ, რომ

შენთან შეხვედრის გაგრძელება არ მინდა.

და გიგის მბრძანებლურმა ტონმა კიდევ ერთხელ დააფრთხო გოგონა. თან ეს დაუქინებელი, გამჭოლი მზერა... სულ სხვანაირი იყო მამინ, ლოგინში, მოწყურებული რომ ეფერებოდა.

— მომდევნო სამი დღე მართლაც ძალიან დაკავებული ვიქნები, სამაგიეროდ, სამშაბათს გავთავისუფლდები და ერთმანეთს შევხვდეთ. თანახმა ხარ?

ნუთუ ვერ ხვდება, როგორი ცივი ხმით ელაპარაკება? მისი მოსამსახურე კი არ არის, ან დაქირავებული მეძავი. არც პატარა ლეკვია, პატრონს პირველსავე დაძახებაზე ფეხქვეშ რომ გაეგება და ხელს აულოკავს...

— სამშაბათს არ მცალია, გაკვეთილები მაქვს.

— სალამოს?

— სალამოს სხვა გეგმები მაქვს.

გიგომ ძლივს შეიკავა თავი, უხეშობა არ გამოეჩინა. მართლაც ეუბნება ეს პატარა ლამაზბანი თუ ჯობში უდგას? ესმის კი, რაზე ამბობს უარს? იცოდეს მაინც, ქვეყანაზე რამდენი ქალი ნატრობს მისგან ამ სიტყვების გაგონებას. როგორც ჩანს, არ ესმის... არც იცის...

— კარგი, მაშინ ოთხშაბათს... ამაზე რას იტყვი?

მამაკაცის ხმა კვლავ ცივად ჟღერდა და ნიამ გადაწყვიტა, არ დანებებოდა. წავიდეს და სხვა გამართობი იპოვოს, განაცოტა ქალი ეხვეწება?

— ოთხშაბათს დაბადების დღეზე მივდივარ.

გიგის მისი არც ერთი სიტყვის არ სჯეროდა.

— მაშინ ის მაინც მითხარი, როდის გეცლება, რომ შეგხვდე? შენ დათქვი დრო, — ახვლედიანის შავი თვალები უკმაყოფილოდ აენთო.

— იცი, რა, გიგი? თუ სიმართლე განიტერესებს, მეგონა, ამ შეხვედრით წერტილს დაფუსვამდით ურთიერთობას. მე... მე საერთოდ არ ვეკუთვნი შენს წრეს... დღეს იქნება, თუ ხვალ, მაინც მოგებზრდები... შენს სამყაროში ჩემი ადგილი არ არის...

— მომისმინე, პატარავ, კარგად მომისმინე!.. მე გადასარევედ ვგრძნობ, რა სიამოვნებას ანიჭებს ქალებს ჩემი შეხება. წუხელ მთელი ღამე კვენსოდი ჩემს მკლავებში. ამიტომ მგონია, რომ არ იქნები წინააღმდეგი, კიდევ შემხვდე. მართალი ვარ?

ღმერთო, რას გადაეკიდა! ეს კაცი არ არის მიჩვეული, როცა რამეზე უარს ეუბნებიან. არადა, მართლა უნდოდა მასთან ყოფნა, რა ჰქონდა დასამალი, მაგრამ...

— სერიოზულად არ შემიძლია, გიგი... არც სამშაბათს და არც ოთხშაბათს.

— ჰოდა, მითხარი, როდის შეგიძლია, ადამიანო, რა ვთქვი გაუგებარი? — გაღიზიანდა ახვლედიანი.

— პარასკევს... — ბოლოს მაინც დანებდა ნია.

გიგომ შვებით ამოისუნთქა და იგრძნო, ნელ-ნელა როგორ თავისუფლდებოდა დაძაბულობისგან.

— ძალიანაც კარგი. პარასკევს ბანკეტზე ვარ მიპატივებულნი. ჩემთან ერთად წამოხვალ, კარგი?

— ჰო... რა ვიცი... — მხრები აიჩეჩა დაბნეულმა.

— საღამოს კაბა დაგჭირდება, შენი აზრით, ეს პრობლემაა?

ჰო, რა თქმა უნდა, ნიასთვის ეს პრობლემაა, თუ მის ლარიბულ გარდერობს გავიფიქრობთ, სადა აქვს ასეთი კაბა? ერთხელ დასჭირდა და მაშინაც მაკამ ათხოვა.

— მოვიფიქრებ რამეს, დაქალს გამოვართმევ, ბოლოს და ბოლოს, — ხმადაბლა ჩაილაპარაკა დარცხვენით.

— არ გინდა, რა გჭირს სამაგისო. ერთ გოგოს გამოგიგზავნი და ის გამოგყვება საყიდლებზე, კარგი გემოვნება აქვს. ჩემი ძველი მეგობარია, არ დამზარდება... ასე სჯობს ვინმესთან თხოვებას. შენი გემოვნებით მაინც შეარჩევ.

— არა, ამისთვის დრო არ მაქვს... და არც ფული. მასწავლებლის ხელფასი ასეთი ფუფუნებისთვის არ არის გათვლილი... — როგორც იქნა, ხმამაღლა წარმოთქვა ის, რაც ანუხებდა.

მამაკაცმა გაიღიმა და გამომეტყველება დაუთბა.

— ნება მომეცი, საჩუქარი მე გაგიკეთო. ამით ძალიან ბედნიერი ვიქნები... — და ვნებიანი მზერა შეავლო მის ნატიფ სხეულს.

ნიას სუნთქვა შეეკრა.

— შენ ხომ იცი, რომ მამაკაცებისგან ძვირად ღირებულ საჩუქრებს არ ვიღებ.

— მე ვილაღ უბრალო მამაკაცი არ ვარ, პატარავ. მოდი, ბოლოს და ბოლოს, ვალიაროთ ეს — მე შენი საყვარელი ვარ.

ამის გაგონებაზე ნიას აქამდე უცნობმა, სასიამოვნომ და, იმავდროულად, უსიამოვნო ტალღამ დაუარა მთელ სხეულში.

— ასე არ არის? — გიგიმ ნიკაპქვემ ამოსდო თითი და თავი აუწია, რომ მისთვის თვალეში ჩაეხედა.

გოგონამ მძიმედ ასწია წამწამები... მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა.

— მითხარი, არ არის ასე? არ გინდა, ჩემი საყვარელი გერქვას?

— არ ვიცი... — უფრო გაიფიქრა ნიამ, ვიდრე თქვა.

— არ იცი თუ არ გინდა?

— არ ვიცი, მაგრამ მინდა, — შეცბუნებულს მისდა უნებურად წამოსცდა ეს სიტყვები და ნერწყვამშრალმა სასწრაფოდ ყავა მოსვა.

— ჰოდა, მით უმეტეს, მე მოვალე ვარ, შენზე მატერიალურადაც ვიზრუნო... რა თქმა უნდა, რამდენის უფლებასაც მომცემ... არ დაგაძალებ. ახლა კი ავიდეთ ნომერში, ლოგინი ჯერ არ გაუსწორებიათ... დრო ბევრი გვაქვს, არსადაც არ მეჩქარე-



ბა, — გიგის კმაყოფილი ღიმილი აუთამაშდა ტუჩებზე.

ნიას კიდევ ერთხელ აუფორაჯდა ღანვები და მორჩილად წამოდგა. მიხვდა, ამ კაცს იგი უარს ვერასდროს ვერაფერზე ეტყოდა...

ხაოიან თეთრ პირსახოცში გახვეული ნია სირბილით გამოვარდა სააბაზანოდან, ტელეფონის ზარისთვის რომ ეპასუხა. გული გამალებით უცემდა, გიგი არ მირეკვედესო.

მაგრამ შეცდა. ხმა არ ეცნო, თან ქალი ურეკავდა. იგი თავო აღმოჩნდა, გიგის „ახლო მეგობარი“, სწორედ ის, ვინც ბაზრობაზე უნდა გაჰყოლოდა.

— დიას, გისმენთ, თავო...

— გიგიმ მთხოვა, დაგკავშირებოდით საყიდლების თაობაზე... როდის ნავიდეთ?

საინტერესოა, რას იტყვის ეს გოგო, ახლა რომ უთხრას, გადავიფიქრო? მით უფრო — გიგი? ალბათ საშინლად გაბრაზდება. არა, ამას ვერ გააკეთებს.

— ხვალ არ შემიძლია, თავო. ზეგ რომ იყოს? ბაზრობა რომელ საათზე იღება?

— ბაზრობა? იქ რა გვინდა?

ნია დაიბნა.

— აბა, სად უნდა ნავიდეთ?

— როგორ თუ სად, ბუტიკები მოვიაროთ. ბაზრობის ნაგავი რად გვინდა, თქვენ ხომ ბანკეტისთვის გასურთ კაბის არჩევა?!

ნიამ ქვედა ტუჩი მოიკვინტა. როგორ ვერ ისწავლა ჭკუა! იგი ვილაც გამეღელის

საყვარელი ხომ არ არის, ასეთი ფულიანი კაცის საკუთრება! ერთხელ და სამუდამოდ ხომ უნდა გაიაზროს ეს?

— ჰო, რა თქმა უნდა.

— ესე იგი, ზეგ, არა?

— დიას, დიას, ზეგ.

— შესანიშნავია. მაშინ ზეგ დილით გამოგივლით. ათი საათი განყოფი?

— კი, როგორ არა, მირჩევნია კიდევ, დროზე მოვიტავებ.

— ძალიანაც კარგი. მე ნითელი „მეჟოტი“ ვიქნები, რომ ადვილად მიცნოთ. იცით, გიგიმ მითხრა, მასწავლებელიაო; მისმა ძმაცამე კი დაამატა, არაჩვეულებრივად ლამაზი გოგოაო. გახსოვთ ალბათ, მასთან სტუმრად რომ იყავით, იქ ერთი სათვალისანი ტიპი იყო... ერთი სიტყვით, ჩემი იმედი გქონდეთ. ვეცდები, ისეთი კაბა შეგიჩინოთ, რომ ბანკეტზე იბრწყინოთ. მითხარი მისამართი, რომ კვლავ არ შეგანუხოთ ჩემი ზარებით.


— ძალიან ყურადღებიანი ხართ, თავო, დიდი მადლობა, — ნაზად წარმოთქვა ნიამ და უცნობ ნაცნობს მისამართი უკარნახა.

— არაფრის, ჩემო კარგო. მე და გიგი დიდი ხნის მეგობრები ვართ. ასე რომ, არანაირი პრობლემა არ არსებობს. აბა, ნახვამდის და შეხვედრამდე, ჩემო კარგო.

— ნახვამდის, თავო...

ნია ლამის ჩაიკეცა, როცა ყურმილი დაკიდა. ღმერთო, რა ხათბალაში გახვია! რას იფიქრებდა, საყვარლობა ასე ძნელი თუ იქნებოდა. ოდესმე შეეჩვევა ამ ყოფას? როგორ უძძიმს გიგისგან საჩუქრის მიღება. ვითომ რამდენ ღირს გამოგზავნის? ძალიან ძვირად ღირებული კაბა უნდა უყიდოს? ბაზრობაზე რა გვინდაო... ალბათ ეს თავოც მათი წრიდანაა... არა, ასე დიდხანს ვერ გააგრძელებს, მოკვდება ნერვიულობით. სულ დაძაბული ხომ ვერ იქნება? ნია არ არის მაღალი წრის საზოგადოებასთან ურთიერთობას მიჩვეული. ბანკეტიო... რა უნდა იმ ბანკეტზე? ვის იცნობს იქ? ან რა თემაზე უნდა ელაპარაკოს იქ მყოფ სტუმრებს? დარწმუნებულია, გიგი მთელი საღამო მის გვერდით ვერ იქნება, ამისთვის ვერ მოიცილს... საქმიანი კაცია, უამრავი ვინმე გამოელაპარაკება, განზე გაიყვანენ... იმ დროს რა უნდა აკეთოს თვითონ? სარგადაყლაპულივით დადგეს და უცხო ხალხის ჩაცმულობა და ბრილიანტები ათვალეიროს? ღმერთო, რა ძნელი ყოფილა მდიდარი კაცის საყვარლობა!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში



„ძინდა, ლაძანძის სოყტე ეკვიპო ლა ინელისილან სეგნანეთში ეალაილე“

49 წლის ბეზლარ ელბაძემ თბილისის ზღვაში ყოველდღე არხინად „დაბიჯებს“. თავს წყალში უკეთ გრძობს, ვიდრე — სმელეთზე. „ადამიანი-ამფიბიას“ 2006 წელს სარეკორდო გამოსვლაც ჰქონდა, მაგრამ საჭირო ფინანსები ვერ მოიპოვა, რის გამოც გინესის რეკორდების წიგნში ვერ დაფიქსირდა. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენებზე განაწყენებულია, მაინც გამუდმებით ვარჯიშობს და ამბობს, — ქართველი ფეხბურთელებიც ჩემსავით „ვიგროიანები“ რომ იყვნენ, ბრაზილიის ნაკრებს დავამარცხებდითო!.. ბატონმა ბეგლარმა თავისი ტელეფონის ნომერი დამიტოვა და მითხრა: როცა გნებავთ, მაშინ დამირეკეთ, ყოველთვის გიპასუხებთ — წყალში ვიქნები თუ სმელეთზე, ამას მნიშვნელობა არ აქვსო..

ადამიანი-ამფიბია ანუ ზღვაში მოსიარულე გურჯის აზბაკი...

ერთ ყოვლანაშვილი

— უკვე რამდენიმე წელია, რაც ტელეფონის გარეშე წყალში არ შევდივარ, მობილური სულ თან დამაქვს. აბა, რა ვაკეთო? წყალში მარტო ვარ და ვთამაშობ, ხალხს მესიჯებს უფგზაენი, ვურეკავ... პირველად თბილისის ზღვაზე „ადამი-ჭირეს“: სპორტის დეპარტამენტის წარმომადგენლებმა კატერიდან დამინახეს, შუა ზღვაში როგორ ვიდექი და მზე-სუშირას მივართმევი, მერე სიგარეტიც გავაბოლე... იფიქრეს, რომ თან წყლის „კამერა“ მქონდა. რადგან მათი ვარაუდი არ გამართლდა, დაინტერესდნენ და ნაპირთან მთელი 3 საათის განმავლობაში მელოდნენ. როცა მზესუშირა გამითავდა და ტელეფონზე ანგარიში ამომეწურა, ხმელეთისკენ გავემართე. მითხრეს: — გინესის რეკორდების წიგნში შესაყვანი კაცი ხარო, და სარეკორდო გამოსვლაც დაამინიშეს. მერე თურქეთიდან ზღვის დღესასწაულზე მიმინვიეს. მოცურავეების შეჯიბრება იყო და მას დაახლოებით 45 ტელეარხი აშუქებდა. მოცურავეები მიატოვეს და ჟურნალისტები ჩემთან მოდიოდნენ, „ზღვაში მოსიარულე კაცთან“ ინტერვიუს ჩანერას ითხოვდნენ. საბერძნეთიდან, იტალიიდან, საფრანგეთიდან დარეკეს და ჩემი ვინაობა იკითხეს. როცა გაიგეს, რომ „გურჯი“ ვარ, თქვეს: ამას მხოლოდ ქართველი თუ გააკეთებდაო.

— თვითნასწავლი მოცურავე ხართ?

— დიას. მასწავლებლები მხოლოდ სკოლაში მყავდნენ. ხაშურის რაიონში, სოფელ გომში დავიბადე და გავიზარდე. ჩვენი სახლის გვერდით მტკვარი მიედინება, რომელიც ძალიან მიყვარს. სხვათა შორის, ჩემს სოფელში ჩემსავით ბევრი ცურავს (ფეხებით, ხელების დახმარების გარეშე)... 8-9 წლის ვიყავი,

როცა წყალში „სიარული“ დავიწყე. დღეს 14 საათის განმავლობაში (შესვენების გარეშე) დაახლოებით, 30 კმ-ის მანძილს ვფარავ.

— მსოფლიოს მასშტაბით, კონკურენტი არ გაყავთ?

— არა, რადგან ეს ადვილი საქმე ნამდვილად არაა. წარმოიდგინეთ, 9-სართულიანი საცხოვრებელი კორპუსის კიბეზე ასვლისას ძალიან ვიღლები — შეიძლება წავიქცე, წყალში კი თავისუფლად ვარ და ვერც დაღლილობას ვგრძნობ.

— თქვენი სამყარო წყალი ყოფილა?

— დიას და ამიტომაც შემარქვეს მეტსახელად „ადამიანი-ამფიბია“, თურქეთში კი — „ზღვაში მოსიარულე ადამიანს“ მეძახიან. წყლის გარეშე ვერ ვძლებ! შარშან კუს ტბაზე წასვლა მირჩიეს. მივედი, გავისადე ტანისამოსი და წყალში შევედი. ისეიჯების წერაში გავერთე და უცებ, ისეთ ჩირგვეში შევვარდი, კინაღამ გული გამისკდა! გამოვედი და ისევ თბილისის ზღვას მივაშურე. ზღვის სივრცე ჩემთვის კარგია, კუს ტბა კი არ მყოფნის — ძალიან პატარაა.

— საინტერესოა, თქვენთვის ამინდს ან ტალღის ზომას თუ აქვს მნიშვნელობა?

— არავითარი. როცა ტალღები მოვარდება, თავს როგორ ვგრძნობ, იცი? თითქოს მაგარ მანქანაში ვზივარ და „რბილად“ მივდივარ (იციინის). უბრალოდ, ზამთარში ყინულივით ცივ წყალში შესვლა არ მიყვარს — არ მინდა, ვინმემ დამინახოს და იფიქროს, რომ „ემარიაჟობ“. ზაფხუ-

ლის მოსვლა პატარა ბავშვივით მიხარია, ზამთარში კი ვიტანჯები. როცა აუზში ვვარჯიშობდი, თავს აკვარიუმში გამომწყვდეული თევზივით ვგრძნობდი, რომელსაც გასაქანი არა აქვს.

— ყოველდღე ვარჯიშობთ?

— ყოველდღე, რათა სულ ფორმაში ვიყო!

— ალბათ, თბილისის ზღვაზე მიმზადვლებიც გეყოლებათ...

— ასეთი მართლაც ბევრია. ბავშვები წყალში რომ შედიან, ყვირიან, — ბეგლარა ვარ, ბეგლარაო (იციინის)! მინდა, ჩემსავით, ცურვა ყველამ იცოდეს — ასე ხომ განსაცდელში მყოფი ადამიანის წყლიდან გამოყვანას იოლად შეძლებენ? მაგალითად, 2 კაცი რომ იხრჩობოდეს, 2-ივეს თავისუფლად გამოვიყვან ნაპირზე.

— ე.ი. მასწავლებლსაც ეხმარებით?

— ყოველთვის. მასწავლებლები ჩემი ახლობლები არიან. ყველა მათგანი პატივს მცემს. მაგალითად, შარშან რომ ვვარჯიშობდი, ზღვაში კატერით შემოდიოდნენ და ჩემთვის ქუდი მოჰქონდათ, — ბატონო ბეგლარ, თავში მზე არ „ჩაგივარდეთო“. ძალიან კარგი ხალხ-



სტივენ სოდერბერგი სარეჟისორო კარიერის დასრულებას აპირებს



ფილმებით — „ტრაფიკი“, „ერინ ბროკოვიჩი“, „სოლიარისი“ და „ოუშენის თერთმეტი მეგობარი“ სახელგანთქმული რეჟისორი სტივენ სოდერბერგი სარეჟისორო კარიერის დასრულებას აპირებს. მან ეს განცხადება ბრიტანული გამოცემისთვის The Guardian მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

ერნესტო ჩე გევარასადმი მიძღვნილი დილოგიის წარუმატებლობამ რეჟისორს იმედი გაუცრუა. ფილმის საერთო შე-

მოსავალმა მის წარმოებაზე დახარჯული თანხის მხოლოდ ნახევარი შეადგინა. თავად ფილმზე მუშაობის პროცესიც ძალზე დამღლეელი აღმოჩნდა, რადგან რეჟისორს სურათის გადასაღებად მხოლოდ 76 დღე ჰქონდა. „გადაღებების დასრულებიდან უკვე წელიწადზე მეტი გავიდა, მაგრამ დღესაც, დილაობით, როცა ვიდეიქებ, უფალს მადლობას ვწირავ იმისათვის, რომ ეს პროექტი დავამთავრე, რაც შეეხება ჩემს კარიერას — ვფიქრობ, მას მალე დავასრულებ. ამაზე ფიქრი კარგა ხნის წინ დავიწყე. კიდევ რამდენიმე ფილმის გადაღება მაქვს ჩაფიქრებული, მაგრამ მათი დასრულების შემდეგ შესაძლოა უბრალოდ გავქრე“, — ამბობს რეჟისორი.

უფრო ადრე სოდერბერგმა განაცხადა, რომ იგი როკოპერის „კლეოპატრა“ გადაღებას აპირებდა. მომავალ სურათში ეგვიპტის დედოფლის როლის შესრულებაზე კეტრინ ზეტა-ჯონსმა თანხმობა განაცხადა. რეჟისორი 1987 წელს შიდსით გარდაცვლილ პიანისტ და შოუმენ ლიბერეისის შესახებაც აპირებს სურათის შექმნას.

რენე ზელვეგერი „ბრიჯიტ ჯონსის დღიურის“ მესამე ფილმში ითამაშებს

სტუდიის Working Title ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ფილმის „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ მესამე სერიაზე მუშაობის მზადება დაიწყო. სურათის გადაღებები ალბათ მხოლოდ 2010 წელს დაიწყება, რადგან ავტორებს ჯერ სცენარის შავი ვარიანტიც კი არ აქვთ ხელთ. საგარეოდ, ფილმის მთავარი გმირი, 50 წელს გა-



დაცილებული ბრიჯიტ ჯონსი, სანამ გვიანი არ არის, შვილის გაჩენაზე იფიქრებს... პირველ ორ ფილმში მთავარი როლის შემსრულებელმა რენე ზელვეგერმა ახალ სურათში მონაწილეობაზე თანხმობა უკვე განაცხადა.

როგორც ცნობილია, ორიგინალური სერიების სცენარი ბრიტანული გამოცემის The Independent რეპორტიორ ელენ ფილდინგის სტატიათა სერიას ეფუძნება. 1995 წელს გამოცემის რედაქტორი ჩარლზ ლიდბიტერი დიდხანს იმტვერებდა თავს იმის შესახებ, თუ როგორ მიეზიდა ახალგაზრდა ქალთა აუდიტორია. ბოლოს და ბოლოს, მან ერთდროულად მეგობრული, გესლიანი, ინტიმური და დამინტრიგებელი რუბრიკის შექმნა გადაწყვიტა, რომელიც ლაკონიურად ასახავდა იმ თემებს, რის შესახებაც ახალგაზრდა ქალები სამსახურის დაწყების პირველი 5 წუთის განმავლობაში საუბრობდნენ ხოლმე. ეს პრობლემა ელენ ფილდინგმა გადაჭრა, რომელიც იმ დროს გაზეთის საკვირაო დამატების ავტორი იყო. 1995 წლის ოქტომბერში ნერვიულმა, გაუთხოვარმა, მსუქანმა ლონდონელმა ქალმა პირადი დღიურების მეშვეობით მკითხველს პირველად მოუთხრო ერთი სირჩა „შარდონეს“, მონეული სიგარეტების რაოდენობისა და ქალებისათვის საჭირო ორტო სხვა საკითხების შესახებ. ფილმი „ბრიჯიტ ჯონსის დღიური“ ეკრანებზე 2001 წელს გამოვიდა და მაყურებლისა და კრიტიკის მოწონება დაიმსახურა. სურათის შემოსავალმა 281 მილიონი დოლარი შეადგინა. სამი წლის შემდეგ მაყურებელმა ფილმის გაგრძელებაც იხილა, რომელსაც არანაკლები წარმატება ხვდა წილად.

„სიკვდილის ნობათის“ მოჩვენება — ალბრუს დამბლდორი

მაყურებელი ხორვარტსის მეთაურ ალბრუს დამბლდორს დილოგიის „ჰარი პოტერი სიკვდილის ნობათი“ ორივე ნაწილში იხილავს. ეს ინფორმაცია რესურს SCI FI Wire-ს თავად დამბლდორის როლის შემსრულებელმა მაიკლ გემბონმა მიანიჭა. ახალი ფილმები იმ პოპულარულ საგას დაასრულებს, რომელიც ახალგაზრდა ჯადოურისა და ბოროტი ძალების დაპირისპირების შესახებ მოგვითხრობს.

„დიას, მე ორივე ნაწილში ვმონაწილეობ. პირველ ნაწილში მოჩვენების როლი მაქვს, მეორეში კი მოგონებას განვასახიერებ“, — განაცხადა მსახიობმა. როგორც ცნობილია, ჯოან როულინგის ორიგინალურ ნაწარმოებში დამბლდორი „ნახევრად პრინცის“ ბოლოს იღუპება.

მაიკლ გემბონმა, რომელიც დამბლდორის როლს 2003 წელს რიჩარდ ჰარისის გარდაცვალების შემდეგ თამაშობს, განსაკუთრებულად აღნიშნა ჰარი პოტერის როლის შემსრულებლის, დენიელ რედკლიფის მზარდი სამსახიობო ოსტატობა და თავდაჯერებულობა. „როდესაც ამ პროექტს შეეუერთდი, დენი პატარა ბიჭი იყო. მაშინ მას სრულიად სხვანაირი სახე და წვრილი ხმა ჰქონდა. ახლა დენი ჩამოყალიბებული მამაკაცია. ამ წლების განმავლობაში ყველა მათგანს ვაკვირდებოდი და უნდა ვთქვა, რომ

ძალიან შეიცვალნენ. „ვფიქრობ, კინოკომპანია Warner Brothers ბედნიერი ბილეთი მოიგო, როდესაც ამ როლზე დენი დაამტკიცა“, — ამბობს მსახიობი. მკითხველს შევახსენებთ, რომ ფილმი „ჰარი პოტერი და შერეულსისხლიანი პრინცი“ მსოფლიოს კინოეკრანებზე 2009 წლის 15 ივლისს გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ „პოტერიანის“ მეექვსე ნაწილმა მსოფლიო პრემიერამდე ერთი კვირით ადრე გაყიდული ბილეთების რაოდენობით სიქველს — „ტრანსფორმერები“ გაუსწრო.





ჰიუ ჯექმანი – კოსმეტიკის საუკეთესო გამყიდველი

ჰიუ ჯექმანი კინოკომპანია 20th Century Fox-ის ახალ კინოკომედიას Avon man ითამაშებს. სურათს კევინ ბიშის („ხიტჩი“) სცენარი დაედება საფუძვლად. ჯექმანის გმირი ყოფილი ავტოდილერია, რომელმაც კრიზისის გამო სამსახური დაკარგა და იძულებული იყო, ცნობილ კოსმეტიკურ ფირმამ AVON გამყიდველად დაეწყო მუშაობა. ცოტა ხანში გმირი ბუნებრივი მომხიბვლელობისა და პროფესიონალიზმის ნყალობით ფირმის საუკეთესო თანამშრომელი გახდება და მშობლიური ქალაქის ფინანსური დახმარების მიზნით რეგიონულ შეჯიბრებასაც მოაწყობს... გადაღებების დაწყების თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

წელს ჯექმანს ძალზე დიდი გეგმები აქვს დასახული. 2009 წლის სექტემბერში ბროდვეის ჰერარდ შონფელდის თეატრში სპექტაკლის Steady Rain („გაჭიანურებული წვიმა“) პრემიერა შედგება, სადაც ჩიკაგოელ პოლიციელთა მთავარ როლებს დენიელ კრეიგი და ჰიუ ჯექმანი ითამაშებენ. მსახიობი მაილი სიარუსის ერთ-ერთ ფილმში, ნიუ-იორკის პოლიციის სამმართველოს დეტექტივის როლსაც ითამაშებს. მისი გმირი დიდძალი ქონების მემკვიდრე ქალს იცავს, რომელსაც უცნობი ბოროტმოქმედისგან მუქარის წერილები მოსდის...

ჯექმანი კიდევ ერთ ფილმში Chostopolis მთავარ გმირს განასახიერებს. სურათს დუგ ტენიუელის გრაფიკული ნოველა დაედება საფუძვლად. სიუჟეტი სამთავრობო საინჟინერაციო სააგენტოს თანამშრომელზეა აგებული, რომელიც ჩვენს სამყაროში მოჩვენებათა შემოსვლას აკონტროლებს...

დენზელ ვაშინგტონი „მოწამლული“ მატარებლიდან ჩამოსტეხა

დენზელ ვაშინგტონმა ტონი სკოტის ფილმის Unstoppable დატოვების გადაწყვეტილება მიიღო, რეჟისორი გადაღებების დაწყებას 2009 წლის შემოდგომაზე აპირებდა. როგორც გამოცემა Variety იუწყება, სახელგანთქმული მსახიობი სამი თვე ელოდა, რათა კინოკომპანიას 20th Century Fox პროექტის ბიუჯეტი ჩამოეყალიბებინა და მისი ჰონორარი განესაზღვრა, მაგრამ ეს საკითხები დათქმულ დროში არ გადაწყდა.

ვაშინგტონს რკინიგზის ინჟინრის სახე უნდა შეექმნა, რომელიც ახალგაზრდა მენეჯერსთან (კრის პაინი) ერთად ტოქსიკური ნივთიერებებით დატვირთული კონტროლდაკარგული მატარებლის შეჩერებას ცდილობს. როგორც ამბობენ, მარკ ბომბეის სცენარი რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული.

დენზელ ვაშინგტონისა და ტონი სკოტისთვის ეს ფილმი რიგით მესამე ერთობლივი პროექტი იქნებოდა. სხვათა შორის, მათი ბოლო ნამუშევარიც რკინიგზის თემატიკას ეძღვნება. ფილმში „მატარებელი №123-ის საშიში მგზავრები“ მსახიობმა მინისკევემა ტრანსპორტის დისპეტჩერის როლი ითამაშა, რომელიც შეიტყობს, რომ ტერორისტებმა ერთ-ერთი მატარებელი ხელში ჩაიგდეს.

კინოკომპანია 20th Century Fox-ის ხელმძღვანელობა იმედს არ კარგავს, რომ დენზელ ვაშინგტონს კვლავ დაიბრუნებს და აცხადებს, რომ მისთვის „მთელი რიგი“ წინადადებებისა აქვთ მომზადებული.

როგორც ცნობილია, მსახიობი ახლო მომავალში დევიდ კრონენბერგის ფილმის „მატარებელს წრე“ გადაღებებით იქნება დაკავებული, სადაც მას პარტნიორობას ტომ კრუზი გაუწევს, რომელიც სუკის აგენტ ვასილი ტალეინიკოვის როლს ითამაშებს.



ანი ლორაკმა მაიკლ ჯექსონს სიმღერა მიუძღვნა



ნუთუ დიდების საფასური — სიცოცხლეა? მას შემდეგ, რაც 25 ივნისს, პოპმუსიკის მეფის გარდაცვალების ცნობამ მსოფლიო შეაზაზაზა, ეს კითხვა საკუთარ თავს უამრავმა ადამიანმა დაუსვა.

ქრისტიანული ტრადიციის თანახმად, გარდაცვალებიდან მეცხრე დღეს თვალცრემლიანი ახლობლები და ნათესავები მიცვალებულს იხსენებენ და მისი სულისათვის ლოცულობენ. „გალა რადიო“ მაიკლ ჯექსონის სსოვანს შესანიშნავი პროექტი მიუძღვნა, რომელიც პოპმუსიკის თაყვანისმცემლებს დიდხანს არ დაავიწყდებათ.

3 ივლისს „გალა რადიო“ ეთერში პრემიერა შედგა — უკრაინული შოუბიზნესის ვარსკვლავებმა ჯექსონის ჰიტი Heal the world შეასრულეს. ანი ლორაკმა და მისმა მეგობრებმა სწორედ ის სიმღერა შეარჩიეს, რომლითაც ჯექსონს „სამყაროს განკურნება“ სურდა. უკრაინელმა მომღერლებმა ჰიტი 1-2 ივლისს, ხმის ჩამწერ სტუდიაში Tretyakoff production ჩაწერეს.

პირს ბროსნანი არისტოკრატის როლში

ცნობილი მსახიობის, რეჟისორისა და პროდიუსერის სტენლი ტუჩის მომავალ დრამაში „მონადირე“, რომელსაც იგი საკუთარი სცენარის მიხედვით გადაიღებს, ერთ-ერთ მთავარ როლს ჯეიმს ბონდის როლის ცნობილი შემსრულებელი პირს ბროსნანი ითამაშებს. სურათის სიუჟეტი ნიუ-იორკის არისტოკრატის წარმომადგენლის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ძველ ცხოვრებასა და გარემოცვას თავგამოდებით ებღალუჭება. ფილმში პირს ბროსნანის პარტნიორები პატრისია კლარკსონი და ჯულიანა მური იქნებიან. სურათის გადაღებებისთვის მზადება 2009 წლის სექტემბერში დაიწყება, მანამდე კი ევრანებზე ბროსნანის მონაწილეობით კიდევ რამდენიმე ფილმი გამოვა. მათ შორის რომან პოლანსკის „მოჩვენება“ და კრის კალამბუსის „პერსი ჯექსონი და ოლიმპიელები. ელვის გამტაცებელი“.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ფილმის გადაღებებზე პირს ბროსნანმა გმირობა ჩაიდინა, როდესაც ფერდობიდან გადაძვლები ჯგუფისკენ დაგორებული მიკროავტობუსის შეჩერება შეძლო და ამით ადამიანები დაღუპვას გადაარჩინა.




1956 წლის მარტის მოვლენებთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, ჯერ კიდევ შეუსწავლელი, დიდძალი დოკუმენტური მასალაა დაცული: დოკუმენტები, წერილები, ფარულად გადაღებული ფოტოები საშუალებას გაძლევს, უფრო ცხადად წარმოიდგინო, თუ რა ხდებოდა მაშინ თბილისის ქუჩებში. ექვთარეშვა, რომ ეს დოკუმენტები მკვლევართათვის ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორიის უკეთ შესწავლის წყარო გახდება. მანამდე კი საარქივო მასალებზე დაყრდნობით, წარსულს ჩვენი მკითხველისთვის გავაცოცხლებთ.

9 მარტის თაობა ანუ რას ინახავს არქივი?

ნაბ ტუხიაშვილი

1956 წლის 23 თებერვალს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვმა წაიკითხა მოხსენება — „პიროვნების კულტის მავნე შედეგების შესახებ“. მოხსენება სტალინის დანაშაულებრივი საქმიანობის გამომზეურებასა და ხალხში მისი კულტის განადგურებას ისახავდა მიზნად. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ სტალინი ბოროტად იყენებდა მის ხელთ არსებულ ძალაუფლებას და პარტიული მუშაკების მასობრივ ტერორს ახორციელებდა. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში რამდენჯერმე მოლაღატედ და დესპოტად მოიხსენია ბელადი. კომპარტიის პირველი მდივანი აღნიშნავდა, რომ სტალინის მთავარი მიზანი — ხალხის მორალური და ფიზიკური განადგურება იყო; მოიყვანა მაგალითი იმისა, თუ როგორ დგებოდა რეპრესირებულთა სიები და რომ სტალინის თავისი ხელმოწერით, ყოველგვარი სასამართლოს გარეშე გამოჰქონდა ამ აღმნიშნებისთვის განაჩენი — დახვრეტა ან გადასახლება. თავის მოხსენებაში ხრუშჩოვი იმასაც აღნიშნავდა, რომ სტალინი პოლიტიბიუროს წევრებსაც უცერემონიოდ ექცეოდა და მათ დაშინებას ცდილობდა; გამოსვლისას, დროდადრო ტრიბუნაზე მუშტსაც აბრაზუნებდა. „ერთ მაგალითს მოგიყვანთ. ერთხელ, სტალინის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, პოლიტიბიუროს რამდენიმე წევრი სტალინს აგარაკზე ვესტუმრეთ, რათა რამდენიმე საჭირობო-

ტო საკითხზე გვეთათბირა. მოხდა ისე, რომ მაგიდასთან, სადაც ვისხედით, ჩემ წინ წიგნების დასტა იდო, რომელიც სტალინის ხელს უშლიდა, უკეთ დავენახე. ამან სტალინი გააღიზიანა და წამოიძახა: — მანდ რას დამსხდარხართ, გეშინიათ, არ დაგხვრიტოთ? ნუ შიშობთ, თქვენს დახვრეტას არ ვაპირებ. ჩემთან ახლოს გადმოსხედით“, — წერდა ხრუშჩოვი მოხსენების საშუალო ვარიანტში, მაგრამ შემდეგ რატომღაც, ამ მონაკვეთის მოხსენებიდან ამოღება გადაწყვიტა. ხრუშჩოვი ცდილობდა, თავის მოხსენებაში ხშირად ეხსენებინა სტალინის ქართველობა, თითქოს სწორედ ეს იყო ბელადის დანაშაულებრივი საქმიანობის მიზეზი. მოსკოვიდან სტალინის ბრალდებებისა და კრიტიკის შემცველი „დახურული წერილი“ საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობამაც მიიღო. მოკლედ, სტალინის კრიტიკა ქართველი ერის შეურაცხყოფაში გადაიზარდა. ხრუშჩოვის მოხსენებას ჩვენში უმწვავესი რეაქცია მოჰყვა. 1956 წლის 3 მარტს, სტალინის გარდაცვალების მესამე წლის-თავისათვის, თბილისში, სანაპიროზე, ბელადის ძეგლთან ხალხმა შეკრება დაიწყო. ერთ-ერთი პირველი, ვინც ქართველობის დასაცავად ქუჩაში გამოვიდა და სტალინის ძეგლი გვირგვინით შეამკო, ცნობილი ქართველი მსახიობი სპარტაკ ბალაშვილი იყო. მომდევნო დღეების განმავლობაში ხალხის რაოდენობა სულ უფრო იზრდებოდა. დემონსტრანტთა ნაწილი სტალინის ძეგლთან რჩებოდა, ნაწილი კი ლენინ-



ნის (ამჟამად — თავისუფლების) მოედანზე იყო შეკრებილი. სტალინისადმი მიძღვნილი გამოსვლების, სიმღერებისა და ლექსების ფონზე, მანიფესტაცია თანდათან, ეროვნულ სულისკვეთებას იძენდა. მაგალითად, ჯანსუღ ჩარკვიანმა მიტინგზე თავისი გამოსვლა დააგვირგვინა ლექსით, რომელიც შემდეგი სიტყვებით სრულდება: „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“ თბილისის გარდა, ხალხი სხვა ქალაქებშიც გამოვიდა ქუჩაში, მათ შორის — გორში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში. რაც დრო გადიოდა, დემონსტრანტთა მოთხოვნები და აქციის მონაწილეთა ქმედებები სულ უფრო რადიკალური ხდებოდა. ხალხი ქუჩაში ავტომობილების საყვირებითა და დროშების ფრიალით დადიოდა. სტუდენტთა ერთმა ჯგუფმა თბილისის ქუჩებში სატივრთო ავტომობილების კოლონით გადაადგილებაც კი სცადა. იმის გამო, რომ დემონსტრაციის უამრავი სტუდენტი და სკოლის მოსწავლე მონაწილეობდა, სასწავლო დაწესებულებებში აკადემიური პროცესი შეწყდა. სანარმოო პროცესი გაჩერდა ფაბრიკა-ქარხნებში...

საპროტესტო გამოსვლებში რესპუბლიკის პარტიული და ხელმძღვანელი მუშაკებიც მონაწილეობდნენ. მოგვიანებით, მათ მიერ გამოთქმული ყველა ნაციონალისტური მოსაზრება აგენტურულმა ქსელმა უშიშროების სამსახურს საიდუმლო ანგარიშში წარუდგინა. დროდადრო მომიტინგეებთან მიდიოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ალექსი ინაურცი. ამბობდა, რომ ინფორმატორებს არ ენდობოდა და თავად სურდა გაეკეთებინა მიმდინარე მოვლენების ანალიზი და შეფასება. რამდენჯერმე მიტინგის აქტივისტებთან მოლაპარაკებაც უცდია, მაგრამ უშედეგოდ. მოგვიანებით, როდესაც მარტის მოვლენების გამო მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო, ინაური თურმე პატიმრებთან



საკნებშიც ხშირად შედიოდა; თავად აკონტროლებდა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას და იმას, რომ მათზე ფიზიკური ზენწილი არ მომხდარიყო. მაშინდელი ხელმძღვანელი პირები ძალზე უცნაურ, ორპარტიულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: ახალგაზრდებს სტალინის ქომაგის გამო იჭერდნენ, თავად კი კაბინეტებში ბელადის მოზრდილი პორტრეტები ეკიდათ...

7 მარტს თბილისს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალი ჯუ დე ესტუმრა. მომიტინგეებმა შეიტყვეს, რომ საპატიო სტუმარი კრწანისის რეზიდენციაში დაბინავდა და გადამწყვიტეს, მასთან მისულიყვნენ, რათა მიტინგზე მიენვიათ და ამით, ჩინეთის რესპუბლიკის მხარდაჭერა მოეპოვებინათ. რამდენიმე ახალგაზრდა ჯუ დემ მართლაც მიიღო. მარშალთან შეხვედრისას ქართველმა ახალგაზრდებმა მათ ქედუნიც მოიკითხეს და ჯანმრთელობა უსურვეს. სტუმარმა მომიტინგეების მხრიდან დემონსტრაციაზე მიპატიჟება მიიღო, მაგრამ მოიბოდიშა, რომ ჯანმრთელობის გამო, ხალხის წინაშე გამოსვლას ვერ შეძლებდა, ამიტომ მიტინგზე თავის წარმომადგენელს გაგზავნიდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ, მიტინგზე მართლაც გამოჩნდა ჯუ დეს წარგზავნილი პირი და აქციის წევრებს სიტყვით მიმართა. გამომსვლელის სიტყვა ზოგადი ხასიათის იყო, მაგრამ ქართველი ხალხისადმი სამადლოებელი სიტყვებით მთავრდებოდა. ჩინეთის დელეგაციის ამგვარმა ჟესტმა კიდევ უფრო განარისხა მოსკოვი.

მოვლენებმა სწორედ ისეთი ხასიათი მიიღო, რომ შეიძლებოდა, საქართველოში საბჭოთა მმართველობის შეცვლის მოთხოვნაც გამოენიჭა. ახალგაზრდების ერთი ნაწილი საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნითაც გამოდიოდა. ვითარება უკიდურესად დაიძაბა. 9 მარტს საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა ვასილ მუჟანაძემ დემონსტრანტებს მიმართა და გარკვეულ დათმობებზე წასვლის პირობაც მისცა. მაგალითად, დემონსტრანტების მოთხოვნის შესაბამისად, განახლებოდა ბელადის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტატუების გამოქვეყნება, სახელმწიფო დაწესებულებებში კი კვლავ გაიმართებოდა სტალინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ოფიციალური ცერემონიები.

მაგრამ ჩამოთვლილი დათმობები საკმარისი არ აღმოჩნდა დემონსტრანტთა მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ცოტა ხანში ქალაქში ჯარის ნაწილები გამოჩნდა. ღამით, დაახლოებით თორმეტის ნახევარზე ხალხი რუსთაველის გამზირზე მიდებარე, კავშირგაბმულობის სახლისკენ დაიძრა. მომიტინგეების ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, დაეკავებინა ეს შენობა და იქიდან რადიოკავშირის საშუალებით, საკუთარი მოთხოვნები საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მოსახლეობისთვისაც გაეცნო. ჯარისკაცებმა მანიფესტანტებს ცეცხლი გაუხსნეს. ათეულობით ადამიანი ადგილზევე დაიღუპა, ასობით — დაიჭრა. ხალხი პანიკამ მოიცვა. გამთენიისას სანაპიროსკენ ტანჯები და ფეოსანთა ნაწილები გაეპართნენ.

მე-8 პოლკის ჯარისკაცებმა ალყაში მოაქციეს სტალინის ძეგლთან თავმოყრილი დემონსტრანტები, შემდეგ კი დაარბიეს. თვითმხილველთა მონათხრობით, თბილისის ქუჩები სისხლით იყო მორწყული. ამბობენ, რომ რუსი ჯარისკაცები ხეზე ამჭვრალ, შემინებულ ბავშვებსაც ესროდნენ და ჩიტებივით ხოცავდნენ, ქალებს კი ხიშტებით უსწორდებოდნენ. ჩადენილი ბარბაროსობის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლებამ დაჭრილთა და დაღუპულთა რეალური რაოდენობა დამალა. დაღუპულთა ოჯახებს მათი მიცვალებულთა დაკრძალვის უფლებაც კი არ მისცეს. უფრო მეტიც — ხელისუფლებამ თავისი ქმედება გაამართლა და ქართველებს ნაციონალიზმსა და შოვინიზმში დასდო ბრალი. 9 მარტის მოვლენების გამო მთელი პასუხისმგებლობა დემონსტრანტებს დაეკისრა და ვისაც ჯარისკაცები იარაღით ვერ გაუსწორდნენ, ხელისუფლებამ მათი დაპატიმრების ბრძანება გასცა.

საქართველოს შს სამინისტროს არქივში დაცულია დოკუმენტი, რომელსაც



ანერია: „1956 წლის მარტის მოვლენებთან დაკავშირებული მასალების კრებული“. საქმეში, საქართველოს სუკის ხელმძღვანელობასა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს შორის მიმონერის პირველადი ასლებია თავმოყრილი (სხვათა შორის, აღნიშნული მასალები მოსკოვიდან მხოლოდ 2000 წელს ჩამოიტანეს). თბილისიდან ცენტრში გაგზავნილ დეპუტებში თანამიმდევრულად არის აღწერილი 1956 წლის მარტში თბილისში განვითარებული მოვლენები, აღწერილია მოსახლეობის ზოგადი განწყობილება, რაც აგენტურულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდა. საარქივო მასალებში ასევე დაცულია სისხლის სამართლის საქმეები, 9-10 მარტსა და შემდგომში დაკავებულ პირებთან დაკავ-

შირებით. ყველაზე სქელტანიანი ამ საქმეებს შორის, დაპატიმრებული რუბენ ყიფიანის საქმეა. როგორც მასალებიდან ირკვევა, სწორედ რუბენ ყიფიანმა წაიკითხა 9 მარტის საღამოს, სტალინის ძეგლთან მიტინგზე დემონსტრანტების მოთხოვნები. მოგვიანებით, უკვე საპატიმროში მყოფ ყიფიანს კიდევ ერთი ბრალდება წაუყენეს, ამჯერად — ქართულ იატაკქვეშა ორგანიზაციებთან მიმონერაში ადანაშაულებდნენ. საინტერესოა, რომ საქმის მასალებში დაცულია აგრეთვე ყიფიანის პირადი საბუთები: პასპორტი, სამხედრო ბილეთი და პირადი წერილები.

მარტის მოვლენებში კიდევ ერთი ბრალდებული — მათემატიკის მასწავლებელი ვარლამ კუჭავა ყოფილა. როგორც მასალებიდან ირკვევა, ის კომუნისტური პარტიის წევრი იყო, მაგრამ დემონსტრაციების დროს ხალხის თვალწინ დაუხვია პარტიული ბილეთი და სხვებსაც მოუწოდებდა, მისთვის მიეხატათ. არქივში დაცული მასალებიდან ირკვევა, რომ 8 მარტს ცეკას პირველ მდივანს, ვასილ მუჟანაძეს მომიტინგეთაგან შერჩეული 10 ადამიანი შეხვდა, მათ შორის, კონსტანტინე ციციშვილი, რომელიც მოგვიანებით დააპატიმრეს.

მარტის მოვლენებთან დაკავშირებით, გორში გამართული საპროტესტო აქციის ორგანიზატორების ბრალდებით დააკავეს ახალგაზრდა ქალბატონი — მაცყალა გენცელაძე. დააპატიმრეს ასევე, პავლე ქერდიაშვილი, რომელმაც 9 მარტის საღამოს, სამხედროების მხრიდან განხორციელებული იერიშის შემდეგ, რამდენიმე მომიტინგე გორში საკუთარი ავტომობილით წაიყვანა და იქაურ დემონსტრანტებს თბილისში მომხდარის შესახებ უამბო... საქმე აღძრული იყო სპარტაკ მჭედლიძის მიმართ, რომელსაც მოსკოვიდან მომავალი მატარებლის ფანჯრების ჩამტვრევისთვის წაუყენეს ბრალი. საინტერესოა, რომ დაპატიმრებულთა პირადი ნივთებისა და წერილების გარდა, საქმეში დაცულია მომიტინგეთა ფოტოები, რომლებიც მილიციის ოპერატიულმა მუშაკებმა მათ ფარულად გადაუღეს.

9 მარტის შემდეგ, საქართველოში მოჩვენებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. მაგრამ უშიშროების კომიტეტის ციხე დღითი დღე პატიმრებით ივსებოდა. საარქივო მასალები გვამცნობს, რომ სულ 375 ადამიანი დააპატიმრეს, მათ შორის 34 — კომუნისტური პარტიის წევრი, 165 კომკავშირელი და 176 უპარტიო. ცეკას მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ დაღუპულ დემონსტრანტთა რაოდენობაც დაითვალა, მაგრამ რეალური მონაცემები არასდროს გამოქვეყნებულა. სპეციალური კომისიის დასკვნით, სამხედროებთან შეტაკებისას 83 ადამიანი დაიღუპა, მაგრამ ამ მოვლენების თვითმხილველებს კარგად ასსოვთ, რომ მსხვერპლი გაცილებით დიდი იყო და რომ ნამოქმედარის დაფარვის მიზნით, ჯარისკაცები დახოცილებს მტკვარში ყრიდნენ...

შინ უთუთხააღა სინსღს უკოფაღაქსო, ეკოისსი, მაგრაჰ ქაღიან ნიჭიეჟი მოჯაჟი

17 წლის ყოფილი „ჯეოსტარელი“ — გიორგი მახარაშვილი არა მარტო კარგად მღერის, არამედ მშვენიერ ფოტოებს იღებს და კარგადაც ხატავს. და კიდევ, თინეჯერებისთვის საყვარელი საბანკო ბარათი, რომელზეც კედებია გამოსახული, სწორედ მისი დიზაინის მიხედვით ყოფილა შექმნილი. გიორგი ძალიან მზიარული ადამიანია და საკუთარ სიგიჟეებზეც გულახდილად ლაპარაკობს.



„შეყვარებულს კომპიუტერის მეშვეობით უძღვნიდი სიმღერას“

ლიკა ქაჩაია

— ჩვენ, თინეჯერები ვართ გიჟები, გადარეულები, მზიარულები და ვამტკიცებთ, რომ უკომპლექსოებიც გახლავართ.

— **შენ აზრით, უკომპლექსო ხარ?**

— ზედმეტად უკომპლექსო ადამიანი უზრდელია, მე კი ასეთი ნამდვილად არ ვარ!..

— **ახლა რომელ კლასში ხარ?**

— მეთორმეტე კლასში გახლავართ. თავიდან 51-ე სკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ ერთი წელია, რაც მე-4 საშუალო სკოლაში გადავედი.

— **უკვე პროფესიაც არჩეული გაქვს?**

— სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებას ვაპირებ.

— **როგორც ვიცი, ფოტოს-ელოვნებით ხარ გატაცებული.**

— გატაცებული კი არა, რამდენიმე წელია, ფოტოგრაფიაში ვმუშაობ და უკვე გამოფენებიც მქონდა, კონკურსებშიც ვმონაწილეობდი. ბოლოს, სახალხო ბანკის მიერ გამოცხადებულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა — მოზარდების

საბანკო ბარათისთვის მოსაფიქრებელი იყო დიზაინი. 10 ნამუშევარი წარვადგინე, მათ შორის, კედებიანი ბარათის ვარიანტიც, რომელმაც გაიმარჯვა...

— **და რომელიც მოზარდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სანტიტერესია, ფოტოების პერსონალური გამოფენაც ხომ არ გქონდა?**

— კი, პერსონალური გამოფენა შარშან, „კოპალაში“, ჩემს დაბადების დღეზე მოვანწყვე. ახლა პოპულარული ადამიანების პორტრეტებზე ვმუშაობ და ფართო საზოგადოებას მათ უახლოეს მამავალში წარვუდგენ.

— **როგორც მომავალი მხატვარი, თავს რით მოგვანონებ?**

— ამ სფეროში ჯერჯერობით, ღირებული არაფერი შემიქმნია. უბრალოდ, ბავშვობიდან ვხატავ და მინდა, ამ საქმეს სერიოზულად მოვკიდო ხელი.

— **ჩვენთვის სახელდახლოდ ვერაფერს დახატავ?**

— ვერა. მუზა თუ არ მომივიდია, ისე ვერაფერს შევქმნი.

— **შენი მუზა როგორ უნდა მოგიზიდო?**

— ის ძირითადად, ღამე მოდის. ასე რომ, ახლა შანსი არაა...

— **ადამიანი, რომელიც რალაცის დახატვას შეგიკვების და ამ საქმეში, ფულს გადაგიხდის, შენს მუზას უნდა ელოდოს?**

— ფულს რომ არ მიხდის, მუზაც იმიტომ არ მოდის (იცინის).

— **ფული**

ხელის ჭუჭყი რომაა, არ იცი?

— არა, ის ხელის ჭუჭყი რომ იყოს, არავის ეყვარებოდა, მისი ჯიბეში ჩადებაც არავის ენდომებოდა. ფული თუ არ გაქვს, ამქვეყნიად ვერაფერს გააკეთებ. ისე, ვინც ფიქრობს, რომ ფული სიბინძურეა, შეუძლია, მე დამიკავშირდეს და მთელი თავისი ქონება გამომომცეს.

— **გამოდის, რომ ფული გიყვარს.**

— ცდები. ფული რომ მიყვარდეს, სხვა ეროვნების უნდა ვიყო და მას ბალიშებში, მუთაქებში უნდა ვმაღავდე. მე მისი შეგროვება კი არა, ხარჯვა მიყვარს.

— **შენ გაქვს შენი პატარ-პატარა შემოსავალი. თავს დამოუკიდებელ ადამიანად მიიჩნევ?**

— ჯერჯერობით, ბოლომდე დამოუკიდებელი არ ვარ, მაგრამ საკუთარი შრომით ნაშოვნია ფული ბევრ რალაცაში მეხმარება.

— **შენ მიერ ნაშოვნი ფულის ხარჯვა უფრო გინდებდა თუ მშობლების მიერ მორთმულის?**

— ნებისმიერი ადამიანის მიერ მოცემული ფულის ხარჯვა მიყვარს, მას ყოველთვის დაუნანებლად ვანიავებ... დამოუკიდებელი ალბათ, მაშინ ვიქნები, როცა სწავლას დაავითარებ და საქართველოდან წავალ.

— **საქართველოდან წასვლა გადწყვეტილი გაქვს?**

— კი, წავალ, მაგრამ სწორად ჩამოვალ.

— **ეი. შენ პატრიოტი არ ხარ.**

— პატრიოტი რომ ვარ, ამიტომაც ჩამოვალ სწირ-სწირად. ვნახთო, 4 წელიწადში სიტუაცია თუ შეიცვალა, შეიძლება, წასვლაც გადავიფიქრო. ჩვენთან ყველაფერი დაუფასებელია, მკვდარია...

— **შენ რა არ დაგიფასეს?**

— მარტო მე კი არა, ყველა უკმაყ-



ოფილოა! მაგალითად, დაუფასებელია ხელოვნების ნებისმიერ სფეროში მოღვაწე ადამიანის ღვაწლი. მე თვე-ნახევრის განმავლობაში ვიყავი ვეროპაში, სადაც ბევრი რამ ვნახე და გავიგონე. მერწმუნეთ, იქ მუშების შრომაც ბევრად დაფასებულია.

— თუ ჩვენს ქვეყანაში სიტუაცია არ შეიცვალა, რომელ ქვეყანაში აპირებთ თავის დამკვიდრებას.

— ოოო... საფრანგეთზე ჭკუა მეკეტება.

— ისე, ფრანგს რალაციტო ჰგავს არ კიდეც ჩემ გარდა ეს შენთვის არავის უთქვამს?

— უცნობებს ხშირად, უცხოელი ვგონივარ და ამის გამო, კურორტული სიტუაციაც არაერთხელ შემქმნია.

— მაგალითად?

— ფორუმის მეშვეობით, ფოტოგრაფები თითქმის ყოველ კვირადღეს ვიკრიბებით, მერე ამა თუ იმ ღირსშესანიშნავ ადგილას მივდივართ და ფოტოებს ვიღებთ. ერთხელ, ვიცოდით, რომ ჩვენს შეკრებაზე უცხოელი სტუმარიც უნდა მოსულიყო. ისიც მალაღლი, ქერათმიანი და სათვალის ტიპი გახლდათ. რამდენიმე კვირის შემდეგ, ის ბავშვები, რომლებიც არ მიცნობდნენ, ერთმანეთს ეკითხებოდნენ: ეს უცხოელი აქ რამდენ ხანს უნდა იყოს? მივხვდი, ჩემზე ლაპარაკობდნენ და მათ ვუთხარი: არა, ბატონო, უცხოელი კი არა, ქართველი ვარმეთქი. ბავშვებმა გაოცებისგან ნივთი-კივილი ატყეს.

— „ჯეოსტარსი“ წყალობით პოპულარული გახდა...

— „ჯეოსტარში“ მონაწილეობამდეც მიცნობდნენ, როგორც ფოტოგრაფს, მაგრამ ამ პროექტმა, რა თქმა უნდა, უფრო პოპულარული გამხადა. სხვათა შორის, „ჯეოსტარში“ ჩემი დანახვა ბევრს გაუკვირდა, რადგანაც მხოლოდ ძალიან ახლობელმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ ვმღეროდი და გიტარაზეც ვუკრავდი.

— ამ პროექტში მონაწილეობა კიდე რა მოგიტანა?

— სახელი — გავხდი „ჯეოსტარელი“ გიორგი მახარაშვილი (იციან).

— ქუჩაში უცხო ადამიანები ყურადღებას თუ გაქცევენ?

— მათგან ყურადღებას ვგრძნობ, მაგრამ ჯერ-ჯერობით, ქუჩაში არავინ დამხვედრია და არავის ვუცემივარ (იციან).

— როგორ, თავი ვანისმცემლები არ განუხებენ?

— არა, სად ან როგორ უნდა შემანუხონ?

— ამისთვის ათასგვარი საშუალება არ

სებობს: დაგეკონტაქტებიან „სკაიპში“ ან „ოდნოკლასნიკებში“, დაგირეკავენ მობილურ ტელეფონზე ან ბოლოს და ბოლოს, სახლში მოგაკითხავენ...

— ტელეფონის ნომერს ხშირად ვიცვლი. ასე რომ, ამისგან დაზღვეული ვარ (იციან). აი, სახლში კი ნამდვილად არავინ შემომვარდნია.

— გოგონებისთვის თუ გიმღერა?

— კი, ძალიან ბევრჯერ. „ჯეოსტარი“ რომ დამთავრდა, დაახლოებით, 2 თვეში „ქართულ ხმებში“ მივედი, სადაც არა მარტო ქართული ხალხური სიმღერა, არამედ „ქალაქურიც“ შემიყვარდა. ჰოდა, მას მერე ბიჭები დავდივართ და თუ ვილაცას „გული სტკივა“, მისი „ნამლის“ სახლთან მივდივართ, ფანჯრების ქვეშ ვდგებით და ვმღერით... ვიდრე „ქართულ ხმებში“ მივიდოდი, სუფთა თინეჯიკული პონტი იყო — შეყვარებულს კომპიუტერის მეშვეობით ვუძღვნიდი სიმღერას.

— „ჯეოსტარის“ დასრულების შემდეგ, რაიმე ხელსაყრელი შემოთავაზება არ მიგვლია?

— მიწვევები დღემდე მაქვს და რალაც დღესასწაულებზე, ღონისძიებებზე ვმღერი ხოლმე. სერიოზული შემოთავაზება მქონდა რუსეთიდან, მაგრამ აბიტურიენტობის გამო, უარი ვთქვი. აი, როცა გამოცდებს ჩავაბარებ, მერე ამაზეც ვიფიქრებ...

— მერე ასეთი შანსი რომ არ მოგეცეს, გული არ დაგწყდება?

— ეს ხელიდან გაშვებული შანსი ნამდვილად არ იქნება, რადგანაც ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი იმიტომ, რომ ჩავაბარო სასწავლებელში, რომელიც ძალიან მიყვარს და თანაც, დავუფლო პროფესიას, რომელზეც ვოცნებობ.

— იქნებ, შენი საყვარელი მომღერალი დაგვისახელო...

— ქართველებიდან ვერავის დავასახელებ, ვერ დავკონკრეტებ იმიტომ, რომ ბევრი მათგანი მომწონს. აი, უცხოელებიდან კი რეი ჩარლზს გამოვიყოფ. უმეტესწილად, ჯაზს და ბლუზს ვუსმენ ხოლმე.

— შენი თაობის წარმომადგენ

ლებს მიმბაძველებს ეძახიან...

— მე არც უცხოელს ვბაძვ, არც ქართველს და არც — ოჯახის რომელიმე წევრს. ვარ ინდივიდუალური და ისე მაცვია, როგორც მომწონს, ისეთი ვარცხნილობა მაქვს, რომელიც, ჩემი აზრით, მისდება. ყველა მეჩხუბება, რამსიგრძე თმა გაქვსო, მაგრამ მომწონს და რა ვქნა?! სულაც არ მინდა, ვილა-



ცას ვგავდე. რეი ჩარლზზე ვგოჟდები და მისი ესა თუ ის სიმღერა ბევრჯერ მიმღერია, მაგრამ არც მას ვბაძვ. მინდა, ყველაფერი ჩემებურად გავაკეთო.

— მეგობრები სად და როგორ ერთობით ხოლმე?

— ამ ბოლო დროს, თითქმის სულ ვილაცის სახლში ვიკრიბებით, ვმღერით, ვუყურებთ ფილმს, ვჭიჭიჭობთ და ა.შ. ჩვენ ყველგან ერთად დავდივართ. ხშირად ვსტუმრობთ „მაკდონალდსს“ ან შარდენის ქუჩაზე მდებარე რომელიმე ბარს.

— როცა ქეიფობთ, რამდენს სვამთ?

— რამდენიც გავიხარდება (იციან). ალკოჰოლზე არ ვგოჟდებით.

— ჯიუტი ხარ?

— უფრო, ეგოისტი ვარ, საშინლად ეგოისტი.

— შენი ეგოისტობა რაში გამოიხატება?

— ყველაფერი მწყინს. მაგალითად, მეგობარმა რომ დამირეკოს და მითხრას: წამოდი, ლევანთან ვიკრიბებითო, ვბრაზობ, — რატომ იქ და არა ჩემს სახლში-მეთქი?!



— როგორც ვხედავ, აქსესუარები გიყვარს...

— ძალიან მიყვარს საათი, მაგრამ ერთსა და იმავეს დიდხანს ვერ ვატარებ, მაქსიმუმ — 1-2 თვის შემდეგ, ჩემი საათი „ძველდება“ და ამიტომაც, სახლში მათი კოლექცია მაქვს. საათი, რომელსაც ახლა ვატარებ, მეგობარმა მარუტა და მას შევპირდი, რომ 2 თვე მაინც არ მოვიხსნიდი.

— ცხოვრებაში მსახიობობა თუ გინევს?

— თითქმის არასდროს ვმსახიობობ და ყველასთან ის ვარ, რაც ვარ.

— შენი არ მყვარა...

— ნუ, ზოგჯერ ადამიანის ცხოვრებაში ისეთი სიტუაციაც იქმნება, როცა მსახიობობა ძალაუფლებურად უწევს. მაგალითად, ადრე მანქანას სპირად ვმართავდი და როცა პატრული მაჩერებდა, ხმას ვიბოხებდი, რათა ჩემი ასაკი დამემალა. მას შემდეგ, რაც პოპულარული

რომ სკოლაში მისვლას ვერ მოვახერხებ და ამის გამო გული ძალიან მწყდება (იციინის).

— და სკოლაში რატომ ვერ ივლი?

— აბიტურიენტი ვარ.

— და ეს გამართლებს?

— მგონი, შენ რაღაცას გამიჩალიჩებ და... ვივლი სკოლაში, მაგრამ რა თქმა უნდა, ყოველდღე ვერა.

— მაშინ, როცა გაკვეთილებს ესწრები, კლასელებთან ერთად „შატალოზე“ არ მიდიხარ?

— როგორ არა, მივდიოდი თუ სტაზე, ვაკის პარკში, ვერის ბაღში, სალობოში.

— და ამის გამო არ გსჯიან?

— ჩვენი კლასი დაუმორჩილებლობით ყოველთვის გამოირჩეოდა და ამიტომაც, თუ ჩვენი მასწავლებელი გაკვეთილს ვერ გვტარებდა და მის ნაცვლად კლასში სხვა უნდა შემოსულიყო, ყველა აპროტესტებდა — მე ამ გიჟებთან არ შევალ! განსაკუთრებულად გადარეული კლასი ვიყავით და ამიტომაც, თითქმის ყოველთვის დასჯილები გახლდით.

— მასწავლებლებს დასჯის როგორი მეთოდი ჰქონდათ?

— დასჯილებს კლასის დალაგება გვევალებოდა, ზოგჯერ კი ხელწერილებს გვანერინებდნენ. სხვათა შორის, პირველი კლასიდანვე ძალიან ცელქი ვიყავი და ჩემზე ამბობდნენ, — გიორგი სისხლს გაგვითეთრებსო. როცა მეორე კლასში ვიყავი, მასწავლებლებმა მამაჩემი დაიბარეს და უსაყვედურეს: ძალიან ცელქიარ. მამას უთქვამს: აბა, რა ვქნა? კუნძივით რომ იდოს, იმას მირჩევნია, ძალიან ცელქი იყოსო. მოკლედ, ხან მერხს ვამტვრევდი და ხან ფანჯრის მინას ვამსხვრევდი. ამის გამო დედაჩემი სკოლაში იშვიათად მოდიოდა, ჩემი სიანცის გამო ნერვიულობდა, რცხვენოდა.

— მასწავლებელს სკაზე ჭიკარტსაც ხომ არ უდებდი?

— რა თქმა უნდა! ისე, მხოლოდ ჭიკარტის დადებას არ ვჯერდებოდი. პედაგოგებს ხან ფევილს ვაყრიდი თავზე და ხან — ცემენტს. ახლა იმ ასაკიდან გამოვედი და დასეპირობულდი (იციინის).

— როგორ ფიქრობ, სწავლა და გაკვეთილების მოყოლა „ტენაგს“?

— შეიძლება, ახლა ეს ვილაცას „უტყვედბოდეს“ კიდევ, მაგრამ მერწმუნეთ, ამის გამო ბოლოში უფრო „გაუტყვებათ“ — როცა ყველა სტუდენტი გახდება, შენ კი ბირჟაზე დგომა მოგიწევს, მერე ყველაფერს ინანებ...

— მშობლები რაიმეს გიკრძალებენ?



— არაფერს მიკრძალავენ, მაგრამ დედა ხშირად მეუბნება, — სახლში დროზე მოდი, არ დაიგვიანო. ცვდილობ, მართლა ცვდილობ, მშობელი არ ვანერვიულო (იციინის).

— და ეს არ გამოგდის, არა?..

— ჰო, ხშირად არ გამომდის.

— გიორგი, პირსინგიანი და სვირინგიანი გოგონები თუ მოგწონს?

— არა და დარწმუნებული ვარ, ასეთ გოგოს ცოლად არ მოვიყვან. მე მოდასაყოლილებთან ურთიერთობა არ მაქვს.

— შენს თანატოლებს რას ურჩევ?

— მე ვის რა უნდა ვურჩიო? ლენინი კი არ ვარ, ახალგაზრდებს რომ მოვუნო: სწავლა, სწავლა და სწავლა-მეთქი... აი, სწავლა, გართობა და გართობა კარგია.

— დასასვენებლად არსად მიდიხარ?

— მთელი ივნისი ვიყავი ევროპაში, მოვიარე 7 ქვეყანა და კარგადაც დავისვენე.

— რომელი ქვეყნები მოიარე?

— თურქეთი, უნგრეთი, რუმინეთი, გერმანია, ბულგარეთი, ჩეხეთი და ავსტრია.

— და ყველაზე მეტად რომელი ქვეყანა მოგწონა?

— ჩეხეთი. მერწმუნე, პრალაში სულ სხვა განზომილებაა, სულ სხვანაირი ცხოვრებაა; მომეწონა ბულგარეთიც და სხვათა შორის, ოქროს ქვიშების „ზაგარი“ ჩამომყვა... შეიძლება, აგვისტოს ბოლოს, როგორც ყოველთვის, ბათუმს ვესტუმრო.



გავხდით, საჭესთან არ ვმჯდარვარ. ჰოდა, საინტერესოა, პატრულმა ახლა რომ გამაჩეროს, თუ მიცნობს და რას მეტყვის (იციინის)?.. ისე, უღვაშების ყიდვაც მინდოდა, მაგრამ ვერსად ვიშოვე...

— გიორგი, როგორი მოსწავლე ხარ?

— აუ... ზარმაცი ვარ. ყოველთვის ვსწავლობდი მხოლოდ იმას, რაც მჭირდებოდა. არასდროს მოსწავლია ქიმიკა, რუსული და ა.შ.

— შენი კლასი „შატალოზე“ ხშირად დადის?

— სიმართლე გითხრა, 1 წელია, სკოლაში არ მივლია და გამოდის, რომ მთელი წელი „შატალოზე“ ვიყავი.

— შენს მასწავლებლებთან საქმის ჩანაწება მოსული პონტაჟი...

— (იციინის) არა, არა. უბრალოდ, ჯერ ფოტოგრაფიაში რაღაცებს ვწალირობდი და ჩემს საქმიანობას გაგებით მოკვიდნენ, მერე იყო „ჯეოსტარი“... ახლა მეუბნებიან, სკოლაში თუ მოხვალ, გიტარის გარეშე არ მიგიღებთო. ალბათ, მეთორმეტე კლასსაც ისე დავამთავრებ,





საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო




საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო




საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური



საქართველოს
საქართველო



საქართველოს
საქართველო

უძველეს მძლავრ ქრისტიანულ კერებს შორის ერთ-ერთი გახლავთ ათონის მთა. იგი სმელთაშუა ზღვაში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე მდებარეობს. წმინდა მთაზე, სამონასტრო ცხოვრების აღორძინებიდან დღემდე, სულიერო ცხოვრება არ შეწყვეტილა. ბერმონაზვნობის უწყვეტი ჯაჭვი საუკუნეების მანძილზეა შენარჩუნებული... მოგვითხრობს არქიმანდრიტი მახარი (აბასაძე):



ლეგენდა უხილავად მოღვაწე განდევილ ბერებზე, „დღის წმინდანის“ მოვლენა და წინასწარმეტყველება ათონის მთაზე

მორანა მერკვილაძე

— ათონის მთაზე მძლავრი სამონასტრო ცხოვრება როდის იღებს სათავეს?

— ათონის მთაზე, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების დროიდან — IV საუკუნიდან უკვე მკვიდრობდნენ განდევილი ბერები (ამ დრომდე ათონზე კერპთმსახურები მკვიდრობდნენ და კერპები და ბომონები იდგა), მაგრამ მძლავრ ქრისტიანულ კერად X საუკუნიდან ჩამოყალიბდა — მას შემდეგ, რაც ათანასე დიდმა დიდი ლავრა ჩამოაყალიბა. ათანასე დიდი დედით ლაზი გახლდათ. ვიცით, რომ ათონის მთაზე ასული უდიდესი ქართველი მამა, იოანე მთაწმინდელი სწორედ ათანასეს მიერ დაარსებულ მონასტერში დაემკვიდრა, რომელიც მაშინ ახალი დაარსებული გახლდათ. ათანასეს ლავრა იმ დროს ერთადერთი მონასტერი იყო ათონის მთაზე. ეს ის პერიოდია, როდესაც პალესტინა მუსლიმანების მიერაა დაპყრობილი და ქრისტიანთა დევნა იწყება. შესაბამისად, გაუსაძლისი პირობები შეიქმნა განმარტოებით მოღვაწეობისთვის. აღმოსავლეთიდან, სადაც ბერმონაზვნობის უდიდესი კერები იყო, ქრისტიან მოღვაწეთა მასობრივი გადინება დაიწყო. აღმოსავლეთთან ყველაზე ახლოს ათონის მთა იყო და იქიდან წამოსულმა მამებმაც მას მიაშურეს. ქრისტიანობის ცენტრმა ათონზე გადაინაცვლა.

როგორც მოგახსენეთ, პირველი მძლავრი სამონასტრო კერა ათანასე დიდმა ჩამოაყალიბა, შემდეგ კი მონასტრული კერები თანდათან ჩამოყალიბდა. დღესდღეობით, ათონის მთაზე 20 დიდი მონასტერი, რამდენიმე სკიტი და ასობით მცირე ეკლესია მოქმედებს. თითოეულ სკიტში 10-15 ბერი მოღვაწეობს, მონასტერში — 35-დან 100-მდე; არიან განდევილი ბერებიც.



— წმინდა მთაზე მოღვაწე მამები მკაცრი ცხოვრების წესითა და მოღვაწეობით გამოირჩევიან. თანამედროვე ეპოქაში განდევილ ბერებსაც ათონის მთაზე თუ შეეხვდებით. რა არის ამის მიზეზი?

— ათონის მთაზე ბერმონაზვნობის ტრადიცია არასოდეს დარღვეულა და უწყვეტად მოდის მას შემდეგ, რაც სამონასტრო ცენტრები, ბერმონაზვნობის კერები ჩამოყალიბდა; ბერმონაზვნობის ჯაჭვი არასოდეს განწყვეტილა. ამას უდიდესი გავლენა და მნიშვნელობა აქვს, რადგან ხელიდან ხელში გადადიოდა ის სწავლებები, რომელიც თავიდან იყო. ათონის მთაზე მოქმედ ტიპიკონს მართლმადიდებლურ სამყაროში ყველა მონასტერი ითვალისწინებს. საერთოდაც, სამონასტრო ტიპიკონებისა და საეკლესიო მსახურებების საბოლოო სახე სწორედ ათონის მთიდან მომდინარეობს, იქაური ტიპიკონის გავლენით დაჰყვიდრდა.

— ათონელი მამები იესოს ლოცვის განსაკუთრებულ ღვანლსაც ხომ ტვირთულობენ?

— ეს არა მარტო ათონელი ბერების, არამედ საერთოდ, ბერის მოვალეობაა. რაც შეეხება ისიხაზმს, რომლის ერთ-ერთი განსაკუთრებული, უმთავრესი შემადგენელი ნაწილი სწორედ იესოს ლოცვაა, ის მართლაც, ათონის მთაზე, XIV საუკუნეში (ისიხ-

აზმში, იესოს ლოცვის გარდა, სხვა ასკეტური მომენტებიცაა მოყვანილი) ჩამოყალიბდა.

ისიხაზმი გამოიყო მოღვაწეობის განსაკუთრებულ სახედ, რომელიც ადამიანს გაასხივოსნებს, აღწევინებს იმ მდგომარეობას, როდესაც ღირსი შეიქმნება ღვთაებრივი ნათლის ხილვისა; ეს გახლავთ ბერმონაზვნობის ხელოვნება, რომელიც დაკავშირებულია ღვთაებრივი ნათლის ხილვასთან. ამის მიღწევა შესაძლებელია განსაკუთრებული, ასკეტური ღვაწლით. მაგრამ თუ ადამიანი ამ სახის მოღვაწეობას მხოლოდ საკუთარი ჭკუით მიჰყვება, ის ღვთაებრივ ნათელს ვერ იხილავს, ამ მდგომარეობას ვერ მიაღწევს; შესაძლოა, ხიბლის მდგომარეობაში რაღაც ნათელი იხილოს, მაგრამ ეს ჭეშმარიტი ღვთაებრივი ნათელი არ იქნება. ისიხაზმი ადამიანმა გამოცდილი მოძღვრისგან უნდა ისწავლოს, უშუალოდ ხელიდან ხელში მიიღოს, იმისგან ისწავლოს, ვინც ამ მდგომარეობას მიაღწია და თან, შეუძლია, აკონტროლოს, თუ როგორ ისწავლობს. ისიხაზმის სწავლა ნაკითხვით შეუძლებელია.

— მინც, როგორი ტიპიკონი მოქმედებს ათონის მთაზე?

— განდევილ ბერებს ინდივიდუალური ტიპიკონი აქვთ, ლავრებსა და ზოგადცხოვრებულთა მონასტრებში ერთი და იგივე ტიპიკონი მოქმედებს.

მსახურებას შუალამიანის მსახურებით — ლამის 3 საათზე იწყებენ; 8 საათზე წირვა სრულდება, შემდეგ კი ტრაპეზობენ და მორჩილებას იწყებენ. 16 საათზე მორჩილებას წყვეტენ და სალამოს მსახურებები იწყებენ; სალამოს ლოცვების შემდეგ პირად კანონებს აღასრულებენ.

მათი საზრდელი მეტისმეტად მოკრძალებულია. ჩვეულებისამებრ, დღეში ორჯერ ტრაპეზობენ, დიდი მარხვისას კი — მხოლოდ ერთხელ.

საერთოდ, მართლმადიდებლურ სამყაროში, დღევანდელი არსებული საეკლესიო მსახურებათა ტიპიკონები ათონის მთიდან მომდინარეობს — მარხვის, ლოცვის, საზრდელის მიღებისა და ა.შ. — რომელიც თავის დროზე საბაწმინდის სამონასტრო ტიპიკონებიდან მომდინარე დაწესდა. ათონის მთაზე ცალკე ტიპიკონი არ ჩამოყალიბებიათ, მაგრამ საეკლესიო მსახურებათა ტიპიკონი, საბოლოო სახით, მართლმადიდებლურ სამყაროში ათონის მთაზე ჩამოყალიბდა და დამკვიდრდა.

სკიტებშიც იგივე ტიპიკონი მოქმედებს. სკიტები იგივე მონასტრებია, ოღონდ — მცირე ზომის. არსებობს სკიტების ორი სახეობა — შესაძლოა, სკიტში მცხოვრები ბერები ზოგადი ტიპიკონით ცხოვრობდნენ, ზოგიერთ სკიტში კი განდევნილად ცხოვრობენ, განმარტოებით ასრულებენ პირად კანონებს, მხოლოდ კვირა დღესა და საეკლესიო მსახურებებზე იკრიბებიან ეკლესიაში.

— იქნებ, ათონის მთაზე უხილავად მოღვაწე თორმეტი განდევნილი ბერის შესახებაც მოგიხსნათ...

— არსებობს ასეთი გადმოცემა, ლეგენდის სახით: ათონის მთაზე განმარტოებით მოღვაწეობს თორმეტი უხილავი ბერი და მათი ცხოვრება იდუმალღვინითაა მოცული. როდესაც რომელიმე მათგანი გარდაიცვლება, დანარჩენები ათონზე მოღვაწე რომელიმე ბერს გამოარჩევენ და გარდაცვლილის ნაცვლად, თავისთან უჩუმრად მიჰყავთ. მათი მოღვაწეობის შესახებ დანამდვილებით არავინ უწყის, არავითარი ზუსტი ცნობა არ არსებობს და ამასთანავე, ისინი კაცთაგან არავის უხილავს.

— რა დანიშნულება და მნიშვნელობა აქვს კინოტს?

— კინოტი ათონის მთის მმართველობითი სისტემაა. მასში ათონის მთის ყველა მონასტრის წარმომადგენელი გაერთიანებული და წელიწადში ერთხელ წინამძღვარს ირჩევენ. კინოტის გადამწყვეტილებებს ათონის მთის ყველა მონასტრისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

— წმინდა მთაზე არსებული „დღის წმინდანის“ მოვლენასთან დაკავრ

შირებით რას გვეტყვი? ათონზე უამრავი ქრისტიანული წმინდა თაემოცრული. წმინდა მთაზე მათი მოხვედრის ისტორიაც საინტერესოა...

— ვიცით, რომ საეკლესიო კალენდრის მიხედვით, ყოველდღე ამა თუ იმ წმინდანის ხსენებაა. ათონის მთის მონასტერში უამრავი წმინდანის წმინდა ნაწილია თავმოყრილი. ყოველდღიურად, კალენდრის მიხედვით, მოხსენიებულ წმინდანთა ნაწილები ტაძარში, თაყვანსაცემად გამოაქვთ, რათა ესა თუ ის წმინდანი უფრო მეტად იყოს პატივმიტებული და მის ხსენებასაც მეტი სადღესასწაულო ელფერი და განწყობილება მიეცეს.

როდესაც ბიზანტიის აღმოსავლეთ ტერიტორიები — სირია, პალესტინა და სხვა — მუსლიმანებმა დაიპყრეს, ქრისტიანმა ბერებმა თავი გამოარიდეს დევნილობას და თან წამოიღეს პალესტინისა და სირიის ტერიტორიაზე თავმოყრილი წმინდანებიც, რათა უსჯულოთათვის განერიდებინათ. ქრისტიანთა დევნა ალექსანდრიაშიც დაიწყო და სწინდებები იქიდანაც იქნა გამორიდებული. რადგან ამ პერიოდში ბერმონაზვნობის ყველაზე თვალსაჩინო სამონასტრო კერები ათონის მთაზე იყო, დევნილების ადგილებიდან გამორიდებული ბერები უმეტესად, ათონის მთაზე მკვიდრდებოდნენ და მათ მიერ წამოღებულმა სწინდებებმაც იქვე დაიდო ბინა.

— ათონის მთა სასწაულებითა და ნიშნებითაც გამოირჩეულია...

— ათონის მთა, ბოლო პერიოდის ბერმონაზვნებით დასახლებული ყველაზე ვრცელი ტერიტორიაა. წინათ, პალესტინისა და ეგვიპტის უდაბნოებშიც არსებობდა ბერმონაზვნობის უდიდესი კერები და შესაძლოა, იქ მეტი სასწაული აღესრულებოდა, მაგრამ რადგანაც ეს კერები გაცილებით ადრე არსებობდა, იქ აღსრულებული სასწაულების შესახებ ნაკლები ვიცით, ათონის მთა კი დღესაც ფუნქციონირებს და მისი სულიერი ცხოვრების შესახებაც მეტი რამ ვიცით.

— ვიცით ისიც, რომ ათონის მთა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობით სარგებლობს. ისიც ღვთისმშობლის ნილხვედრად მიიჩნევა.

— გადმოცემის თანახმად, იერუსალიმში ქრისტიანთა პირველი დევნის დროს ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი, იოანე ღვთისმეტყველთან და რამდენიმე მორწმუნესთან ერთად, გემით კიპროსისკენ გაემართა; სწორედ ამ მოგზაურობის დროს იხილა მან ათონის მთა. იმ დროს იქ წარმართები მკვიდრობდნენ. წმინდა ქალწულის მადლმოსილი სიტყვით, ბევრი მათგანი ქრისტეს სჯულზე მოექცა.

გამოთხოვებისას ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა იქ მყოფნი დალოცა და წარმოთქვა: „დაე, ჩემი ნილხვედრი იყოს ეს ადგილი, რომელიც ჩემი ძისა და ღმერთისაგან მომეცა, მე ვიქნები ამ მიდამოს მცველი და ღვთის წინაშე მსურველე შუამდგომელი“. წმინდა მთის ისტორიიდან არაერთი შემთხვევაა ცნობილი განსაცდელის უამს ღვთისმშობლის გამოცხადებისა და შეწვევისა. გარდამოცემის თანახმად, წმინდა ქალწულის მფარველობა იმ დრომდე არ მოაკლდება ათონის მთას, ვიდრე ივერიის ღვთისმშობლის ხატი წმინდა მთას არ დატოვებს. როდესაც ათონის მთა თურქებმა დაიპყრეს, იქ მოღვაწე ბერები ივერონის მონასტერში ყოველდღიურად მიდიოდნენ და ნახულობდნენ, იყო თუ არა იქ „ივერიისად“ ნოდებული ღვთისმშობლის ხატი, რადგან წინასწარმეტყველების თანახმად, როდესაც ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონის მთას დატოვებს, ბერებმაც უნდა დატოვონ იქაურობა. ამიტომ, მხოლოდ ხატის ადგილზე ხილვის შემდეგ ბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ მონასტრებში. თავად ივერიის ღვთისმშობლის ხატიც სასწაულებრივად მოხვდა ათონის მთაზე და უფლისა და ყოვლადწმინდა დედოფლის ნებით, ქართველთა — ივერონის მონასტერში დაიდო ბინა. სწორედ ამის გამო ეწოდა ივერიის ღვთისმშობლის ხატი, თორემ საქართველოსთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

იმავე წინასწარმეტყველების თანახმად, როდესაც ივერიის ღვთისმშობლის ხატი ათონის მთას დატოვებს, ეს იქნება ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ ქვეყანაზე ანტიქრისტე გამეფდა. ბერებმაც სასწრაფოდ უნდა დატოვონ იქაურობა და წავიდნენ, სადაც სურთ, ოღონდ, მონაზვნობის აღთქმა წმინდად შეინახონ, რადგან მას შემდეგ, რაც ღვთისმშობლის ივერიისად ნოდებული ხატი ამ ადგილს დატოვებს, ათონი ზღვაში შთაინთქმება. შესაძლოა, ეს არ მოხდეს პირდაპირი მნიშვნელობით — ათონის მთა წყალმა ფიზიკურად არ დაფაროს; საღვთისმეტყველო გამოცხადებებში, ჭეშმარიტ ეკლესიურ სწავლებებში „ზღვა“ ამქვეყნიურ ამოებებს, წუთისოფლის მღელვარებას ნიშნავს; შესაძლოა, ამ წინასწარმეტყველებაშიც სწორედ ამქვეყნიური ამოებებით დაფარვაზე იყოს ლაპარაკი — ათონის მთა მინიერი ამოებებით ანუ იმით „დაიფაროს“, რასაც ანტიქრისტე შესთავაზებს ადამიანებს...

P.S. „გზის“ მომდევნო ნომერში, ათონის მთაზე ქართველთა მოღვაწეობის შესახებ მოგიხსნათ.

სტალინი ბათუმში ანუ როცა ისტორიას აწვიმს...

მორყეული ხის საფეხურებით შევალ იქ, სადაც გასულ საუკუნეში დააბიჯებდა კაცი, რომელიც მსოფლიოს აზანზარებდა... სტალინის სახლ-მუზეუმი ბათუმშიც რომ არსებობს, ბევრმა ქართველმა არც კი იცის და ბევრს არც ის ახსოვს, რევოლუციურმა ბელადმა პირველად ბათუმში რომ გააჩაღა რევოლუციური ცეცხლი. სტალინის ბათუმური თავშესაფარი, პირად ნივთებთან ერთად, კარგა ხანია, მუზეუმადაა ქცეული, მაგრამ აქაურობას, ისევე, როგორც ისტორიას, სწორად ქუხილიც ესმის თავს, წვიმაც ასველებს და თოვლიც ათეთრებს...

ჩაბა ანანიძე

— სტალინის სახლ-მუზეუმი?.. მგონი, სადღაც აქ უნდა იყოს. აი, იმ კუთხეში, ჯართები რომ ყრია, ხომ ხედავთ? მუზეუმით მაქვთ და სტალინის ბიუსტსაც დანახავთ! — ასე მიმასწავლეს ერთ დროს მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ქართველის მუზეუმის მისამართი, პუშკინის ქუჩაზე, ხალხითა და გარე მოვარებებით გადაჭედნილი ქუჩა გადავკვეთე. მუზეუმის არსებობას აქ მხოლოდ ლამაზად მოვლილი ბაღით თუ იქვეებს ვინმე, თორემ...

— ქართველი ხართ? მუზეუმის სანახავად მოხვედით? რა ხდება?.. — ეზოშივე შემხვდა მუზეუმის გამგე, ნანა კილურაძე, რომელიც მორყეულ-ჩამოტყვევებული კიბის ავლის შემდეგ სახლ-მუზეუმშიც შემიძღვა:

— ქართველები იშვიათად მოდიან მუზეუმის სანახავად, არადა, ისტორიას ხომ ვერ შევცვლით?! ისტორიას უნახაობით ვერ გააქრობ!.. ძირითადად, უცხოელები გვსტუმრობენ. დღეში რამდენიმე ადამიანი მოდის და სტალინის ცხოვრების ყოველი



ბელადის გარდაცვალების შემდეგ არაერთხელ დახურეს. 1995 წელს სტალინის სახლ-მუზეუმი ბათუმში კვლავ გაიხსნა, მაგრამ როგორც ხედავთ, ის არცთუ სახარბიელო მდგომარეობაშია: მართალია, ყოველ ექსპონატს ვუვლით, თვალისჩინივით ვუფრთხილდებით, მაგრამ მუზეუმს რახანია, აწვიმს. შემოსასვლელში ხის კიბეც რამდენიმე წლის წინ, საკუთარი ძალებით გავაკეთებინე, მერე ის წვიმამ დააღობო, ახლის გაცემების საშუალება კი არ მაქვს. ამას წინათ, მთავრობიდან გვესტუმრნენ და დაგვირდნენ, რომ ამ მუზეუმსაც კაპიტალური რემონტი ჩაუტარდება.

ჩვენ ჯერ იმ პატარა საძინებელ ოთახს ვათვალიერებთ, სადაც სტალინს თანამებრძოლებთან ერთად ეძინა.

— აი, სტალინის პირადი პირ-

სახოცი, ხისდაფიანი საწოლი, ჩაიდანი, ჭურჭელი, პირადი ნივთები. როცა წვიმს, „სტალინისაც აწვიმს“, — მეუბნება ქალბატონი ნანა და ბელადის ცხოვრების ამსახველ დარბაზში გაყავარ. აქ მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომელი გერმანელ ტურისტს უხსნის რალაცას და სტუმარიც დიდი ინტერესით უსმენს.

— ამჟამად, მუზეუმს მხოლოდ 3 თანამშრომელი ვემსახურებით, — აივანზე გამოსვლისას მეუბნება ქალბატონი ნანა, — გიდების აყვანის შესაძლებლობა არ გვაქვს და ვცდილობთ, უცხოელებს თავადვე ავუხსნათ ყველაფერი. სამწუხაროდ, დღეს სწორად გაიგონებთ, — რალა დროს სტალინია, ის ხომ ისტორიას ჩაშვარდა?! ისტორიას ვინც ივინყებს, მას კარგი არაფერი მოსდის! ჩემი აზრით, ჩვენ უნდა ვეცნობოდეთ ისტორიის ნათელ ფურცლებსაც და ბნელსაც, დასკვნები კი შემდეგ გამოვიტანოთ. ამას წინათ, სკოლის ერთ-ერთ პედაგოგს შევეთავაზე, ბავშვები მუზეუმის დასათვალიერებლად მოეყვანა. იცით, რა მიპასუხა? — ბავშვებს როგორ ვუთხრა, სტალინის სახლ-მუზეუმში უნდა წაგიყვანოთ?! ნათელი მომავლის ასაშენებლად, ჩემი აზრით, წარსულისთვის თვალებში ჩახედვა საჭირო!

დიდი ადამიანის პატარა მუზეუმის მშვენიერ დიასახლისს ვემშვიდობები, ჩამომპალი კიბით სტალინის ბათუმური სახლის ლამაზ ეზოში ჩამოვდივარ და „მარტოობით დაღლილი“ ბელადის დახავსებულ ბიუსტსაც ვემშვიდობები. ■



წვრილმანიტი ინტერესდება...

— სტალინის ბათუმური ცხოვრება ჩვენც გაგვაცანით...

— 1901 წელს რევოლუციური იდეებით შეპყრობილი სტალინი ბათუმში სხვადასხვა ადგილას, არალეგალურად ცხოვრობდა, მათ შორის, ყველაზე დიდხანს — 66 დღე, თანამებრძოლებთან ერთად აქ დამალულა. ეს სახლი ვინმე მესაათე სიმსოვიჩის ეკუთვნოდა და სოციალ-დემოკრატიის პირველი შეხვედრაც ამ კედლებში გამართულა. სახლი მუზეუმად 1936 წელს გადაკეთდა, მაგრამ ის



შეხვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმირ ხარკოვის წიგნიდან „გენერალისიგნალი“



სტალინი და ბროსი – ბროსა ვიკოლოგისთვის

ეს წერილი, უკვე საკმაოდ დასწეულ-ბულმა ბელადმა, მომხდარი კონფლიქტიდან 2 თვის შემდეგ დაწერა. როგორც ჩანს, კრუშჩევის იმ დროისთვის წყენა გაუნელდა და, ლენინსა და სტალინს შორის ურთიერთობის შესაძლო განწყვეტის შიშით, მან მდივანს სთხოვა, არ გაეგზავნა ადრესატისთვის. მაგრამ მდივანმა ვერ გაბედა ლენინის თხოვნის უგულვებლყოფა.

სტალინმა ვერ კიდევ 1923 წლის 1-ელ თებერვალს მიმართა პოლიტიბიუროს თხოვნით — გაეთავისუფლებინათ იგი „ამს. ლენინისთვის ექიმების მიერ დაწესებული რეჟიმის შესრულებისთვის თვალყურის დევნებისგან“. როცა ზემოთ მოყვანილი, მრისხანე წერილი მიიღო, პასუხიც მოამზადა, სადაც კერძოდ, აღნიშნავდა, რომ მასსა და კრუშჩევის შორის გაუგებრობა მოხდა, მაგრამ თუ საჭირო იყო, ნათქვამს უკან წაიღებდა, თუმცა ვერ ხვდებოდა — „რამა საჭირო, რაში მადანაშაულებთ და კონკრეტულად, რა მომეთხოვება“.

ლენინს სტალინის პასუხი არ წაუკითხავს, რადგან იმ მომენტისთვის, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ის იმდენად ცუდად გრძობდა თავს, რომ ითხოვდა, წერილი დაესვათ მისი ტანჯვა-წამებისთვის და მისთვის კალიუმციანიდი მიეცათ...

1923 წლის 23 მარტს სტალინმა ასეთი

„პატივცემულო ამს. სტალინი! თქვენ თავს უფლება მიეცით, უხეზად მოჰყრობოდით ჩემს ცოლს და გალანძღვთ იგი. თუმცა მან პირობა მოგცათ, რომ დაიფიცებდა თქვენ მიერ ნათქვამს, ეს ფაქტი ცნობილი გახდა ზონოვიცისა და კამენევისთვის. არ ვაპირებ იმის იოლად დაფიცებას, რაც ჩემ სანაღმდეგოდ კეთდება, ის კი, რაც ჩემი ცოლის წინააღმდეგ კეთდება, ჩემ წინააღმდეგ ნამოქმედრია. ამიტომ გთხოვთ, მაცნობოთ — თანახმა ხართ თუ არა, უკან წაიღოთ თქვენ მიერ ნათქვამი სიტყვები და ბოდიში მოიხადოთ; თუ გირჩევნიათ, რომ ჩვენ შორის ურთიერთობას წერილი დაესვას. პატივისცემით, ლენინი“.

წერილით მიმართა პოლიტიბიუროს:

„შაბათს, 17 მარტს ულიანოვამ (ნ.კ.)

სრულიად საიდუმლოდ მაცნობა, როგორც

„ილიჩის თხოვნა სტალინისადმი“ — რომ მე

ვიკისრო ვალდებულე-

ბა, ვიშოვო და გადავცე

ილიჩს კალიუმციანიდის

ულუფა. სხვათა შორის,

კრუშჩევისკიამ მიხსრა,

რომ ილიჩი „საოცრად

განამდა ტკივილებისგან

და რომ ასე ცხოვრება

ალარ შეიძლება“ და და-

ყინებით მიხსოვა, „უარი

არ ვუთხრათ მას ამ თ-

ხოვნაზე“. კრუშჩევისა და

ყინებული მოთხოვნისა

და იმის გამო, რომ ილი-

ჩი ჩემს თანხმობას ით-

ხოვდა (როცა იქ ვიმყო-

ვებოდი და კრუშჩევის-

იას ვესაუბრებოდი, ორ-

ჯერ მოუხსნო ცოლს და

აღვლევებული, „სტალი-

ნის თანხმობას“ ითხო-

ვდა), მე ვერ ვუთხარი

უარი და ვუპასუხე:

„ვთხოვ ვ. ილიჩს, დამ-

შევიფიცოთ და ირწმუნოს,

რომ როცა საჭირო

იქნება, უყოყმანოდ

შეგასრულებ მის თხო-

ვნას“. ილიჩი მართლაც,

დამშვიდდა. მაგრამ

ვალდებულ ვარ, გან-

ვაცხადო, რომ ვერაფ-

რით გამოვეძენი საკუ-

თარ თავში ძალას,

შეგასრულო ლენინის თხოვნა, ამიტომ იძულებული ვარ, უარი ვთქვა ამ მისიანზე, რაოდენ ჭუმარული და აუცილებელიც უნდა იყოს იგი, და ამის შესახებაც ცეკას პოლიტიბიუროს წევრებს გაცნობებთ“.

როგორც ცნობილია, ლენინი 1924 წლის 24 იანვარს გარდაიცვალა. მისი სიკვდილის მიზეზების შესახებ ოფიციალური სამედიცინო დასკვნა არსებობს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბუნებით ავანტიურისტი და სტალინის მოძულე ლევ ტროცკი 1940 წლის ოქტომბერში ამასინჯებდა ზემოთ მოყვანილ ამბავს, როცა ჟურნალ „ლიფისთვის“ განკუთვნილ სტატიას წერდა და ირწმუნებოდა, რომ სტალინმა „ბელადის აღსასრული დააჩქარა“, რითაც ლენინის მოწამულაზე მიანიშნებდა. გასაკვირია, რომ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილმა ამერიკულმა ჟურნალმაც კი არ გამოაქვეყნა ეს სტატია, იმ მოტივით, რომ მასში „უტყუარი ფაქტები არ იყო მოყვანილი“, ამიტომ ტროცკი იძულებული გახდა, ნაკლებცნობილი ჟურნალისთვის — „ლიბერტისთვის“ მიემართა.

როგორც უტყუარი დოკუმენტური მასალიდან ამოკრებილი ინფორმაციით დავრწმუნდით, სტალინმა უარი თქვა ბელადის თხოვნის შესრულებაზე, რომელიც მას კრუშჩევიმ გადასცა, ამიტომ სრულიად აშკარაა, რომ ტროცკი ცრუობს. სტალინმა არა მარტო ლენინის მკურნალობისთვის საჭირო ყველა ღონე იხმარა, არამედ მისი სიკვდი-

ლის შემდეგ ბელადის უკვდავსაყოფად აუცილებელი ნაბიჯები გადადგა: სწორედ მისი იდეა გახლდათ, მოსკოვში მავზოლეუმის აგება და იქ ლენინის დასვენება; სტალინისავე ინიციატივით გადაარქვეს პეტროგრადს სახელი და ლენინგრადი უწოდეს, აგრეთვე, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქში ბელადის ძეგლი დადგეს...

მტრობა და ქიშპობა სტალინსა და ტროცკის შორის განსაკუთრებული სიმწვავეთ, ლენინის გარდაცვალების შემდეგ გაგრძელდა. ამ ბრძოლის ბევრი ეპიზოდი ცნობილია და უამრავ წიგნშია აღწერილი. მაგრამ არსებობს საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში ამბავი, რომელიც მივიწყებულია და ბევრისთვის უცნობი რჩება. არადა, ამ ამბავმა დიდი გავლენა იქონია პარტიასა და ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე და მას საკმაოდ ტრაგიკული შედეგებიც მოჰყვა.

1917 წლის თებერვლის და ოქტომბრის რევოლუციების პერიოდში, რუსეთში მოქმედ მრავალ პარტიასა და ორგანიზაციას შორის, არსებობდა ებრაელთა კომუნისტური პარტია (ეკპ), რომელიც კომუნისტურ მოღვაწეთაგან და მენშევიკთაგან დამოუკიდებლად, სეპარატისტულად მოქმედებდა, რაც იმას მოწმობს, რომ მას საკუთარი, განსაკუთრებული მიზნები ჰქონდა დასახუ-



კრუპსკაიამ მითხრა, რომ ილიჩი „საოცრად გაწაზმა გვიყილებისგან და რომ ასე ცხოვრება აღარ შეიძლება“

ლი, რომლებიც არ ემთხვეოდა სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების რევოლუციური ამოცანებს. მართალია, მას ებრაელთა კომუნისტური პარტია ერქვა, მაგრამ სინამდვილეში, არა კომუნისტური, არამედ სიონისტური ორგანიზაცია გახლდათ, რომელიც მრავალპარტიული რევოლუციური დომინანტის მღვრიე წყალში საკუთარი თევზის დაჭერას ლამობდა — ცდილობდა, ხელში ჩაეგდო ძალაუფლება და აესრულებინა ოდინდელი სიონისტური ოცნება — უკიდევანო ტერიტორიისა და უთვალავი სიმდიდრის მქონე რუსეთს დაჰპატრონებოდა. როგორც ცნობილია, არ გამოუვიდა — ბოლშევიკებმა იმარჯვეს და ოქტომბერში ძალაუფლება საკუთარ ხელში აიღეს.

...და აი, გავიდა წლები და მაშინ, როცა

სახელმწიფო მმართველობაში გაურკვევლობა იყო, რადგან დასწრებული ლენინი საქმეს ჩამოშორდა, ხოლო მისი მემკვიდრეობის რეალური შანსი ტროცკის (ნამდვილი გვარი — ბრონშტეინი) ჰქონდა, შესაბამისი ძალები, მისივე მონაწილეობით, გააქტიურდნენ...

1923 წლის იანვრის ცეკას პლენუმზე, სხვა საკითხებთან ერთად, საანგარიშო მოხსენებით, გენერალური მდივანი, იოსებ სტალინი უნდა გამოსულიყო. ლენინის დროს დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, პოლიტიბიუროსა და სამდივნოს ერთობლივ სხდომას მაშინდელი მთავრობის თავმჯდომარე, კამენევი (ნამდვილი გვარი — როზენფელდი) უძღვებოდა. და ყველასათვის მოულოდნელად, მან დასაწყისშივე განაცხადა:

— პოლიტიბიუროს მიაჩნია, რომ პირველ საკითხად, სტალინის მოხსენების ნაცვლად, მიზანშეწონილი იქნება, მოვიხილოთ ინფორმაცია ჩვენთვის მეგობრულ, ებრაელთა კომუნისტურ პარტიაში არსებული მდგომარეობის შესახებ. დროა, ამხანაგებო, ყოველგვარი ბიუროკრატიული დაბრკოლების გარეშე, ეკპ-ის ყველა წევრი ჩვენს პარტიაში მივილით.

ცეკას წევრები დუმდნენ. სტალინი დაბნეული ჩანდა: კამენევი პოლიტიბიუროს სახელით ლაპარაკობდა, არადა, მისი თანდასწრებით ეს საკითხი პოლიტიბიუროზე არ განიხილულა; გამოდიოდა, რომ ჩატარდა რაღაც სხვა, საიდუმლო სხდომა ან... არანაირი სხდომა არ ყოფილა და მაშინ...

უხერხული პაუზა გაგრძელდა. სტალინს კარგად ესმოდა: გამოთქმული ინიციატივის წინააღმდეგ დაუფარავად გალაშქრების შემთხვევაში, მას ისინიც შეიძლებდნენ, ვის პარტიაში გათრევასაც ცდილობდნენ, და ისინიც, ვინც ეს განიზრახა; მაგრამ არც გაჩუმება შეიძლებოდა, რადგან დუმილი — თანხმობის ნიშანია.

მან სიტყვა ითხოვა. კრიტიკულ სიტუაციაში გამოსავლის პოვნის საუცხოო უნარის მქონე სტალინმა თქვა:

— არ ვარ წინააღმდეგი, რომ ებრაელთა კომუნისტური პარტიის რამდენიმე ათასი წევრი რუსეთის ბოლშევიკთა კომუნისტურ პარტიაში მივილით. მაგრამ მიღება, ჩვენი პარტიის წესდების დარღვევის გარეშე უნდა განხორციელდეს ანუ — ინდივიდუალურად. წესდების თანახმად, ყველა მსურველმა, ჩვენი პარტიის ხუთწლიანი სტაჟის მქონე ხუთი წევრის რეკომენდაცია უნდა წარმოადგინოს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეკპ-ის პროგრამაში ჩანერილია: ებრაელები — ღვთიური ერია, რომელიც მოწოდებულია, საერთაშორისო ებრაულ მუშათა მოძრაობას უხელმძღვანელოს; ეკპ-ში მხოლოდ ეროვნებით ებრაელებს იღებენ. აუცილებელია, რომ ჩვენს პარტიაში შემოსვლის მსურველებმა და მთელმა ეკპ-მ თავის ყრილობაზე საჯაროდ, უარი თქვას საკუთარი პროგრამის სიონისტურ მიზნებზე.

ტროცკი ლამის სკამიდან წამოხტა და მისთვის ჩვეული ექსპრესიულობით, ხმაბლლა წამოიყვირა:

— აქ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. ის, რასაც სტალინი



მტრობა და ქიშპობა სტალინსა და ტროცკის შორის განსაკუთრებული სიმწვავეთ, ლენინის გარდაცვალების შემდეგ გაგრძელდა

ლაპარაკობს, უკვე პრაქტიკულად, გაკეთებულია: 1922 წლის პლენუმზე ეკპ-ის ცეკამ მიიღო გადაწყვეტილება — უარი თქვას სიონისტურ პროგრამაზე და გვთხოვოს, მივილით იგი ჩვენს პარტიაში. ვფიქრობ, დაუშვებელია, სტალინის შეხედულებისამებრ, უნდობლობით დავინყოთ ერთობლივი მოღვაწეობა, ეს ჩვენს ებრაელ ამხანაგებს შეურაცხყოფს!..

ტროცკის, ზინოვიევა (ნამდვილი გვარი — აფეღლაზუმი) დაუჭირა მხარი...

სტალინმა იცოდა, რომ თავისი მომხრეებით, უმცირესობაში იმყოფებოდა და გამარჯვების ნაკლები შანსი ჰქონდა. შესაძლებელი იყო, გენერალური მდივნის თანამდებობიდანაც მოეხსნათ. ამიტომ, კვლავ სიფრთხილე არჩია და თქვა:

— ვფიქრობ, საჭიროა, დავავალოთ ამხანაგ კუბიშევს (საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს), ებრაული პარტიული ორგანიზაციების წევრთა მიღების პრობლემებზე კიდევ წამოუშაოს და საბოლოოდ, ამის შემდეგ გადაწყვიტოთ საკითხი.

თვე-ნახევრის შემდეგ, 9 მარტს, გაზეთ „პრავდაში“, გავილი შრიფტით, შეუმჩნეველად ადგილას გამოქვეყნდა ცეკას მდივან კუბიშევის ხელმოწერილი დამოწმებული, რუსეთის კპ(ბ) ცეკას დადგენილება — ეკპ-ისა და მისი ცალკეული წევრების რკპ(ბ)-ში განწევრების შესახებ.

მაშინ ტროცკისებმა ქვეყანას იყვნენ მოდებული და მიზანმიმართულად, ერთიანი ფრონტით ებრძოდნენ სტალინსა და მის თანამოაზრეებს. ისეთი სიტუაცია კი შეიქმნა, თითქოს სტალინის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, — წესით, ის დღე-დღეზე უნდა მოეცილებინათ თავიდან. მაგრამ მოვლენები იმგვარად განვითარდა, რომ ტროცკისტების იმედისა და ვარაუდის საწინააღმდეგოდ, სტალინი მოულოდნელად, არათუ დასუსტდა, არამედ მომძლავრდა კიდევ და მისი ავტორიტეტიც პარტიაში მკვეთრად გაიზარდა. სტალინი, თავისი არსით, სტრატეგი გახლდათ და არასდროს იქნებოდა მუშტებს...

უცნაურია, მაგრამ ერთ-ერთი გარემოება, რომელმაც მის მომძლავრებას შეუწყობა ხელი, — ლენინის გარდაცვალება გახდა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

არჩივის თვალი, სვილოს ყურები, მგლის მუხლი და სიბერის ყნოსვა

ანუ როგორი უნდა იყოს ყველაზე ახალგაზრდა პენსიონარი

მათან შესვლისთანავე ლენვა-მტკრევის ხმას გაიგონებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი მართლაც რაღაცას ამტკრევენ... უბრალოდ, მომავალი ბარმენები ბოთლებითა და შეიკვრებით ფონგლიორობის ხელსაწყოებს ეუფლებიან და მათდა უნებურად, ერთიმეორესაც არცთუ ისე იშვიათად აზიანებენ.

ელენე ბასილიძე

ენი:

— ეს პროფესია ყოველთვის მომწონდა და შესაბამისად, ბარმენთა სკოლაში სწავლის სურვილიც მქონდა. ჰოდა, როგორც იქნა, მოვედი (ილიმება). იმედია, კარგი „ბარმენში“ ვიქნები.

— ამ პროფესიის დაუფლება რთულია?

— თავიდან ადვილი მეგონა, მაგრამ ისეთი იოლიც არ ყოფილა. თითოეული ბარმენი ბევრს ვმუშაობთ და დღის ბოლოს ისეთი დაღლილები ვართ, ფეხზე დგომაც გვიჭირს. ეს საქმიანობა დიდ ყურადღებას და საკუთარი თავის კონცენტრირებას მოითხოვს. ფლეირინგი იმდენად არა, უფრო თეორიული საკითხების შესწავლა მიჭირს — ვერ ვასწრებ და იმიტომ.

— თავი ჯერ არ გაგიტყენია?

— (იციანის) თავი არა, მაგრამ თავიდან ხელები მქონდა დალურჯებულნი...

— ისე, სილურჯეები ახლაც გემ-



ჩნევა...

— ჰო, ბოთლები მძიმეა, ხშირად ვერ ვიჭერ და... მარტო მე კი არა, აქ ყველა ასეა. თავიდან მართლა მაგრად გაგვიჭირდა. აი, ნახე (ნიკაპს მანახვებს), აქ შეიკერი მომარტყეს და ნაიარევი დამრჩა. ახლა ვარჯიშისას ერთმანეთს აღარ ვეკარებით, შორიშორს ვდგავართ, დაშინებულები ვართ (იციანის).

ზაზა:

— ძალიან მსიამოვნებს ის, რასაც ახლა ვაკეთებ (ბოთლსა და შეიკერს ატრიალებს) და ბარმენობაც ამიტომ გადავწყვიტე. ეს საქმე არაა ისეთი დამქანცველი და მოსაბუზრებელი, როგორც ოფისში 10 საათი ჯდომა და კლიენტების მომსახურებაა.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ კარგი ბარმენი დადგე?

— ფლეირინგის სიყვარული, კომუნიკაბელურობა: და კიდევ; უნდა გსიამოვნებდეს ის, რასაც ახლა ვაკეთებ (ბოთლსა და შეიკერს ატრიალებს) და ბარმენობაც ამიგომ გადავწყვიტე

მოვებდეს ის, რასაც აკეთებ. დაღრეჯილსახიანი ბარმენი არავის მოეწონება და ამიტომაც, როცა პროფესიონალი ხარ, ისიც უნდა შეძლო, რომ ყველა შენი პრობლემა ბარის გარეთ დატოვო და თუ სტუმარი უხასიათოდაა, მისი განწყობილების გაუმჯობესებაზეც იზრუნო. მოკლედ, რაც მაგარი ხარ, მით მეტი ხელფასი გაქვს (იციანის). ამ პროფესიის უარყოფითი მხარე ისაა, რომ ჩვენ პენსიაში ყველაზე ახალგაზრდა ასაკში მოგვიწევს გასვლა.

— ეგ როგორ?

— 45 წლის ჭაღარა ბარმენი სადმე გინახავს (ილიმება)? შეიძლება, ძველ კლასიკურ ბარებში ამ ასაკის მხოლოდ რამდენიმე პროფესიონალი იყოს შემორჩენილი.

— თქვენი საქმიანობა გარკვეულწილად, სახიფათოა...

— შეიძლება, ვილაცისთვის ძალიან გაუგებარი იყოს, თუ როგორ უნდა გაგიტყდეს ბარში მუშაობისას ცხვირი ან თავი (იციანის)?! ხდება გარკვეული ექსცესები, რომელიც აზიანებს არა მარტო სხეულს, არამედ — სულსაც... თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ შეიკერი სხვისთვის არ გამირტყამს და არც სხვების მიერ აგდებული მომხდვრია. ფუი, ფუი, ფუი (იციანის და მაგიდაზე აკაკუნებს)... სამაგიეროდ, ჩემივე ხელით აგდებული ბევრჯერ დამცემია თავში...

— როგორი უნდა იყოს ბარმენი?

— ბარმენს არნივის თვალი, სპილოს ყურები, მგლის მუხლი, სეტერის ყნოსვა და ჭიანჭველას ძალა უნდა ჰქონდეს (იციანის)!
— ბარში კუროზი ხშირად ხდება?

— რა თქმა უნდა! ამას წინათ, კარ-



გად ნასვამი გოგონა შემოვიდა, ბარის „სტოიკაზე“ ჩამომიჯდა და 80-გრადუსიანი სასმელი — „რომი შტრო“ მომთხოვა. მოგესხენებათ, ეს რომი ცეცხლომოკიდებული უნდა დალიო. მე ვურჩიე, — იქნებ, არ დაგელია-მეთქი?!— და სხვა სასმელი შევთავაზე, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, ვერაფერი გავაგებინე. ჰოდა, დალია თუ არა, „სტოიკიდან“ გადავარდა (იციან). აი, ასეთებიც ხდება და როგორ გინდა, ამ ყველაფერს გაუძლო?!

მაძმი, ფლეირინგის მასწავლებელი: — მომავალი ბარმენები ბოთლებით ჟონგლირობას ადვილად ითვისებენ?

— არის კატეგორია, რომელიც ყველაფერს მალე ითვისებს და არის კატეგორია, რომელთანაც რაც უნდა ბევრი ვიმუშაო, მაინც არაფერი გამომდის... ეს ნაკადი, წინასთან შედარებით, გაცილებით ნიჭიერია. ჩვენს საქმიანობაში ყველაფერი მოქნილობასა და ელასტიკურობაზეა დამოკიდებული. და კიდევ, რაც უფრო დიდია ბარმენობის შესწავლის სურვილი, მით უფრო იოლად გამოსდით ყველაფერი.

— რა მოეთხოვება კარგ ბარმენს?

— პატიოსნება, ენერგიულობა, კომუნიკაბელურობა. ასევე, ბარმენი მხიარულიც უნდა იყოს, იუმორის გრძობა ჰქონდეს.

— ამჟამად, თავად თუ მუშაობ და რომელ ბარში?

— ვმუშაობ, მაგრამ მიტინგების გამო, გვარიანი დასვენება გამომივიდა — ზუსტად „გურუს“ წინ დადგეს საკნები... ჩვენი პროფესია სახალისო კია, მაგრამ მოგესხენებათ, არც გადამეტებული მხიარულება ვარგა! ერთი ჩემი მეგობარი კოქტილს ბარის „სტოიკაზე“ აკეთებდა და როცა იქიდან ჩამოსვლა განიზრახა, ფეხი აუცდა, დახლიდან სასმელები „მოხვეტა“ და ზედ გადაისხა (იციან)... ბევრ უცნაურ ადამიანთან გვინვს ურთიერთობა და ზოგიერთი მათგანი სიტუაციის დაძაბვას ხშირად ცდილობს. ამიტომაც, ჩვენი პროფესიის ადამიანს აუცილებლად უნდა ეხერხებოდეს ასეთი სიტუაციიდან გამოძრომა და მისი „გალითება“.

— ეს რამდენად იოლია?

— დღემდე 500 კაცი რომ შემოდის და უმრავლესობას ერთი და იგივე პრობლემა აქვს, მათგან თავის დაძვრენა უკვე იოლი გეჩვენება. პირადად მე, უკვე ეხვდები, ვის რა აწუხებს და სიტუაციის „გალითებას“ სწორედ ამის მიხედვით ვცდილობ.

— რატომ აირჩიე ეს პროფესია?

— 18 წლის ვიყავი, როცა მუშაობა დავიწყე. თავიდან ბარ-

მენის დამხმარე ვიყავი, მერე კი ვისწავლე, ვისწავლე და ახლა კარგად ვარ (იციან). ბარმენობა ყველაზე დამოუკიდებელ პროფესიად მიმაჩნია და ჩემი საქმე ძალიან მიყვარს...

ბიორბი შაპერაშვილი, ბარმენთა საერთაშორისო ცენტრის პრეზიდენტი:

— რამდენი ხანა, რაც საქართველოში ბარმენთა სკოლა ჩამოყალიბდა?

— 2002 წელს ჩამოვყალიბეთ საქართველოს ბარმენთა კავშირი. მაშინ საქართველოში ეს პროფესია ნაკლებად პოპულარული იყო და მისი პოპულარიზაციის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ. 2006 წელს, უკრაინის ბარმენთა ასოციაციის მაგალითზე, ჩვენს სამშობლოში ჩამოვყალიბეთ სკოლა, სადაც ბარმენობის შესწავლა შესაძლებელი გახდა.

— ანუ თქვენი იდეა ძირითადად, ამ საქმიანობის პოპულარიზაციას ემსახურებოდა?

— კი, ასე იყო. თანაც, მაშინ ბარმენების უფლებების შელახვაც ხშირად ხდებოდა და მსგავსი შემთხვევები დღესაც ფიქსირდება... ბარმენებს არაადამიანურ პირობებში უწევთ მუშაობა და თან, დღემდე 16-საათიანი სამუშაო გრაფიკი აქვთ; გარდა ამისა, ზოგჯერ ღამის თევაც უწევთ. ეს ყველაფერი კი ადამიანის ჯანმრთელობაზეც უარყოფითად აისახება. სამწუხაროდ, მათ ამ თავგანწირვას არაფერ უფასებს. იმედი გვქონდა, რომ პროფესიის პოპულარიზაციის შედეგად, ბარმენებისათვის ადამიანური სამუშაო განრიგი დაწესდებოდა და თანაც, ეს ყველაფერი ხელფასზეც აისახებოდა... ბარმენობა დამატებითი პროფესიაა და ნებისმიერ ახალგაზრდას შეუძლია, თავი ამ საქმეშიც გამოცადოს.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ მონდომებული ადამიანი კარგ ბარმენად ჩამოყალიბდეს?

— პირველ რიგში, მონდომება, პა-

სუხისმგებლობა და იმის გათვითცნობიერება, რომ შენ გაქვს სამასასური და ეს სამასასური სრულებითაც არაა სათავილო!

— წლის განმავლობაში დაახლოებით, რამდენ ბარმენს ეძლევა სერტიფიკატი?

— ჩვენთან დაახლოებით, 50-მდე მოსწავლე ცდილობს ბარმენის პროფესიის დაუფლებას, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ სკოლის იმიჯს ძალიან ვუფრთხილდებით, ზოგიერთი სერტიფიკატს ვერ იღებს (ილიმება)... ადრე ბარში გამოკვეთილი ბარმენები, ან მონყენილები ისხდნენ, ან კროსკორდს ავსებდნენ და ბართან, ფაქტობრივად, არავინ ჯდებოდა. ახლა კი, როცა ბარმენი ხან ყინულს აგდებს ჭიქაში, ხან შეიკვრით ჟონგლირობს, კლიენტი ბარისაკენ მიიწევს; ადრე თუ ბარმენები თავიანთი დაბალი ხელფასის კომპენსირებას ფულის მოპარვით ცდილობდნენ, ახლა ლამაზად მინოდებული კოქტილითა და თავიანთი ჟონგლირობის ნყალობით იღებენ ენ. „ჩაის“.

— ბარებისაგან ვორტუოზ ბარმენებზე მოთხოვნა არის?

— კი, რა თქმა უნდა! ბარმენი ხომ ბარის სახე და მისი წარმატებული მუშაობის მთავარი ფაქტორია. ჰოდა, ამიტომაც, კარგ და პატიოსანი ბარმენზე ტაციაობაა. ამ პროფესიის ადამიანები სასმელებშიც კარგად უნდა ერკვეოდნენ და კლიენტის ნებისმიერ შეკითხვას პასუხი გასცენ. ასევე, მათ აუცილებლად უნდა დაიცვან ჰიგიენის წესები, იყვნენ სწრაფები, პატიოსნები. პატიოსნება ბარმენისთვის „ოქროს წესია“. ხომ იცით, სახელის გატეხას, თავის გატეხა სკოლს (ილიმება).

— როგორც ვიცი, ბარმენებს შორის ენყობა შეჯიბრება...

— საერთაშორისო ბარმენთა ასოციაციაში სამოცამდე ქვეყანაა განვერებული და მათ შორის ყოველ წელს იმართება მსოფლიო ჩემპიონატი. ამ ზაფხულს ერთ-ერთ არაოფიციალურ მსოფლიო ჩემპიონატში ვაპირებთ მონაწილეობას. ჯერ საქართველოში ჩატარდება შესარჩევი კონკურსი და შემდეგ, 2 საუკეთესო ბარმენს გავგზავნით იტალიაში, კერძოდ — ტურინში.

— ამ პროფესიით გოგონები თუ ინტერესდებიან?

— გოგონებში ეს პროფესია პოპულარული ნამდვილად არაა, მაგრამ ამჟამად გვყავს 2 გოგონა, რომელიც ამ პროფესიას ეუფლება. სხვათა შორის, მათ ეს საქმე ცუდად არ გამოსდით... ჩვენი მოსწავლეები ჟონგლირობისას ძალიან შავდებიან და ახლა გადავწყვიტე, მათ „კასკები“ ვუყიდო (იციან).



საერთაშორისო ბარმენთა ასოციაციაში სამოცამდე ქვეყანაა გაწევრიებული

GENERAL MOTORS გაქობრებას გადაურჩა

კომპანია „ჯენერალ მოტორსმა“ საკუთარ შემადგენლობაში საუკეთესო ქვედანაყოფები დაიტოვა და გაკოტრებას თავი დააღწია. ახალი GM Chevrolet-ის, Cadillac-ის, Buick-ისა და GMC-ის მარკის ავტომობილებს გამოუშვებს. სხვა ბრენდები კი, კერძოდ — Hummer, Saab, Opel და Vauxhall — კვლავ გასაყიდთა სიაში რჩება.



ახალ GM-ს უფრო ნაკლები თანამშრომელი და დილერი ეყოლება და ვალეიც ნაკლები ექნება. შარშან მხოლოდ აშშ-ში, კომპანიაში მომუშავე თანამშრომელთა რიცხვი 27 ათასი ადამიანით შემცირდა, ხოლო ქარხნების რაოდენობა — 13-ით.

კომპანიის თავმჯდომარემ, ფრიც ჰენდერსონმა „ახალი ეპოქის“ დაწყებასთან დაკავშირებით, საგანგებო განცხადება გააკეთა. „ჩვენი კომპანია ისევ შემოსავლიანი გახდება. მალე ვალებს გადავიხდით და ჩვენი მსუბუქი თუ სატიერთო ავტომობილები კვლავ მსოფლიოში საუკეთესოთა შორის იქნება“, — განაცხადა მან.

იაპონელები ელექტრომობილებს „აიკულებენ“, იხმაუროს

ექსპერტთა ჯგუფმა, რომელიც იაპონიაში ჩამოყალიბდა და მეცნიერებს, ავტომობილისტებს, ავტოკომპანიებში პოლიციის წარმომადგენლებსა და აგრეთვე მხედველობადაქვეითებულ ადამიანებს აერთიანებს, წამოაყენა წინადადება, რომ ყველა ელექტრომობილი და ჰიბრიდი ისეთი მოწყობილობით აღიჭურვოს, რომელიც ხმას გამოსცემს. მიზანი ის გახლავთ, რომ როდესაც ფეხით მოსიარულეს ჰიბრიდი უახლოვდება, იგი ავტომობილის ხმას ვერ იგებს, რასაც შესაძლოა, უბედური შემთხვევა მოჰყვეს.



წლის ყველაზე საიმედო ავტომობილი



„პორშე“



„კადილაკი“



„ლექსუსი“

რეიტინგი დამყარებულია 80 ათასი ავტომფლობელის გამოკითხვის შედეგებზე, რომელთაც 2008 ან 2009 წლებში გამოშვებული მანქანები ჰყავთ. ამ რეიტინგის ისტორიაში უკვე მეთორმეტ-

ედ ყველაზე საიმედო ავტომობილის წოდება Lexus-ს ხვდა. J.D. Power and Associates-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვისას გათვალისწინებული იყო ავტომობილების მწყობრიდან გამოსვლისა და

გაუმართაობის სიხშირე, რომელიც მანქანის შექენიდან 90 დღის განმავლობაში გამოვლინდა. საიმედოობის რეიტინგში მეორე ადგილი Porsche-მ დაიკავა, ხოლო მესამე — Cadillac-მა

ინდოეთა იაფფასიანი ავტომობილები გამოუშვა

ინდოეთის ქუჩებში ყველაზე იაფი ავტომობილი — Nano — პირველად გამოჩნდა, რომელთაც კომპანია — Tata აწარმოებს.

ეს ავტომობილი ინდოეთში 100 ათასი რუპია (2.050 დოლარი) ღირს. თუმცა მანქანის ფასს გადასახადები და ტრანსპორტირების ხარჯები ემატება.

კომპანიის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ ავტომობილი ხელმისაწვდომი იყოს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც მოტოტრანსპორტს ანიჭებენ უპირატესობას.

2010 წლისათვის კომპანიას, ამ ტიპის 100 ათასი ავტომობილის ბაზარზე გაყვანა აქვს განზრახული.



„ნანო“

ჰოროსკოპი

(23 - 29 ივლისი)

ფაჩა:

ამ პერიოდში ზედმეტად გაღიზიანებული იქნებით. კარგია, თუ კოლეგებთან და ოჯახის წევრებთან კონფლიქტს მოერიდებით. კვირას განმარტოვდით და დაისვენეთ.

კაჩი:

კოლეგების დაუდევრობამ შეიძლება, დაგაზარალოთ. ამიტომაც, გადაამოწმეთ ყველა ინფორმაცია. დასვენების დღეებში საქმიან პარტნიორებთან ერთად, პიკნიკი მოაწყვეთ.

ტაუპი:

დატვირთული და დაძაბული სამუშაო კვირის შემდეგ, უქმე დღეებში ოჯახის წევრებთან ერთად, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ. ნუ გასცემთ სხვათა საიდუმლოებებს.

კიჩხი:

ნუ აჩქარდებით, რათა მნიშვნელოვანი დეტალები არ გამოგრჩეთ. საყვარელ ადამიანს საქმეს ნუ გაურჩევთ. უმჯობესია, მას დაეხმაროთ და მხარში ამოუდგეთ.

ფიქი:

უკვე დაწყებული საქმეები დაასრულეთ. კარგია, თუ ახალ ტანსაცმელსაც შეიძინეთ. დასვენების დღეები შვილებთან ერთად, ბუნების ნიაღში გაატარეთ.

ქაჩი:

ყველა საქმის მოგვარებას დამოუკიდებლად ნუ შეეცდებით, სხვებიც დაიხმარეთ. მოერიდეთ ისეთ ადამიანებთან ურთიერთობას, რომლებიც გაღიზიანებენ.

სახსოფი:

ამ კვირაში საყვარელი ადამიანი სიურპრიზებით გაგანებიერებთ. მეგობრების პირად საქმეებში ცხვირს ნუ ჩაყოფთ და კონფლიქტურ სიტუაციებსაც აარიდეთ თავი.

ფიქი:

სამსახურში რეპუტაცია არ გაიფუჭოთ. გაფრთხილდით, მეგობრებმა რაიმე სახის ავანტიურაში არ ჩაგითრიონ. კვირის ბოლოს ავტომობილს ან ბინას შეიძინეთ.

ფიქი:

შეხვედრები და ახალი ნაცნობობა გელით. მოსალოდნელია ახალ პროექტებზე მუშაობის დაწყებაც. მგზავრობისთვის კარგი დღეა შაბათი და კვირა.

ფიქი:

თქვენთვის პოზიტიური დღეა პარასკევი. კოლეგების დახმარებით ახალ გეგმებსა და იდეებს განახორციელებთ. დასასვენებლად ოჯახის წევრებთან ერთად გაემგზავრეთ.

ფიქი:

მოსალოდნელია სერიოზული ცვლილებები, სამსახურის დაწყება, საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, საზღვარგარეთ გამგზავრება ან ქორწინება.

ფიქი:

დაუფიქრებელ გადაწყვეტილებას ნუ მიიღებთ. მოერიდეთ კოლეგებთან კამათს. დასვენების დღეებში საოჯახო საქმეები მოაგვარეთ და დრო მეგობრებისთვისაც გამონახეთ.

პატარა ბენიოსოკანი

გაზეთ „კვირის პალიტრის“ არქივიდან



5 წლის მარი ბერიაშვილმა ფეხმძიმე დედიკოს სთხოვა, პირი გააღო; მერე კი დედას კალთაზე ააცოცდა და იყვირა:

— ბიჭო, გესმის? ეს მე ვარ, შენი ხუჭუჭა დაიკო.



პატარა დათუნა ურეკში ისვენებდა. ერთხელ მამასთან ერთად, სანაპიროზე იდგა და შავ ზღვას გაჰყურებდა.

— მამიკო, ეს ზღვა ლურჯი როა, შავი რატომ ჰქვია?

— იქნებ, უფრო საინტერესო რამე მკითხო? — უპასუხა გაღიზიანებულმა მამამ.

— კარგი, მითხარი, მკვდარი ზღვა რითი მოკვდა?



4 წლის ანუკი ბალახაშვილმა, რომლის მამა სამხედრო ნაწილში მსახურობს, ჯარისკაცები დაინახა და დედიკოს უთხრა:

— დედიკო, მამიკოები მოდიან.



4 წლის მანანა ნადაშვილმა კანფეტს ქალაღი შემოაცალა და როდესაც მეორე თეთრი ქალაღი დაინახა, დედას მიუბრუნდა:

— დედა, კანფეტს პერანგი გავხადო?



პატარა ნიკა ჩეჩელაშვილმა დაინახა, რომ ბებიამისი თევზს ქერცლს აცლიდა და ჰკითხა:

— ბებო, რატომ ხდი თევზს ტანსაცმელს?



პატარა რუსუდან მიქავა დიდი გურმანია და ეს ეტყობა კიდეც — ისეთი

პუტკუნაა, რომ იტყვიან, კანში ვეღარ ეტევა. ერთხელ ბებო გააბრაზა. ცოტა ხანში ბებია სავარძელში ჩაჯდა, თვალები მილულა და შვილიშვილის შესაშინებლად თქვა:

— მე ახლა მოკვდები...

რუსუდანი ხან აქედან მიუდგა ბებოს, ხან — იქიდან და შეეხვეწა:

— ბებო, ჯერ მაჭამე და მერე მოკვდი, რაა...



3 წლის კახი კახიანს პატარა ძმა, სოსო შეეძინა. ბიჭუნას მეზობელმა ჰკითხა:

— კახი, შენი ძმა რა გვარია?

— მე კახი კახიანი ვარ და ჩემი ძმა სოსო სოსოიანი იქნება, — სწრაფად უპასუხა ბიჭმა.

თბილისის უკანასკნელი ყარაჩოხელები

იმა ტუხიაშვილი

„...და ალიონზე თეთრ დუქანთან სტირის არღანი“. ახლა თბილისის ქუჩებში არღნის ხმას იშვიათად გაიგონებთ, გასული საუკუნეების თბილისში კი მოლხენას მერაღლე ყარაჩოხელების გარეშე რა ფასი ჰქონდა?! ძველ თბილისელებს დღემდე ახსოვთ



ალე პაპა

ქალაქის უხუცესი და შეიძლება ითქვას, უკანასკნელი ყარაჩოხელები — რანგია და ალე პაპა.

ალე მეტად გულჩათხრობილი და უთქმელი კაცი ყოფილა. პირადი ტრაგედიის გამო, თურმე მუდამ ნაღვლიანი თვალები ჰქონდა და მეტწილად არღანზე, მისი განწყობილების შესაფერის, სვედიან მელოდებს უკრავდა.

მართალია, მისი მუსიკა მელანქოლიურ განწყობილებაზე გაყენებდა, მაგრამ ქუჩაში ალე პაპის გამოჩენა დიდ სიხარულსა და ინტერესს იწვევდა. იქ, სადაც მოხუცი ყარაჩოხელი იჯდა და უკრავდა, დიდი და პატარა იყრიდა თავს.

ალე პაპისგან განსხვავებით, რანგია მეტად ენერგიული და მხიარული კაცი იყო. დუქნისა და რესტორნის კარს რომ შეაღებდა, მოქეიფებს ომახიანად მიმართავდა: სვით, მიირთვით და ფერზე მოდიით! შემდეგ კი ისე ააჟღერებდა არღანს, ცეკვა-თამაში მოგინდებოდა.

აზატ მანუჩანი, ფოტოხელოვანი:

— ეს ფოტოები გასული საუკუნის 60-იან წლებში გადავიღე. ორივე ყარაჩოხელი უკვე ღრმად მოხუცებული იყო, ამიტომ გაცნობიერებული მქონდა, რომ შესაძლოა, ფირზე თბილისის უკანასკნელ ყარაჩოხელებს ვიღებდი. ამ ფოტოებს ჩემს სახელოსნოში სათანადო ადგილი მივუჩინე. ყველა, ვინც ფო-

რანგია



ტოატელიეში შემოდის, ინტერესით აკვირდება ფოტოებიდან მომზირალ კოლორიტებს. დაახლოებით ხუთი წლის წინ კი სახელოსნოში ორი შუახნის ქალბატონი შემოვიდა. რანგიას სურათი რომ დაინახეს, ერთხმად წამოიძახეს: „მამა!“ ჩემთვის ნამდვილი აღმოჩენა იყო იმის გაგება, რომ ამ ყარაჩოხელ კაცს დიდი ოჯახი ჰქონია.

დრო რომ აირია, მისი შვილები და შვილიშვილები საცხოვრებლად ერევანში გადასულან, მაგრამ ყოველ აღდგომას, რანგიას მონაგარი თბილისში ჩამოდის, რათა მის საფლავზე მისვლით, პატივი მიავსოს უკანასკნელი ყარაჩოხელის ხსოვნას.

იაპონური სენსაცია

„გზის“ №29-ში გამოქვეყნებული სულოკუს პასუხები

6	7	9	5	3	4	2	1	8
2	3	1	8	9	7	4	5	6
5	4	8	6	1	2	3	7	9
4	8	2	1	5	6	7	9	3
7	6	3	2	8	9	1	4	5
9	1	5	4	7	3	8	6	2
8	9	6	7	2	1	5	3	4
3	5	7	9	4	8	6	2	1
1	2	4	3	6	5	9	8	7

6	4	9	2	3	8	5	7	1
2	1	3	7	5	6	9	4	8
5	8	7	9	1	4	3	6	2
8	7	2	6	9	3	1	5	4
9	5	1	8	4	7	6	2	3
3	6	4	1	2	5	8	9	7
1	3	6	4	7	9	2	8	5
7	2	8	5	6	1	4	3	9
4	9	5	3	8	2	7	1	6

4	2	6	5	3	9	1	8	7
3	5	8	1	7	2	6	4	9
1	9	7	8	6	4	5	2	3
7	6	9	2	8	5	3	1	4
5	4	3	6	1	7	8	9	2
2	8	1	9	4	3	7	5	6
8	7	2	3	9	1	4	6	5
9	1	4	7	5	6	2	3	8
6	3	5	4	2	8	9	7	1

* მარტივი

7		5	2	3	
1	6		7	2 4	
8		3		1	
	5		8		2
	6 2	9	3 8 1		
3		2		4	
	8		7	3	
6 9		2	7 1		
7	1	8		6	

** საშუალო

		1		2		
	3	8		5		
	6		5	9		
		2	5	4		3
6			7		1	
9		3		4		
		6	9		7	
		5		3	2	
		9		5		

*** რთული

		9		8		5
1			4		9	
	8		5 6		3	
		8				7
				6		
3		4		2		
		1	3 4		5	
		6		7		8
9		8		4		

ფოტოკუჩიონები



"მის თინეიჯერი"

გაფხულის სეზონი



Nicca De Luxe

SHOES CAFE



სამოკლავო ფეხსაცმელი

ბერისბელი კომპანია „ამბები“

მის: ლესელიძის 53
ტელ: 72 01 10

კონკურსი მის თინეიჯერი უკვე დაიწყო!

იმისათვის, რომ ხმა მისცეთ თქვენს რჩეულს, SMS ველში აკრიფეთ სასურველი კონკურსანტის კოდი და გააგზავნეთ ნომერზე: 8888.

„მის თინეიჯერის“ გაფხულის სეზონის გამარჯვებულს ტურისტული კომპანია „რემოდანისაგან“ გადაეცემა:

ორკაციანი საგზური ეგვიპტეში, პარელსეიხში, 5 პარსკვლავიან სასტუმროში

პრიზების სამკაული საიუველიერო მაღაზია „დელფოსიგან“ კონტრაქტი სამოდელო სააგენტოსთან და სამახსოვრო საჩუქრები კონკურსის გამარჯვებულს

+ 20 ნომინაცია

პროექტის პარტნიორები არიან: ფოტოსტუდია „კლაიფი“, სალონი „ნიცა დე ლუქსი“ და ჟურნალი „ამბები“.

პროექტის საინფორმაციო მხარდაჭერა: გაზეთი „კვირის პალიტრა“, ჟურნალები „ზა“ და „რეიტინგი“, რადიო „პალიტრა“ FM 103.9, ინტერნეტ საიტი www.ambebi.ge.

კონკურსანტთა ფოტოები და რეიტინგი იბეჭდება ჟურნალ „ოსკარ-ში“ და განთავსებულია ინტერნეტპორტალზე:

WWW.AMBEBI.GE

კონკურსანტების სილამაზეზე ზრუნავს სალონი „ნიცა დე ლუქსი“ და სტილისტი ლუდა.

დახმარე უნს რჩეულ მასღუს გაფხულის სეზონის გამარჯვებულს!



მარგა ბაჩიაძე, 13 წელი



თაო მუხომიძე, 14 წელი



ზორბა მუხომიძე, 15 წელი



მარა კახიანი, 13 წელი

SMS-ს დასტავს 1 ცენტ

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იკითხე ჟურნალი „ოსკარი“.